საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№14 (249)
16 - 29 აპრილი, 2014
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

## «თუ სააკაშვილმა ამბოხების მოწყობა გადაწყვიტა, ჯარი, შესაძლოა, მთავარსარდალს არ დაემორჩილოს»



13

**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 30 აპრილს**

ჰამლეტ ჭიპაშვილი:
## მაია ფანჯიკიძის შესახებ გერმანული პრესა წერდა, რომ მას სიგიჟემდე უყვარს კაზინოში სიარული და პატარა ბიჭები
12

## «ერს, რომელსაც ჩერგოლეიშვილი ჰყავს, აღარც დედა სჭირდება და აღარც ბებია»
4



მამა ბასილი მკალავიშვილი:
## 17 მაისისთვის უცხოეთიდან ათასამდე მამათმავალი უნდა ჩამოიყვანონ
10

## დაკვერცხილები, ანუ რა უნდოდა პრეზიდენტს რიყეზე?



3

მამა დავითი (ისაკაძე):
## ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში სასულიერო პირებს ქადაგება აეკრძალება



6

„ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა და მას ხელს აწერს თამარ ჩუგოშვილი, ანუ სიაის, იმავე რესპუბლიკელების, მიერ არის ეს კანონპროექტი მომზადებული.“

## სასულიერო პირები საქართველოს პარლამენტისა და მთავრობისაგან ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების პროპაგანდის აკრძალვას ითხოვენ
6

მიმართვას ხელს აწერენ:
პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი დიმიტრი გორგოძე, დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე, დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, დეკანოზი დავით ისაკაძე, დეკანოზი დავით ქვლივიძე, დეკანოზი ზაქარია დავრიშიძე, დეკანოზი არჩილ ქიტუაშვილი, დეკანოზ დავით ლასურაშვილი, დეკანოზი თადეოზ სალარიძე, დეკანოზი ნიკოლოზი თურმანიძე, დეკანოზი გიორგი რაზმაძე, დეკანოზი ლევან კუტივაძე, მღვდელმონაზონი ბასილი ანთაძე, მღვდელი ბასილი იაშალაშვილი, მღვდელი გაბრიელ ვაშაძე, მღვდელი დავით მინდორაშვილი, მღვდელი დავით ქალებაშვილი, მღვდელი დავით ნოზაძე, მღვდელი ვახტანგ დავითაშვილი, მღვდელი ნიკოლოზ ჩხიკვაძე, მღვდელი გურამ გამცემლიძე, მღვდელი ირაკლი ცქიტიშვილი, მღვდელი ნიკოლოზ ერაძე, მღვდელი ათანასე ხაბეიშვილი, მღვდელი ლევან ანთაძე, მღვდელი ლევან კუტივაძე, მღვდელი ვახტანგ მაჩურიშვილი

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოსცა

**საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის შესახებ განკარგულება გამოსცა.** საარჩევნო კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს — საკრებულოს, თვითმმართველი ქალაქის მერის და თვითმმართველი თემის გამგებლის მორიგ არჩევნებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პრემიერმინისტრის კონტრასიგნაციით.

**პრეზიდენტმა არჩევნების თარიღად 15 ივნისი განსაზღვრა.**



## კიდევ ჭამ, ნოდარ?

**1716-ლარიანი თევზის ასორტი და 1672 -ლარიანი ხბოს ბეჭი — ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის მორიგი ქეიფი 13500 ლარი დაჯდა.**

გავრცელებული ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტრომ 17 მარტს რესტორან „ფუნიკულიორში" იქეიფა და მხოლოდ თევზის ასორტში 1716 ლარი გადაიხადა, ქონდარში მომზადებულ ბატკნის ბარკალში — 1452 ლარი. სულ კი ხადურის უწყებამ 13 500 ლარი დახარჯა.

**აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტრომ სასტუმრო „რადისონ ბლუ ივერიას" მომსახურებისთვის 34359.8 ლარი გადაურიცხა.**



## «თუ სააკაშვილს 10 ტყვია მოხვდება, ერთი აუცილებლად ლუკა კურტანიძისგან იქნება!»

**ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, შსს-ს პოლიციის აკადემიის პრორექტორი ლუკა კურტანიძე პირობას დებს, რომ მათ შორის, ვინც სააკაშვილს პასუხს მოსთხოვს, ერთ-ერთი ის იქნება.**

**„პირდაპირ ვამბობ — თუ სააკაშვილს 10 ტყვია მოხვდება, ერთი ტყვია აუცილებლად ლუკა კურტანიძისგან იქნება. ეს მხოლოდ სააკაშვილს არ ეხება. მინაშვილის, გაბაშვილის, უგულავას, თაქთაქიშვილის, ხერხეულიძისა და სხვათა სახით ქვეყანაში ბევრი სააკაშვილია... ნურავის ეგონება, რომ ბრძოლა დამთავრდა. ვიდრე ადამიანი ცოცხალია, სულ იბრძვის, ბრძოლა გრძელდება. მე საზოგადოების ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ, რომელიც უსამართლობას არასოდეს გაუჩუმდება“,** — განაცხადა ლუკა კურტანიძემ.

კურტანიძემ ივანიშვილის შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერები ივანიშვილსა და ღარიბაშვილს უნდა უმადლოდნენ, რომ ლინჩის წესით არ გაასამართლეს.

SALON

ჯიმი კარტერი:

# ომების მთავარ გამჩაღებლად მსოფლიო აშშ-ს მიიჩნევს

**მსოფლიო თვლის, რომ აშშ „ომების მთავარი გამჩაღებელია“ და, პრაქტიკულად, ნებისმიერი საბაბით აღვივებს შეიარაღებულ კონფლიქტებს“, — განუცხადა აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ამერიკულ ინტერნეტგამოცემა Salon-ს.**



ჯიმი კარტერი

აშშ-ის ექსპრეზიდენტის თქმით, მსოფლიოს ხალხები „თითქმის ერთსულოვნად“ მიიჩნევენ, რომ აშშ ომს ხშირად „არა მხოლოდ ქვეყნის ლიდერების სურვილით, არამედ ამერიკელთა მხარდაჭერით აჩაღებს“.

უკრაინაში განვითარებული მოვლენების კონტექსტში გამოცემას კორესპონდენტმა ჯიმი კარტერს აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის რამდენიმე დღისწინანდელი გამოსვლა შეახსენა. კერიმ განაცხადა, რომ XXI საუკუნეში, უბრალოდ, არ შეიძლება ასე შეიჭრე სხვა ქვეყანაში“. კერის ფრაზის გახსენების შემდეგ კორესპონდენტმა დასძინა: „ვფიქრობ, ბევრი ჩვენგანი იტყოდა: მოიცა, ერაყის ომის დროსაც ხომ ასე ვამბობდით და მაშინაც XXI საუკუნე იყო!“.

„ასეა. — უპასუხა კარტერმა კორესპონდენტის რეპლიკას, — ასე ვიქცეოდით და ყოველთვის ასე ვიქცევით. სამწუხაროდ, ასეთია ვაშინგტონი. ამას უკვე მრავალი წელია, ვაკეთებთ“.

კორესპონდენტისა და ექსპრეზიდენტის საუბარი ეძღვნებოდა წიგნს „მოწოდება მოქმედებისკენ“, რომელშიც ჯიმი კარტერი წერს, რომ **„მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე მეტად აშშ მონაწილეობს შეიარაღებულ კონფლიქტებში და ომს საკამათო საკითხების მოსაგვარებლად იყენებს“.**

შეგახსენებთ, რომ **ამერიკული ორგანიზაცია Gallup International-ის მიერ 2013 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარებული კვლევის („იმედისა და იმედგაცრუების გლობალური ბარომეტრი“) შედეგების მიხედვით, დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (24%) თვლის, რომ მსოფლიოში მშვიდობას ყველაზე დიდ საფრთხეს აშშ უქმნის. ამ მხრივ მეორე ადგილზეა პაკისტანი (8%), მესამეზე — ჩინეთი (6%). ყველაზე სახიფათოებს შორის არიან ირანი, ისრაელი, ავღანეთი და ჩრდილოეთ კორეა.**



## დავით ნარმანიამ თანამდებობა დატოვა და წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის უკვე ყოფილმა მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ თანამდებობას ტოვებს და, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“, წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს.**

დავით ნარმანიამ საქართველოს პრემიერმინისტრსა და მთავრობას თანადგომისა და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ამ გუნდის წევრობა მისთვის დიდი პატივი იყო.

„ვამაყობ, რომ ვიყავი ამ გუნდის წევრი, რომელიც გასული პერიოდის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქვეყანას და ასევე განაგრძობს. ჩვენ გადავიტანეთ ძალიან რთული პოლიტიკური კოჰაბიტაცია და, რომ არა ერთიანობა, ასეთი შედეგები არ გვექნებოდა. გისურვებთ წარმატებას და ქვეყნის საბოლოო გამარჯვებამდე მიყვანას. მიგულეთ თქვენ გვერდით“, — მიმართა დავით ნარმანიამ მინისტრთა კაბინეტს. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე დავით ნარმანიას მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ელგუჯა ხოკრიშვილი შეცვლის.

1973 წლის 24 მაისს დაბადებული ხოკრიშვილი პოტსდამის უნივერსიტეტის ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებათა დოქტორია.



## ამერიკელი ჟურნალისტი: უკრაინის მოვლენებს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საფირმო ბეჭედი ადევს!

**ჟურნალისტმა ჯორჯ მეპმა, რომელიც სპეცსამსახურების მუშაობის თემებზე წერს, უკრაინაში შექმნილ ვითარებას „დელიკატური საჭადრაკო პარტია“ უწოდა. მისი თქმით, „უკრაინულ სცენარს, რომელიც, უკვე რამდენიმე თვეა, ხორციელდება, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს საფირმო ბეჭედი ადევს“.**

ამერიკელი ჟურნალისტი აშშ-ის ხელისუფლებას ლოგიკურ ნაბიჯად უთვლის უკრაინაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის — ჯონ ბერნანის მივლინებას და მის შეხვედრას უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. ჯორჯ მეპმა უკრაინაში შექმნილ ვითარებას „უაღრესად მნიშვნელოვანი და დელიკატური საჭადრაკო პარტია“ უწოდა. მისი თქმით, აშშ ცდილობს, რუსეთს ყურადღება გადაატანინოს სირიის საკითხიდან, თუმცა მოსკოვს დასავლეთთან დაპირისპირებაში შეუძლია მსოფლიოს დაანახოს, რომ ამერიკის ეკონომიკასა და ვალუტას დააზარალებს“.

„ამ საჭადრაკო პარტიის შედეგს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს და ლოგიკურია, რომ ცსს-ს დირექტორმა ჯონ ბრენანმა უკრაინაში ჩასვლა გადაწყვიტა“. ჯონ მეპის აზრით, **„უკრაინაში დაწყებულ საპროტესტო აქციებში ცსს არათუ მონაწილეობდა, არამედ ამ პროცესს თვითონ მართავდა“.** ამერიკელი ჟურნალისტი ამბობს, რომ „ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს სახელმწიფო გადატრიალებების დიდი გამოცდილება აქვს, მათ შორის, უკრაინაშიც“, მაგალითად კი 2004 წელს „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოჰყავს.



ანა ტატიშვილი

## ქართველმა ჩოგბურთელმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი განაცხადა

**ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვა. ამის შესახებ ინფორმაცია მან სოციალურ ქსელში გაავრცელა.** ქვეყნის პირველი ჩოგანი აცხადებს, რომ უკვე მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელით გამოსვლის გადაწყვეტილება. მიზეზად კი მის მიმართ საქართველოს სპორტული უწყებების უყურადღებობასა და გულგრილობას ასახელებს.

**24 წლის ანა ტატიშვილი ამჟამად 609 ქულით ჩოგბურთელთა სარეიტინგო სიაში 104-ეა. 2012 წელს იგი მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა 50-ეულში შედიოდა.**

**თაქთაქიშვილი მაიდნით გვემუქრება, ჩერგოლეიშვილი — ჯოჯოხეთის მოწყობით, უგულავამ ნიუ იორკის ბანდები დააანონსა და ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ თავის დროზე ნიუ იორკში ბიუჯეტის ფულით იგრიალა და ლას ვეგასის კაზინოებში იმხელა თანხა წააგო, ბევრ ქართველს სიზმრადაც რომ არ უნახავს.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაკვერცხილები, ანუ რა უნდოდა პრეზიდენტს რიყეზე?



**ახლა ის პერიოდია, ქათმები მოკრუხებას რომ იწყებენ და კარგი კვერცხი ძნელი საშოვნელია. თუმცა მიზეზი იმისა, რომ კვერცხი დაფასდა, მხოლოდ ეს არ გახლავთ. თანაც, ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, წიწილებს შუა ზაფხულში დაითვლიან და ვილაცებს საშემოდგომო გამოჰყვებათ.**

ის სიმღერა ხომ გახსოვთ, „გარეთ, თოვდა, თოვდა, თოვდა, მაგრამ სულ არ ციოდა, თეთრი ციდან ფიფქის ნაცვლად, ლაყე კვერცხი ცვიოდა“... მოკლედ, „ნაციონალებმა“ სადაც კი გაიფაჩუნეს, ყველგან კვერცხების წვიმა დაატყდათ თავს და ლაყეც შემთხვევით არ მიხსენებია, ამბობენ, გაბრაზებული ხალხი კვერცხის გალაყებას და ისე სროლას აპირებს, ნაციონალთა მგრძნობიარე ცხვირები რომ შეწუხდნენო და **ვეჭვობ, მალე ისეთი სუნი დადგება, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ „ნაციონალების“ ოფისში რომ იდგა.**

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ხელს „ქართული ოცნებისკენ“ იშვერენ, აქაოდა, ყველაფერს მმართველი გუნდი აკეთებსო. პოლიცია აქტიურობს და კვერცხის მსროლელები დააკავა კიდეც, მაგრამ მალევე გაათავისუფლა და ეჭვი გვაქვს, დაკავების შიშით ეს აქციები არ შეჩერდება. „ნაციონალებმა“ იფიქრეს და „არა კოლაბორაციონიზმს“ მოიფიქრეს. კვერცხზე გამახსენდა: **ამ აქციის სარეკლამო კლიპში გუგულის კვერცხებივით შემოგვაპარეს „ნაციონალთა“ სახეები და საბოლოოდ ამ ყველაფერს იმ აქციის სახე უნდა მისცემოდა, მომავალში მაიდნად რომ უნდა გადააქციოს საპარლამენტო ოპოზიციამ, თუმცა ამ საქმიდან ჯერჯერობით არაფერი გამოვა, რადგან ნათლად გამოჩნდა, რომ შესაძლოა, „არა კოლაბორაციონიზმს“ ბევრი უჭერს მხარს, მაგრამ „ნაციონალებთან“ ერთად დგომა ისევ „გრეხია“.** ქართველი საზოგადოების მოკლე პოლიტიკური მეხსიერების მიუხედავად, **წელიწად-ნახევარში აშკარად ვერ მოხერხდა იმ 9-წლიანი ჯოჯოხეთის დავიწყება, „ნაციონალებმა“ რომ მოუწყვეს საკუთარ მოსახლეობას და, თუ ოდესმე დავივიწყებთ, რაც დაგვემართება, იმაზე მეტის ღირსი ვიქნებით.**

სამაგიეროდ, პრეზიდენტს მიეცა ხალხში გასვლის საბაბი და იმ კონცერტზე მივიდა, რომლის ორგანიზებაც ასზე მეტმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ითავა. **მარგველაშვილმა ამაყად განაცხადა: ევროპა ჩვენ კი არა, ჩვენმა წინაპრებმა აირჩიესო და კარგა ხანს ვფიქრობდი, რას გულისხმობდა. სიმართლე გითხრათ, ლუდოვიკო მეთოთხმეტეს კარზე ამაოდ მომლოდინე სულხან-საბასა და გეორგიევსკის ტრაქტატის მეტი ბევრი ვერაფერი გავიხსენე, რაც წინაპართა ევროპულ გზას დამანახვებდა და, თუ ვინმე ბათუმიდან საფრანგეთში გაქცეულ მთავრობას გამახსენებს, მასე, თქვე კაი ხალხო, ავსტრიაში ბადრი ბიწაძეც გაიქცა, მაგრამ რა ეტყობა ახლა მაგას, ევროპა რომ უნდა?!** ისე, **მარგველაშვილის გამოჩენამ სცენაზე და დაბლა „ნაციონალთა“ ლიდერების მომღიმარმა სახეებმა პრეზიდენტის მიერ დაპირებული კოჰაბიტაციის დასასრულის დაპირება გამახსენა. ამ „ვასვასს“ დასასრულის არაფერი ეტყობა და ისე შესციცინებდნენ ბავშვობის მეგობრები — ბოკერია და მარგველაშვილი ერთმანეთს, ეჭვი მაქვს, კოჰაბიტაცია მართლა დაასრულეს და სიმბიოზში გადავიდნენ.**

სიმბიოზის შესახებ ვკითხულობთ: **„სიმბიოზი** — ერთად ცხოვრება. ორი სახეობის თანაცხოვრების, ეკოსისტემაში ორგანიზმთა ურთიერთობის ფორმა, რომელიც სასარგებლოა ერთ-ერთისთვის ან ორივესთვის. მაგალითად, ცხოველების ნაწლავებში ბინადარი ბაქტერიები საკვებს ნაწლავებიდან იღებენ, სამაგიეროდ, ისინი ცხოველებს საკვების მონელებაში ეხმარებიან“...

ახლა რომელია ბაქტერია და რომელი — ნაწლავი, თავად განსაჯეთ, მაგრამ ფაქტია, რომ, ორივესთვის თუ არა, ეს ურთიერთობა ერთ-ერთისთვის ყველა ვარიანტში სასარგებლოა...

მეორე მხრივ, მიმდინარე პროცესები „ნაციონალებს“ აშკარად ხელს აძლევთ. **დევნილი თუ შევიწროებული ოპოზიციის მანტია ისე მოირგეს ყოფილმა ხელისუფლებმა, რომ, თუ შემოახევ ტანზე, თორემ საკუთარი ნებით არ გაიხდიან. საწუწუნოდ ახლა ის აქვთ, რომ წუგზარმენ წიკლაურის, იმავე ჯეკი ჩანას დასიებული თავ-პირი ევროპარლამენტარების მსჯელობის საგანი არ გახდა.** ევროპელებს შემოუთვლიათ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო და **„რვა კაცის ნაცემი“ ჯეკი ჩანა ევროპაში ვერ ჩავიდა.** სავარაუდოდ, **მისი კიდევ ერთხელ მიჯირყვნა იგეგმება, ოღონდ ისე, ჩალურჯებული თვალები და გაბუშტული ცხვირი ევროპამდე რომ ჩაჰყვეს და იქ რომ იტიროს, ხედავთ, რა დღეში ვარო.**

მოკლედ, **თაქთაქიშვილი მაიდნით გვემუქრება, ჩერგოლეიშვილი — ჯოჯოხეთის მოწყობით, უგულავამ ნიუ იორკის ბანდები დააანონსა და ამით კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ თავის დროზე ნიუ იორკში ბიუჯეტის ფულით იგრიალა და ლას ვეგასის კაზინოებში იმხელა თანხა წააგო, ბევრ ქართველს სიზმრადაც რომ არ უნახავს.**

ასეა თუ ისე, უახლოეს თვეებში სანახაობა არ მოგვაკლდება და ეგებ წინასაარჩევნოდ ამომრჩეველს პური შემოაშველონ.

და ბოლოს, **ან მარგველაშვილს რა უნდოდა რიყეზე დაკვერცხილების აქციაძე, ან ამ ხელისუფლებამ რით ვერ დაასრულა „ნაცების“ გრიალი, ვინმე გამცემს პასუხს?!**

**დავით მინდიაშვილი**

**ჩილე, ჩეხეთი, ხორვატია, საფრანგეთი, ჰოლანდია, პარაგვაი, სლოვაკეთი, სლოვენია, სერბეთი — ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ ქვეყნებისა, რომელთა დროშის ფერებიც რუსეთის დროშის ფერებს ემთხვევა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ამ ქვეყნის დელეგაციის წარმომადგენელი საქართველოში ვიზიტისას თუ სადმე გვირგვინს მიიტანს და საკუთარი დროშის ფერებით შემოსავს, იქ მაშინვე გაჩნდება ბესო გაზდელიანი და დაწვავს. უფრო სწორად, ჯერ ტელევიზიებთან გამოიჭიმება, ეს ვინ გაბედაო, იტყვის, მერე დროშისფერ ლენტებს მიწაზე დაყრის და ფეხით შედგება, შემდეგ კი დაწვავს.**

# გმირობა თუ ვირობა?

## რა უნდოდა გაზდელიანს, ანუ ტარები, ტარები, ტარები ჩქარა!

ბესო გაზდელიანი თანამდებობის პირი რომ არ იყოს, ამ ამბავს, შესაძლოა, უხმაუროდ ჩაევლო და ვინმეს ეთქვა, კაცი ჰერალდიკაში ვერ ერკვევა და რა ქნასო, მაგრამ არა — გაზდელიანი სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილეა (15 ივნისამდე მაინც) და გარდა იმისა, რომ სიტუაციაში უნდა გარკვეულიყო და ვალდებულიც იყო, სცოდნოდა, რომ რუსეთის დროშის ფერები სხვა ქვეყნებსაც აქვთ, თავისი საქციელის გამო ბოდიში უნდა მოეხადა. მაგრამ ნურას უკავრავად, გაზდელიანი ბოდიშის მოხდას არ აპირებს და სლოვაკეთის დელეგაციას, რომელმაც 9 აპრილის მემორიალზე მიიტანა გვირგვინი, აქეთ სთხოვს ბოდიშს, როგორ გაბედეთ და რუსეთის დროშის ფერებიანი დროშა რატომ გაქვთო.

„ნაციონალური მოძრაობა“ თავის ერთ-ერთ გამორჩეულ აქტივისტსა და ზონდერს (თუ ვინმეს კითხვები აქვს გაზდელიანის ზონდერობასთან დაკავშირებით, ვუპასუხებთ და დავუსაბუთებთ) საქციელს უწონებს, რადგან სხვაგვარად ეტყოდნენ, ბოდიში მოიხადეო და ისიც დაუჯერებდა, რადგან იერარქიული საფეხურები „ნაცმოში“ ისეა დაცულ-დალაგებული, თქვენი მოწონებული. ქვემდგომები ზემდგომების მონები არიან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და „ნაცებმა“ ერი რომ ვერ დაიმონეს, იმიტომ დაიწყეს შეცდომების დაშვება, რამაც საბოლოოდ მიჯირყვნამდე მიიყვანა.

**რა გამოდის? „ნაციონალები“ აღიარებენ, რომ სამგორის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე, რბილად რომ ვთქვათ, უვიცი ჰყავთ და, უფრო რბილად რომ ვთქვათ, საკუთარი თავით კმაყოფილი იდიოტი. ეს ერთი, ჩემო ბესარიონ. ახლა მეორე:**

ვთქვათ და, 9 აპრილის მემორიალზე გვირგვინი მართლაც რუსეთის დელეგაციას მიეტანა, ხაზი გაესვა, რომ 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა მანქანის ქმედება არასწორი იყო, რა უნდა გვექნა — დროშა დაგვეწვა? ამ ლოგიკით, **ანგელა მერკელმა სამამულო ომში დაღუპული გმირების მემორიალზე გვირგვინი რომ მიიტანოს, გერმანიის დროშას თუ დაწვავ, ბესო?! არ დაწვავ და იცი, რატომ? მერკელია და იმიტომ, გერმანიაა და იმიტომ; და მერე რა, რომ იმ ომში გერმანელებმა 300 ათასი ქართველი განადგურეს — ეს აღარ გახსოვს, ეს არ გჭირდება და კუდის ქიცინით ემთხვევი მერკელს (თუ მიგიშვეს სამთხვევად) იქ, სადაც 9 წლის განმავლობაში „ნაცმოს“ ლიდერებს ემთხვეოდი...** და ისინი გიშვებდნენ სამთხვევად იმიტომ, რომ ზოგს საიმოვნებდა, ზოგს — უხიცინებდა, ზოგს კი ფეხებზე ეკიდა, მაგრამ მაინც გამთხვევინებდა იმიტომ, რომ შენი ადგილი გცოდნოდა მუდამ. ახლაც ძველი გემო გაქვს გამოყოლილი და ისევ ძველ მუსიკაზე მღერი, ამიტომ იყო, გონება რომ დაგებინდა და დიდ გულზე რომ იყავი, — სლოვაკეთმა აქეთ მოიხადოს ბოდიში, მე საბოდიშო არაფერი მაქვსო.

ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ: **გაზდელიანი ის კაცია, 2012 წლის არჩევნების წინ მამისტოლა კაცს ტელეკამერების წინ რომ სცემა, აქაოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი არ ხარო. კიდევ ის კაცია, მისი დის ხათრით, „რუსთავი 2“ ყოველთვის რომ ცდილობს, კარგ კონტექსტში წარმოაჩინოს, მაგრამ არაფერი გამოსდის.** სწორედ მის დას მიჰყავდა დილის „კურიერი“, როცა სლოვაკეთის დროშის დაწვის კადრები აჩვენეს და აშკარად ამაყი იყო, რომ მისმა ძმამ გმირობა ჩაიდინა და რუსეთს არ შეუშინდა, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ გმირობიდან ვირობამდე ერთი ნაბიჯია (**ვირებს ბოდიში, გაზდელიანს რომ შეგადარეთ, მაგრამ ძაღლს ხომ არ შევადარებდი, ძაღლებმა ერთგულება იციან**).

სხვათა შორის, **სლოვაკეთის დელეგაციისთვის მაია ფანჯიკიძეს მოუბოდიშებია, სვანია და აპატიეთო. სლოვაკები ვერ მიხვდნენ და ფანჯიკიძემ აუხსნა, — სვანი, ანუ წულუკიანიო. გაოცდა სლოვაკეთის პრემიერი, — ქალიაო? აქეთ ფანჯიკიძე დაიბნა, — წულუკიანი კი არა, სუბარიო. ისევ გაოცდა სლოვაკი სტუმარი, — ლოთი ყოფილაო და კიდევ ერთი გვარი შეაშველა ჩვენი საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, — ჯაჭვლიანიო და...**

„ნუ ბლატაობ, შე ჩმორო!“ — ღიმილით დამარცვლა სლოვაკეთის პრემიერმა და მიხვდა, — ვინ არის გაზდელიანი.

**დავით მინდიაშვილი**

**P.S.** ბესო, საკუთარ თავს ჰკითხე და მიხვდები — რუსეთის დროშას რომ დაწვავ, რეალურად ის კაცი არ ხარ შენ; სლოვაკეთის დროშას რომ დაწვავ ტელევიზორში გამოჩენის ხათრით, ის კაცი ხარ შენ და იცი, რატომ? მაგის გაკეთებას ერთი ადგილი უნდა, ის ადგილი, რომელზეც „ნაცმოს“ ლიდერებს დღემდე ემთხვევი...

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფებაში მოვიდა ივანიშვილი, რომლის იმედიც ხალხს ჰქონდა, მაგრამ მალე შეგვატოვა ისეთ ადამიანებს, რომლებსაც, ასი წელი რომ ეცხოვრათ, რესპუბლიკელების თამადობით, პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ“.**



## ზაზა მამალაძე:

# სააკაშვილის დაკითხვა და დაპატიმრება რომ სდომებოდათ, აქ არ იყო?

**ტრიო „თბილისის“ წევრი, მომღერალი ზაზა მამალაძე, რომელიც, 9 წელიწადია, სცენაზე არ მდგარა, ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებების თუ უმოქმედობის გამო იმედგაცრუებას ვერ მალავს და ამბობს, რომ ქვეყანაში ძალიან ცუდი ვითარებაა...**

— ორი წლის წინათ დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა ადამიანი, რომელიც დამაჯერებდა, რომ ამ დღეში ჩავცვივდებოდით; არ არსებობდა კაცი, რომელიც დამაჯერებდა, რომ დღეს ასე პესიმისტურად ვიქნებოდი განწყობილი. „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებიდან რომ უნდა წასულიყო, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ **ნერვები სწორედ იმაზე მეშლება, რომ ეს ბანდიტური დაჯგუფება დღეს კიდევ არსებობს და ჭკუას გვასწავლის.** აი, პირველ რიგში, ამას ვერ მივუტევებ ამჟამინდელ მთავრობას, მათ მიერ დაშვებულ შეცდომებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. **დანაშაულია, რომ ბარამიძე და მსგავსი არსებები კვლავაც ცდილობენ, ჭკუა დაგვარიგონ!**

**— ახალი ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები ახსენეთ...**

— მაინტერესებს, **ვინმე თუ გრძნობს საქართველოში სამართლიანობის არათუ აღდგენას, არამედ ამ პროცესის დაწყებას მაინც?!** თუნდაც „ნაცმოძრაობის“ მიერ წართმეულ ქონებაზე შევაჩეროთ ყურადღება, დანარჩენს თავი რომ დავანებოთ. გასაგებია, რომ ზოგიერთი პიროვნების ქონება სამჯერ და ოთხჯერ არის გასხვისებული და ამის გამოძიება რთულია, მაგრამ უკანონოდ წართმეული უამრავი ქონება დღეს ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, მაგალითად, ავტომობილები. აი, ამის დაბრუნებას რაღა უდგას წინ? **ორი წლის წინათ ყველას პირზე ეკერა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის გამოძიება. რა გახდა, რით ვერ გამოიძიეს, რატომ ვერ დასაჯეს დამნაშავეები? ზურაბ ჟვანიასა და სხვა საქმეებზე აღარაფერს ვამბობ. ყოველი არჩევნების წინ ამ გამხაურებულ საქმეებს წინა პლანზე წამოწევენ და ამით მანიპულირებენ.** სააკაშვილის დაკითხვის საკითხი რომ შემოაგდეს წინასაარჩევნოდ, ამით ვის ატყუებენ? **სააკაშვილის დაკითხვა და დაპატიმრება რომ სდომებოდათ, აქ არ იყო?** ამის გაკეთება მართლა რომ სურდეთ, არც ახლაა გვიან, მაგრამ... **წელიწად-ნახევრის განმავლობაში ჩვენი ხალხისთვის არაფერი გაუკეთებიათ — ქონება არ დაუბრუნებიათ, სამართლიანობა არ აღმდგარა, „ნაცმოძრაობა“ კვლავ დიდების ზენიტშია და გაიძახიან, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ოპოზიციური ძალაო და მათ ამდენი ტლიკინის უფლება სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ მისცა.** აი, ამ ყველაფრის გადასაფარად ატეხეს აურზაური, — სააკაშვილს ჩამოვიყვანთო. **ესენი რისი ჩამომყვანები არიან?! ჩაივლის არჩევნები და ეს საკითხიც მინელდება. არ მინდა სიყალბეზე აგებულ ქვეყანაში ცხოვრება, დავიღალე და დაიღალა ქართველი ხალხი ტყუილსა და უბედურებაში ცხოვრებით. დღეს გაცილებით რთულ პირობებში ვცხოვრობთ, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ პერიოდში ვცხოვრობდით!** რაც მთავარია, თავისუფალი ვიყავი ჩემს ქმედებაში და რასაც ვფიქრობდი, იმას ვამბობდი. ამ შემთხვევაში კი სხვაგვარადაა საქმე. **ხელისუფებაში მოვიდა ივანიშვილი, რომლის იმედიც ხალხს ჰქონდა, მაგრამ მალე შეგვატოვა ისეთ ადამიანებს, რომლებსაც, ასი წელი რომ ეცხოვრათ, რესპუბლიკელების თამადობით, პარლამენტში ვერ მოხვდებოდნენ.** „ოცნების“ წარმომადგენლებმა გაინაღდეს სკამები, წონაც საკმაოდ მოიმატეს და რა ხალხი, რის ხალხი, ვის დავკარგივართ, საერთოდ?..

**— როგორც ვიცი, თქვენ ძალიან ეხმარებოდით „ქართულ ოცნებას“. ახალ ხელისუფლებას თქვენთვის სამსახური არ შემოუთავაზებია?**



— მთელი გულით და სულით ვეხმარებოდი „ქართულ ოცნებას“, ბოლო ორი თვის განმავლობაში ფოთში ვიყავი სამუშაოდ გადასული და ეკა ბესელიას მხარში ვედექი. **ახლა კი ისეთ რამეს გეტყვით, რაც აქამდე არავისთვის მითქვამს:** კულტურის მინისტრად დანიშვნიდან მესამე დღეს გურამ ოდიშარიამ მე და მერაბ თავაძე სამინისტროში დაგვიბარა და გვითხრა, თქვენი იმედით მოვდივარ ამ თანამდებობაზე, რადგან აზრზე არ ვარ, რა ხდება ამ სამინისტროშიო და გადმოგვცა ფურცელი, რომელზეც ეწერა: კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ უნდა დაინიშნის მერაბ თავაძე, ხოლო ღონისძიებების მოწყობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილედ — ზაზა მამალაძეო. ეს ფურცელი ახლაც შენახული მაქვს. ამის შემდეგ გვითხრა, მობრძანდით სამინისტროში ამ თანამდებობების, საბუთებისა და საქმეების გადასაბარებლადო და ჩვენც მივედით. ამ შეკრებაზე იმყოფებოდა კულტურის სამინისტროს თითქმის ყველა თანამშრომელი, ყოფილი მინისტრის — ნიკა რურუას გარდა. მერაბ შათირიშვილმა იკითხა: — აბა, ძმებო, ამ ცხრა წლის განმავლობაში რა გააკეთეთ ყველაზე ღირებული კულტურის სფეროში და რისი გაკეთება გსურდათ და ვერ შეძელითო? გვარი არ მახსოვს, რურუას პირველმა მოადგილემ მაგიდაზე დაარტყა ხელი და თქვა, რომ ყველაზე ღირებული რაც გავაკეთეთ, ეს არის ბაგრატის ტაძარიო, რაზეც თაკო ჩარკვიანმა უთხრა, ალბათ, თავისი ლიფტებით გულისხმობთო და ამ საკითხზე დაიწყეს ლექციის წაკითხვა, რაზეც ჩვენ განვაცხადეთ, რომ ლექციის მომსასმენად არ ვიყავით მისულები... ამის შემდეგ გაცვივდნენ ქუჩაში, მათთან მივიდნენ ტელევიზიები და მეორე დღეს ჩვენი ჯგუფი დაიწუნეს. მე და მერაბ თავაძეს ხმა არ ამოგვიღია. მერე ისიც ითქვა ჩვენზე, არავის დაუბარებია და თავიანთი ინიციატივით მოვიდნენ სამინისტროშიო. არც ამაზე ამოგვიღია ხმა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შემდეგ იტყოდნენ, სკამები ვერ გაიყვესო. ასე დასრულდა ყველაფერი და დღესაც ქუჩაში ვარ. **ერთ რამეში არ ვცდები: ჩვენს ქვეყანაში წესიერი კაცი არ სჭირდებათ, მაგრამ მე და ჩემნაირები აფრებს არავის ავაშვებინებთ!**

**— ამ ამბის შემდეგ გურამ ოდიშარია აღარ შეგხმიანებიათ?**

— არა. მოგვიანებით ნოდარ დუმბაძის იუბილეზე სოფელ ხიდისთავში შევხვდით ერთმანეთს და ჩვენი გამოლაპარაკება გამარჯობა-ნახვამდით ამოიწურა. არაფერი მითქვამს მისთვის. ეს ამბავიც წელიწად-ნახევრის შემდეგ პირველად თქვენს გაზეთს ვუთხარი და, სიმართლე გითხრათ, დღეს გული არ მწყდება, რადგან კულტურის სამინისტროში საქმეს ვერ გავაკეთებდი უამრავი მიზეზის გამო, ტყუილად გავილანძღებოდი და მირჩევნია, დღეს ასე ვიყო. **იმედი მაქვს, ადრე თუ გვიან, საქართველოში დადგება დრო, როდესაც წესიერი, ალალი, საქმის მცოდნე ხალხი დასჭირდებათ. დღეს კი კვლავ ის ხალხი ტრიალებს, რომლებსაც თავის დროზე „ნაცმოძრაობის“ მიერ დაქირავებულ ე. წ. ხელოვანთა ჯგუფს უწოდებდნენ.** ეს იმის ბრალია, რომ კულტურის სამნისტროში მხოლოდ 2-3 ადამიანი შეიცვალა, დანარჩენი ადგილები კვლავ ძველ ხალხს უკავია. ერთადერთი ის შეიცვალა, რომ, თუ აქამდე ამა თუ იმ ტელევიზიას ჩემი მიწვევის ეშინოდა, დღეს ამას თავისუფლად აკეთებენ. ან **ვის სჭირდება დღეს ქართველი, ქართული სიმღერების შემსრულებელი მომღერალი? ე. წ. მუსიკალურ შოუებში — „ვარსკვლავობანასა“ და „ახალ ხმებში“ ქართულ სიმღერას ვერ მოისმენ.** როდესაც მსგავსი პროექტი ევროპის რომელიმე ქვეყანაში ხორციელდება, მონაწილეები მშობლიურ ენაზე სიმღერას თუ არ იმღერებენ, იმავე დღეს ცაში აწევენ იმ ტელევიზიას. **ან ეს სუპერმწვრთნელები რა უბედურებაა? უსიცხო ანთება აქვთ ამ ადამიანებს და ეს გადაცემები უნამუსოების „მოღვაწეობის“ ეპიცენტრია! რისი სუპერმწვრთნელია სტეფანე მღებრიშვილი, რომელსაც ერთი სიმღერა არ აქვს ნამღერი თავიდან ბოლომდე ცოცხლად?! არადა, გამოდის და გულისამრევად იტყლარჭება.** რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა პრემიერმა კახურად რომ თქვა, ჩვენი ქვეყანა ლგბტ-ების ქვეყანა არ არისო, გამიხარდა. თუ ეს პედერასტები ავადმყოფები არიან, ვუმკურნალოთ, ამაზე ლაპარაკი არ არის, მაგრამ **გეიაღლუმებს, გეიქორწინებებსა და პეროებს საქართველოში ვერ ავიტანთ.**

**— დღეს მოდურია ტელეგადაცემებში ორალურ სექსზე საუბარი...**

— **ადამიანებს, რომლებიც ტელეეთერში ამ სისულელეებზე ლაპარაკობენ და მეტიც, ამაყობენ, რეალურად დედიმისისა უნდათ.** იმ დღეს **კონტრიძემ ერთ-ერთ კონკურსანტს უთხრა, მეგონა, ამ სიმღერას მოტმასნილი მაისურით იმღერებდიო. ამას რა კავშირი აქვს სიმღერასთან?! მაგრამ ეს ქალიც ავადმყოფია, რომელიც ტელეეკრანიდან გვმოძღვრავს. რა უბედურებაა, ამ ავადმყოფებს თავს რატომ ვამოძღვრინებთ? ან ვის აინტერესებს, თავიანთი საძინებლის კარს ფართოდ რომ ხსნიან? ვის რაში აინტერესებს, ვინ რამდენჯერ და როგორ შვრება? გენიტალიები მათია და, ვისაც უნდათ, იმათ მისცენ, მაგრამ ჩემი, ჩემი შვილებისა და ხუთი შვილიშვილის დასანახავად ამას ვერ გააკეთებენ. არ გამოუვათ!** არადა, ამას მიზანმიმართულად აკეთებენ და ბნელ ძალებს ჩვენი ქვეყნის გადაჯიშებაში ეხმარებიან. ამასთანავე, ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, დიდი ფულის სანაცვლოდ, პედერასტების დასაცავად იბრძვიან, **სად იყვნენ ეს არასამთავრობოები იმ 9 წლის განმავლობაში, როდესაც „ნაცმოძრაობა“ ხალხს აუპატიურებდა და ხოცავდა?!** თეა თუთბერიძე რომ გვეყოლება ქვეყანაში, მიშა თავხელიძე და და მისი მსგავსნი, გინდათ, გია ბარამიძე, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ? ან ეს ჩერგოლეიშვილი რომ გვყავს, „ზნეობის დედა“, ქართლის დედა რაღად გვინდა? **ერს, რომელსაც ჩერგოლეიშვილი ჰყავს, აღარც დედა სჭირდება და აღარც ბებია. წიკლაურზე აღარაფერს ვამბობ. მე თუ მკითხავთ, დღე და ღამ უნდა სცემდნენ. ამათ ნამუსი არ აქვთ, მაგრამ უნამუსობის აფრები ბოლომდე რომ აუშვეს, „ოცნების“ ბრალია.**

**— რა გეგმები გაქვთ?**

— ჩვენს ტრიოს 35 წელი უსრულდება და ამიტომაც ახლა ვამზადებთ კონცერტს **„თბილისი“ უმღერის თბილისს“.** 9 წელია, საქართველოში სცენაზე არ ვმდგარვარ.

**«ერს, რომელსაც ჩერგოლეიშვილი ჰყავს, აღარც დედა სჭირდება და აღარც ბებია»**

**«გეიაღლუმებს, გეიქორწინებებსა და პეროებს საქართველოში ვერ ავიტანთ»**

**«დღეს გაცილებით რთულ პირობებში ვცხოვრობთ, ვიდრე «ნაცმოძრაობის» პერიოდში ვცხოვრობდით!»**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**ვისი პრეზიდენტია გიორგი მარგველაშვილი — საქართველოს თუ „ნაციონალური მოძრაობის“, რომლის წარმომადგენლებთან ერთად აქცია-კონცერტებში მონაწილეობს და ისტორიის მათთვის სასურველ რედაქტირებას ახდენს?**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპული არჩევანი და ზაქიჭამია მინისტრი

**ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ისევ შევარდა რესტორანში და, ანგარიშში დაფიქსირებული თანხის სიდიდით თუ ვიმსჯელებთ, იქ მისთვის, როგორც ჩანს, ბრონტოზავრი დაკლეს. სხვათა შორის, ფული ბიუჯეტიდან, ანუ თითოეული ჩვენგანის ჯიბიდან გადაიხადეს. ცხადია, მინისტრი თავს ისევ იმით იმართლებს, რომ ეს ხარჯი აუცილებელი იყო უცხოელი სტუმრების ღირსეული გამასპინძლებისთვის და საზოგადოება ამ ეპიზოდს მალევე დაივიწყებს, რამეთუ უცხოელებისთვის არაფერი გვენანება ბრონტოზავრის მუჟუჟის ჩათვლით. ასე რომ, დროებით დავტოვოთ ხადური რესტორანში და რიყეზე გადავინაცვლოთ, სადაც 13 აპრილს გაიმართა აქცია-კონცერტი ამაყი სახელწოდებით „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.**



ძნელი სათქმელია, როგორაა ევროპაში, მაგრამ საქართველოში ზომას მნიშვნელობა ყოველთვის ჰქონდა. **„დიდი იმედი გვაქვს, დღეს რიყეზე ძალიან ბევრი ადამიანი მოვა საქართველოს ევროპული არჩევანისთვის მხარდაჭერის გამოსახატად“,** — წერდნენ ორგანიზატორები „ფეისბუქში“, მაგრამ აქციაზე ძალიან ცოტა მოქალაქე მივიდა. **ნებისმიერი თავმოყვარე პროფკავშირის ხელმძღვანელი სიცოცხლეს ხარაკირით დაასრულებდა, მის მოწოდებას ესოდენ მიკროსკოპული შედეგი რომ მოჰყოლოდა. არადა, ამ შემთხვევაში ჩვენ ვსაუბრობთ არა ერთ საბრალო პროფკავშირზე, არამედ „აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაზე“ (ვოტ!), რომელშიც თითქოსდა ასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა წარმოდგენილი.** რაშია საქმე? ნუთუ ევროპა აღარ გვიყვარს, აღარ ვირჩევთ მას და მხოლოდ ნოდარ ხადურთან ქეიფისკენ მივისწრაფით, რომელიც გაქანებით მალე, სავარაუდოდ, კალიგულას ორგიებს დაჩრდილავს?

მიზეზი პირველი და, სავარაუდოდ, მთავარი: აქციაზე „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ — ზურაბ ჯაფარიძე, გიგა ბოკერია, სერგო რატიანი და სხვები, აგრეთვე, ის პირები, რომელნიც წარსულში მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სააკაშვილის რეჟიმთან. შესაბამისად, ის ადამიანები (და ისინი საკმაოდ ბევრნი არიან), რომელნიც „ნაცმოძრაობას“ ფაშისტურ ორგანიზაციად და მკვლელების ხროვად განიხილავენ, რიყეზე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაჩერდებოდნენ. **ნორმალური ადამიანი ფაშისტების გვერდით ვერ დადგება და ეს, სხვათა შორის, სავსებით ევროპული არჩევანია, რადგან თანამედროვე ევროპა ნიურნბერგის პროცესით დაიწყო. როგორც ბრძანებდა (გადმოცემით) ბატონი ნოდარ ხადური თავის ეპოქალურ ორმოცდამეერთე სადღეგრძელოში: „წარსულის დავიწყება დადებით საldომდე ვერ მიგვიყვანს!“.**

შესაძლოა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა — თინა ხიდაშელმა, ალექსი პეტრიაშვილმა და იმ არშემდგარმა სპინოზამ ფილოსოფიის ფაკულტეტიდან „ნაციონალებთან“ ერთ აქციაში მონაწილეობის გამო დისკომფორტი ვერ იგრძნეს, მაგრამ მათი ამომრჩევლები მზად არ არიან, ყველა ზნეობრივ ბარიერს გადააბიჯონ. რომელ ევროპას ვირჩევთ? ჰიტლერის ევროპას? თუ ეს ასე არ არის, რა უნდოდათ აქციაზე ადამიანებს, რომელნიც წლების განმავლობაში მხარს უჭერდნენ თანამოქალაქეების მკვლელობას, წამებასა და გაუპატიურებას?

მეორე მიზეზი, რომლის გამო თავყრილობა რიყეზე ესოდენ მცირერიცხოვანი გამოდგა, ალბათ, ისაა, რომ ევროპული ღირებულებების დამკვიდრება მოითხოვს საქმეს და არა დეკლარაციებს და საზოგადოებას ეს, სავარაუდოდ, მშვენივრად ესმის. ქვეყანაში, სადაც უგულველყოფილია კანონის უზენაესობა, დემოკრატია ძალზე საეჭვო ხარისხისაა, ხოლო სოციალური პოლიტიკა ერთობ მოაგონებს გენოციდს, ევროპული არჩევანი გულისხმობს აქტიურ, მეტიც, აგრესიულ ზეწოლას მთავრობაზე და შექმნილი სიტუაციის გამოსწორებას; ტაშ-ფანდურის გამართვა ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ასეთ სიტუაციაში არაფერს შველის და ერთობ უადგილოდ გამოიყურება.

საერთოდ, ამ მცირე აქციას ამდენ ყურადღებას არ დავუთმობდით და გაცილებით მეტს ვისაუბრებდით ნოდარ ხადურზე, რომელიც ქეიფობს, როგორც ჰუნების ბელადი ატილა მედიოლანუმის ნანგრევებზე, რომ არა რამდენიმე საგულისხმო პასაჟი მაღალი რანგის სტუმრების გამოსვლებში. **ცხადია, გაცილებით საინტერესო იქნებოდა საქართველოში ევროკავშირის ელჩის — ფილიპ დიმიტროვის ლექციის მოსმენა თემაზე „რატომ ვაპარავებდით სააკაშვილის რეჟიმს?“, მაგრამ მისი წაკითხვისგან თავი, სამწუხაროდ, ამჯერადაც შეიკავა.** სამაგიეროდ მან ბრძანა: **„რამდენიმე თვეში, დარწმუნებული ვარ, თქვენ ხელს მოაწერთ ევროკავშირთან ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც გექნებათ თავისუფალი გადაადგილების საშუალება თქვენი საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალისთვის. ამის შემდეგ, ძალიან მალე გექნებათ მეოთხე თავისუფლება — ეს არის ხალხის გადაადგილების თავისუფლება. ამასობაში საქართველო ევროკავშირის ბევრ ინიციატივაში მონაწილეობს. ქართველი ჯარისკაცები ევროპის ჯარისკაცებთან ერთად ზრუნავენ უსაფრთხოებაზე. ხალხი ხშირად მეკითხება – როდის?! თუ თქვენ გექნებათ ეს ოთხი თავისუფლება და თქვენი ჯარისკაცები ევროპელი ჯარისკაცების გვერდით იქნებიან და ყველაზე მთავარი, თუ ქართველ ხალხს მტკიცედ აქვს განსაზღვრული ნება და სურვილი, რომ გახდეს ევროკავშირის წევრი, რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა მოხდეს“**. საკვანძო ფრაზა ყოველივე ამაში, ალბათ, შემდეგია: **„თუ... თქვენი ჯარისკაცები ევროპელი ჯარისკაცების გვერდით იქნებიან“**, ეს, თუ არ ვცდები, პირველი შემთხვევაა (და ეს პრინციპულად მნიშვნელოვანია), როდესაც ჩვენი სამხედროების მონაწილეობა ევროპელების მისიებში წარმოჩენილია, როგორც ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების წინაპირობა, ანუ, ფაქტობრივად, მეორდება იგივე, რაც ნატო-სთან და ავღანეთთან დაკავშირებით ხდებოდა. როგორც ცნობილია, მალე ჩვენი („ლე მონდის“ ცნობით, 150-კაციანი) კონტინგენტი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში გაემგზავრება, შემდგომ კი, სავარაუდოდ, სხვა ქვეყნებშიც, სადაც ევროკავშირი სამხედროების გაგზავნას საჭიროდ ჩათვლის. შესაბამისად, ქართველი პოლიტიკოსები ხშირად გამოიყენებენ შემდეგ არგუმენტს „თუ ჯარისკაცებს აფრიკაში არ გავაგზავნით, ევროკავშირში არ მიგვიღებენ“. **ისე, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, აფრიკაში გასაგზავნი პირველი ასეული საკუთარი შვილებით რომ დაეკომპლექტებინათ და ამით საკუთარი ევროპული არჩევანი დაედასტურებინათ. არა? ვერა? მაშინ რატომ უშვებენ სხვის შვილებს იქ, სადაც საკუთარი შვილების ადგილს ვერ ხედავენ? ბოლოს და ბოლოს, ევროპულ არჩევანზე ვსაუბრობთ თუ აფრიკულ არჩევანზე?**

დიმიტროვის შემდეგ სიტყვით გამოვიდა ვუნდერკინდი ფილოსოფიის ფაკულტეტიდან, უკაცრავად, მისი აღმატებულება საქართველოს პრეზიდენტი ბატონი გიორგი მარგველაშვილი (ს მეჩამი ი ს ბანტომ!), რომელმაც ისაუბრა იმაზე, რომ არჩევანი ევროპის სასარგებლოდ, მათ შორის, ჩვენმა წინაპრებმა გააკეთეს, „რომლებმაც შექმნეს ლაღი ქვეყანა — საქართველო, რომლებმაც თავისუფლება, სულიერი თავისუფლება, სხვისი მიმღებლობა, ტოლერანტობა ჩადეს ჩვენი კულტურის საფუძვლებში. ამიტომ ჩვენ აქ ვდგავართ არა მარტო ჩვენი არჩევანისთვის, არამედ იმ არჩევნისთვის, რომელიც გააკეთეს ჩვენმა წინაპრებმა“. სხვათა შორის, თუ მარგველაშვილი ხსენებულ წინაპრებს პირში ეტყოდა, რომ მათ ევროპული არჩევანი გააკეთეს, უეჭველად სარზე დასვამდნენ, რადგან შუა საუკუნეების ევროპა ფრიად კოშმარული ადგილი იყო. საერთოდ, წინაპრები არასოდეს ქმნიდნენ „ევროპულ სახელმწიფოს“ ან „მეორე ბიზანტიას“ და „მესამე სპარსეთს“, არამედ, უბრალოდ, კარგ საქართველოს და წარმატებას, სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ მიაღწიეს. თუმცა ამ ნიუანსებს თავი დავანებოთ და ვინაიდან ბატონმა პრეზიდენტმა ისტორიაზე საუბარი ისურვა, სწორედ ისტორიაზე გადავიდეთ. კარგი იქნებოდა, თუ მონაწილეობას დისკუსიაში ნოდარ ხადურიც მიიღებდა, მაგრამ ის ამჟამად დაკავებულია. ბატონი ნოდარი თავად ქმნის ისტორიას და, სავარაუდოდ, დაუღალავად ზრუნავს იმაზე, რომ მატიანეში არა მხოლოდ ზაქიჭამია მეფე, არამედ ზაქიჭამია მინისტრიც მოხვდეს.

მაშ ასე, საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ ვებსაიტზე, რუბრიკაში „საქართველოს შესახებ“ არის მონაკვეთი „ისტორია“ და ქვეთავი „ვარდების რევოლუცია“, რომელშიც შემდეგი რამ წერია: **„2003 წლის ნოემბერში ქართველმა ხალხმა გაყალბებული საპარლამენტო არჩევნები გააპროტესტა და რამდენიმე კვირის განმავლობაში დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე მშვიდობიან აქციებს მართავდა, რომელსაც სათავეში იმ დროისათვის ოპოზიციის ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ედგა. 2003 წლის 23 ნოემბერი საქართველოს ისტორიაში „ვარდების რევოლუციის“ სახელით შევიდა. ამ დღეს ედუარდ შევარდნაძე პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა და ქვეყნის მმართველობა ახალგაზრდა რეფორმატორთა გუნდმა საკუთარ ხელში აიღო. 2004 წლის 4 იანვარს გაიმართა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მიხეილ სააკაშვილმა ხმათა 96 პროცენტით გაიმარჯვა“.** თავი დავანებოთ ყოველივე მომხდარის უაღრესად ნათელ ფერებში წარმოჩენის აშკარა სურვილს და იმას, რომ ე. წ. რევოლუციის ხელმძღვანელებს შორის არ არიან მოხსენიებულნი ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე, მთავარია, რომ ამით (მარგველაშვილის ვერსიით) საქართველოს ისტორია სრულდება. **ამის შემდეგ, საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ პრეზიდენტის საიტზე არაფერი წერია, არც იმაზე, თუ რა გააკეთა (უფრო სწორად, ჩაიდინა) „ახალგაზრდა რეფორმატორების გუნდმა“ ბოლო ათი წლის განმავლობაში და არც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე, რომელსაც მოსახლეობის უმრავლესობა ისტორიულ მოვლენად განიხილავს. ვისი პრეზიდენტია გიორგი მარგველაშვილი — საქართველოს თუ „ნაციონალური მოძრაობის“, რომლის წარმომადგენლებთან ერთად აქცია-კონცერტებში მონაწილეობს და ისტორიის მათთვის სასურველ რედაქტირებას ახდენს?**

ყველაზე დრამატული კი ამ სიტუაციაში, ალბათ, ისაა, რომ ქართველი პოლიტიკოსები ევროკავშირს მიწიერ სამოთხედ წარმოაჩენენ და არაფერს ამბობენ იმაზე, რომ პრობლემები ევროპაშიც არის. ნოე ჟორდანია, ყველა მინუსის მიუხედავად, მათზე გაცილებით პატიოსანი იყო, როდესაც ამბობდა: „ჩვენი გზა მიდის ევროპისკენ, რუსეთის კი — აზიისკენ. ვიცი, მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო, ამიტომ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს“. მართალია, ამის შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბოლშევიკმა ფანატიკოსებმა ისტორიის ავანსცენა დატოვეს, ხოლო დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კოლონიებმა დამოუკიდებლობა მიიღეს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ზოგადი მიდგომა. ჟორდანია საუბრობდა იძულებით არჩევანზე ცუდსა და უარესს შორის (უფრო შორს თუ წავალთ, ამ კონტექსტში შეიძლება აიეტი და ფარტაძიც კი გავიხსენოთ), ესენი კიდევ აღწერენ რაღაც ევროსამოთხეს ევრორემონტით და მასში (მეტწილად წარმოსახვით) ინტეგრაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე კრინტს არ ძრავენ. არც შესაძლო ეკონომიკურ სირთულეებზე (ევროპული რეგულაციების შემოღების გამო), არც რუსეთის მოსალოდნელ რეაქციაზე. **ამასთანავე, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვა-დაპატიმრებასთან დაკავშირებით ევროპის პოზიციად სააკაშვილის ლობისტების ბოდვას ასაღებენ, ხოლო კანონის უზენაესობის პრინციპზე, რომელიც თანამედროვე ევროპის ქვაკუთხედს წარმოადგენს თითქმის არაფერს ამბობენ. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ისინი და საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი სხვადასხვა ევროპას ირჩევს და მათი გზები მალე გაიყრება.**

**P.S. ბატონო ნოდარ, კარგი იქნება, თუ რესტორანში საბიუჯეტო ფულს აღარ დახარჯავთ; ეს, რბილად რომ ვთქვათ, არაევროპულია.**

რელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა და მას ხელს აწერს თამარ ჩუგოშვილი, ანუ საიას, იმავე რესპუბლიკელების, მიერ არის ეს კანონპროექტი მომზადებული. რესპუბლიკელებსა და „თავისუფლების ინსტიტუტს" ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი ქვეყანა?!"



მამა დავითი (ისაკაძე):

# ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში სასულიერო პირებს ქადაგება აგვეკრძალება

**მართლმადიდებელი მრევლი და სასულიერო პირები რამდენიმე დღის წინ რუსთაველის გამზირზე შეიკრიბნენ და 17 მაისს კონოთეატრ „რუსთაველში" დაგეგმილი ფილმის ჩვენება გააპროტესტეს. სასულიერო პირების შეშფოთებას იწვევს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტიც, რომელიც საქართველოს მთავრობამ პარლამენტს განსახილველად უკვე წარუდგინა. აღნიშნული კანონმდებლობის მიღება საქართველომ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროკავშირისგან მოკლევადიანი უვიზო რეჟიმის შემოღების მიზნით იკისრა. რა საფრთხეს ხედავენ ამ ყველაფრის მიღმა, მართლმადიდებელი სასულიერო პირები, წმინდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე) „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრა.**

**— მამაო, ახლახან მრევლთან და სასულიერო პირებთან ერთად კონოთეატრ „რუსთაველში" 17 მაისს დაგეგმილი ფილმის „ჩვენ გიჟები ვართ" ჩვენება გააპროტესტეთ. რატომაა ეს ფილმი თქვენთვის მიუღებელი?**

— საქართველოს სხვადასხვა ეკლესიიდან სასულიერო პირებმა და მრევლმა სამშვიდობო პარაკლისი გადავიხადეთ და ვთხოვეთ ღმერთს, საქართველო დაიფაროს იმ განსაცდელისგან, იმ დიდი საშინელი ცოდვისგან, რომელსაც გარყვნილების ქადაგება ჰქვია და რომელსაც ასე მიზანდასახულად ავრცელებს თანამედროვე მსოფლმხედველობა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. გარყვნილების ქადაგების ერთ-ერთი გამოვლინებაა ე. წ. გეიაღლუმები და სწორედ ასეთი კინოფილმები. ეს ფილმი — „ჩვენ გიჟები ვართ" ქართველმა რეჟისორებმა გადაიღეს და ფილმის შინაარსია მამათმავლობა, ოჯახის სიწმინდის დაცინვა და შეურაცხყოფა. გვაქვს ინფორმაცია, რომ 17 მაისს კინოთეატრ „რუსთაველში" დიდი პრეზენტაციის მოწყობას გეგმავენ. ფილმის ჩვენებას დაესწრებიან საქართველოს მთავრობისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც. ამის შემდეგ ამ ფილმს საქართველოს სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც აჩვენებენ.

**— „ვთხოვთ ხელისუფლებას, არ დაუშვას გარყვნილების ქადაგება. დავიცვათ ოჯახური სიწმინდე და ზნეობა" — ამ ლოზუნგით მიმართეთ ხელისუფლებას, რა საფრთხე დაინახეთ?**

— საფრთხეს, უკვე დიდი ხანია, ვხედავთ. უკვე დაანონსებულია, რომ ამ ფილმის ჩვენება 17 მაისს კონოთეატრ „რუსთაველში" უნდა გაიმართოს და ვის უნდა ვთხოვოთ თუ არა ხელისუფლებას (იქნება ეს ფილმის სახით თუ სხვა ფორმით), აკრძალოს გარყვნილების ქადაგება?!

გარდა აღნიშნული ფილმისა, ჩვენი პროტესტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, ასევე, ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტი უახლოეს მომავალში განიხილავს. ჩვენს შეშფოთებას განსაკუთრებით იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტში დაჩქარებული წესით არის ეს კანონპროექტი გადაგზავნილი, მას ჩვენც გავეცანით და იურისტებსაც გავაცანით, რომელთა შეფასებითაც ეს კანონი თავისი დონით ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ამას გარდა, აქ ძალიან ბევრი საფრთხე იმალება.

**— რას გულისხმობთ, რა საფრთხე იმალება ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღმა?**

— ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, სასულიერო პირებს ქადაგება აგვეკრძალება. ჩვენ რომ ვიქადაგოთ, რომ მამათმავლობა, გარყვნილება და ცოდვაა, ამის გამო შეიძლება პასუხი მოგვთხოვონ, რადგან ეს იმ ადამიანების დისკრიმინაციაში ჩაგვეთვლება, რომლებიც ამ ცოდვას სჩადიან.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთ-ერთი მუხლის თანახმად, ამ კანონის არც ერთი ნორმა ან მისი განმარტება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ შეთანხმებას, ანუ კონკორდატს, ამ მუხლსაც სჭირდება განმარტება, ვინაიდან იქვე არის მეხუთე მუხლის მეხუთე ნაწილი, რომელსაც აკლია ყველაზე მთავარი ფორმულირება. მკაფიოდ მითითებულია, რომ ამ კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ ეწინააღმდეგებოდეს ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ რომელიმე სხვა უფლებას. ეს არის პირდაპირ გადმოკოპირებული ევროპული კონვენცია, რომელშიც უგულვებელყოფილია ყველაზე მთავარი — საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებში ეს კანონპროექტი მუშაობს, არ ნიშნავს, რომ ევროპელებს ძალიან მოსწონთ ეს ყველაფერი. უფრო მეტიც, ევროპაში სასულიერო პირები უკვე გამოდიან და დაუფარავად აცხადებენ, რომ ამ კანონის საფუძველზე, მათ, ფაქტობრივად, ქადაგება აუკრძალეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დაპატიმრება ემუქრებათ. იგივე მოხდება საქართველოშიც.

**— მაგრამ, მამაო, აღნიშნული კანონმდებლობის მიღება ერთ-ერთი ის მოთხოვნაა, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველომ ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ევროკავშირისგან მოკლევადიანი უვიზო რეჟიმის მიღების მიზნით, იკისრა.**

— რად გვინდა ასეთი ვიზები, თუ საქართველოში უფლება არ გვექნება ცოდვაზე ვთქვათ, რომ ცოდვაა და, თუ სიმართლის თქმის გამო დისკრიმინაციაში დაგვადანაშაულებენ? ასეთი რეკომენდაციები მოდის სწორედ ევროპისგან, მამათმავლობაზე არ უნდა ვთქვათ, რომ დამღუპველი ცოდვაა. შემდგომში ერთსქესიანთა ქორწინებაც დაკანონდება, შეხედეთ, პერმანენტულად მიმდინარეობს ყველაფერი.

ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის მიღება ნიშნავს, რომ ცოტა ხანში მსგავსი ფილმების გაშვებასაც ვეღარ გავაპროტესტებთ, რადგან ესეც დისკრიმინაციაში ჩაგვეთვლება.

**ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს მხარს უჭერს საქართველოს მთავრობა და მას ხელს აწერს თამარ ჩუგოშვილი, ანუ საიას, იმავე რესპუბლიკელების, მიერ არის ეს კანონპროექტი მომზადებული. რესპუბლიკელებსა და „თავისუფლების ინსტიტუტს" ხომ არ უნდა გადავაყოლოთ ჩვენი ქვეყანა?!**

პარლამენტი უახლოეს დღეებში უკვე დაიწყებს ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის განხილვას. ჩვენ ხელისუფლებას მივმართავთ თხოვნით, აიკრძალოს საქართველოში გარყვნილების ქადაგება. მიმართვას, რომელიც საქართველოს პრემიერმინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს გაეგზავნება, 30-მდე სასულიერო პირი აწერს ხელს და იმედია, ხელისუფლება ჩვენს თხოვნას გაითვალისწინებს.

**— წინააღმდეგ შემთხვევაში გაგრძელდება აქციები?**

— ჩვენ იმის მიხედვით ვიმოქმედებთ, როგორც მოვლენები განვითარდება. პირველ რიგში, დავაკვირდებით, რა მოხდება პარლამენტის საკომიტეტო განხილვების დროს და არ არის გამორიცხული, კომიტეტის სხდომას რომელიმე სასულიერო პირიც დაესწროს, ვინაიდან აღნიშნული კანონპროექტის დამტკიცების საკითხი ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

**— მართალია, 17 მაისს ორგანიზაცია „იდენტობის" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღეს აღარ აღნიშნავენ, ვრცელდება ინფორმაცია, რომ ისინი შეკრებას მაინც აპირებენ და შესაბამისი პროვოკაციული სცენარიც მზადდება, მათ „ვითომდა დაარბევენ". რა ინფორმაცია გაქვთ თქვენ ამასთან დაკავშირებით?**

— მე არ მაქვს ამასთან დაკავშირებით დაზუსტებული ინფორმაცია, მაგრამ გამორიცხული არაფერია. მართალია, თქვეს, რომ რუსთაველის გამზირზე მსვლელობას აღარ მოაწყობენ, მაგრამ ახლა ფილმის ჩვენება გადაწყვიტეს, რაც უარესია, რადგან ეს იგივე ჰომოსექსუალიზმის ქადაგებაა. რა მნიშვნელობა აქვს, ქუჩაში გამოვლენ თუ ფილმს აჩვენებენ?!

**— თუ მაინც ჩატარდება ფილმის პრეზენტაცია, როგორც შარშან, 17 მაისს, პროტესტის გამოსახატად სასულიერო პირები წელსაც მიხვალთ?**

— ჯერ ყველანაირად ვთხოვთ ხელისუფლებას, არ დაუშვას ამ ფილმის ჩვენება; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვფიქრობ, არამარტო სასულიერო პირებს, მთელ საქართველოს მწვავე პროტესტი ექნება.

**— ევროპარლამენტარმა ულრიკე ლუნაჩეკმა, ანტიდისკრიმინაციული კანონის პარალელურად, საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციაში ოჯახი უნდა განიმარტოს, როგორც ქალისა და კაცის ერთობა, სამარცხვინო უწოდა. „სამარცხვინოა, რომ პრემიერმინისტრმა ღარიბაშვილმა წარმოადგინა ეს ინიციატივა კანონპროექტთან ერთად, რომელიც ლგბტ პირების დაცვას ემსახურება", — განცხადა მან. რატომ დაინახეს დისკრიმინაციის საფრთხე ღარიბაშვილის ინიციატივაში ევროპარლამენტში?**

— თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ოჯახი არის ქალისა და კაცის ერთობა, ამას სამარცხვინო უნდა უწოდონ? სად არის დემოკრატია, თუ ჩვენ აზრს არ ითვალისწინებენ? საქართველოში ხომ უმრავლესობა ასე ვფიქრობთ და რა უფლება აქვს ამ ქალბატონს, რომ ჩვენს უფლებებს ეხება და სამარცხვინოს უწოდებს. რა თქმა უნდა, ოჯახი ქალისა და კაცის ერთობაა და ასეთი მოსაზრებით, როგორსაც ქალბატონი ლუნაჩეკი ახმოვანებს, მან ინცესტიც შეიძლება გაამართლოს და ჩვენ ასეთ ადამიანებს ვუსმინოთ?! ვფიქრობ, სამარცხვინო ის არის, რომ ასე მოაზროვნე ადამიანები ევროპარლამენტში სხედან.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

## საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრებს

**მიმართვა:**

გთხოვთ, აკრძალოთ საქართველოში ჰომოსექსუალიზმისა და ყოველგვარი გარყვნილების ქადაგება, როგორიცაა ლგბტ-ს აღლუმები და საჯარო მსვლელობები; ასევე, გთხოვთ, აკრძალოთ ჩვენება ახლახან გადაღებული ქართული ფილმისა ქართველ ჰომოსექსუალებზე. ეს ყველაფერი გამიზნულია ჩვენი ბავშვების, ახალგაზრდებისა და მთლიანად ერის გასარყვნელად და გადასაგვარებლად.

საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს ვთხოვთ, დაიცვას ქართველი ხალხის უმრავლესობის კონსტიტუციური უფლებები. კონსტიტუციით ჩვენ შეგვიძლია დავიცვათ ჩვენი შვილები ნებისმიერი მავნე ზეგავლენისგან და აღვზარდოთ ისინი ჩვენი ტრადიციების, ზნეობისა და რელიგიური მრწამსის შესაბამისად.

პარლამენტის წევრებს ვთხოვთ, კანონით აკრძალონ გლბტ-ს პროპაგანდა ქუჩებში, საჯარო ადგილებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში.

რუის-ურბნისის კრების დადგენილებაში ამ სოდომურ სულის წარსაწყმედელ ცოდვაზე წერია — „...რომელიც ამ ძეგლის წაკითხვის შემდეგ არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს, ან საქმით ან ხუმრობით, ან სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყდება ამ საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამგდები რისხვა გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად" (რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა (1105 წელი), მე-18 კანონი.

**პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე, დეკანოზი დიმიტრი გორგოძე, დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე, დეკანოზი ბესარიონ მენაბდე, დეკანოზი დავით ისაკაძე, დეკანოზი დავით ქვლივიძე, დეკანოზი ზაქარია დავრიშიძე, დეკანოზი არჩილ ქიტუაშვილი, დეკანოზი დავით ლასურაშვილი, დეკანოზი თადეოზ სალარიძე, დეკანოზი ნიკოლოზ თურმანიძე, დეკანოზი გიორგი რაზმაძე, დეკანოზი ლევან კუტივაძე, მღვდელმონაზონი ბასილი ანთაძე, მღვდელი ბასილი იაშაღაშვილი, მღვდელი გაბრიელ ვაშაძე, მღვდელი დავით მინდორაშვილი, მღვდელი დავით ქალებაშვილი, მღვდელი დავით ნოზაძე, მღვდელი ვახტანგ დავითაშვილი, მღვდელი ნიკოლოზ ჩხიკვაძე, მღვდელი გურამ გამცემლიძე, მღვდელი ირაკლი ცქიტიშვილი, მღვდელი ნიკოლოზ ერაძე, მღვდელი ათანასე ხაბეიშვილი, მღვდელი ლევან ანთაძე, მღვდელი ლევან კუტივაძე, მღვდელი ვახტანგ მაჩურიშვილი**

„გვახარიას სოციალურ ქსელში გამოვეპასუხე, — არ ვიცი, ასე რატომ გძულს შენი ხალხი, კვერცხისა და „ოფლით სუნით აყროლებულ ქართველებს“ ეშველებათ, მაგრამ შენნაირების სულიერ სიმყრალეს — ვერა-მეთქი. აი, ამის შემდეგ დაირაზმნენ ლიბერასტები და დაიწყეს ჩემი ლანძღვა, თუ როგორ მივეცი შენიშვნა ისეთ პიროვნებას, როგორიც გვახარიაა“.

პოზიცია



ზვიად ტომარაძე:

# უნდა ვიბრძოლოთ, რომ ლგბტ — მარაზმი კანონით აიკრძალოს!

**ეკლესიის, პატრიარქისა და ქართული ტრადიციების ლანძღვა გახშირდა. არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულ-რელიგიური ინსტიტუტის“ ხელმძღვანელ ზვიად ტომარაძესა და კინომცოდნე გოგი გვახარიას შორის შელაპარაკება სწორედ ამ თემაზე მოხდა, რაც საზოგადების განხილვის საგნად იქცა. თუ როგორ და რატომ დაიწყო ყველაფერი, ზვიად ტომარაძე გვიამბობს:**






— ერთად შეიყარნენ „ნაცმოძრაობის“ წევრები, ე. წ. ლიბერალური ფრთა, რომელსაც ლიბერასტებს ეძახიან და **მლანძღავენ, როგორ გაბედა გოგი გვახარიაზე აუგის თქმაო.** არადა, გვახარიაზე განსაკუთრებული არაფერი მითქვამს. ყველაფერი იმით დაწყო, რომ „რადიო თავისუფლების“ **ელექტრონულ გვერდზე გვახარიას მიერ დაწერილი სტატია წავიკითხე, რომელშიც ქართველ ხალხს ლანძღავდა და „ოფლის სუნით აყროლებულებს“ უწოდებდა. გვახარიას სოციალურ ქსელში გამოვეპასუხე: — არ ვიცი, ასე რატომ გძულს შენი ხალხი, კვერცხისა და „ოფლით სუნით აყროლებულ ქართველებს“ ეშველებათ, მაგრამ შენნაირების სულიერ სიმყრალეს ვერა-მეთქი. აი, ამის შემდეგ დაირაზმნენ ლიბერასტები და დაიწყეს ჩემი ლანძღვა, თუ როგორ მივეცი შენიშვნა ისეთ პიროვნებას, როგორიც გვახარიაა.**

მისმა დამცველებმა „შემახსენეს“, რომ თავის დროზე ილია ჭავჭავაძემაც გააკრიტიკა ქართველი ერი და სარკეში ერის ჩახედების უფლება ყველას აქვს, ამაში ცუდი რა არისო. თუ მათი გონება ვერ არჩევს განსხვავებას სარკეში ჩახედებასა და ჩასაფრებული კაცის სიმყრალეს შორის, ავუხსნი: ნაკლოვანების წარმოჩენა და ერის კრიტიკა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, მიხეილ ჯავახიშვილს და სხვა პატრიოტ ქართველებს თავის დროზე მშვენივრად გამოსდიოდათ. დღესაც აკრიტიკებენ ერს და მეც ხშირად დამიწერია იმის შესახებ, რაც არ მომწონებია. **გულისტკივილით დაწერა სხვა საქმეა, ხოლო სხვაა, როდესაც ჩასაფრებული ხარ და ხელიდან შანსს არ უშვებ, ეკლესიას უკბინო, მრევლს ბნელები ეძახო, ქართველებს აგინო და სუნიანები უწოდო.** ჯანსაღი კრიტიკა, რომელშიც შენი გულისტკივილი გამოჩნდება, მისაღებია, მაგრამ კრიტიკა გვახარიასნაირი პიროვნებებისგან, მითუმეტეს — ჩასაფრებულის პოზიციიდან, ჩემთვის მიუღებელია. **გოგი გვახარია არის ადამიანი, რომელიც გამუდმებით ცდილობს, შეურაცხყოს ეკლესია, პატრიარქი, ყოველგვარი ქართული და ეროვნული.** იმასაც ვიტყვი, რომ თავის სფეროში ნიჭიერია, მაგრამ არ უყვარს ეკლესია, მართლმადიდებლობა, ქართული ტრადიციები და ა. შ. და **თუ თავად გვაძაგებს და გვლანძღავს, თვითონაც ნუ ეწყინება მის მიმართ ნასროლი „ქათინაურები“.**

**— 17 მაისზე გკითხავთ: შარშანდელი სიტუაცია განმეორდება?**

— წელს ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებმა ტაქტიკა შეცვალეს და კინოთეატრ „ამირანსა“ და „რუსთაველში“ გეებზე გადაღებული ფილმის ჩვენებას აპირებენ. ეს არის გეიფილმი, რომელიც გადაიღო ვინმე დავით ბეჟიტაშვილმა სახელწოდებით „ჩვენ გიჟები ვართ“. საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდიც მაინცდამაინც 16 მაისს ჩამოდის, 17-ში რომ დააკვირდეს, როგორ ჩაივლის ეს დღე საქართველოში. **განაცხადეს, ლგბტ-ების აქცია წელს არ გაიმართებაო. შესაძლოა, ეს ერთგვარი ფარსია და მოულოდნელად გამოვიდნენ ქუჩაში. თანაც, არეულობის მოწყობით „ნაციონალური მოძრაობაც“ არის დაინტერესებული.** როგორც ამბობენ, **გასული წლის 17 მაისის აქციას გიგა ბოკერია და მისი მეუღლე ხელმძღვანელობდნენ და ცხადად ჩანს, რომ ჰომოსექსუალებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ინტერესები იკვეთება.** მგონია, რომ წელს ტაქტიკას შეცვლიან და სხვანაირად მოახერხებენ 17 მაისის აღნიშვნას — გარდა გეიფილმის პრემიერისა, **შესაძლოა, ქუჩაშიც გამოიყვანონ გეები, რასაც საზოგადოების დიდი ნაწილისგან რაც მოჰყვება, ყველასთვის ცხადია.**

**«გასული წლის 17 მაისის აქციას გიგა ბოკერია და მისი მეუღლე ხელმძღვანელობდნენ და ცხადად ჩანს, რომ ჰომოსექსუალებისა და «ნაციონალური მოძრაობის» წევრთა ინტერესები იკვეთება»**

**— ორი წლის წინ ბევრს ეგონა, რომ ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ სახით მოდიოდა ეროვნული ძალა, რომელიც მსგავს ინციდენტებს არ დაუშვებდა.**

— სამწუხაროდ, **„ქართული ოცნებაც“ არ დგას ეროვნულ პლატფორმაზე.** გერმანიის პირველ კანცლერ ოტო ფონ ბისმარკს აქვს ნათქვამი, — ადამიანები ხშირად იტყუებიან ნადირობიდან დაბრუნების შემდეგ, ომის დროს და არჩევნების წინო. ასევე მოიქცა „ქართულ ოცნებაში“ შემავალი პარტიების უმრავლესობა ხელისუფლებაში მოსვლამდე, საპარლამენტო არჩევნების წინ, როდესაც ამომრჩევლის ყურადღება ეროვნულ ფასეულობებზე გაამახვილა. არც იმ ადამიანების მესმის, რომლებიც ამბობენ, რომ „ოცნებას“ 1 ოქტომბერს ხმა ტყუილად მივეცითო. უნდა მიეცათ ხმა, აბა, რა უნდა ექნათ?! ან უნდა შეგუებოდნენ იმას, როგორ ხდებოდა ქვეყნის ნგრევა, წაბილწვა და გვეყურებინა, როგორ ვკარგავდით სამშობლოს, ან ეს ყველაფერი უნდა შეგვეცვალა. კი, ბატონო, **ბოროტი ძალა მოშორდა, მაგრამ დღესაც ბევრი რამ არ მოგვწონს და ხელისუფლებას უნდა მოვუთითოთ მათი გამოსწორებისკენ.** რაც შეეხება ეროვნულობას, დღეს ეროვნულობის მოთხოვნა არც არის. ამას ვერ ვხედავ საზოგადოებაში, მცირე ნაწილის გარდა. **„ნაცმოძრაობამ“ 9 წლის განმავლობაში მოასწრო და საზოგადოებას ტვინები გამოურეცხა.** ამ 9 წელს თავი რომ დავანებოთ, ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომის დროს ვინც პატრიოტი იყო, ყველა ომში წავიდა და ზოგი დაიხოცა, ზოგიც ხეიბარი დარჩა. **ინტელექტუალთა ნაწილი, რომელიც ვერ შეეგუა შევარდნაძის მმართველობას, ბოდიში და, სულში ჩაფურთხებას, ემიგრაციაში წავიდა.** ამის შემდეგ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს ზოგი თავისუფალი სიტყვის გამო ციხეში გამოკეტეს, გააუპატიურეს და ასეთ ადამიანებს ეროვნულობა დააინტერესებთ? საქართველოს გენფონდი ქვეყნიდან არის წასული. დააკვირდით ნებისმიერ აქციას, რომელზეც ეროვნული სულისკვეთებით ერთიანდება ხალხი, ჯერ ხომ ძალიან ცოტა მიდის და, ვინც მიდის, ისინიც შუა ხნის ადამიანები არიან. აქედან დასკვნა: **განათლების სისტემის „მამებმა და დედებმა“ — ბენდუქიძემ, ლომაიამ, გიგი თევზაძემ, გიული ალასანიამ, მათ მიერვე შემუშავებული სასწავლო პროგრამის მეშვეობით, ახალგაზრდობის უმრავლესობაში ეროვნული სულისკვეთება თითქმის ჩაკლეს, მაგრამ ქართველ კაცში ეროვნულ თვითშეგნებას ბოლომდე ვერ მოსპობენ.**

**«განათლების სისტემის «მამებმა და დედამ» — ბენდუქიძემ, ლომაიამ, გიგი თევზაძემ, გიული ალასანიამ, მათ მიერვე შემუშავებული სასწავლო პროგრამის მეშვეობით, ახალგაზრდობის უმრავლესობაში ეროვნული სულისკვეთება თითქმის ჩაკლეს, მაგრამ ქართველ კაცში ეროვნულ თვითშეგნებას ბოლომდე ვერ მოსპობენ**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ ტელეგადაცემების გახსენებაც საკმარისია. ეს ამაზრზენი „ნანუკას შოუები“ და „პროფილები“ ცხადყოფს, როგორ გრძელდება ტვინების გამორეცხვა და ინტელექტის დაქვეითება. ეს მიზანმიმართულად ხდება. **კონტრიძეს რომ გამოიყვან და ალაპარაკებ საზიზღრობებს, ქართლის დედას ხელში ფალოსი უჭირავსო, რა უბედურებაა ეს?! და კიდევ ერთი სისულელე წამოროშა — ქართველი კაცები სექსში უმაქნისები არიანო. ლეგენდები დადიოდა და დადის მრავალ ქვეყანაში ქართველ კაცებზე და რაღა კონტრიძეს არ უმართლებს?!** ქალბატონ კონტრიძეს უჯობს, სარეცელში წარუმატებლობის მიზეზები საკუთარ თავში ეძებოს და არა ქართველ „პარტნიორში“. სამწუხაროდ, **„ნაციონალური მოძრაობა“ და ლიბერასტები დღემდე აკონტროლებენ ტელევიზიებს — მასებზე მანიპულაციების ჩატარების საშუალებებს.** ამ ყველაფერს კარგად ხედავს „ქართული ოცნება“, თუმცა ეს ამბავი არ ადარდებთ, რადგან „ნაცმოძრაობას“ ისეთი დაბალი რეიტინგი აქვს საზოგადოებაში, რომ მისი ნებისმიერი განცხადება, „ქართული ოცნების“ წისქვილზე ასხამს წყალს. **დღევანდელმა მთავრობამ ისიც იცის, რომ „ნაცმოძრაობის წევრები“ შეეცდებიან ქვეყანაში სიტუაციის არევას, მაგრამ ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდებიან.** მათ იმხელა აგრესია დათესეს ხალხში, რომ ფეხს ვეღარ მოიკიდებენ, მაგრამ დესტაბილიზაციის მცდელობები ექნებათ და ამისთვის საჭირო მომენტს ელოდებიან. ამიტომაც მგონია, რომ 17 მაისს პროვიკაციას მოაწყობენ. მესმის, რომ შუა ქუჩაში უზნეობის პროპაგანდა შეურაცხმყოფელია, მაგრამ ამ პროვოკაციას არ უნდა წამოვეგოთ. ამის ნაცვლად **უნდა ვიბრძოლოთ, რომ ლგბტ — ეს მარაზმი კანონით აიკრძალოს! ამ საკითხზე რუსეთის დუმამ მშვენიერი კანონი მიიღო, რაც ჩვენ ვერ შევძელით და ამჟამინდელი ხელისუფლების ხელში ასეთი კანონის მიღება მომავალშიც წარმოუდგენელია.**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

## ამერიკელი სამხედროების უმრავლესობამ არ იცის, სად არის უკრაინა

**მარტის ბოლოს გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ ჩაატარა გამოკითხვა, რომელშიც 2066 ამერიკელი მონაწილეობდა. გაზეთის ექსპერტები შეეცადნენ, მოქალაქეებისგან მიეღოთ პასუხი კითხვაზე — რა უნდა მოემოქმედა აშშ-ს უკრაინაში?**

საბაზო მონაცემების (წლოვანება, სქესი, პროფესია) გარდა, რესპონდენტები ანკეტის შევსებისას რუკაზე უთითებდნენ, მათი აზრით, სად მდებარეობს უკრაინა. ზოგმა ეს ქვეყანა კანადის ჩრდილო-აღმოსავლეთით ან გრენლანდიაზე მონიშნა, ზოგმა — აფრიკაში თუ სამხრეთ ამერიკაში, ძალიან ბევრმა კი — ყაზახეთის ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ, რაც უფრო შორს „ათავსებდნენ“ უკრაინას მისი რეალური გეოგრაფიული ადგილიდან, მით მეტად იწონებდნენ რესპონდენტები, აშშ-ის ჩარევას ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში.

**„გეოგრაფიის გამოცდაში“ ყველაზე კარგი მაჩვენებელი ჰქონდათ 18-24 წლამდე ახალგაზრდებს (სწორი პასუხების 27%), სამხედროებს კი, რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, გეოგრაფიაში ძალიან მოიკოჭლებდნენ (16%).**



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინის მოვლენების პარალელურად, საქართველოში სულ უფრო ძლიერდება სკეპტიკური დამოკიდებულება დასავლეთის შესაძლებლობების მიმართ. ის 2008 წლის ომის კვალობაზე დაიბადა და იმ შემთხვევაში, თუ კრემლი უკრაინულ რაუნდში გამარჯვებას მიაღწევს, დიდი ალბათობით, საზოგადოებაში დომინანტური გახდება.**

# უკრაინის აგონია და საქართველოს მომავალი

**გასულ კვირას უკრაინა ისეთი სისწრაფით ემსგავსებოდა ოცი წლის წინანდელ იუგოსლავიას, რომ გაკვირვებას ყველაზე პესიმისტურად განწყობილი კომენტატორებიც კი ვერ მალავდნენ. ასეთი დიდი სახელმწიფო 50-მილიონიანი მოსახლეობით თვალსა და ხელს შუა იფშვნება და ამ პროცესის მასშტაბი, ტემპი და დრამატულობა ყველა დაინტერესებულ დამკვირვებელს საგონებელში აგდებს. ქაოტურ სიტუაციაში დასახლებული პუნქტები ხელიდან ხელში გადადის, დიპლომატები რეზონანსულ განცხადებებს აკეთებენ, მაგრამ ამ მოვლენების აღწერაზე, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ ჩავარდა უკრაინა ამ ორმოში და რა გავლენას მოახდენს მიმდინარე კრიზისი პოსტსაბჭოთა ქვეყნების, კერძოდ კი, საქართველოს მომავალზე.**



## კომპრომისი ან სიკვდილი

პოსტსაბჭოთა უკრაინაში სტაბილურობის შენარჩუნების რეცეპტი საკმაოდ მარტივად გამოიყურება: **არც ერთმა შიდა თუ გარე მოთამაშემ „ჯეკ-პოტის მოხსნა“ არ უნდა სცადოს და სხვა მოთამაშეების ინტერესების არსებობას შეეგუოს. ეს ფორმულა არ გამორიცხავს მუდმივ აქტიურობას უკრაინის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში და ამა თუ იმ ძალის მიერ პოზიციების გაფართოებას, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის გადალახვა ძალზე საშიშია. დღევანდელი კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ზომიერებისა და თამაშის ძველი წესების უგულვებელყოფა და უარყოფაა.**

თავის დროზე, როდესაც სემუელ ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახება“ საკმაოდ პოპულარული იყო და პოლიტიკოსთა შეხედულებების ფორმირებაზე სერიოზულ გავლენას ახდენდა, რამდენიმე ექსპერტმა შენიშნა, რომ შეუძლებელია ერთმნიშვნელოვნად მიაკუთვნო უკრაინა რომელიმე ჰანტინგტონისეულ ცივილიზაციას და ეს მიუთითებს იმაზე, რომ ის, დიდი ალბათობით, მათი დაპირისპირების არენად გადაიქცევა. საკმარისზე მეტი ითქვა იმაზე, რომ უკრაინის აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოსახლეობის დიდ ნაწილს ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული მისწრაფებები აქვს. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ წლების მანძილზე მათი მშვიდობიანი თანაარსებობა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში გარკვეული კომპრომისების ხარჯზე შესაძლებელი იყო. თუ ეს მდგომარეობა საკმაო ხანს გაგრძელდებოდა, დიდი ალბათობით, დაიბადებოდა იდეები და მათზე დაფუძნებული პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის ერთიანობას განამტკიცებდა, მიუხედავად იმისა, რომ **უკრაინულმა ელიტამ ამ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში სრული უუნარობა გამოავლინა; მისმა გაუმაძღრობამ და ინტელექტუალურმა იმპოტენციამ კატასტროფული შედეგი მოიტანა.**

უკრაინელმა ნაციონალისტებმა ვერ მიუსადაგეს საკუთარი, სხვა ისტორიულ და გეოგრაფიულ რეალიებში დაბადებული იდეები ახალი ეპოქის მოთხოვნებს, ვერ შეძლეს მათი რედაქტირება და შეფუთვა ისე, რომ აღმოსავლეთ უკრაინის რუსულენოვანი მოსახლეობა არ შეეშინებინათ და მას დაენახა საკუთარი (თანასწორუფლებიანი) ადგილი ახალი უკრაინული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. დონეცკისა და დნეპროპეტროვსკის ოლიგარქიულმა კლანებმა ვერ ისწავლეს საკუთარი ამბიციების მოთოკვა; იანუკოვიჩის მმართველობის წლებში დაიწყო დონეცკელების უზომო გაძლიერება, რის შედეგადაც დნეპროპეტროვსკელები ფარული ალიანსების ფორმირების გზას დაადგნენ ყველა უკმაყოფილო პოლიტიკურ ჯგუფთან, მათ შორის ყველაზე ბნელთან და მარგინალურთან — სწორედ ამ „ანტიდონეცკურმა“ ალიანსმა მოგვიანებით შესაძლებელი გახადა იანუკოვიჩის ჩამოგდება. ამასთანავე, პოლიტიკური ავანსცენა თანდათან დატოვეს იმ პოლიტიკოსებმა, რომელთაც მართვის გამოცდილება ჯერ კიდევ საბჭოთა უკრაინაში შეიძინეს. უამრავი მინუსის მიუხედავად, კრავჩუკს, კუჩმას და მათ გარემოცვას მშვენივრად ესმოდათ, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ინტერესთა ბალანსის და კომპრომისების გარეშე (პოლიტიკურ სფეროში იქნებოდა ეს, ეკონომიკურში, კულტურულში თუ იდეოლოგიურში) არაფერი გამოვა. **ამ პოლიტიკოსების ადგილი ახალმა გენერაციამ დაიკავა — გაცილებით გაუმაძღარმა და, უხეშად რომ ვთქვათ, უტვინომ, რომელიც „სილა ესტ, უმა ნე ნადო“ პრინციპით ხელმძღვანელობდა და სრული დომინირებისკენ მიისწრაფვოდა, რაც, როგორც უკვე ვთქვით, უკრაინის უნიკალურ პოლიტიკურ, უფრო ფართოდ კი, ცივილიზაციურ პირობებში, უაღრესად საშიშია.**

ამ ჩამონათვალში შეიძლება ჩვენთვის ნაცნობი არაერთი დეტალი აღმოვაჩინოთ და გავიხსენოთ „ნაციონალების“ ეპიკური გაუმაძღრობა და სწრაფვა სრული დომინირებისკენ, მაშინ, როდესაც მათ არ (ვერ) იზრუნეს იმაზე, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს მათი იდეები სასიკვდილო საფრთხის შემცველად არ აღექვა. ალბათ, სწორედ ამან დაღუპა და მათ წინააღმდეგ განსხვავებული შეხედულებების მქონე ადამიანების გაერთიანება უზრუნველყო. სავარაუდოდ, ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ შეცდომები, რომელიც ქართულმა ელიტამ (როგორც ეროვნული მოძრაობის პერიოდში, ისე შემდგომ) ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში დაუშვა, რომელთა წარმომადგენლების საკმაოდ დიდმა ნაწილმა, უბრალოდ, ვერ დაინახა საკუთარი ადგილი ახალი ქართული პროექტის ფარგლებში და მათთან მუშაობით თავი დიდად არავის შეუწუხებია. შედეგად, სეპარტისტული იდეების სწრაფი გავრცელება მივიღეთ.

**„სამწუხაროდ, მე დღეს ვერ ვხედავ პრეზიდენტობის კანდიდატს, რომელსაც სათანადო რეიტინგი აქვს იმისთვის, რომ უკრაინა გააერთიანოს. იმიტომ, რომ ყველანი „ნარინჯისფერ“ ხელისუფლებას მიეკუთვნებიან. დღესდღეობით მათ სამხრეთი და აღმოსავლეთი არ ენდობა და ეს ყველაზე დიდი საშინელებაა. მომავალი ხელისუფლება და მთავრობა ყველა რეგიონის წარმომადგენლისგან უნდა შედგებოდეს, მაშინ ისინი შეძლებენ, შეთანხმებას მიაღწიონ. ხოლო თუ იქნება წარმოდგენილი უკრაინის ნახევარი, სულ სხვა რამ მოხდება. დღეს ყველა უნდა წავიდეს აღმოსავლეთში და მოყვეს, თუ რის გაკეთებას აპირებს, რადგან იქ გაჩნდა ისეთი უნდობლობა ცენტრალური ხელისუფლების და დასავლეთ უკრაინის მიმართ, რომ მათი გადარწმუნება შეუძლებელი ჩანს“**, — განაცხადა „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ და ეს, ალბათ, შექმნილი სიტუაციის ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი შეფასებაა.

## ახალი რუსეთის აღმოჩენა

ერთიანი უკრაინის არსებობა, როგორც ჩანს, შესაძლებელია მხოლოდ დასავლეთ-აღმოსავლეთის (როგორც უკრაინულის, ისე გლობალურის) კომპრომისის პირობებში. მაგრამ კომპრომისის ერთ-ერთი ბოლო შესაძლებლობა 22 თებერვალს დაიკარგა, როდესაც ოპოზიციამ დაარღვია 21-ში ხელმოწერილი შეთანხმება, იანუკოვიჩი კიევიდან გააძევა და ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა. ეს ძალიან მძიმე, შესაძლოა, საბედისწერო შეცდომა იყო. **უკრაინული კრიზისის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საიდუმლო ისაა, თუ რატომ თქვა უარი ოპოზიციამ „კოჰაბიტაციის პერიოდზე“, რომლის ფარგლებში მთავრობაზე კონტროლს მიიღებდა და ეტაპობრივად გადაიბარებდა ხელისუფლებას უფლებაშეკვეცილი და დისკრედიტებული იანუკოვიჩისგან ქვეყნის დესტაბილიზაციის გარეშე. ვინ უბიძგა მათ რადიკალური გადაწყვეტილებისკენ და რატომ დათანხმდნენ მას? ისინი მოქმედებდნენ ისე, თითქოს რუსეთი და მისი ინტერესები ამქვეყნად საერთოდ არ არსებობს. ამის პასუხად, რუსეთი ადგა და დაუმტკიცა, რომ არსებობს, შემდეგ კიდევ ერთხელ დაუმტკიცა და იმავეს ამ წუთებშიც აკეთებს. ამ კონტექსტში ბევრს, ალბათ, გაახსენდება ფრაზა ჩვენი ახლო წარსულიდან: „ჩვენ არ გვეგონა, რომ რუსეთი ჩაერეოდა“.**

მას შემდეგ, რაც კრემლმა ჩათვალა, რომ მისი ინტერესები სრულიად უგულვებელყოფილია, დასავლეთთან კონფრონტაციას არ მოერიდა და ხისტი კონტრზომები მიიღო, კიევმა ძალიან სწრაფად დაკარგა კონტროლი ყირიმზე. იმ ადამიანებს კი, რომელნიც ბოლო დღეებში იკავებენ ადმინისტრაციულ შენობებს აღმოსავლეთ უკრაინაში, ვერავინ დაარწმუნებს, რომ მათ არ აქვთ იმავეს გაკეთების უფლება, რაც „ევრომაიდანმა“ კიევში გააკეთა. **უკრაინის ეკონომიკა და ფინანსები კატასტროფულ მდგომარეობაშია, ძალოვანი უწყებები თითქმის სრულად პარალიზებულია, კრიმინოგენული მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. როგორც ჩანს, „ევრომაიდანელებმა“ თებერვალში არა მხოლოდ იანუკოვიჩის ხელისუფლება დაამხეს, არამედ უკრაინის (ძალიან არამდგრადი, მაგრამ მაინც არსებული) სახელმწიფოებრიობაც ზედ მიაყოლეს.**

არც ისე მცირეა იმის ალბათობა, რომ უცხო სახელმწიფოების ჩარევის და კრიზისის ცხელი ფაზის დასრულების შემდეგ უკრაინა „დიდ ბოსნია-ჰერცოგოვინად“ გადაიქცევა, რომლის ერთიანობასა და დამოუკიდებლობას მხოლოდ ფორმალურ ხასიათი ექნება. თუმცა ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარე მოთამაშეები კონსენსუსს მიაღწევენ და მათ კონტროლქვეშ მყოფ ძალებს უკრაინაში აიძულებენ, სამშვიდობო შეთანხმების პირობები შეასრულონ. თუ ეს ვერ მოხერხდება, უკრაინა საკმაო დროის განმავლობაში მუდმივი სისხლისღვრისა და ქაოსის ზონად დარჩება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ იანუკოვიჩის შემცვლელები ხელისუფლების შენარჩუნებას შეძლებენ (რაც ბოლო მოვლენების გათვალისწინებით უკვე სათუო გახდა) ქვეყნის გაწევრიანება ნატო-ში ფაქტობრივად დაიბლოკა, როგორც ყირიმის პრობლემის, ისე იმ კოშმარული მდგომარეობის გამო, რომელშიც დღეს სახელმწიფო იმყოფება. ვაშინგტონმა მკაფიოდ მიანიშნა მოსკოვს, რომ აღარ განიხილავს ნატო-ში უკრაინის გაწევრიანების საკითხს (ობამას გამოსვლა ბრიუსელში, ბჟეზინსკის ბოლო ინტერვიუები და ა. შ.) და უკრაინას მომავალში ნეიტრალურ სახელმწიფოდ ხედავს. მაგრამ კრემლი ამას, სავარაუდოდ, არასაკმარის გარანტიად, ცარიელ რიტორიკად ჩათვლის, განსაკუთრებით 21 თებერვლის შეთანხმების ჩაშლის შემდეგ, როდესაც თავი მოტყუებულად იგრძნო და მომავალში გაცილებით მყარ გარანტიებს მოითხოვს. კრიზისის დარეგულირების ერთ-ერთ წინაპირობად მოსკოვი უკრაინის ფედერალიზაციას განიხილავს, ისეთი პოლიტიკური სისტემის შექმნას, რომელიც, ფაქტობრივად, გამორიცხავს ნებიმიერ მკვეთრ მოძრაობას უკრაინის საგარეო პოლიტიკაში, მათ შორის ნატო-ში გაწევრინებას (მაგალითად, ფედერაციის გარკვეული რაოდენობის სუბიექტებს მსგავს გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლებას მიანიჭებენ ან მისი გარანტირებული დაბლოკვის სხვა იურიდიულ მექანიზმს გამოძებნიან). მოსკოვისა და ვაშინგტონის კონსენსუსი ამ ფუნდამენტურ საკითხზე შესაძლებელია, მაგრამ ორივე მხარე ცდილობს, მოლაპარაკებების მაგიდასთან მაქსიმალურად გაძლიერებული პოზიციებით მივიდეს და ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია იმისა, რომ მწვავე დაპირისპირება უკრაინაში კვლავინდებურად გრძელდება. **ყველაზე მძიმე მდგომარეობაში „ევრომაიდანელების“ ხელისუფლებაა — თუ ის აღმოსავლეთ უკრაინაში ჭარბ ძალას გამოიყენებს (თუ შეძლებს, რადგან ლოიალური და ბრძოლისუნარიანი შენაერთი არც ისე ბევრი ჰყავს), რუსეთმა რეგიონში შეიძლება ჯარი შეიყვანოს. ამ შემთხვევაში კი, ევროპაში ნატო-ს ძალების სარდლის, ამერიკელი გენერლის — ფილიპ ბრიდლავის შეფასებით, რუსი სამხედროები დასახულ მიზნებს 3-5 დღის განმავლობაში მიაღწევენ.** ექსპერტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ნახევრად დაშლილი და მეტწილად დემორალიზებული უკრაინული ჯარი რუსებს მხოლოდ სიმბოლურ წინააღმდეგობას თუ გაუწევს. ►

POTTON BOGGS-ИЦ ივანიშვილმა იმისთვის დაიქირავა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილის აგრესიისგან დაეცვა თავისი კაპიტალი. დამთავრდა არჩევნები და ვნახეთ, რომ დანაკარგი ერთი-ორად აინაზღაურა, ის 80 მილიონიც დაიბრუნა, მიშამ რომ წაართვა „ქართუ ბანკიდან“ და სხვა დანარჩენიც.

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რამდენს იხდის «ოცნება» პოლიტიკურ ვიაგრაში?

**სააკაშვილის კრიმინალური ბანდა რომ პიარში მილიონებს ფლანგავდა და ხალხის ფულს ისე განაგებდა, თითქოს ბაბუამისის — ტერ ნიკოლოზის დანატოვარი ყოფილიყო, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის არახალია. ამის შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერშიც ვწერდით, თუმცა დარწმუნებული ვარ, ის ციფრები მხოლოდ უმცირესი ნაწილია „ბელადის“ მიერ სხვადასხვა ორგიაში გაწეული ხარჯებისა. მოკლედ, ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ „ნაცების“ განაფუჭებს მოგვიანებით დავუბრუნდები. წინამდებარე წერილში კი მინდა, „ქართული ოცნების“ მავნებლობაზე, კერძოდ, იმ მილიონებზე გესაუბროთ, რომელთაც ივანიშვილის პოლიტიკური შთამომავლობა დღესაც არანაკლებ გულუხვად უხდის ამერიკის წამყვან ლობისტურ კომპანიებს.**




მაშ, ასე: ჯერ კიდევ 2011 წლის მიწურულს, როდესაც „რუხმა ოლიგარქმა“ პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა და აქტიურ წინასაარჩევნო ბატალიებში ჩაერთო, მისი კამპანია ოკეანის გაღმაც მყისვე ამუშავდა. კოალიციის თავკაცმა ლობისტური კომპანია BGR government Affairs LLC დაიქირავა, რომელიც, თავის მხრივ, ევროპაში მოქმედი კომპანია BGR Group-ის შვილობილია და ბებერ კონტინენტზე მილიონებს ატრიალებს. ცნობისთვის: იგივე კომპანია 2011 წლის ზაფხულში ირაკლი ალასანიას პარტიამაც დაიქირავა, თუმცა „თავისუფალი დემოკრატებისგან“ განსხვავებით ივანიშვილმა მათთან კონტრაქტი არა პირდაპირ, არამედ კომპანია BGR Gabara-ს მეშვეობით გააფორმა (ეს უკანასკნელი ასევე BGR Group-ში შემავალი ფირმაა და ჯგუფის ევროპულ ფილიალს წარმოადგენს). **„ქართული ოცნებისა“ და BGR Government Affairs-ის კონტრაქტი ძალაში 2011 წლის 21 ნოემბრიდან შევიდა. დოკუმენტის თანახმად, ფირმა მომსახურებისთვის ყოველთვიურად 25 ათას აშშ დოლარს იღებდა...**

2012 წელს ბიძინა ივანიშვილმა მეორე ლობისტური ფირმა დაიქირავა. საუბარია Putton Boggs-ზე, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იურიდიული კომპანიაა შეერთებულ შტატებში. იგი ძირითადად საბანკო საქმიანობის შესწავლითა და ამ სფეროში არსებული ამა თუ იმ დავების განხილვითაა დაკავებული. ორგანიზაციაში 600-ზე მეტი მაღალკვალიფიციური იურისტი მუშაობს. ფირმა საუკეთესო ამერიკული ფირმების ათეულში შედის (კონკრეტული ციფრი, თუ რა დაუჯდა ოლიგარქს, უფრო სწორად, სახელმწიფოს, აღნიშნული კომპანიის დაქირავება, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ, მისი პრესტიჟიდან გამომდინარე, სიმბოლურ თანხაზე ნამდვილად არ იქნებოდა საუბარი). რაც შეეხება დანარჩენებს, 2012 წელს ივანიშვილმა ამერიკაში კიდევ ერთ ფირმა National Strategy-სთან გააფორმა ხელშეკრულება, ხოლო ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, სხვა ფირმები: Perry, Romani და Deconcini a Symms დაიქირავა. **აღნიშნულ კომპანიებს, ძირითადად, ორი ამოცანა ჰქონდათ: ერთი — დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფა და მეორე — „ქართული ოცნების“ პიარკამპანიის წარმოება ამერიკის კონგრესში; პლიუს ამას ხელშეკრულებით განისაზღვრა კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამის წარმატებული პრეზენტაცია, რაც „ოცნების“ პოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბების შემდეგ განხორციელდა კიდეც.**

ჯამში ამ ორგანიზაციების მომსახურება „მეოცნებეთა კოალიციას“ კოლოსალური თანხა დაუჯდა, თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა, 2012 წლის იანვარში ჟურნალმა Foreig policy-მ გამოაქვეყნა მასალა, თუ როგორ ცდილობდა ივანიშვილის გარემოცვა კომპანია Podesta Group-ის გადაბირებას (ეს სწორედ ის კომპანიაა, რომელიც 9 წლის მანძილზე „ნაცმოძრაობის“ აქტიურ პიარს ეწეოდა). გახსოვთ, ალბათ, გამოცემა იუწყებოდა, რომ ოლიგარქის „კანტორა“, „ნაცებისგან“ განსხვავებით, ორჯერ მეტს სთავაზობდა ამერიკულ ფირმას. მერე „სამპროცენტიანების დედოფალი“ თინა ხიდაშელი გამოვიდა და გავრცელებული ინფორმაცია უარყო (ბიძინა ქველმოქმედით მოჯადოებულმა ხალხმა კი ყველაფერი დაიჯერა).

მართალია, მილიარდერს „დაბოლების“ შესაშური ტაქტიკა აღმოაჩნდა, მაგრამ ტყუილს მაინც მოკლე ფეხები აქვს — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ყველაფერი ცხადი გახდა, თუ რისთვის, რამდენს და ვის ფულს ხარჯავდა რეალურად „ქვეყნის ხსნაში“ მთავარი „ქოცი“. დღეს უკვე გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი თეთრი ივანიშვილს არც წინასაარჩევნო პიარში და არც მკვდრადშობილი „ქართული ოცნების“, როგორც კოალიციის, შეკოწიწებაში საკუთარი ჯიბიდან არ დაუხარჯავს. რაც გასცა, ეს იყო მხოლოდ ინვესტიცია ძალაუფლებისთვის, ანუ იმ დიდებისთვის, რომელიც მას ელოდა ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ. ზემოხსენებული კომპანია **Potton Boggs-იც ივანიშვილმა იმისთვის დაიქირავა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში სააკაშვილის აგრესიისგან დაეცვა თავისი კაპიტალი. დამთავრდა არჩევნები და ვნახეთ, რომ დანაკარგი ერთი-ორად აინაზღაურა, ის 80 მილიონიც დაიბრუნა, მიშამ რომ წაართვა „ქართუ ბანკიდან“ და სხვა დანარჩენიც.**

საერთოდ, ივანიშვილს, იმ დაკარგული მილიონების გარდა, სხვა რომ არაფერი აინტერესებდა, იმთავითვე ეტყობოდა. იგი თავის გამოსვლებში მუდმივად საუბრობდა ბიზნესტერორზე და კონკრეტულად „ქართუ ბანკის“ პრობლემაზე. ერთ-ერთ კონფერენციაზე პირდაპირ განაცხადა კიდეც: სულ რომ ქვეყანა დაინგრეს, იმ მოსამართლეებს და პროკურორებს მაინც ვუჩივლებ, 80 მილიონით რომ დამაჯარიმესო. ხბოს აღტაცებაში მყოფმა ხალხმაც შეიცოდა ოლიგარქი და „ქართუ ბანკის“ სათაო ოფისთან ანაბრების გახსნის მსურველთა კილომეტრიანი რიგი დადგა. პარადოქსული სიტუაცია იყო — ოლიგარქი ხალხის მოწყალების ამარა. ხრიკმა გაჭრა და არჩევნების შემდეგ ბიზნესმენმა ფული უდანაკარგოდ დაიბრუნა. პრინციპში, ეგ იყო ერთადერთი შესრულებული დაპირებაც.

ახლა ისევ ლობისტების თემას დავუბრუნდები. ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში მისაღები ის ფაქტი, რომ ხელისუფლება სახელმწიფოს ინტერესებს, მათ შორის ნაწილობრივ პარტიულსაც, სწორედ ლობისტების დახმარებით იცავს. ეს, შეიძლება ითქვას, ერთგვარი აპრობირებული მეთოდია, მაგრამ საქართველო, ამ შემთხვევაში, სტანდარტებით განსახილველი ქვეყანა ნამდვილად არ არის; საქართველო ის ქვეყანაა, რომელშიც ხელისუფლების შეცვლიდან წელიწად-ნახევრის თავზე არც ერთი დაპირება არ შესრულებულა, უმუშევართა, სოციალურად დაუცველთა რაოდენობა დღითიდღე იზრდება და, რაც მთავარია, ასეულობით მოქალაქეს სააკაშვილის პირსისხლიანი რეჟიმისგან წართმეული ქონება დღემდე არ დაბრუნებია. ამ ყველაფრის ფონზე, სამპროცენტიანი სუბიექტებით დაკომპლექტებულ „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, არც მორალური და არც სამართლებრივი უფლება არ აქვს, საკუთარ პიარს მილიონები მოახმაროს. მით უფრო, როდესაც ხალხის მიერ ხმათა უმრავლესობით არჩეული პრემიერი ივანიშვილი თავის დროზე წარბშეუხრელად აცხადებდა, რომ ამ ეტაპზე სახელმწიფოს ფული არ აქვს, დაზარალებულებს წართმეული ქონება რომ დაუბრუნოსო. ისე, კაცმა რომ თქვას, ივანიშვილზე უკეთ ვინ იცის, რისი უფლება აქვს და რისი არა „ქართულ ოცნებას“ მის გარეშე! **ეს რომ იცის, იმიტომაც იხდის მილიონებს პიარში, თორემ რესპუბლიკელებს რომ მოსახლეობაში საკმარისი მხარდაჭერა ჰქონდეთ, „ნაცებივით“ პოლიტიკური ვიაგრა არ დასჭირდებოდათ დასავლელი ლობისტების სახით. დიახ, ივანიშვილმა კარგად იცის, რომ იმ ლობისტების გარეშე მისი სახელისუფლო ნაშიერი რესპუბლიკური პარტია და კოალიციაში შემავალი დანარჩენი სუბიექტებიც „ნაცებივით“ პოლიტიკური იმპოტენტები არიან. იმდენად უსაშველო იმპოტენტები, რომ, გია მაისაშვილს დავესესხები, პოლიტიკური მასტურბაციის თავიც კი აღარ აქვთ.**

გარდა ამისა, ლობისტებს კიდევ სხვა სარგებლობა მოაქვთ, „პოტენციის“ ამაღლებასთან ერთად ისინი „მწვანე შუქსაც“ უბადლოდ ანთებენ; მაგალითად, ისე, როგორც ჯონ ბასმა აუნთო სააკაშვილს 2011 წლის 26 მაისს, ან იგივე ნავარო რომ „აპრავებდა“ ყველაფერს თავისი ყბადაღებული მონაცემებით. ამით, ცხადია, იმის თქმა არ მსურს, რომ ხვალ და ზეგ „ოცნებაც“ 26 მაისს ან თუნდაც 7 ნოემბერს მოგვიწყობს, მაგრამ არჩევანი დიდია, აგერ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ახლოვდება, „ისტორიულ არჩევანს“ რომ ვეზიარებით, „დემოკრატიული რეფორმები“ უსათუოდ გასატარებელი იქნება?!.. დარწმუნებული ვარ, დრო მოვა და ფულეები, ნავაროები, ჰამერბერგები თუ სხვა უცხოელი დიპლომატები კვლავინდებურად წარბშეუხრელად განაცხადებენ: **პოლიციამ ადექვატურად იმოქმედა, როცა გეიაღლუმის მოწინააღმდეგე „წვერებიანი ხულიგნები“ სასტიკად დაარბიაო. ივანიშვილსაც ეგ უნდა. მისთვის, ისევე, როგორც სააკაშვილისთვის, ერთი დიმიტროვი ან ბრაიზა ბევრად უფრო წონადია, ვიდრე ქართველი ხალხი. პრემიერობის ჟამს მას ეს აშკარად ეტყობოდა და ვერც მალავდა (გახსოვთ, ალბათ, ლამის ყოველ მეორე სიტყვაში ერთსა და იმავეს იმეორებდა: ჯერ კონსულტაციებს გავივლით დასავლელ პარტნიორებთან, უცხოელ მეგობრებს ვკითხავთ და გეტყვითო.).** საერთოდ ივანიშვილს, როგორც ჩანს, მობეზრდა საქართველო და ქართველები. შეიძლება იმიტომ, რომ ამ ქვეყანას, როგორც ბიზნესპროექტს, მის ინტერესებში ადგილი არ აქვს. ის, ალბათ, ახლა წასვლაზეც ფიქრობს და სულ არ აინტერესებს, როგორ განვითარდება აქ შემგდომში პროცესები, ანუ ხალხი, რომელიც უკიდურესად იმედგაცრუებულია, კვლავ ქუჩაში გამოვა თუ ორ-სამ წელიწადში ისევ სააკაშვილის „ნაცხროვა“ დაბრუნდება ხელისუფლებაში...

**აი, ესაა, რაც წელიწად-ნახევრის თავზე ჩვენი ოცნებებიდან დარჩა: სათავეში — „რესპები“, ოპოზიციურ ავანგარდში — „ნაცმოძრაობა“ და რეალობაში — ხახამშრალი ხალხი. ისე, მეტის მოლოდინი ვის რატომ ჰქონდა ან რატომ უნდა ჰქონოდა, გაუგებარია. პრინციპში, აქ ყველაფერი ლოგიკურად მოხდა...**

**ჯაბა ჟვანია**

## დიადი იდეა და დიდი ილუზია

დასავლეთისთვის, უპირველესად კი, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის „ჭეშმარიტების მომენტი“ დადგა — თუ ის ვერ აღმოუჩენს ქმედით დახმარებას უკრაინის ახალ მთავრობას, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში აგულიანებდა, პროდასავლური ძალები უკრაინაში და მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში უმძიმეს დარტყმას მიიღებენ და მათი გავლენა, სავარაუდოდ, მკვეთრად შემცირდება. **უკრაინის მოვლენების პარალელურად, საქართველოში სულ უფრო ძლიერდება სკეპტიკური დამოკიდებულება დასავლეთის შესაძლებლობების მიმართ. ის 2008 წლის ომის კვალობაზე დაიბადა და იმ შემთხვევაში, თუ კრემლი უკრაინულ რაუნდში გამარჯვებას მიაღწევს, დიდი ალბათობით, საზოგადოებაში დომინანტური გახდება.** შეიქმნება წინაპირობები დღის წესრიგში ქვეყნის საგარეო კურსის შეცვლის, კერძოდ კი, ნატო-ზე უარის თქმის საკითხის დაყენებისთვის.

თუ შეერთებული შტატები უარს იტყვიან უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებაზე და მისი ნეიტრალიტეტის ერთ-ერთი გარანტორი გახდებიან (ეს მოტივი ნამდვილად იგრძნობოდა ობამას ბრიუსელის გამოსვლაში), სავარაუდოდ, მალევე მოხდება ამ იდეის პროეცირება საქართველოზე. არსებობს ალტერნატივაც — საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭება და ნატო-ში მისი გაწევრიანების დაჩქარება, თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მოქმედი ან (რაც უფრო სავარაუდოა) შემდეგი ადმინისტრაცია ევროპელი მოკავშირეების წინააღმდეგობის დაძლევას შეძლებს. ამ შემთხვევაში, ჩვენ პრაქტიკულად გარანტირებული გვექნება „თავაზიანი მწვანე კაცუნების“ გამოჩენა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში და ყოველივე ის, რაც ყირიმში და აღმოსავლეთ უკრაინაში მოხდა, რადგან საქართველოს და უკრაინის გაწევრიანება ნატო-ში რუსეთისთვის „წითელ ხაზს“ მიღმა მდებარეობს.

თქმულიდან გამომდინარე, საქართველო სრულად დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რა გზით წავა ვაშინგტონი, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტის რამდენადმე ანგარიშგასაწევმა წარმომადგენლებმა გაბედონ და ნეიტრალიტეტის დროშა ააფრიალონ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილს ეს იდეა მოსწონს და მისი განხილვისთვის მზადაა. ეს ნიუანსი საკმაოდ მნიშვნელოვანია; თუ კრემლი დარწმუნდება, რომ „ფინურ ვარიანტზე“ (და არა რუსეთთან კავშირზე, როგორც ზოგიერთი ქართველი კომენტატორი მიიჩნევს) ორიენტირებულ ძალებს ქართულ პოლიტიკაში გამარჯვების შანსი არ აქვთ, ხოლო თეთრი სახლი ნამდვილად აპირებს საქართველო ნატო-ში გააწევრიანოს, ის უაღრესად ხისტად იმოქმედებს.

ვიდრე ომი და უბედურება დაიწყება, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რისთვის დაიღუპება ხალხი — დიადი იდეის თუ დიდი ილუზიის გულისთვის და საბოლოო გადაწყვეტილება მხოლოდ ამის შემდეგ მივიღოთ.

**დიმიტრი მონიავა**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც შეეხება სააკაშვილის დაბარებას პროკურატურში, ვსვამ შეკითხვას: საერთოდ, რატომ გაუშვეს საქართველოდან ეს ადამიანი? რა, არ იცოდნენ, რომ ყველა მკვლელობის, ყველა ბოროტების თავი და თავი ისაა?**

### მამა ბასილი მკალავიშვილი:

# 17 მაისისთვის უცხოეთიდან ათასამდე მამათმავალი უნდა ჩამოიყვანონ

**ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრის წინამძღვართან, მამა ბასილ მკალავიშვილთან.**



**— მამაო ბასილ, რამდენიმე დღის წინ ორგანიზაცია „იდენტობამ“ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ წელს ისინი, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერ ღონისძიებას არ გამართავენ. ბევრმა ეს განცხადება აღიქვა, როგორც ხრიკი საზოგადოების მოსადუნებლად, რათა 17 მაისს მოულოდნელად მოაწყონ მსვლელობა და ხალხი შარშანდელივით ჩაითრიონ ფიზიკურ დაპირისპირებაში. ეს ყველაფერი თბილისური ევრომაიდნის ერთ-ერთ მაპროვოცირებელ ფაქტორადაც განიხილება. როგორ ფიქრობთ, რეალურად მოსალოდნელია თუ არა, მოვლენები მსგავსი სცენარით განვითარდეს?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი.

გასული წლის 17 მაისს მე ქართველი ერის რეფერენდუმს დავარქმევდი. ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ახალგაზრდობა, ჩვენი მომავალი საქართველო მზად იყო, ყველაფერი გაეღო ერის ტრადიციების დასაცავად. ისინი არ დაუშვებდნენ, ქალაქის გულში ქართული სული წაებილწათ, მიუხედავად იმისა, რომ ჯალათი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ერის მოღალატეებს სულ სხვა გეგმა ამოძრავებდათ. მხედველობაში მაქვს ის, რომ უნდა გამოეწვიათ დაპირისპირება, რათა სისხლისღვრა მომხდარიყო, მაგრამ უფლის წყალობით ყოველივე მშვიდობიანად დამთავრდა. **მომავალ 17 მაისთან დაკავშირებით ნუ დავიმშვიდებთ თავს მათი ზედაპირული განცხადებით, რომ თითქოს არ აპირებენ გეიაღლუმის ჩატარებას.** ეს დღე სექსუალურ უმცირეობათა საერთაშორისო დღეა. მათი მიზანია, ყველა ქვეყანამ აჩვენოს უზნეობის დემონსტრირება. საქართველო დასავლეთის ყურმოჭრილი მონაა. **ეშმაკს არ ძინავს, ამიტომ მე თადარიგი დავიჭირე — მაგათ ყველა ოფისში შევაგზავნე ჩემი წარმომადგენელი, რომელსაც გული შესტკივა ერზე. ისინი აკვირდებიან ამ ადამიანების ქმედებებს. ასე რომ, ვურჩევ მათ, ნუ დაიმშვიდებენ თავს, მათ მზაკვრულ გეგმას ამჯერადაც განხორციელება არ უწერია, რამეთუ, საჭიროების შემთხვევაში, სამჯერ, ათჯერ მეტნი ვიქნებით. მათ ეშმაკი მართავთ, ჩვენ კი უფალი, ყოვლადწმიდა დედა, მფარველი ანგელოზები გვიცავენ.**

მინდა აქვე გაუწყოთ, რომ ამ საშინელი სენით დაავადებულთა დამცველების მოთხოვნით, **17 მაისისთვის უცხოეთიდან ათასამდე მამათმავალი უნდა ჩამოიყვანონ, რისთვისაც თხოულობენ დაფინანსებას 7 მილიონის ოდენობით. ეს თანხა სჭირდებათ აღლუმის ჩასატარებლად ქალაქის შუაგულში ; პირადად ბოკერიას აქვს შედგენილი გეგმა, როგორ მოაწყონ მსვლელობა ვაკის პარკიდან; თანამზრახველები ჰყავთ დიდი ილიას უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი.** ეს უნივერსიტეტი ხომ სიბილწის სამჭედლოა თევზაძის მეთაურობით... იქ, სადაც დეისაძეა, ბურჭულაძე, ელჩად გამზადებული ქარუმიძე, შეიძლება ზნეობის რაიმე კიაფობდეს?! რა თქმა უნდა, არა. რაც უნდა ეცადონ, მაინც არაფერი გამოუვათ. ყველა ვარიანტი მაქვს გათვლილი. გავიხსენოთ 100 ათასი მოწამე, მეტეხის ხიდთან ჩახოცილი... სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, არ შევაბილწვინოთ ქართველთა ღირსება, დავიცვათ სარწმუნოება. ამას დაგვძახიან ზეციური იერარქიის ზვარაკად შეწირულნი. ასე რომ, მოვუწოდებ ხელისუფლებას, ადრევე დაიჭირონ თადარიგი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. **ამას შეიძლება მოჰყვეს უმძიმესი შედეგი, პასუხისმგებლობა კი მათ დაეკისრებათ. ვფიქრობ, ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, სააკაშვილის მსგავსად, მოძმეთა სისხლში ხელს არ გაისვრიან.**

**— მამაო, საქართველოში ცოტანი არიან მათი წარმომადგენლები, რომ საზღვარგარეთიდან არ ჩამოიყვანონ?**

— როგორც ვიცი, **საქართველოში მცხოვრებმა მამათმავლებმა უარი განაცხადეს 17 მაისს რუსთაველზე გამოსვლაზე. სამაგიეროდ, მათი დამცველები აპირებენ გასვლას, მაგრამ ბოკერია ამ შემთხვევაში გრანტებს არ გაუყოფს მათ, იმიტომ, რომ ბოკერიასა და ადგილობრივ მამათმავლებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა.** აი, მიზეზი, რის გამოც უარი განაცხადეს. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი ალექსანდრეს განცხადების შემდეგ მოსალოდნელი არეულობის შესახებ, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები თავს ისე ლაღად ვერ გრძნობენ; შეაშფოთა ისინი სერიოზულმა განცხადებამ, თუმცა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი. უფლის შემწეობით, შევიტყობთ ყოველივეს, „არა რა არს დაფარულ, რომელი არა განცხადნეს“. ღმერთს მინდობილი ადამიანი ყველაზე ძლიერია. თვით უფალი არ მისცემს მათ საშუალებას, არეულობა გამოიწვიონ და, თუ შეეცდებიან, ღმერთი გვიჩვენებს გზას, როგორ ავიცილოთ წურბელების შემოტევა.

## «ნაცმოძრაობის» არქივში ბევრი სასულიერო პირის კომპრომატები ინახება და, რომ არ გამოუქვეყნონ, არიან მიშას ქება-დიდებაში

**— რაც შეეხება საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ვადამ კიდევ ორი თვით გადმოიწია და, როგორც ხელისუფლების მაღალჩინოსნები გვპირდებიან, „ისტორიულ არჩევანს“ არაუგვიანეს ივნისისა ვეზიარებით. რას ელოდებით ამ ინტეგრაციის პროცესიდან და ხომ არ მიგაჩნიათ, რომ, ცოტა არ იყოს, ზერელე არჩევანს ვაკეთებთ?**

**ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის უცნობია, რა წერია იმ 350-პუნქტიან დოკუმენტში, რომელსაც ხელი მოვაწერეთ.**

— მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, იმ დღიდან მხოლოდ კოჰაბიტაცია გვესმოდა, ახლა კი მისი გაგრძელებაა ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მე მიმდინარე მოვლენებს ვადევნებ თვალს, არ ვტოვებ მასმედიას და გაოგნებული ვარ, ხალხნო, ნუთუ ისე დაგვიბნელდა გონება, რომ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა ოცი საუკუნის მანძილზე სიცოცხლის ფასად შეინარჩუნეს და ღირსეულად გადმოგვცეს, ჩვენ უფლის მეორედ მოსვლის ჟამს გავაცამტვერებთ. როგორ ვკადნიერდებით ისე, რომ ვერ ვსაზღვრავთ, საით მიგვყავს სარწმუნოებით, ტრადიციებით ჩადუღაბებული ქვეყანა?! **ევროკავშირის კომისიამ უნდა განგვისაზღვროს ცხოვრების წესი? ისინი სექსუალურ უმცირესობებთან გვათანაბრებენ, სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას მართლმადიდებლობას უთანაბრებენ, უარის თქმა მოგვიწევს ეროვნულ ტრადიციებზე, რომლებიც მათთვის სასაცილოა და ზნეობრივად გარყვნიან ახალგაზრდებს (ეს პროცესი, დიდი ხანია, დაწყებულია).** ერთი სიტყვით, გველოდება ძალიან მძიმე პერიოდი, მკაცრი გამოცდა ქართველი ერისა და დარწმუნებული ვარ, ქართველთა ის ნაწილი, რომლებიც არად აგდებენ წინაპართა მონაპოვარს, — ბოკერია, თევზაძე, ჩორგოლეიშვილი, კაკაბაძე, გურჩიანი, ბარამიძე და სხვები სიხარულით მიიღებენ მათგან შემოთავაზებულ ყოველ დავალებას.

დაბეჯითებით ვიმეორებ: ეგ ყოველივე ღვთისგან არს დაშვებული, სულიერი გამოცდა თითოეული ჩუენგანის. ხოლო თუ რას გავაკეთებთ — გავაგრძელებთ ქრისტეს ეკლიან გზას თუ გავხდებით ბელიარს თანაზიარი, ეს უკვე ჩვენზეა, ჩვენს სულიერ სიმტკიცეზე დამოკიდებული.

## ბოკერიასა და ადგილობრივ მამათმავლებს შორის სერიოზული დაპირისპირებაა

ევროკავშირი ცდილობს, შექმნას ერთი მსოფლიო მაკონტროლებელი „ოჯახი“ და თავის მარწუხებში მოგვაქციოს, ამიტომაც აჩქარებენ ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას. ისმის კითხვა: ის ქვეყანა, რომელიც მამათმავლობის ინტერესების დაცვას ითხოვს ჩვენგან, რა სიკეთეს მოგვიტანს? რაც შეეხება 350 პუნქტად ჩამოყალიბებულ დოკუმენტს, რომელიც, ალბათ, ჩვენთვის, საზოგადოებისთვის მიუწვდომელი იქნება, დარწმუნებული ვარ, 20-საუკუნოვან სარწმუნოებას დაგვაკარგვინებენ. აი, აქ გვმართებს დიდი სიფხიზლე და სიბრძნე, რათა ყოველივე ქრისტიანულად გადავწყვიტოთ, არ გვძლიოს ეშმაკმა.

**— სამართლიანობის აღდგენაზეც გკითხავთ, პროკურატურამ, ფაქტობრივად, „გმირობა“ ჩაიდინა, როცა სააკაშვილი დაკითხვაზე დაიბარა, მაგრამ „დემოკრატიულმა დასავლეთმა“ ამის გამო ლამის შეშფოთებით წაგვლეკოს. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა, ამერიკელმა კონგრესმენმა ჯონ ბეინერმა და მეთიუ ბრაიზამ „ქართული ოცნება“ მკაცრად გააკრიტიკეს: ეს ქმედებები თავისუფალი არჩევნების გარემოს არ შეესაბამებაო. თქვენი აზრით, რატომ სარგებლობს პოლიტიკურ გვამად ქცეული სააკაშვილი დღემდე ასეთი მხარდაჭერით საერთაშორისო ასპარეზზე?**

— ახლა გეკითხებით თქვენ: იყო კი სამართლიანობა საქართველოში? ბატონი ზვიადის პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდში ვიგრძენით, რომ ქართველნი ვიყავით და ჩვენს მიწაზე ვცხოვრობდით. აი, მაშინ ნამდვილად იწყებოდა სამართლიანობის დამკვიდრება. ზვიადის განდევნის შემდეგ კი წყვდიადში მოვაბიჯებთ. ასე რომ, სამართლიანობის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში დიდი დრო სჭირდება. პირველ რიგში, აქ უნდა გამოვიძიოთ 1991-92 წლების მოვლენები. ვისაც ზვიადის მკვლელობაში წვლილი მიუძღვით, მკაცრად უნდა დაისაჯონ; ასევე უნდა დაისაჯონ ჩვენი ეკლესიის დამანგრეველნი, ბატონ გურამ შარაძის მკვლელები და შეიქმნას დამნაშავეთა დასჯის რეალური პრეცენდენტი. ხშირად მეკითხებიან, რატომ არ ვუჩივი ეკლესიის დამარბევლებს. ეკლესია დაარბიეს იმიტომ, რომ ხალხისთვის ძალა ეჩვენებინათ. მე სასულიერო პირი ვარ, ღმერთზე მინდობილი, ამიტომ ჩემთვის განმსჯელი მხოლოდ უფალია, თუმცალა თითქმის 80%-ზე მოიწია ღმრთის სასჯელი, ამიტომ დანარჩენებს ვურჩევ, დროზე მოვიდნენ და მოინანიონ ცოდვები. **ახლა რაც შეეხება სააკაშვილის დაბარებას პროკურატურში, ვსვამ შეკითხვას: საერთოდ რატომ გაუშვეს საქართველოდან ეს ადამიანი? რა, არ იცოდნენ, რომ ყველა მკვლელობის, ყველა ბოროტების თავი და თავი იყო?**

დასკვნა თქვენთვის მომინდვია. ჩემი აზრით, ისევ ხელისუფლების ბრალია მისი გაშვება.

...ჭიკაიძის მამა, ბატონი გივი ჩემი მეგობარი იყო, უაღრესად პატიოსანი პიროვნება. როგორც ვიცი, ბატონი ალექსანდრე მორწმუნე და ალმსარებელია. მე მასთან მეტად სერიოზული თხოვნა მექნება: მეტი ყურადღება დაუთმოს ჩვენს ძირძველ სარწმუნოებას, ერთხელ და სამუდამოდ აღმოიფხვრას მამათმავლებზე საუბარი. მე ყოველთვის ვაცხადებდი და ახლაც გავიმეორებ: სექტანტებია თუ სხვა ორიენტაციის პიროვნებები, კარს მიღმა რას აკეთებენ, არავის საქმეა, მხოლოდ პროზელიტიზმი, გასაჯაროება, მითუმეტეს უზნეობისა, ყოვლად დაუშვებელია, დასაგმობია, ვინაიდან ეს საშინელი სენია. მათი დამცველები, იგივე გრანტიჭამიები, ვერაფერს წაიღებენ ამ ქვეყნიდან, გარდა ბინძური საქმეებისა. უფლის სასჯელი არ ასცდებათ ღმრთის მგმობელებს.

ევროპა მათ ყოველთვიურად კოლოსალური თანხით აფინანსებს, რათა შიგნიდან ისევ ვაიქართველების ხელით ძირი გამოუთხარონ საქართველოს, მის მომავალს.

ამასწინათ ვაიმწერალი, დრამატურგი ლაშა ბუღაძე იყო სტუმრად „ტაბულაში“ და მან დაუფარავად განაცხადა: „ქართული ეკლესიის მრევლი დაუბანელი და სუნიანიაო. იმავე გადაცემის წამყვანმა, ვინმე ნაძირალა დავით კოვზირიძემ იქვე პირდაპირ აძაგა ეკლესია. (თურმე მას შეუქმნია პანო, რომელზეც ქართლის დედას, სიმბოლოს ქართველი ქალისა, ცალ ხელში თასის ნაცვლად ცხელი ხინკლიანი საინი უჭირავს, ხოლო მეორე ხელში, ხმლის ნაცვლად, შამფურზე წამოგებული მწვადი.) აი უდიდესი და- ►

**ნატოსკენ დაუფიქრებელმა სწრაფვამ უკუშედეგი მოგვცა — საქართველო დღეს შემდგარი სახელმწიფო არ არის, ერთ პატარა ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ქვეყანაა. დეფაქტო ეს ასეა.**

ვერსია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



◀ ცემა ერისა. მეტად სამწუხაროა, ეს გარყვნილთა ბანდა წინაპრების სისხლით გაჟღენთილ მიწაზე რომ დააბიჯებს.

**სააკაშვილის კლანს ისე ღრმად აქვს ფესვები გართხმული, მისი ამოძირკვა მეტად რთულია. სწორედ მათი წამოწყებულია ევროინტეგრაცია და ამერიკა. ხშირად იმეორებენ, დაგვეხმარებიანო. მაშ, სად იყვნენ 2008 წელს, ერთი სიტყვა მაინც შეგვაწიეს?! ახლაც ეგრე იქნება. საქართველოსთვის არავინ ფიქრობს, პირიქით — ჩვენ ყველა პირადი ინტერესებისთვის გვიყენებს.**

**— მამაო, ახლა ეკლესიის თემას შევეხოთ. როგორც ვიცით, სააკაშვილს ისევ დასაყრდენი აქვს ეკლესიაში. რას გვეტყვით ამაზე?**

— ღმრთის მოძულე სააკაშვილმა ევროკავშირის მოთხოვნის ერთი პუნქტი უკვე აღასრულა. ისევ ქართული ეკლესიის თანხმობით, სხვადასხვა კონფესია მართლმადიდებლობას გაუთანაბრა. უფრო მეტიც, მილიონები გამოუყვეს დასაფინანსებლად. **ის სასულიერო პირები, რომლებიც დალმამშენებელს აღმაშენებელს და სახელოვან პრეზიდენტსაც უწოდებდნენ, არ არიან ქართული ეკლესიის მტრები? ფოთში, ტაძრის გახსნაზე ეკლესიაში „მიშა მაგარია"-ს ყვირილით არ შევიდნენ? ამაზე მეტი ცინიზმი შეიძლება?** რა თქმა უნდა, ისევ მყარი დასაყრდენი აქვს ეკლესიაში, იქიდან გამომდინარე, რომ **უმეტესობას, ეპისკოპოსია თუ მღვდელი, წარსული მოსვრილი აქვს. აწმყოშიც იმავეს აგრძელებენ. „ნაცმოძრაობის" არქივში ბევრი სასულიერო პირის კომპრომატები ინახება და, რომ არ გამოუქვეყნონ, არიან მიშას ქება-დიდებაში. ამიტომაც აქვს მხარდაჭერა მათგან. ისინი მრევლს უქადაგებენ, რომ მიშა ისევ დაბრუნდება ხელისუფლებაში.**

ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არსებობს. რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მოიწვიონ რუის-ურბნისის კრების მსგავსი კრება, რათა განიწმინდოს ეკლესია უღირს სასულიერო პირთაგან, რამეთუ ისინი თავიანთი ქმედებით ჩირქს სცხებენ ეკლესიის ავტორიტეტს. ხალხს მათი უზნეო ქმედების გამო რწმენა ეკარგება და მისი გარკვეული ნაწილი შეიძლება სექტანტებთან აღმოჩნდეს. ეს ცოდვა ხომ მათ მოეკითხებათ მრევლის დაბრკოლებისთვის. უფალი ერთი განბნეული ცხვრისთვის დადიოდა, ეძებდა, რათა დაებრუნებინა.

**— მამაო, როგორც ვხედავ, სამრეკლოს მოპირკეთება დაგიწყიათ.**

— მართალია, დავიწყეთ, მაგრამ ძალიან გვიჭირს. ჩვენთან რაც კეთდება, ყოველივე მრევლის მცირედი შემოწირულობითაა. ამჯერად ეს საქმე გაცილებით მეტ თანხას მოითხოვს, რამეთუ მოპირკეთება ისეთი ძვირფასი ქვით ხდება, რომლითაც სამების ტაძარია შემოსილი. მიუხედავად შეჭირვებისა, მჯერა, რომ ღმერთი გამოაჩენს ისეთ პიროვნებას, რომელიც დაგვაფინანსებს ამ საშვილთაშვილო საქმეში. ამით თვით დამფინანსებელი და მისი შთამომავლობა მადლმოსილი იქნება, რამეთუ ეს ტაძარი გამოცხადებით და სასწაულებით არის აგებული.

ჯაბა, გენაცვალე, დღეს საქართველო ჯვარცმის გზას ადგას, მიემართება გოლგოთისკენ. როგორც ვიცით, ყველა დაღმართს აღმართი მოსდევს და პირიქით, გოლგოთას — აღდგომა. გარწმუნებთ, მიუხედავად უაღრესი შეჭირვებისა, დედა ღმრთისმშობელი არ მიატოვებს თავის წილხვედრ ქვეყანას. იმდენი ჭეშმარიტი მორწმუნენი არიან საქართველოში, მათ გულმხურვალე ლოცვას შეიწირავს უფალი. ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ საქართველოს აღდგომას. სხვანაირად არ ეგების, რა თქმა უნდა, ეს შრომის ფასად მოემადლება ჩვენს ერს.

ვისარგებლებ შემთხვევით და ჩემს მართლმადიდებელ ერს მივულოცავ მომავალ ბრწყინვალე დღესასწაულს — ქრისტეს აღდგომას, ვულოცავ ყველა ჭეშმარიტ მორწმუნეთ, თქვენს რედაქციას, საიდანაც მხოლოდ სიმართლე ისმის. გისურვებთ, თქვენი კალამი მხოლოდ სიმართლეს, რწმენას ემსახურებოდეს, რამეთუ თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულნი ვართ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამშობლოს დაცვაში, ერის ტრადიციების შენარჩუნებაში და, რაც მთავარია, მართლმადიდელობის გადასარჩენად. ყველა უზენაესზე ვართ დამოკიდებული, ამიტომ გვმართებს მისი მცნებების დაცვა და ერთგული სამსახური. მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენა გვიხსნის ყოველგვარი განსაცდელისგან, მხოლოდ ღმრთის დახმარებით შევძლებთ, დავუპირისპირდეთ შინაურთა თუ გარეშეთა შემოტევას.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

*თამარ კიკნაძე:*

# ჩვენთან პოლიტიკური ძალების უმრავლესობა კონკრეტული უცხო ქვეყნის დასაყრდენია

**რამდენიმე დღის წინათ ვილნიუსში, ევროკავშირის პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ასეთი განცხადება გააკეთა: „საქართველო თუ ნატოს წევრი არ გახდება, ის რუქიდან გაქრება". ამ განცხადებამ, ცოტა არ იყოს, მოსახლეობის შეშფოთება გამოიწვია, რადგან ყველას ამერიკის პრეზიდენტის სიტყვა გაახსენა, რომ საქართველო ნატოს წევრი ვერ გახდება. რა გველოდება? „საქართველო და მსოფლიო" შეეცადა, გაერკვია, მართლაც გაქრებოდა თუ არა საქართველო რუკიდან, თუ ნატოს წევრი ვერ გახდება და ამ თემაზე პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თამარ კიკნაძეს ესაუბრა.**



**— რად გვინდა ნატო ან ნებისმიერი ორგანიზაცია? ჩვენ გვჭირდება ისეთი ნავსაყუდელი, რომელიც საფრთხეებისგან დაგვიცავს, ფაქტია, რომ ნატო ჩვენთვის ასეთი არ გამოდგა. რეტროსპექტივას თუ თვალს გადავავლებთ, მივხვდებით, ნატო ჩვენთვის რაოდენ დიდი საფრთხის მომტანია. სწორედ საქართველოს ნატოში სწრაფვის გამო მოხდა 2008 წლის ომიც, რუსეთის მიერ ჩვენი ტერიტორიების აღიარებაც და თავისი ბაზების ამ ტერიტორიებზე განლაგებაც.**

საქართველო მოცემულ შემთხვევაში გამოდის, როგორც განხეთქილების ვაშლი დასავლეთსა და რუსეთს შორის. ამის გამო, ჩვენ დიდი სახელმწიფოების ინტერესების მსხვერპლი ვხდებით, შეჯახების ეპიცენტრში ვართ.

**ხომ ხედავთ, უკრაინა ორ დიდ სახელმწიფოს შორის განხეთქილების მიზეზი გახდა. გადამწყვეტ მომენტებში მკვეთრი მოძრაობები ხშირად საზიანოა.**

**პოლიტიკაში ხშირად აისბერგის წვერი მოჩანს, ფარული გადანაწილებები კი არ ჩანს. სახელმწიფო იმარჯვებს მაშინ, როდესაც მისი პოლიტიკური ელიტა კარგად ფლობს ამ შიდა გადანაწილების პროცესებს.**

რომელიმე ქვეყნის გადაჭარბებული სიყვარული ან სიძულვილი ყოველთვის საფრთხის მომტანია. ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი ქვეყნის სიყვარულით განმსჭვალული და უნდა ვიფიქროთ, მოცემულ მომენტში რა არის ჩვენთვის ოპტიმალური ვარიანტი.

**— იქნებ დავით უსუფაშვილმა დაინახა, რომ ოპტიმალური ვარიანტი ნატოში გაწევრიანებაა?**

— ზოგიერთი პოლიტიკური ძალა ჩამოყალიბებული არ არის. ჩვენს ქვეყანას ამ საქმეში დიდი გამოცდილება არ აქვს. ჩვენთან პოლიტიკური ძალების უმრავლესობა კონკრეტული უცხო ქვეყნის დასაყრდენია. არ იგრძნობა, რომ რომელიმე მათგანი საქართველოს კეთილდღეობაზე იყოს ორიენტირებული. ყველა მათგანი ან მკვეთრად პროდასავლურია, ან ანტიდასავლური, რაც საქართველოსთვის ზიანის მომტანია

**არასოდეს მჯეროდა იმის, რომ ნატოს წევრები გავხდებოდით, რადგან კარგად ვიცოდი, ძალთა ბალანსი როგორი იქნებოდა. ზოგიერთმა პოლიტიკოსმა ვადაზე ადრე ჩამოწერა რუსები და იმასაც ამბობდა, რომ რუსეთი დაიშლებაო. პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ არსებული სიტუაციის მიხედვით. რუსეთი სახუმარო ქვეყანა არ არის, ის უშიშროების საბჭოს წევრია, რომელსაც დასავლეთი წინააღმდეგობას ვერ უწევს, თუ არ ჩავთვლით შეშფოთებასა და აღშფოთებას.** ამის კლასიკური მაგალითია 2008 წლის ომიც და უკრაინაც.

**უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს პარადოქსული იყო, რომ ანგელა მერკელი ბუნდესტაგში ძალიან მკაცრად აკრიტიკებდა რუსეთს და პარალელურად ვიცეკანცლერი „გაზპრომთან" პრობლემებს განიხილავდა.** პოლიტიკა სერიოზულია და სიმპათია-ანტიპათიით, გეოპოლიტიკური არჩევანით გაკეთებული დაუფიქრებელი ნაბიჯები დამღუპველია. თუ ისტორიას გადავხედავთ, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ იყო ჩვენს ცხოვრებაში, საქართველო ვერანაირი მონაცემით ნატოს წევრი ვერ გახდებოდა.

**რატომ საუბრობენ ჩვენი ხელისუფალნი ისევ ნატოზე? არავისთვის ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ანგარებაა, ზოგჯერ, უბრალოდ, სიჯიუტე.**

ვისურვებ, რომ ამ თემების გარშემო ქვეყანაში უფრო მეტი დებატი გაიმართოს. **ხალხი ნამდვილად ცოდოა ამდენი ტყუილის მოსმენით, ამდენი „ქართული დასახელებებით" — „მაპი", „მაპზე უკეთესი", რასაც ჩვენი მთავრობა იგონებს იმისთვის, რომ ვითომ ნატოს წევრები გავხდებით.** ყველაფერს თავისი დრო აქვს, „არის დრო ქვების შეგროვების და არის დრო ქვების სროლის"... გარკვეულ დროს რაღაც ქმედება უნდა განახორციელო, არ უნდა იყო კონტექსტიდან ამოვარდნილი. პირადად მე გულისხეთქვით ვუყურებ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებებსა და გამოსვლებს. არ შეიძლება, ყველაფრის ამოსავალი წერტილი იყოს ნატო და ევროკავშირი, ამას საქართველოს ინტერესები ეწირება.

**დღევანდელი რუსეთი ისეთი აღარ არის, როგორიც იყო. ძალიან პრაგმატულები გახდნენ, მათ თავიდან დაიწყეს საკუთარი ისტორიის შესწავლა და ითვალისწინებენ იმ შეცდომებს, რომლებიც ადრე დაუშვეს, ამიტომ რუსეთი ხელწამოსაკრავი ქვეყანა ნამდვილად არ არის. რუსოფობური დემონსტრაციებითა და დემარშებით, რომლითაც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მოქმედებს, ფონს ვერ გავალთ.**

**— რასაც თქვენ ამბობთ, ის ყველაფერი ძალიან კარგად იცის უსუფაშვილმა, მაგრამ მაინც ასე გამაღიზიანებლად იქცევა.**

— უსუფაშვილი დასავლური ძალების პოლიტიკური ინტერესების გამტარებელია. შესაძლებელია, მას ამის მოტივაცია აქვს და რაღაცის იმედიც. რატომ იქცევა ის ასე, ალბათ, მას უნდა ჰკითხოთ, მაგრამ ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერს გარედან უყურებს, ფიქრობს, რომ ასეთი მკვეთრი განცხადებების გაკეთება არ შეიძლება, ყოველ შემთხვევაში, ჩემი მოსაზრება ასეთია. თვით დასავლეთისა და რუსეთის შეთანხმებით ხდება ახალი წესრიგის დამყარება და, რაც უფრო უმტკივნეულოდ გადავიტანთ ამ ყველაფერს, უკეთესია.

**— ახალი წესრიგი მყარდება... ამ ახალი წესრიგის პირობებში, საქართველო, როგორც ნატოს წევრი, უფრო დარჩება რუკაზე თუ ნატოს გარეშე?**

— პოლიტოლოგი ვარ, ამიტომ ფაქტებით საუბარი მიყვარს და არა ემოციებით. პროცესები უნდა შევაფასოთ 1991 წლიდან. ეს არის დემოგრაფიული კატასტროფა, დაკარგული ტერიტორიები და ეკონომიკურად გაჩანაგებული საქართველო. რამდენიც უნდა ილაპარაკონ იმის თაობაზე, რომ საქართველოში ეკონომიკა წინ მიდის, ფაქტი სახეზეა... მოსახლეობა საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილი ფულით ცხოვრობს, ამ ფულის დიდი ნაწილი კი რუსეთიდან შემოდის...

ნატოსკენ დაუფიქრებელმა სწრაფვამ უკუშედეგი მოგვცა — საქართველო დღეს შემდგარი სახელმწიფო არ არის, ერთ პატარა ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ქვეყანაა. დეფაქტო ეს ასეა. სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ და ვაღიაროთ, რუსეთს რომ მოენდომებინა, სოხუმისა და ცხინვალის უფრო ფართო საერთაშორისო აღიარება, ძალიან კარგად მოახერხებდა. ვინმე წინააღმდეგობას გაუწევდა? მაგრამ, ალბათ, მან უკანდასახევი გზა მოიტოვა. ქართველები გონს უნდა მოვეგოთ და პათოლოგიურ ზიზღს შევეშვათ. ეს რაღაც საყმაწვილო დაავადებასავით გვაქვს. ჩვენ ისტორიას კონტექსტში არ განვიხილავთ. სამწუხაროა, რომ ქართულ ინტელიგენციას დიდი წვლილი მიუძღვის ანტირუსული ისტერიის გაღვივებაში. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კარგი და ცუდი ქვეყნები არ არსებობს, ყველა თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ჩვენც ჩვენი ინტერესები უნდა გავატაროთ და არა გარედან თავს მოხვეული.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ირაკლი ღარიბაშვილი ჯერჯერობით ამერიკის ყველა დავალებას ასრულებს, მაგრამ ამერიკელებს ურჩევნიათ, მის ადგილას ალასანია ან ბოკერია, ან სულაც უსუფაშვილი იყოს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი:

# უსუფაშვილს სამშობლო არ ადარდებს, მას მხოლოდ ფული აინტერესებს

**ამერიკის პრეზიდენტის განცხადებას, რომ საქართველო ნატოში ვერ გაწევრიანდება, ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, წაუყრუა და კვლავაც ჯიუტად აგრძელებს მოსახლეობის დარწმუნებას, რომ „ამ საქმიდან“ რაღაც გამოვა, თუმცა ბრწყინვალედ იციან, რომ ეს უშედეგოა. რის იმედი აქვს ხელისუფლებას? რატომ საუბრობენ ისევ ნატოსთან ინტეგრაციაზე? რის გადაფარვას ცდილობენ და ვისთვის არის მომგებიან ამ თემის წინ წამოწევა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი ესაუბრა.**



**— საქართველოს მთავრობას არ გააჩნია საკუთარი საშინაო პოლიტიკური კურსი, ამიტომ დამოუკიდებლობის წლებში ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრების გასაუმჯობესებლად და რადგან ამას ვერ ახერხებენ, ამიტომაც სჭირდებათ საგარეო პოლიტიკა ისეთი სახით, რომელიც მიუწვდომელია საზოგადოებისთვის. ქვეყნის შიდა პრობლემები — ეკონომიკა, ფინანსური პოლიტიკა, სოციალური ყოფა — ხელშესახებია და თითოეული ადამიანი თავის თავზე გრძნობს... საგარეო პოლიტიკა კი სულ სხვაა — ის არ ჩანს და, რადგანც არ ჩანს, მთელი ყურადღება სწორედ ამაზეა გადატანილი. ამავე დროს, ეს სატყუარაა ხალხისთვის, ამით ხელისუფლება საკუთარ ხალხს თვალს უხვევს.**

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ევროინტეგრაციის მომხრეა მოსახლეობის 85%. ის ამ თემაზე მარტო საუბრობს, მას წინ არასოდეს უზის ოპონენტი, რომელიც შეკითხვას მაინც დაუსვამს, — რა იცი, რომ 85%-ია ევროკავშირის მომხრეო.**

**საქართველოში ევროკავშირის მომხრე 85% არასოდეს ყოფილა** და დღეს, როდესაც ვითარება შეიცვალა, ამის თქმის საშულებას რა აძლევს? ეს პეტრიაშვილისეული ზრდაა. **მაია ფანჯიკიძის, ირაკლი ალასანიას, პეტრიაშვილის ტყუილები გამოწვეულია იმით, რომ ასე უნდათ ამერიკელებს და ევროპელებს.**

მიუხედავად იმისა, რომ ნატოში ჩვენი გაწევრიანების საკითხს ბარაკ ობამამ წერტილი დაუსვა, ჩვენმა ხელისუფლებამ მისი სიტყვები ეჭვქვეშ დააყენა. პრემიერი ღარიბაშვილი როდესაც ამერიკაში იმყოფებოდა, დარწმუნებული ვარ, ნატოს თემაზე საუბარი იქნებოდა, მაგრამ **ჩვენმა არც ერთმა ხელისუფალმა ხომ დიპლომატიის ენა არ იცის! ჩვენი ხელისულფლება ყოველთვის ლაპარაკობს იმას, რასაც ავალებენ, მათ მაგივრად სხვა გეგმავს.** ამიტომაც, სამწუხაროდ, არ იციან დიპლომატიის ენა. ევროპელების მიერ ჩუმად, ორი სიტყვით ნათქვამი სათქმელი ზუსტად ისე უნდა გაიგო, როგორც გითხრეს, მაგრამ ჩვენ ამის აღქმის უნარი არ გვაქვს, დაწერილის წაკითხვის უნარიც არ გვაქვს. იცით, **ჩემთვის წარმოუდგენელია, რატომ უნდა იცოდეს დიპლომატიის ენა მაია ფანჯიკიძემ, რომელიც 16 წელი საგარეო საქმეთა სამინისტროში მხოლოდ ყავის მოდუღებით იყო დაკავებული. ჭორაობაში არ ჩამომართვათ, მაგრამ მაია ფანჯიკიძის შესახებ გერმანული პრესა წერდა, რომ მას სიგიჟემდე უყვარს კაზინოში სიარული და პატარა ბიჭები.**

**ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ისევ ქიმერას სდიოს, ინტელიგენციის დიდი ნაწილი კი მათ ასეთ საქციელს ამართლებს. მიშა მართალი იყო, როცა თქვა, რომ ჩასარეცხები არიანო. საქართველოში ინტელიგენციის დონე ძალიან დაბალია. პრობლემის მოგვარება, რომლის წინაშეც ვდგავართ, ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს, მაგრამ როგორ შეიძლება თავად გაუნათლებელმა ინტელიგენციამ ასეთი მნიშვნელოვანი რამ იტვირთოს. ჩვენ პოლიტოლოგს ვუწოდებთ სოსო ცისკარიშვილს, რომელიც, ყველამ კარგად იცის, რასაც წარმოადგენს, მაგრამ სწორედ მის ხელთ არის ყველა ბერკეტი, რომ ხალხს ესაუბროს ამა თუ იმ პოლიტიკურ საკითხზე, იქნება ეს ნატო, ევროკავშირი თუ სხვა მნიშვნელოვანი რამ. პოლიტოლოგები და ექსპერტები ხალხს ატყუებენ, ეს კი დანაშაულია.** არაფრით შეიძლება, რომ ამ ვაიპოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა ხალხის განათლება და გათვითცნობიერება იტვირთონ, რადგან თითოეული მათგანი იმას გვთავაზობს, რაც ამერიკისთვის არის მისაღები. **ამერიკისთვის კი, მოგეხსენებათ, რაც უფრო დეგენერატი იქნები, მით მეტად მისაღები და მოსაწონი ხარ. ამერიკამ კარგად იცის, ჩვენისთანა ქვეყნებისთვის რა არის კარგი, ასეთ ქვეყნებს უხარიათ ორი კაპიკის სანაცვლოდ ყველაფრის დათმობა.**

**ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც გუნდრუკს უკმევენ ამერიკას? მედროვე ფანჯიკიძე და მისი სიძე ალასანია, გაუთლელი ხიდაშელი და მისი ქმარი, რომლებიც ფულის გულისთვის ხელს ყველაფერზე მოაწერენ. ხიდაშელი ევროპარლამენტში გამოვიდა და ისეთი რამ თქვა, რომ რუსეთმა ეს არ უნდა აპატიოს. ხიდაშელმა თქვა, რომ რუსეთმა დაბომბა საქართველოს ქალაქები, მან აუცილებლად უნდა დაასახელოს რომელი ქალაქები დაბომბა რუსეთმა! ამ სისულელეს ისმენს და უწონებს ევროპარლამენტი, რომლის ყველა წევრი ამერიკის გამოზრდილია, როგორც გველის წიწილები, და დაგეშილნი არიან რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინაში აშკარად ფაშისტური ნიშნები გამოიკვეთა, რომელსაც უკვე უცხოური პრესაც აღარ მალავს; ამ დროს კი ხიდაშელი, უსუფაშვილი და ა. შ. გუნდრუკს უკმევენ ამერიკას. ვაი, იმ საქართველოს, რომელსაც ასეთი ხალხი ჰყავს წარდგენილი ევროსაბჭოში.** ამერიკამ 23 წლის განმავლობაში სრულად მოახერხა დალესის დოქტრინის გატარება, თან ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის **უკრაინა, საქართველო და მოლდოვა, სამივე დაღუპვის კარზეა, მაგრამ ამ სამივე ქვეყნის ხელისუფლებას იმის იმედი აქვს, რომ ობამას შემდეგ მოვა პრეზიდენტი, რომელიც ნატოში ჩვენს ინტეგრაციას დააჩქარებს.** საქმე ის კი არ არის, ნატოში შევალთ თუ არა, ჩვენი ხელისუფლება იმაზე უნდა ფიქრობდეს, რა გვინდა ნატოში?!

**— როგორც ჩანს, ეს მთავრობა ამაზე ფიქრს არ აპირებს, მაშ, რა უნდა ვქნათ?**

— ასეთ შემთხვევაში, ხალხმა უნდა გამოთქვას აზრი, მაგრამ აქაც დილემის წინაშე ვდგავართ, რადგან ხალხი აქამდე ცისკარიშვილებმა, შარაშენიძეებმა და სხვებმა უნდა მიიყვანონ, ესენი კი ისევ და ისევ ამერიკული გობიდან ჭამენ. **აუცილებელია, ქვეყანაში ჩატარდეს რეფერენდუმი და არა პლებისციტი, თან ისე, რომ აფხაზეთმა და ოსეთმაც მიიღოს მასში მონაწილეობა.**

**ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც გუნდრუკს უკმევენ ამერიკას? მედროვე ფანჯიკიძე და მისი სიძე ალასანია, გაუთლელი ხიდაშელი და მისი ქმარი, რომლებიც ფულის გულისთვის ხელს ყველაფერზე მოაწერენ**

**სწორედ ასე გავარკვევთ, შეიძლება თუ არა საქართველოს ნატოში ყოფნა.**

არავინ ფიქრობს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ჯერ დაკარგული არ არის, რაც დაკარგულია, იმაზე, ფაქტია, ხელი აქვთ ჩაქნეული, მაგრამ სამხრეთ საქართველო? აჭარა? საშიშროებაა იმისა, რომ მარტო ქალაქი სახელმწიფო დავრჩეთ.

აბსოლუტური გოიმი კაცი — **დავით უსუფაშვილი გამოდის ევროპარლამენტში და ამბობს, ნატოს გარეშე საქართველო რუკიდან გაქრებაო. ეს სიტყვები იმის დასტურია, რომ ის საგარეო პოლიტიკის აზრზე არ არის, მაგრამ თავს უფლებას აძლევს, ამხელა ტრიბუნიდან ეს სისულელე თქვას. საქართველოს ნატოში შესვლა იქნება ბოლო წერტილი, ბოლო ლურსმანი კუბოს რომ აჭედებენ.** პარლამენტის თავმჯდომარემ ასეთი სისულელე როგორ უნდა თქვას? რუსეთი ხომ ამას ვერასოდეს შეეგუება?

**ნატოში საქართველოს გაწევრიანება დამღუპველია, იქნებ სწორედ ნატოა ამ 23 წლის განმავლობაში ჩვენი ტრაგედია, ტერიტორიების დაკარგვა სწორედ „ნატო, ნატოს“ ძახილმა გამოიწვია, შემდგომში შესაძლებელია, საკუთარი თავიც კი დავკარგოთ. ეს ღალატია, უსუფაშვილს სამშობლო არ ადარდებს, მას მხოლოდ ფული აინტერესებს. ის ამერიკელებმა კარგ ცხოვრებას დააჩვიეს, მისთვის ცხოვრება კუჭიდან იწყება, სხვა შემთხვევაში, ყველა თავის სიტყვას დაუკვირდებოდა.** ჩვენს ხელისუფლებას და საზოგადოებას აღარ ახსოვთ, რომ ცხოვრება მარტო ნატო და გარყვნილება არ არის, ცხოვრებაა სახლის აშენება, პენსიების მომატება, ხელფასების ზრდა. ჩვენ რომ ქვეყანა უნდა ვაშენოთ, აღარავის ახსოვს, დინებას მივყვებით. სულ ეს არის ჩვენი წინსვლა.

საქართველო ასეთ ვითარებაში დიდხანს ვერ გაძლებს. **პატარა ქვეყანაა სომხეთიც, მაგრამ ასე უჭკუოდ, როგორც ჩვენ ჩავაბარეთ ტერიტორიები, არასოდეს მოიქცევა. სომეხი ქვეყნის მმართველად არასოდეს აირჩევს ქართველს, როგორც ეს ჩვენ გავაკეთეთ. მოგეხსენებათ, სააკაშვილი იტალიელი არ არის.**

თავად ევროპელებსაც ჩვენ რომ არ ვაინტერესებთ და ჩვენი კეთილდღეობა, ნათლად ჩანს, უბრალოდ, მათ იმ პროგრამებში, რომლებსაც საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში ახორციელებენ, ბევრი ფული რჩებათ. ხელისუფლებასაც აჭმევენ და თავადაც კარგად სარგებლობენ. არადა, ეს ფული ძალიან მოუხდებოდა ჩვენს გაუბედურებულ ყოფას.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, **განგაშის ზარს რომ შემოჰკრას, ისეთი ადამიანი ქვეყანას არ ჰყავს. მასებს სიმართლეს რომ ეტყვის, ისეთი ადამიანი არ გამოჩნდა.**

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკელებს მოსწონთ ირაკლი ღარიბაშვილი? თქვენ მისი სახელი არ გიხსენებიათ...**

— ირაკლი ღარიბაშვილი ჯერჯერობით ამერიკის ყველა დავალებას ასრულებს, მაგრამ ამერიკელებს ურჩევნიათ, მის ადგილას ალასანია ან ბოკერია, ან სულაც უსუფაშვილი იყოს. თუმცა ვიდრე ღარიბაშვილი ივანიშვილის ყველა დავალებას ასრულებს, ამერიკას პრემიერი მოეწონება. ივანიშვილიც ხომ პირწავარდნილი მედასავლეთეა. ინტელიგენცია რომ თავის დონეზე მდგარიყო და ივანიშვილის ფულით არ გამოკვებილიყო, ხალხს სიმართლე ეცოდინებოდა.

**«მაია ფანჯიკიძის შესახებ გერმანული პრესა წერდა, რომ მას სიგიჟემდე უყვარს კაზინოში სიარული და პატარა ბიჭები»**



ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ქართულ ჯარში 70% ისევ „ნაციონალები“ არიან. ამაში შედიან სარდლებიც და ოფიცრებიც, ამიტომ ძალიან სერიოზულად არის ეს ფაქტორი გასათვალისწინებელი. ჯარი გასაწმენდია. ამ დრომდე ქართული ჯარი გიგი კალანდაძის გავლენის ქვეშ არის და დღემდე ახალაიას უსმენენ.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ტრისტან წითელაშვილი:

# თუ სააკაშვილმა ამბოხების მოწყობა გადაწყვიტა, ჯარი, შესაძლოა, მთავარსარდალს არ დაემორჩილოს

**ევრომაიდნის საქართველოში გადმოტანის შესაძლებლობაზე და „ნაცების“ ამ მიმართულებით მუშაობაზე ერთ-ერთი პირველი სწორედ გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ წერდა. მალევე გაირკვა, რომ კიევში მომიტინგეებს შორის ქართველებიც იყვნენ, იყვნენ დაღუპულებს შორისაც. მოგვიანებით ფაქტების მოძიებაც მოხერხდა და აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი დაღუპული დავით ყიფიანი „ნაცების“ მხარდამჭერი ორგანიზაციის — „თავისუფალი ზონის“ წევრი ყოფილა. გენერალ-მაიორმა ტრისტან წითელაშვილმა კი პროკურატურას მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კიევში ევრომაიდანზე დაქირავებულ სნაიპერებს შორის ოთხი ქართველი იყო. ის, რომ ევრომაიდანზე ოპოზიციის მიერ დაქირავებული სნაიპერები მოქმედებდნენ, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა თავის განცხადებაში პირდაპირ აღიარა. ტრისტან წითელაშვილის მიერ სააშკარაოზე გამოტანილმა ფაქტებმა ბევრი ადამიანის გაღიზიანება გამოიწვია, მათ შორის „გენერალთა კლუბის“ წევრების.**
**„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გენერლისგან დეტალური ინფორმაცია მოეპოვებინა, თუმცა მასთან საუბარში ძალიან ბევრი საინტერესო და, ცოტა არ იყოს, საშიში ინფორმაციაც მივიღეთ.**



**კიევში სევასტოპოლის მოედანზე, უშინსკაიას ქუჩაზე ქართველებს ოფისი ჰქონდათ დაქირავებული. სწორედ იქიდან ხდებოდა ქართველი ზონდერების მართვა**

**— ბატონო ტრისტან, რამდენიმე დღის წინ სკანდალური განცხადება გააკეთეთ, რამაც ბევრი ადამიანის გულისწყრომა გამოიწვია, მათ შორის, „გენერალთა კლუბისაც“.**

— **არ ვიცი, რატომ გაბრაზდნენ „გენერალთა კლუბის“ წევრები. რაში შეეპარათ ეჭვი? მათ ამ საქციელით, ძალიან რბილად თუ ვიტყვი, თვითლუსტრაცია მოახდინეს. გივი თარგამაძისა და გია ბარამიძის ხსენებამ ასე რატომ გააღიზიანათ? 2010 წელი გავიხსენოთ. სააკაშვილის ხელისუფლებამ ასეულობით ადამიანი უკრაინაში არ ჩაიყვანა? ის მაშინ პირდაპირ იძლეოდა დავალებას, რომ, თუ მათი სასურველი კანდიდატი არ გაიმარჯვებდა, ყველა საარჩევნო უბანზე არეულობა უნდა გამოეწვიათ. ამ საქმეში აქტიურად იყო ჩართული ის ორი პიროვნება, რომელთა ხსენებამაც „გენერალთა კლუბის“ წევრები გააღიზიანა. ამაზე ვინმე შემომედავება?** მაშინ უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობაც დაიძაბა. ასე არ არის? მიშას და მის ხელისუფლებას იმ ქვეყანაში დასაყრდენი ძალა აღარ ჰყავდათ.

**— უფრო დეტალურ ინფორმაციას ხომ ვერ მეტყვით, ისეთს, რომლის გადამოწმებასაც დაინტერესებული ადამიანები მარტივად შეძლებენ? მაგალითად, მისამართს, თუ სად იკრიბებოდნენ ქართველები?**

— ვიდრე ევრომაიდანზე ეს ამბები დაიწყებოდა, საქართველოს წარმომადგენლობას შტაბი უკვე დაქირავებული ჰქონდა.

**— საიდან ფლობთ ამ ინფორმაციას?**

— არასოდეს დამიმალავს, რომ ინფორმაციას, რომელსაც უკრაინიდან ვიღებ, ჩემი მეგობრები მაწვდიან. ხუთი წელი ვწავლობდი კიევის სამხედრო აკადემიაში.

**— ბატონო ტრისტან, კონკრეტულად მისამართს ხომ ვერ გვეტყვით, თუ სად მდებარეობდა ეს ოფისები?**

— **დიახ. კიევში სევასტოპოლის მოედანზე, უშინსკაიას ქუჩაზე ქართველებს ოფისი ჰქონდათ დაქირავებული. სწორედ იქიდან ხდებოდა ქართველი ზონდერების მართვა. საქართველოდან გაგზავნილები ორი კვირით ადრე ემზადებოდნენ არეულობისთვის.** ეს ფაქტია და ამის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს ვაცნობეთ. სახელებს ახლა ვერ გეტყვით, რადგან ეს ძიების პროცესს ხელს შეუშლის. **კიევში არამარტო სნაიპერები იყვნენ წარგზავნილები, არამედ მომიტინგეებს შორისაც იყო ბევრი ქართველი, რომლებიც პროვოკაციებს აწყობდნენ. ამის შესახებ მთელი მსოფლიო საუბრობს, არსებობს კადრები იმისა, რომელზეც აღბეჭდილია, კიევში სამართალდამცავის ფორმაში გამოწყობილი ქართველი ზონდერი ინტერვიუს რომ იძლევა.**

სააკაშვილმა ასეთი გამოხდომებით ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრი დააკარგვინა. სწორედ მის კისერზეა აგვისტოს ომის ცოდვა და ისიც, რომ აფხაზეთისა და ოსეთის აღიარება მოხდა. იმედი მაქვს, რომ სააკაშვილს იქაც ისე უყურებენ, როგორც ავადმყოფს და გაუწონასწორებელ ადამიანს. მინდა ვიფიქრო, რომ ამას რუსეთის მთავრობა დიდ ყურადღებას არ მიაქცევს, თანაც სააკაშვილის ასეთი საქციელი მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ არის მიმართული.

**— ბატონო ტრისტან, როგორც სპეციალისტს, გეკითხებით, რა შეუძლია 58-ე არმიას?**

— თუ მოინდომეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაიძრან, ჩვენ ვერაფერს გავხდებით, მათ აქვთ საუკეთესო აღჭურვილობა და უმაღლეს დონეზე არიან გადამზადებულნი. არ აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს 58-ე თუ 38-ე, ქართველები ნებისმიერი არმიის წინაშე უძლურები ვართ, ღმერთმა დაიფაროს, რამე მოხდეს. ეს სააკაშვილს სურს.

ნებისმიერი ჩვენი სიტყვა თუ მოქმედება უნდა ავწონდავწონოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამერიკის პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომ გვერდით ვერ დაგვიდგება, ის არ დაეხმარა არც უკრაინას. ამერიკამაც და ევროპამაც კარგად იციან, რა ძალა და შესაძლებლობა აქვს რუსეთს, ამიტომ ამ უდიდეს სახელმწიფოსთან ურთიერთობის დაბალანსებას ცდილობენ. ამ დროს კი საქართველო პროვოკაციებს აწყობს.

**— ცხინვალის ტერიტორიაზე რუსეთს ტექნიკა ჰყავს სახელწოდებით „ტოჩკა უ“ და „ისკანდერი“...**

— **„ტოჩკა უ“ და „ისკანდერი“ უძლიერესი საბრძოლო იარაღია. „ისკანდერს“ ნებისმიერ წერტილში შეუძლია ნებისმიერი სამიზნის განადგურება. ამ იარაღების გარდა, რუსეთს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში უკვე C-300-ები აქვთ განთავსებული.**

რუსეთის არმია ხელწამოსაკრავი არ არის. თქვენ გახსოვთ, ალბათ, აგვისტოს ომის შედეგ ჩვენი ხელისუფლება რომ ამბობდა, ჩამოწერილი ტექნიკით შემოვიდნენო, ეს მართალი იყო, **რუსები მართლაც ჩამოსაწერი ტანკებით შემოვიდნენ და ჩვენ მოდერნიზებული T-72 თანამედროვე ტექნიკა გაგვინადგურეს და უკან დაგვახევინეს. ამის დამადასტურებელი კადრებიც არსებობს.**

**— ფაქტია, რომ დღეს საქართველო გარკვეული საშიშროების წინაშე დგას. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი პროვოკაციის მსხვერპლნი გავხდით, მოხდა სასწაული და რაღაც ფორმით ომში ჩაბმა მოგვიწია, ასეთ შემთხვევაში, ქართული არმია სანდოა? ხომ არ არის საშიშროება, რომ მათ „ნაციონალების“ ბრძანება შეასრულონ?**

— **ქართულ ჯარში 70% ისევ „ნაციონალები“ არიან. ამაში შედიან სარდლებიც და ოფიცრებიც, ამიტომ ძალიან სერიოზულად არის ეს ფაქტორი გასათვალისწინებელი. ჯარი გასაწმენდია. ამ დრომდე ქართული ჯარი გიგი კალანდაძის გავლენის ქვეშ არის და დღემდე ახალაიას უსმენენ.**

**— ანუ შესაძლებელია, რომ ჯარმა მთავარსარდალს უღალატოს?**

— ამაში დარწმუნებულები იყავით, **თუ სააკაშვილმა პროვოკაციის მოწყობა გადაწყვიტა, ჩათვალეთ, რომ ყველა მის მხარეს იქნება — ოფიცრები, სარდლები და ბევრი სხვაც. ჯარი, შესაძლოა, მთავარსარდალს არ დაემორჩილოს.**

**— ბატონო ტრისტან, თქვენი გენერლობა „გენერალთა კლუბმა“ ეჭვქვეშ დააყენა. მათ თქვენი ბეგრაუნდი აინტერესებს.**

— არ ვიცი, ჩემმა განცხადებამ ასე რატომ გააღიზიანათ. ვიდრე პირში სული მიდგას, ვიბრძოლებ იმისთვის, რომ „ნაცები“ გავანადგურო; სააკაშვილი, როგორც ყაჩაღური დაჯგუფების მეთაური, ჰააგის სასამართლოში უნდა გასამართლდეს. მუდამ ვეცდები, ვეძებო ფაქტები ამ დამნაშავეების გასანადგურებლად. სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლაში ბევრმა უკან დაიხია და ამის მიზეზი ისაა, რომ „ნაცებს“ კომპრომატები აღმოაჩნდათ. რაც შეეხება ჩემს ბიოგრაფიას, 1993 წლიდან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ვმსახურობდი; 1998 წელს კი სასწავლებლად უკრაინაში წავედი და კიევის სამხედრო აკადემია დავამთავრე, სადაც გენერალ-მაიორის საპატიო წოდება მომენიჭა.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

მოკლედ

## არქიეპისკოპოსმა სახლის მშენებლობაზე 2,2 მლნ დახარჯა



**უილტონ გრეგორიმ — ჯორჯიის შტატის რომის კათოლიკური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა — ძვირად ღირებული სახლის მშენებლობის გამო კათოლიკეთა მწვავე კრიტიკა დაიმსახურა.** ატლანტაში მცხოვრები არქიეპისკოპოსის სახლი 2,2 მლნ დოლარად არის შეფასებული. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და კომფორტისკენ სწრაფვა ეწინააღმდეგება რომის პაპის — ფრანცისკის პოზიციას, რომელიც სასულიერო პირებს მოკრძალებული ცხოვრებისკენ მოუწოდებს. საზოგადოებრივი აზრის ზემოქმედებით, მღვდელმსახურმა სახლის გაყიდვა გადაწყვიტა.

2013 წელს არჩეული რომის პაპი ფრანცისკი თავისი მაგალითით ცდილობს, სასულიერო პირებს მომხვეჭელობაზე უარი ათქმევინოს. ის ძვირად ღირებული ავტომობილით არ დადის, უბრალო სასტუმროში ცხოვრობს და არა ვატიკანის სასახლეში. ამა წლის მარტში კათოლიკური ეკლესიის მეთაური დაეთანხმა გერმანელი ეპისკოპოსის — ფრანც-პეტერ ტებარტ ვან ელსტის გადადგომას, რომელმაც თავისი რეზიდენციის აშენება-მოწყობაზე 42 მლნ დოლარი დახარჯა.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბილდტს სრული საფუძველი აქვს შეშფოთებისთვის, რადგან ბოკერიას პროკურატურაში კითხვები უშიშროების საბჭოს მიერ გაწეულ ხარჯებზე, მათ შორის ლობისტებზე დახარჯულ თანხებზე, დაუსვეს. ერთ-ერთი ყველაზე მსუყედ დაფინანსებული ლობისტი კი სწორედ ბილდტია.**

# რა აშფოთებთ სააკაშვილის უცხოელ მფარველებს — ფული თუ ქართული დემოკრატია?

**სააკაშვილმა და „ნაცმოძრაობამ“ წლების მანძილზე იმდენი ფული ჩაყარეს ლობისტურ კომპანიებში, იმდენი ევრო-ამერიკელი მაღალჩინოსანი მოქრთამეს და მოისყიდეს ოფიციალურად (ლობისტური კომპანიების მეშვეობით) თუ არაოფიციალურად, რომ საქართველოს კიდევ დიდხანს ექნება თავსატეხი და მომავალშიც არაერთხელ მოგვიწევს, „გულდამწვარი ჭირისუფლების“ მოგერიება.**



პროკურატურამ როგორც კი განაცხადა, ექსპრეზიდენტ სააკაშვილთან შეკითხვები გვაქვს, მოწმედ უნდა დავკითხოთო, „ნაცმოძრაობის“ მამები, დედები, მამიდები და დეიდები მაშინვე აწრიალდნენ. ყველამ კარგად იცის, რომ პროკურატურის გამომძიებლის წინ მჯდომ სააკაშვილს სამი წინადადებიდან ორისთვის ბრალი უნდა წაუყენონ. მართალია, ვირთხის ფსიქოლოგია აქვს და ნებისმიერი სიტუაციიდან ცდილობს თავის დაძვრენას, მაგრამ ამჯერად ნამდვილად ვერ მოახერხებდა ყველაფრის თანამზრახველებზე გადაბრალებას. ეს თანამზრახველებიც დაფეთდნენ, — სააკაშვილის ცხოველურ ინსტინქტს კარგად იცნობენ, იციან, რომ თავის გადასარჩენად ნებისმიერს გაწირავს, ამიტომაც იქით სააკაშვილმა და აქეთ „ნაცმოძრაობის“ დროებით გისოსებს გადარჩენილმა ლიდერებმა აამუშავეს გავლენიან ნაცნობ-მეგობართა წრე და HELP ME სიგნალი გაუშვეს მსოფლიოში.

პასუხმაც არ დააყოვნა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოსნებმა, მათთვის წმინდათაწმინდა „უიკენდის“ მიუხედავად, საგანგებო განცხადებაც აფრინეს სტრატეგიულ საბატონოში.

**„შეერთებული შტატები შეშფოთებულია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით, დაკითხვაზე დაიბაროს საქართველოს პრეზიდენტი რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეზე. არავინაა კანონზე მაღლა, მაგრამ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმის ერთდროული დაწყება ყოფილი პრეზიდენტის მონაწილეობით ლეგიტიმურ შეშფოთებას აჩენს პოლიტიკური ანგარიშსწორების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტები ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაშია. როგორც ირაკლი ღარიბაშვილთან უმაღლეს დონეზე შეხვედრისას ითქვა, შეერთებული შტატები მოუწოდებს საქართველოს ლიდერებს, ქართველი ერის ენერგია მომავალს, ძლიერ ეკონომიკას, მართლმსაჯულების სექტორის შემდგომ რეფორმირებას და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით სწრაფ პროგრესს მოახმაროს,“** — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

**თუ კანონზე მაღლა არავინაა, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენ საქმეზე დაკითხავენ ექსპრეზიდენტს? მიზეზად ჯერ კიდევ მყიფე სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტების მოხმობას კი ჯობდა, მათი ფავორიტი სააკაშვილისთვის ეკითხათ, რატომ არის ეს ინსტიტუტები მისი 9-წლიანი მმართველობის შემდეგაც კი „ჯერ კიდევ მყიფე“? ეს ის სამართლებრივი და სასამართლო ინსტიტუტებია, რომლებითაც სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ ამაყობდნენ და საკუთარ მიღწევად ასაღებდნენ; იგივე ამერიკელები ტაშს უკრავდნენ ამ მიღწევას, ახლა კი უცებ აღმოაჩინეს, რომ ის, რაც ორი წლის წინ მტკიცე იყო, სინამდვილეში მყიფე ყოფილა.**

თავი დაანებეთ სამართლიანობის დამკვიდრებას! — ეს არის ამერიკელების მოთხოვნა და მითითებაც (როგორც ნაცდეპუტატმა ზურაბ ჯაფარიძემ განაცხადა). აშშ მთელ მსოფლიოში ორმაგ სტანდარტებს ამკვიდრებს და რა გასაკვირია, რომ საქართველოს შემთხვევაშიც ასე იქნება.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ **შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი** შარშან „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ირიბ მუქარასაც არ ერიდებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა სააკაშვილი პრეზიდენტობას დაემშვიდობა. თუ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყება, შესაძლოა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მოვლენები იმაზე უარესად განვითარდეს, ვიდრე იულია ტიმოშენკოს შემთხვევაშიო, — ბილდტი, ალბათ, სააკაშვილისთვის ტიმოშენკოს საფირმო „კოსის“ მორგებას ანდა სულაც მის ოსტეოქონდროზს არ გულისხმობდა, რომლისგანაც უკრაინელი „ტანჯულა“ ამერიკის საელჩოში „სასწაულებრივად განიკურნა“ და გაიორინინა.

თუმცა ეს ყველაფერი სულ ახლახან მოხდა, ბილდტმა კი შარშანდელი საგანგებო სტუმრობისა და 23 ოქტომბერს პოლონელ კოლეგასთან, რადოსლავ შიკორსკისთან ერთად ქვეყნის მაშინდელ პრემიერთან, ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ შთაბეჭდილებები ჟურნალისტს გაუზიარა:

**„ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვუთხარით ბატონ ივანიშვილს, რომ, თუ ამ საქმეს წამოიწყებს, საქართველოს საგარეო პოლიტიკა, შეიძლება ითქვას, ამ ერთი საკითხით შემოიფარგლება მომდევნო რამდენიმე წელი, რაც ზიანს მიაყენებს ქვეყნის განვითარებას“,** — განაცხადა სააკაშვილის „მფარველმა ანგელოზმა“ და იმაზეც გაამახვილა ყურადღება, რომ საქართველოში არსებობს „შურისძიების პოლიტიკის“ საფრთხე. **„თუ არის საქმეები, რომლებიც სასამართლოში განიხილება – წესიერ სასამართლოში, — ეს ერთია! მაგრამ, როცა გვაქვს პოლიტიკური ასპექტები, ხალხი დაკავებული გყავს საკმაოდ დიდი ხნით, სასამართლოში საქმის განუხილველად, ამას შურისძიების პოლიტიკის სუნი უდის და ეს არ არის გამართლებული გზა“,** — განაცხადა კარლ ბილდტმა „რადიო თავისუფლებისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ამ შემთხვევაში უნდა დავეთანხმოთ კარლ ბილდტს, მისგან განსხვავებული მოტივაციის მიუხედავად. შურისძიების პოლიტიკის სუნი რომ არ ასდიოდეს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების დაკავებას, ამისთვის საჭირო, ხელისუფლებამ უფრო მოქნილად იმუშაოს და სალაპარაკო აღარ დაუტოვოს არც ადგილობრივ გარეწრებს და არც უცხოელ წუწკებს: **საჭირო პათოლოგების დასჯა არა წვრილმანი დანაშაულისთვის, და თანაც ზედაპირულად გამოძიებული საქმეების სასამართლოში წარმართვითა და იქ გამამართლებელი განაჩენების მოსმენით, არამედ სწორედ იმ ბრალდებით, რომელთა შესახებაც ყველამ იცის და მოწმეების მონახვაც არ არის რთული. ხელისუფლება კი თითქოს, ქართველი ხალხის კი არა, ვიღაც გადამთიელების არჩეული იყოს, მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილ გაფრთხილებებსა და მითითებებს ისმენს და ქართველი ხალხისთვის ყურიც დაიხშო და გონებაც.**

ამიტომაც აღარ იყო გასაკვირი, რომ, როგორც კი დაიბარეს ექსპრეზიდენტი სააკაშვილი პროკურატურაში, იქვე ზღაპრული ჯინივით გაჩნდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი: **„როდესაც ბოლოს თბილისში ვიყავი და შევხვდი ბატონ ივანიშვილს, ჩვენ შევთანხმდით, რომ რევანშის პოლიტიკა დასრულდებოდა, რადგან ასეთი მიდგომა ძალიან საზიანოა საქართველოსთვის. რევანშის პოლიტიკას არ აქვს მომავალი ევროპაში. ასეთი ტენდენცია ძირს გამოუთხრის საქართველოს სანდოობას და მისი, როგორც წარმატებული ქვეყნის, განვითარებას“.**

მხოლოდ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბილდტი, არც ერთ სხვა პოლიტიკოსს არ გაუკეთებია განცხადება, თუნდაც ოდნავ კრიტიკული მაინც საქართველოს ხელისუფლების მიმართ; არც ბრიტანელი, არც ფრანგი, არც გერმანელი და არც სხვა რომელიმე ქვეყნის გავლენიანი წარმომადგენელი შეშფოთებულა, რატომ უნდა დაკითხოთ სააკაშვილიო. ყველამ კარგად იცის, რომ, როცა სამართალდამცავ ორგანოში იბარებენ ყოფილ თუ მოქმედ მაღალჩინოსანს, იგი ვალდებულია, გამოცხადდეს და უპასუხოს დასმულ შეკითხვებს, და თუ დანაშაული გამოვლინდება, პასუხიც აგოს! ასე ხდება ევროპის განვითარებულ დემოკრატიებში და არამხოლოდ იქ, მაგრამ ზოგიერთი ევროპელისთვის და განსაკუთრებით აშშ-ისთვის ჩვენ ჩამორჩენილი და ველური ქვეყანა ვართ, ჩვენთან შეიძლება 9 წელი ავტორიტარული და თანაც პათოლოგიური მმართველობა იყოს და არა უშავს, უნდა დავივიწყოთ და მომავალზე ვიფიქროთ თურმე.

**ხელისუფლებაც თვალებში შესციცინებს „ბილდტებს“ და სამართლიანობის დამკვიდრებას აჭიანურებს. ალბათ, ჰგონია, რომ საქართველოში ვინმეს დაავიწყდება ის საშინელება, რასაც „ნაციონალური“ პათოლოგია ჰქვია და, თუ ასე გაგრძელდა, მერე უკვე ვეღარც ევროშეშფოთება დააოკებს იმედგადაწურულ ხალხს და ვეღარც ამერიკელების აღშფოთება — ერთიანად წალეკავს ყოფილ და ახლანდელ მმართველებს.**

მანამდე კი, საქართველოში სამართლიანობის დამკვიდრების პროცესთან დაკავშირებით, შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, საქართველოში ყველაზე წუწკ ევროპელად ცნობილი კარლ ბილდტი საუბრობს არა „შურისძიების პოლიტიკაზე“, არამედ უკვე რევანშისტულს უწოდებს იმას, რასაც ქართველი ხალხი უკვე წელიწად-ნახევარია მოითხოვს. ალბათ, სხვებიც არიან, მაგრამ ბილდტი ყველაზე მეტად აქტიურობს, ექსპრეზიდენტ სააკაშვილის დაცვიდან უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივნის — გიგა ბოკერიას დაცვაზე გადაერთო: **„ხელისუფლების რევანშის პოლიტიკა არ შეესაბამება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გარემოს,“** — დაწერა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ტვიტერზე“.

**ბილდტს სრული საფუძველი აქვს შეშფოთებისთვის, რადგან ბოკერიას პროკურატურაში კითხვები უშიშროების საბჭოს მიერ გაწეულ ხარჯებზე, მათ შორის ლობისტებზე დახარჯულ თანხებზე დაუსვეს. ერთ-ერთი ყველაზე მსუყედ დაფინანსებული ლობისტი კი სწორედ ბილდტია.** ბოკერია პირადად აგვარებდა ლობისტების დაფინანსების საკითხებს — ბევრი მათგანისთვის „უცია პატივი“, ათეულობით მილიონი დოლარის ნაკადებს სწორედ უშიშროების საბჭოს მდივანი აძლევდა მიმართულებას. ბოკერიას, ისევე, როგორც სააკაშვილის ალაპარაკებამ რა შეიძლება გამოიწვიოს ბრიუსელშიც და ვაშინგტონშიც, სულაც არ არის ძნელი წარმოსადგენი. **სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ რომ ყოველწლიურად ათეულობით მილიონს ხარჯავდა საკუთარ პიარზე, ეს ყველამ იცის. ბილდტის ყოფილ კომპანიასთან გაფორმებული 5-წლიანი კონტრაქტი კი საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს 40 მილიონი დაუჯდა. ბუნებრივია, ბილდტი და მისი კომპანია დაიცავენ სააკაშვილს და მის თანამზრახველებს** (ამ თანამზრახველებს შორის არიან უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია — გიგა მანდელად მონათლული მისივე მანდილოსანი „კნეინას“ მიერ, რომელიც ჯოჯოხეთის მოწყობით დაგვემუქრა (მეტი რაღა, შენი სულისა, მეტი რაღა! ეს ჯოჯოხეთი უკვე ვნახეთ!) და თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა — იგივე გიგი ჰაველი!) **მით უმეტეს, რომ არც უარყოფენ, რომ სწორედ ეს კომპანია იყო ნაცპათოლოგების „დამატებითი ხელი“ ევროსტრუქტურებში.** წარმოიდგინეთ, რა თანხები იხარჯებოდა მხოლოდ იმაში, რომ ავტორიტარი მმართველები „გაეპრავებინათ“ და ის, რასაც ჩვენ ვაპროტესტებდით, ევროპელი პოლიტიკოსებისა და ევროსტრუქტურებისთვის შელამაზებულ-შეფერადებული მიეწოდებინათ მედიის საშუალებით.

**ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ ასეთია თამაშის წესები — ევროჩინოსნები საიდანღაც მოდიან, ეს „საიდანღაც“ კი ხშირად სწორედ ლობისტური კომპანიებია. ისინი ერთმანეთის კლიენტების ბინძურ უკანალებს თვალს არიდებენ და ამისთვის მილიონები ილექება მათი კომპანიების ანგარიშებზე. ჩვენ კი გვგონია, რომ დიდი გულშემატკივრე-** ▶

## ახლა ეს აქცია მოიფიქრეს და რუსეთის წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში გამოყავთ. რა უნდათ? რა არ ასვენებთ? არ ასვენებთ ის, რომ მოხვეჭილი თანხის დაკარგვა არ უნდათ, ვიღაცა ვიღაცის დავალებას ასრულებს, ამასობაში კი ქვეყანა გველუპება და თავზე გვენგრევა.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბი გვყავს ამერიკასა და ევროპაში! და თუ ასე არ არის, რა რჯის კარლ ბილდტს, რა საქართველოს სიყვარული აუტყდა, წელიწადში ორჯერ ჩამოსვლა და სააკაშვილის ხელისუფლების მხარდაჭერა რომ არ ეზარებოდა?! ახლა რაღა აწუხებს, ასე გულდათუთქული რომ იცავს პათოლოგს მართლმსაჯულებისგან? იქნებ შვედეთი და საქართველო სტრატეგიული პარტნიორები არიან ანდა სულაც ისტორიული მეგობრები?

**ყველაფერი ყარს, საშინლად ყარს ფულის სუნით! იმ ფულის, რომელსაც სააკაშვილი და მისი თანამზრახველები ქართველი ხალხის სისხლში ალბობდნენ!**

ასევე შეშფოთებულია **ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის სპიკერი — ჯონ ბეინერი,** რომელმაც განცხადება გაავრცელა გიგა ბოკერიას დაკითხვაზე დაბარებასთან დაკავშირებით. ბეინერმა ბოკერიას პროკურატურაში დაბარება საქართველოს მთავრობის მხრიდან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ოპოზიციის ლიდერების სამართლებრივ დევნად და მათზე ზეწოლად შეაფასა.

ალბათ, ბევრს აღარ ახსოვს ბეინერის 2012 წლის 6 ოქტომბრის განცხადება, რომელითაც აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სპიკერი საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას ეხმიანებოდა. **„ვულოცავ ქართულ ოცნებას არჩევნებში გამარჯვებას და მადლობას ვუხდი ჩემს მეგობარს, პრეზიდენტ სააკაშვილს იმ როლისთვის, რომელიც მან ითამაშა საქართველოში დემოკრატიის ხელშეწყობის კუთხით. გამოვხატავ პატივისცემას პრეზიდენტ სააკაშვილის მინისტრთა კაბინეტის მიმართ, რომლებიც ახლა თავიანთ პოზიციებს ტოვებენ, როგორც ეს კონსტიტუციაშია გაწერილი. ასევე მათ მიმართ, ვინც ამ პოსტებს დაიკავებს.**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისევე, როგორც სხვაგან, საერთაშორისო საზოგადოებაში, პრეზიდენტი სააკაშვილი თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის მებრძოლადაა აღიარებული მისი შესანიშნავი მიღწევების გამო საქართველოში. მე მინდა, საუკეთესო ვუსურვო მას, მათ, ვინც მასთან ერთად ემსახურებოდა საქართველოს. ასევე, მათ, ვინც მომავალში მოემსახურება“,** — წერდა ბეინერი.

**ახლა იმის გარკვევაღა გვრჩება, რომელ ლობისტურ კომპანიაში აქვს ინტერესები სპიკერ ბეინერს, და ყველაფერი ცხადი გახდება. ასე რომ არ იყოს, აბა, სად გაგონილა, ვის სმენია მისი მეგობრის, სააკაშვილის, თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლა?! ანდა რა დემოკრატიის ხელშეწყობაზე საუბრობს, რა შესანიშნავი მიღწევები ჰქონდა — ციხის არადანიშნულებისამებრ გამოყენება თუ დიდი მიღწევაა, იქ ჰყავთ და მიებარონ, მასტერკლასებს ჩაუტარებს!**

**ბონდო მძინარაშვილი**

# გელა ხუციშვილი: ქართული ჯარი ძალიან სუსტია, მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი მას არ გააჩნია



**13 აპრილს საქართველოს დედაქალაქში „ნაციონალებისა“ და 115 არასამთავრობო ორგანიზაციის პატრონაჟით რუსოფობური აქცია გაიმართა, რომელზეც სიტყვით ქვეყნის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც გამოვიდა. დიპლომატები, პოლიტოლოგები და სამხედრო ექსპერტები აქციას, როგორც პროვოკაციას, ისე აფასებენ. თუ სახელმწიფო შეგნებულად და მიზანმიმართულად მიდის პროვოკაციაზე, ასეთ შემთხვევაში, რისთვის უნდა იყოს მზად? შეუძლია თუ არა ჩვენს ქვეყნას წინააღმდეგობის გაწევა და რამდენად მზადყოფნაშია ქართული ჯარი? ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „საქართველო და მსოფლიო“ რეზერვის ყოფილ პოლკოვნიკსა და სასაზღვრო ჯარების სარდლის ყოფილ მოადგილეს — გელა ხუციშვილს ესაუბრა.**



**— რუსეთი პოზიციებს არ თმობს, ამ დროს კი საქართველოში „ნაცმოძრაობა“ და ევროდიპლომატები ანტირუსულ მიტინგს აწყობენ...**

— მსოფლიოში ცივილიზაციათა დაპირისპირება დაიწყო, ჩვენ კი ნატოში გვინდა. ამ ვითარებაში **ავღანეთი მახსენდება, როდესაც ამინი ჩავიდა ამერიკაგამოვლილი, დაიწყო „ნატონატოს“ ძახილი და რუსეთმა ავღანეთი დაიკავა. რა მოხდა უკრაინაში, ამასაც ძალიან კარგად ვხედავთ... ეს ყველაფერი ერთ ქართულ ანდაზას მახსენებს: „გააქეზეს მურია და შეაჭამეს მგელსაო“... ქადილის უნარი არ შეგვწევს და არ უნდა დავიქადნოთ.**

ქართველებმა ჭკუას უნდა მოვუხმოთ. ორი კლასიკური მაგალითი გვაქვს წინ: ერთი — 2008 წლის ომი და მეორე — უკრაინა, თანაც ყველას გვეგონა, რომ ევროპა და ამერიკა უკრაინას არ დათმობდნენ. **ფაქტი ერთია: სახელმწიფოს არ უნდა ჰყავდეს არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მეგობრები, მას უნდა ჰქონდეს მუდმივი ინტერესები. საქართველოსთვის, რაც მუდმივი დავის საგანია, არის ტერიტორია, მიწა, ამიტომ ამოსავალ წერტილად ტერიტორიის შენარჩუნება უნდა განვსაზღვროთ; არ გვექნება ტერიტორია, აღარ ვიქნებით ერი.**

ხისტი პოლიტიკა, რომელიც, ცხრა წელიწადია, მიმდინარეობს, უნდა შევარბილოთ, სატყუარებს აღარ უნდა წამოვეგოთ.

**იყო დრო, როდესაც ჩვენს კონსტიტუციაში ეწერა: არც ერთ პოლიტიკურ სამხედრო გაერთიანებაში ქვეყანა არ მონაწილეობს, რომელიც მიმართულია მესამე ქვეყნის წინააღმდეგ. სად გაქრა ეს მუხლი, არ ვიცი.**

ვინმე რამეს გვაძალებს? გვინდა ნატოში შესვლა, მაგრამ ვინ გვიშვებს? შესაძლებელია, რომ სულ ცალმხრივი სურვილები გვქონდეს? ქვეყანა თავზე გვემხობა და, დაპირების გარდა, ვერაფერს ვიღებთ.

**ძალიან მეშინია კარს მომდგარი არჩევნების, რადგან ვითარება დაძაბულია და უფრო მეტად დაიძაბება. ჩვენ ვხედავთ, რომ პატარ-პატარა კერებს ქმნიან, ახლა ეს აქცია მოიფიქრეს და რუსეთის წინააღმდეგ ხალხი ქუჩაში გამოყავთ. რა უნდათ? რა არ ასვენებთ? არ ასვენებთ ის, რომ მოხვეჭილი თანხის დაკარგვა არ უნდათ, ვიღაცა ვიღაცის დავალებას ასრულებს, ამასობაში კი ქვეყანა გველუპება და თავზე გვენგრევა.**

იმის ნაცვლად, რომ შევიმუშავოთ სტრატეგია, როგორ გადავარჩინოთ სამშობლო და ტერიტორია, სისულელეებს ჩავდივართ. არავის ესმის, რომ ეს უპირველესი საზრუნავია, ვიდრე ტერიტორია იარსებებს, მანამ ჩვენ სულ გავმრავლდებით, სულ შევივსებით.

**— როდესაც სახელმწიფო ასეთ მიზანმიმართულ პროვოკაციებზე მიდის, ქვეყანაში, ალბათ, ყველაფერი მზადყოფნაში და მობილიზებული უნდა იყოს. ქართული ჯარი მზადყოფნაშია?**

— **არმია არაფრისთვის არ არის მზად. ქართულ ჯარს მხოლოდ მიტინგების დარბევა შეუძლია, მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი მას არ გააჩნია. ქართული ჯარი ერთ დროს ძლიერი იყო, მერე 19 ათას ჯარისკაცამდე დავიდა, რაღაც დროს 24 ათასი გახდა. დღეს ქართული ჯარი ძალიან სუსტია;** ჩვენ, საზღვაო ქვეყანას, საზღვაო ძალები საერთოდ არ გვყავს, ერთი კრეისერი მაინც შეგვენახა, რომ საზღვაო წვრთნებში მონაწილეობა მიგველო. ტრაბახობენ, „კომანდოს“ სისტემით ვამზადებთო, ეს არის სამშვიდობო მისიების უზრუნველყოფა, ეს არ არის ტოტალური საბრძოლო მოქმედებების განმახორციელებელი არმია.

**ვითარებას შეხედეთ. მთელი მსოფლიო ცეცხლის ალშია გახვეული. საქართველოც დენთის კასრებზე დგას და არაფრისთვის მზად არ არის, პროვოკაციებს კი აწყობს.**

**საქართველოში მილიარდერმა პარტია ჩამოაყალიბა და ამბობს, რომ მემარცხენე ცენტრისტული პარტია ვარო. მემარცხენეობა, ფაქტობრივად, სოციალიზმისკენ მიმავალი გზაა, რომელიც მართლამდიდებლობას უწონასწორდება, მაგრამ მართლმადიდებლურ სამყაროს ნატო და ევროკავშირი არ სწყალობს, ამიტომ მხოლოდ გონიერება, მხოლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღება გადაგვარჩენს. სხვა შემთხვევაში გავნადგურდებით.**

**— რამდენად სწორია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოქმედებები, როდესაც ის საერთაშორისო არენაზე გამოდის?**

— ვინმემ ცუდად რომ არ იფიქროს, ვიტყვი, რომ **ირაკლი ალასანიას მიმართ პიროვნული ზიზღი არ მალაპარაკებს, მაგრამ მისი სიტყვები საერთაშორისო არენაზე ნათქვამი „ნატოში უნდა შევიდეთ“ შეშინებული კაცის სიტყვებია, ვაი, თუ, რამე დამაბრალონო. ჩვენი პოლიტიკოსები ჭორებს აყოლილები არიან.** ალასანია პოლიტიკური ფიგურაა, არ ეპატიება, როდესაც ამერიკის პრეზიდენტი ამბობს, რომ არავითარი შანსი არ გაქვთ ნატოში შესვლის და ის მაინც იმეორებს, რომ ნატოში უნდა შევიდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ან ჩვენ აღარ უნდა მოგვასმენინოს ინფორმაცია, ან თავადაც უნდა მოისმინონ და ადექვატურად იმოქმედონ.

**წარმოუდგენელია, 700 კილომეტრის საზღვარი გყოფდეს სახელმწიფოსგან, რომლის ჯარიც კართან გყავს და შეუძლია პირდაპირი მარშით ჩავიდეს გიუმრის ბაზაზე და სომხეთისკენ, ამ დროს კი მასთან დიპლომატია არ გქონდეს, უფრო მეტიც, დემარშებს უწყობდე!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

# «საქართველო და მსოფლიოს» ვებგვერდზე მიმართვის პუბლიკაციის შედეგად «ენერგოპროჯორჯიამ» სოფელ ქანდის ეკლესიას ელექტრომომარაგების პრობლემა მოუგვარა

ENERGO-PRO Georgia

სქიმარქიმანდრიტმა მამა სერაფიმემ სოციალურ ქსელში გაავრცელა განცხადება, რომელშიც ის სოფელ ქანდის, მუხრანის თემში მცხოვრებ მოსახლეობას თხოვნით მიმართავდა, რომ ქანდის ეკლესიას, რომელსაც გადახდისუუნარობის გამო ელექტროენერგიის მიწოდების პრობლემა ჰქონდა, საკითხის მოგვარებაში დახმარებოდა.

**„თქვენ იცით ჩვენი ეკლესიის გაჭირვება, შუქის ფული გვაქვს გადასახდელი და ველარ ვწვდებით ამდენს, რადგან შემოწირულობა ნულოვანია. თავს, როგორც შეგვიძლია, ისე ვინახავთ... ძალიან გთხოვთ, შეგვეწიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დღეებში ეკლესიას დენს გაუთიშავენ და მეც დავიღალე ხვეწნამუდარით. სირცხვილია, ლოცვა-კურთხევა აღდგომა დღეს შუქის გარეშე ჩატარდეს!**

**ჩვენი ტაძრის დავალიანება 1000 ლარამდე ავიდა. ეს დავალება არ არის, ეს თხოვნაა. ტაძარი ცოცხალი ორგანიზმია და ყურადღება ჩვენც გვჭირდება“,** — ასე მიმართა ხალხს მამა სერაფიმემ. მიმართვას თან ახლავს „ენერგოპროჯორჯიას“ ქვითრის ნომერი.

მას შემდეგ, რაც ეს ინფორმაცია „საქართველო და მსოფლიოს“ ინტერნეტგვერდზე განთავსდა, ქანდის ეკლესიას „ენერგოპროჯორჯიამ“ ვალი ჩამოაწერა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გაერკვია, ვინ და რა ფორმით მოახერხა ვალის დაფარვა, მაგრამ მათ ვინაობის გამჟღავნება არ ისურვეს.

**რედაქცია მადლობას უხდის ინკოგნიტო ქველმოქმედს.**

ცნობისათვის

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## სკოლის მოსწავლემ 20 ადამიანი დაჭრა

**პენსილვანიის შტატის (აშშ) საშუალო სკოლაში მოზარდმა 20 ადამიანი დანით დაჭრა. 16 წლის მოსწავლემ სკოლაში დანები მიიტანა და, ვიდრე დააკავებდნენ, 19 თანაკლასელისა და მცველის დაჭრა მოასწრო. ჯანმრთელობის მდგომარეობა 2 დაჭრილი მოსწავლისა, რომლებიც ჰოსპიტალში მოათავსეს, მძიმეა.** თვითმხილველთა თქმით, ბოროტმოქმედი სამზარეულოს ორი დანით იყო შეიარაღებული, შედიოდა საკლასო ოთახებში და დანას ხმისამოუღებლად ურტყამდა განურჩევლად ყველას, ვისაც მისწვდებოდა. გამხეცებული მოზარდის შეკავება შეძლო სკოლის დირექტორის მოადგილემ, რომელმაც ბოროტმოქმედი იატაკზე წააქცია და პოლიციელთა მისვლამდე გაკავებული ჰყავდა.

პლაკატი ფრაზით, რომელსაც ფრანსუა ოლანდი ხშირად წარმოთქვამდა წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას: „მე, როგორც პრეზიდენტი...“ ეს პლაკატი გამოჩნდა მაშინ, როდესაც გავრცელდა ინფორმაცია ოლანდისა და მსახიობ ჟიული გაიეს სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ.

ფრანგები მშვენივრად ხვდებიან, რით ფიქრობს სახელმწიფოს მეთაური გადაწყვეტილების მიღებისას.




## პარიზის ახალ მერს პრეზიდენტისგან ქალიშვილი ჰყავს?

**ისტორიაში პირველად, საფრანგეთის დედაქალაქის მმართველი იქნება ქალი — 54 წლის ან იდალგო. ახალ მერს ესპანური ფესვები აქვს და ჰყავს სამი შვილი საფრანგეთის სენატის დეპუტატისგან. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ან იდალგო აქტიურად უჭერდა მხარს ჰომოსექსუალურ ქორწინებებს.**

როგორც ჩანს, ფრანგებს გონებას უბინდავს პოლიტიკა პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდისა, რომელმაც ქორწინების უფლება მისცა გეებსა და ლესბოსელებს.

13 წლის განმავლობაში პარიზის მერი იყო ჰომოსექსუალი ბერტრან დელანოე, ახლა კი ქალაქის მმართველი მისი მოადგილე ან იდალგო იქნება, თუმცა იდალგოს კარიერულ წინსვლას უკავშირებენ არა ლგბტ საზოგადოებისადმი ლოიალურობას, არამედ მის ძველ ურთიერთობას ფრანსუა ოლანდთან.

ამბობენ, რომ ან იდალგოს შუათანა ქალიშვილი, 1988 წელს დაბადებული ელზა, პარიზის მომავალი მერისა და პრეზიდენტის რომანის ნაყოფია. ეს ამბავი ორი წლის წინათ, ფრანსუა ოლანდის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, სოციალური ქსელების ფრანგმა მომხმარებლებმა გაავრცელეს. გაცოფებულმა ან იდალგომ კი მოითხოვა, დაეხურათ ყველა ინტერნეტგვერდი, რომლებზეც მისი ქალიშვილის შესახებ იყო ლაპარაკი. ახლა, იდალგოს არჩევის შემდეგ, ეს თემა კვლავ განახლდა. მაგრამ რა აშფოთებს მადამ ანს, გაუგებარია — მადლობა ღმერთს, რომ ლესბოსელი არ არის!



ოლანდი მოხარულია, რომ პარიზის მერი არის ან იდალგო — საფრანგეთის პრეზიდენტს ძალიან მოსწონს ქალების გარემოცვაში მუშაობა.

# ნატოს არამდგრადი ფსიქიკის მქონე ადამიანი ხელმძღვანელობს

**ნატოს ამჟამინდელ გენერალურ მდივანს, ანდერს ფოგ რასმუსენს, პიჯაკის ლაცკანის ქვეშ მიმაგრებული აქვს სპეციალური მიკროფონი, რომლის მეშვეობითაც ყველა საუბარი, მათ შორის, პირადულიც, იწერება ისე, რომ ამის შესახებ არც მოსაუბრემ იცის და არც გარშემო მყოფები არიან საქმის კურსში. ამ მიკროფონს რასმუსენი, უკვე 15 წელიწადია, ატარებს.**

2003 წელს დანიის ერთ-ერთი ტელეარხის მიერ რასმუსენის საიდუმლო ჩანაწერების გამოქვეყნებამ დიდი სკანდალი გამოიწვია. ახლა, რა თქმა უნდა, ყველამ იცის რასმუსენის უცნაური გატაცების თაობაზე და ცდილობენ, მასთან ზედმეტი არ ილაპარაკონ.

**საერთაშორისო პოლიტიკურ წრეებში ანდერს ფოგ რასმუსენი „ხოჭოს“ მეტსახელითაა ცნობილი.** სწორედ „ხოჭოს“ მეშვეობით შეიტყო მსოფლიომ, რომ საფრანგეთის ყოფილ პრეზიდენტ ჟაკ შირაკს საშინლად ეშინია თავისი ქვეყნის ფერმერების, რომ ესიზმრება, როგორ წვავენ მის სახლს გლეხები, თვითონ კი სახლიდან გამოსვლას ვერ ახერხებს. **ნატოს გენერალური მდივნის სხვა ჩანაწერები კი ევროკავშირის პოლიტიკის დისკრედიტაციას ახდენს და ევროკავშირს იმ ცინიკოსების ვაჭრობის ადგილად წარმოაჩენს, რომელთათვისაც წმინდა არაფერია.**

„ხოჭო“ თავისი ახლობლების საუბრებსაც იწერდა. ძალიან პიკანტურია რასმუსენის, როცა ის დანიის პრემიერმინისტრი იყო, და დანიის საგარეო საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის — პერ სტიგ მელერის საუბრის ჩანაწერი, რომელშიც რასმუსენს მელერი თავის შთაბეჭდილებებს უზიარებს გერმანიის საგარეო საქმეთა იმჟამინდელ მინისტრ იოშკა ფიშერზე. **ევროკავშირში თურქეთის მიღების საკითხის განხილვისას მელერმა ფიშერი მეძავს შეადარა: „მე უკვე გითხარი, რომ იოშკა ფიშერმა**



**თავისი თვალსაზრისი სამჯერ შეცვალა 12 საათის განმავლობაში“,** — ამბობს მელერი.

რასმუსენის მსხვერპლი შეიქნა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც. ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე დანიის იმჟამინდელმა პრემიერმა მალულად ჩაიწერა პუტინის რეაქცია ჟურნალისტების მიერ ჩეჩნეთთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე. რასმუსენის ჩანაწერში მკაფიოდ ისმის პუტინის სიტყვები: „ევროპელი ბანდიტები“...

# ამერიკელებს გადასახლებას უპირებენ




**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გაზეთი „აფრიკანერი“ იუწყება, რომ აფრიკის ნაციონალურმა კონგრესმა მიიღო თხოვნა აშშ-დან. ამერიკელები სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას თხოვენ, გახდეს აშშ-ში სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის „გეგმის ნაწილი“. ამისათვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას 10 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 10 მლრდ დოლარს ჰპირდებიან. გეგმის მიხედვით, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში უნდა აშენდეს დროებითი საცხოვრებელი მილიონობით ამერიკელისთვის. სამხრეთ აფრიკის გარდა, გათვალისწინებულია, ბრაზილიის, არგენტინისა და ავსტრალიის პროექტში მონაწილეობაც.**

სხვათა შორის, **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა, დოქტორმა სიფხო მატვეტვემ უკვე განაცხადა, რომ: „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა არ გახდება ამერიკელთა გეგმის ნაწილი**, რადგან რისკი იმისა, რომ მილიონობით თეთრკანიან ამერიკელს, რომლებიც საგანგებო სიტუაციის გამო ჩვენს ქვეყანას შეაფარებენ თავს, შეუძლიათ, საფრთხე შეუქმნან შავკანიანთა ნაციონალურ კულტურას და თვითმყოფადობას. **სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა არ იყიდება!“** — აი, ასეთი არატოლერანტული პასუხი მიიღო აშშ-მა.

ამერიკის შტატ აიდაჰოში, ნაციონალურ პარკ იელოსტოუნში მდებარეობს ძალიან დიდი ვულკანი, უფრო ზუსტად — სუპერვულკანი. ამჟამად ის უზარმაზარი ორმოა 3825 კვ. კმ ფართობით, თუმცა მაგმის რეზერვუარი არც ისე ღრმაა — იქამდე მხოლოდ 8 კმ-ია. თუკი ვულკანი ამოიფრქვევა — და ეს, მეცნიერთა მტკიცებით, უახლოეს წლებში უნდა მოხდეს, — დედამიწის ზედაპირზე, სულ ცოტა, 2,5 ათასი კუბ.კმ ვულკანური მასა ამოიფრქვევა. ლავა, ხანძრები, მხუთავი გაზი, გოგირდის წყალბადით მოწამვლა ადამიანების მასობრივი დაღუპვის მიზეზი გახდება.

**ოზონის ფენაში გიგანტური ხვრელის გაჩენის შედეგად რადიაციის დონე მოიმატებს და აშშ-ის მთელი ტერიტორია, მასთან ერთად კანადის ნაწილიც ახალ ჩერნობილად იქცევა.**

მეცნიერები დარწმუნებულნი არიან: თუკი ამჟამად მთვლემარე იელოსტოუნის ვულკანი გაიღვიძებს, მის მოქმედებას პლანეტაზე განლაგებული შედარებით მცირე ზომის ასეულობით ვულკანი გამოეხმაურება, მათ შორის, ოკეანეში განლაგებულიც, რაც ცუნამის გამოიწვევს.

ნახევარი მსოფლიო დაიღუპება, ნაწილი წყვდიადში ჩაიძირება, რადგან ფერფლი მზის სინათლეს გადაფარავს — დიდ ვულკანებს შეუძლია ფერფლი 100 კმ-ზე გატყორცნოს ატმოსფეროში. ბევრ ქვეყანაში მკვეთრად აცივდება, მაგალითად, **ნორვეგია, რომელიც ანტარქტიდაზე ტერიტორიულ პრეტენზიას აცხადებს, შეიძლება თვითონ გახდეს ანტარქტიდის მსგავსი.** ექსპერტების ვარაუდით, ამ ბუნებრივი კატასტროფიდან პირველივე თვეებში შეიძლება მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი დაიხოცოს — სიცივისა და შიმშილისგან დაიღუპოს. **ყველაზე უსაფრთხო ადგილად კი ითვლება აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორია, რომელიც ვულკანის ამოფრქვევის ადგილიდან შორს მდებარეობს და სეისმურად მედეგად ითვლება.**

რის საფუძველზე კეთდება ასეთი პირქუში პროგნოზი? საქმე ის არის, რომ უახლესი მონაცემებით, იელოსტოუნის ვულკანთან ახლომდებარე რამდენიმე გეიზერულ ტბაში ტემპერატურამ 20 გრადუსამდე მოიმატა, ბოლო სამი თვის განმავლობაში კი 60-ზე მეტი მიწისქვეშა ბიძგი აღირიცხა, ყველაზე ძლიერი კი — 30 მარტს (4,8 მაგნიტუდის).

**მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მეცნიერი ოპტიმისტურად არის განწყობილი და მხოლოდ ძლიერ მიწისძვრებს ვარაუდობს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება განგაშს ტეხს და სხვა კონტინენტზე ამერიკელთა გადასახლების ძვირად ღირებული პროგრამის განხორციელებას გეგმავს. აშშ-ის ხელისუფლება ცდილობს, დაითანხმოს სხვა ქვეყნები ამერიკელთა უსაფრთხო ადგილას გადასახლების პროგრამის განხორციელებაზე.**

აშშ-ის ხელისუფლების აზრით, იელოსტოუნის ვულკანი უახლოეს 10 წელიწადში ამოიფრქვევა, ამიტომ თეთრმა სახლმა უცხო ქვეყნებს ამ ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად 10 მლრდ დოლარი შესთავაზა. ამ ფულით ამერიკელების მიმღებმა ქვეყნებმა სასწრაფოდ უნდა უზრუნველყონ საცხოვრებლით ამერიკის მოქალაქეები, რომლებსაც სამშობლოს დატოვება მოუწევს ვულკანის ამოფრქვევის გამო.

„65 მილიონი წლის წინათ მსგავსი სუპერვულკანის ამოფრქვევას მექსიკაში მეტეორიტის ჩამოვარდნაც დაემთხვა და ეს იყო ორმაგი დარტყმა, რომელმაც დინოზავრები გაანადგურა. **ამჟამინდელ სიტუაციაში კი განადგურდება ამერიკის შეერთებული შტატები**“, — ამბობს ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორი მიჩიო კაკუ. როგორც ჩანს, აშშ-ს იმაზე დიდი პრობლემა გაუჩნდა, ვიდრე სიტყვის თავისუფლების დაცვაა ჩინეთში ან ჰაფეზ ასადის რეჟიმის ძალმომრეობა სირიაში. სასწორზე 320 მილიონი ამერიკელის სიცოცხლე დევს და აშშ-ის ხელისუფლებამ დასახმარებლად შეიძლება არა მხოლოდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას, ბრაზილიასა და არგენტინას მიმართოს, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, მათ შორის, მოწინააღმდეგე სახელმწიფოებსაც.

**სმარტფონების მფლობელთა საყვარელი საქმიანობა, საკუთარ თავს გაჯეტის კამერით გადაუღოს ფოტოები, ხელს აძლევს ამერიკის სპეცსამსახურებს. ვირუსი, რომელიც შეჰყავთ IPHONE-ში, ააქტიურებს კამერას, მიკროფონს და სმარტფონი მოსასმენ მოწყობილობად გარდაიქმნება.**

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ გვითვალთვალებს და გვისმენს აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო

**აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს ყოფილი თანამშრომლის — ედვარდ სნოუდენის მიერ ამერიკული სპეცსამსახურების (ნაცონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს) გლობალურ შპიონაჟში მამხილებელი დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ აშშ-ის სადაზვერვო საქმიანობა უფრო გასაიდუმლოებული გახდა. თუმცა რამდენიმე დღის წინ Bloomberg Business Week-ის ჟურნალისტები კვლავ დაუბრუნდნენ მაღალტექნოლოგიური ჯაშუშობის თემას და თვალთვალისა და მიყურადების ტექნოლოგიების ყველაზე გავრცელებული მახასიათებლები მოიძიეს.**




ნაციონალური უსაფრთოების სააგენტოს თანამშრომლები მიზანს ორ კატეგორიად ყოფენ: **„მონაცემები მოძრაობაში“** და **„მონაცემები სიმშვიდეში“**. პირველ კატეგორიაში ხვდება ისეთი სიტუაციები, როცა ინფორმაცია მისი გადაცემის მომენტში უნდა მოიპოვო — **საუბრები მობილურ ტელეფონზე, მონაცემების გადაცემა ინტერნეტით და კოსმოსური თანამგზავრებით.** შედარებით რთულია ელექტრონული ფოსტის გატეხვა, თუმცა არა — შეუძლებელი. მეორე კატეგორიაში, სადაც მონაცემები „მშვიდ“ მდგომარეობაშია, შედის **სხვადასხვა სისტემით დაგროვებული ინფორმაციის არქივები — მყარი დისკები, მობილური გაჯეტების საინფორმაციო ცენტრები.** ითვლება, რომ შენახულ ინფორმაციას იშვიათად ადებენ შიფრს, ამიტომ ჯაშუშები უპრობლემოდ მოიპოვებენ იმას, რაც სჭირდებათ — **კომპიუტერებიდან, სმარტფონებიდან და თვით საინფორმაციო ცენტრებიდანაც კი შეუძლიათ ინფორმაციის გადმოქაჩვა**.

ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მიერ მოპოვებული მონაცემების უმეტესობა ინახება მონაცემების დამუშავების ცენტრში, რომელიც **იუტას შტატის ქალაქ ბლაფდეილში მდებარეობს. იქ შენახულია დაახლოებით 12 ეკზაბაიტის ინფორმაცია. 1 ეკზაბაიტი კი 1 მლრდ გიგაბაიტს უდრის.**

ალსანიშნავია, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს შემუშავებული აქვს აშშ-ის მოქალაქეებზე, აგრეთვე, ტერორისტებზე თვალთვალის რამდენიმე სპეციფიკური, თუმცა ეფექტიანი მეთოდი.

## ცნობისათვის:

**აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო პერლ-ჰარბორზე იაპონიის ავიაციის თავდასხმის შემდეგ შეიქმნა. პენტაგონის ერთ-ერთ ქვედანაყოფად შექმნილ სააგენტოს ანალოგიური ინციდენტების განმეორება არ უნდა დაეშვა და ამიტომ აშშ-ის მტრების გეგმების შესახებ ინფორმაციას უცხოეთში მოიპოვებდა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ამოცანები ნელ-ნელა იცვლებოდა. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებული ომის შემდეგ და ცნობილი „პატრიოტული აქტის“ საფუძველზე ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ქვეყნის შიგნით თვალთვალის ფართო უფლებები მიანიჭეს. მაგალითად, სააგენტოს სასამართლოს ნებართვის გარეშე შეეძლო მოესმინა სატელეფონო საუბარი, თუკი ერთ-ერთი მოსაუბრე მაინც აშშ-ის საზღვრებს გარეთ იმყოფებოდა. ამ ყველაფერმა გრანდიოზული სკანდალი გამოიწვია, როდესაც გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა“ გამოაქვეყნა მასალები, რომელთა მიხედვითაც, სააგენტო სინამდვილეში მილიონობით ამერიკელის სატელეფონო საუბრებს უსმენდა.**




**ზარების ჩაწერა — სააგენტოს შეუძლია „დაიჭიროს“ ყველა სატელეფონო ზარი, რომელსაც შემდეგ გულმოდგინედ ახარისხებენ და ერთი თვის განმავლობაში ინახავენ.**

**ტელეფონი-კლონი — საკომუნიკაციო დევაისები შეუძლიათ შეცვალონ აბსოლუტურად იდენტური მოდელით, ოღონდ მასში ჩამონტაჟებული მოსასმენი და მონაცემების შესაგროვებელი მოწყობილობით.**

**ცრუ ობიექტები** — 2009 წელს ლონდონში გამართული G-20-ის სამიტის მონაწილე დიპლომატებს ეჭვიც არ გასჩენიათ, რომ სამიტის შენობის ახლომდებარე კაფეებსა და მაღაზიებში Wi-Fi „დამუშავებული“ იყო და ინფორმაცია სპეცსამსახურებს გადაეცემოდა.

**„ჩიპები“ გადაადგილებაზე თვალთვალისთვის** — ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს აქვს რამდენიმე დახვეწილი ტექნოლოგიური მეთოდი, რომელთა მეშვეობითაც შეუძლია, უთვალთვალოს ობიექტს, მიუხედავად იმისა, ის ქალაქში გადაადგილდება თუ თვითმფრინავით მოგზაურობს. ამას სააგენტო ახერხებს ტელეფონის სიმბარათში სპეციალური პროგრამის ამოქმედებით, რომელიც სააგენტოს სერვერზე რეგულარულად გზავნის გეოლოკაციურ მონაცემებს.

**სპეცშეკვეთა** — თუ თვალთვალის ობიექტი ინტერნეტით ყიდულობს ციფრულ ტექნიკას, ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს თანამშრომლებს შეუძლიათ, დააკავონ კურიერი, რომელსაც კლიენტისთვის მიაქვს, მაგალითად, ნოუთბუქი. შემკვეთს მოგვიანებით უბრუნდება უკვე „დამუშავებული“ ნოუთბუქი.

**რენტგენი-სკანერი** — შეიძლება ფანტასტიკად მოგეჩვენოთ, მაგრამ არსებობს ასეთი ტექნოლოგია: რადარი უშვებს სხივურ ტალღებს, რომლებსაც შეუძლია „დაინახოს“, რა ხდება მონიტორზე ან რომელი სიმბოლოები იკრიბება კომპიუტერის კლავიატურაზე.

**საკრედიტო ბარათები** — უკვე კარგა ხანია, სპეცსამსახურები ჩანერგილნი არიან Visa-ს და სხვა საბანკო სისტემების ქსელებში ტრანსზაქციების შესახებ მონაცემების მოსაპოვებლად.

**კოსმოსური თანამგზავრები** — ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ჰაკერებმა შეაღწიეს გერმანული სათანამგზავრო კომუნიკაციების მართვის სისტემაში, რომელიც დიპლომატიურ კორპუსს ემსახურებოდა.

**ჯაშუშები თამაშებში** — საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს აგენტებმა მოახერხეს ჩანერგვა პოპულარული თამაშების — World of Warcraft-ისა და Second Life-ს სამყაროს საზოგადოებაში, სადაც ეძებენ კრიმინალური ელემენტების კვალს და იბირებენ ინფორმატორებს.

**წყალქვეშა ნავები** — ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს მოდიფიცირებული ატომური წყალქვეშა ნავის მეშვეობით შეუძლია, პირდაპირ ჩაერთოს ზღვის ფსკერზე გამავალ ტელესაკომუნიკაციო ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელებში.

**საიდუმლო „სელფები“** — სმარტფონების მფლობელთა საყვარელი საქმიანობა, საკუთარ თავს გაჯეტის კამერით გადაუღოს ფოტოები, ხელს აძლევს ამერიკის სპეცსამსახურებს. ვირუსი, რომელიც შეჰყავთ iPhone-ში, ააქტიურებს კამერას, მიკროფონს და სმარტფონი მოსასმენ მოწყობილობად გარდაიქმნება.

**ჯაშუში ქვები** — სპეცსამსახურის აგენტები მისაყურადებელ მოწყობილობას ხშირად ამონტაჟებენ ქვებში და ნაკლებად ყურადღებამისაქცევ საგნებში.





# ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი უკრაინის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს საიდუმლოდ შეხვდა

**12 აპრილს აშშ-ის ცენტრალური სამმართველოს დირექტორი ჯონ ბრენანი უკრაინის დედაქალაქ კიევში გამოგონილი გვარით ჩავიდა. ცსს-ს დირექტორი უკრაინის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს იქმდე შეხვდა, ვიდრე უკრაინის შსს სლავიანსკსა და უკრაინის აღმოსავლეთის სხვა ქალაქებში ფედერალიზაციის მომხრეთა წინააღმდეგ სპეცოპერაციის დაწყების შესახებ განაცხადებდა.** ცსს-ს წარმომადგენელმა ტოდ ებიცმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამმართველოს დირექტორმა ჯონ ბრენანმა გავლენა მოახდინა უკრაინის ხელისუფლებაზე, დაეწყო სპეცოპერაცია ქვეყნის აღმოსავლეთში, თუმცა უარი თქვა ბრენანის უკრაინაში ჩასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებაზე.

**შეგახსენებთ:** დონეცკის ოლქის ქალაქ სლავიანსკში სამართალდამცველებთან საპროტესტო აქციების მონაწილეების შეტაკების შედეგად 9 ადამიანი დაიღუპა, 1 — დაიღუპა.



# ჰილარი კლინტონს ფეხსაცმელი ესროლეს

**ინციდენტი სასტუმრო Mandalay Bay-ში კომერციული ასოციაცია Institute of Scrap Recyclind Industries-ის ყრილობაზე მოხდა, როდესაც აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი სიტყვით გამოდიოდა, დარბაზში მყოფმა ერთ-ერთმა ქალმა კლინტონს ფეხსაცმელი ესროლა, თუმცა ქალბატონ ჰილარის კარგი რეაქცია აღმოაჩნდა და ფეხსაცმელს თავი აარიდა.**

**„ეს რა არის, ვიღაცამ რაღაც რომ მესროლა? ეს რა, დრიუ სოლეის ცირკის ნაწილია?“** — შეეცადა გახუმრებას კლინტონი.

ინციდენტში სასწრაფოდ ჩაერია პოლიცია. წესრიგის დამრღვევი აღმოჩნდა ლას-ვეგასის მცხოვრები ქალი, რომელიც სამართალდამცველებმა დააპატიმრეს. მისი საქციელის მოტივი უცნობია.

**P.S. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გენერალურმა ინსპექტორმა სტივ ლინიკმა აღმოაჩინა, რომ ერაყსა და ავღანეთში საომარი მოქმედებებისთვის გამოყოფილი თანხებიდან 6 მილიონი დოლარი დაიკარგა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი თანხებს უკონტროლოდ ხარჯავს.**

**ალსანიშნავია, რომ იმ პერიოდში, როდესაც 6 მილიონი დოლარი უკვალოდ გაქრა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი იყო.**

ჰკა მაგასა!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ცოდვათნაშრევები დღეს კვლავ მრუმე ღრუბლებად ჩამოსწოლია ქართულ ზეცას. თუ არ გამოვფხიზლდით და მტერ-მოყვარის გარჩევა ვერ ვისწავლეთ, გუგულის კვერცხებივით შემოპარებული თუ ბნელ ღამეს ქურდულად შემოყოლილი ხაზარები და პაჭანიკები, „თავისუფლების ინსტიტუტში" დაფრთიანებულები, ნაწვიმარზე ამოყრილი სოკოებივით მომრავლებული გრანტითქვლეფია არასამთავრობოები და სხვა „დაცენტრილი" გლობალისტ-ლიბერასტები ამ ჩვენს უბედურ ქვეყანას ჰიენების ხროვასავით გადათქერავენ...

# «რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!»

# ანუ ქარუმიძევ — შენ კაცი ხარ?!

**დასაწყისში მცირე რეტროსპექტივა და ფაქტები:**

**წინაისტორია ჩვენთვის უცნობია, მაგრამ სასიამოვნო ფაქტია, რომ, ასე ვთქვათ, „ტექნიკური რევოლუციის გარიჟრაჟზე", კერძოდ, 1926 წელს, ზემო სვანეთს ამერიკელი ცოლ-ქმარი — ვასერმანები შორეული ფილადელფიიდან ესტუმრნენ. დაბა ჯვარიდან უშგულამდე მთელი სვანეთი ცხენებით მოიარეს და ნანახი ფოტოფირზე აღბეჭდეს. მეგზურობას ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ნიკოლაძე და თავადი ერისთავი უწევდნენ. ნანახ-განცდილით აღფრთოვანებულ წყვილს შვილებისთვის ანდერძად დაუტოვებიათ, თავადაც მოენახულებინათ „ათასი კოშკის" საოცარი მხარე...**

**და-ძმა ვასერმანებმა მშობლების დანაბარები პირნათლად შეასრულეს და ამერიკაში საქართველოს ყოფილი ელჩის, ბატონი თედო ჯაფარიძის დახმარებით, 1993 წელს, უკვე ღრმად მოხუცებულები (80 და 76 წლისა) ეწვივნენ საქართველოს. სტუმრებმა თან ჩამოიტანეს მშობლების მიერ შექმნილი ფოტომასალის რეპროდუქციები, ასევე მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი და თბილისისა და მესტიის მუზეუმებს საჩუქრად გადასცეს.**



ზურაბ ქარუმიძე

## ქარუმიძეს «ლილეოსა» და «შინავორგილის» შემქმნელი, სუფთა სულის, ამაყი, ალალი მთიელები პირუტყვებად ჰყავს გამოყვანილი, ისეთად, ველურ კანიბალებშიც რომ ვერ ნახავთ

ეს არის მეტად ფასეული უნიკალური მასალა. თვალწინ გვიცოცხლდება ლამის საუკუნის წინანდელი სინამდვილე, დრო-ჟამისაგან გაცრეცილ ფირებს ფრაგმენტულად რომ შემოუნახავს: სვანეთის უნიკალური ხედები, კოშკები და მაჩუბები, ადგილობრივი საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები, სასულიერო პირები, მახვშები... გადაუღიათ ასევე უშგული და ლამარიის ეკლესიასთან მოწყობილი ნაყოფიერების წარმართული ღვთაება მელია-ტელეფიას რიტუალური დღესასწაული. აქ არიან ფერხულში ჩაბმული მოცეკვავეები, რომელთა წრეშიაც ცოლ-ქმარი ვასერმანები ფოქსტროტს ცეკვავენ. გამოსახულების სიძველის მიუხედავად, თვალნათლივ ჩანს ლამაზი, ჯანსაღი, ღირსების მქონე და ბედნიერი ადამიანების სადღესასწაულო განწყობილება, მოხდენილი ვაჟკაცური მოძრაობები. ყველაფერი ეს მართლაც სათუთად, პატივისცემითა და რუდუნებით არის წარმოდგენილი ავტორების მიერ.

ამჯერად სტუმრებს მეგზურობას საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სამსახურის უფროსი ბატონი **ვანო ხვიბლიანი** უწევდა — სპეციალურად გამოყოფილი ვერტმფრენით მოატარა მთელი სვანეთი. იმ სილამაზის ხილვით აღტაცებულებს, თავი ზღაპარში ჰგონებიათ. ამ ყოველივემ 80 წლის კაცს ისეთი ძალა შეჰმატა, ლენტეხის რაიონის სოფელ ჩიხარეშში ბანკეტის შემდეგ ცხენს შემოახტა და ახალგაზრდულად გააქროლ-გამოაქროლაო! — იგონებს ბატონი ვანო. იმ პირებთან ერთად, რომლებიც ამერიკელებს ახლდნენ, **ვინმე მწერალი ზურაბ ქარუმიძეც ყოფილა**, იქ მიღებული შთაბეჭდილებები, დანახულ-განცდილი შემდგომში შემოქმედებით ქურაში გაუტარებია და წარმოადგინა რომანში სახელწოდებით „მელია-ტულეფია: foqstrot".

ვიცი, ვიღაც-ვიღაცები გამინაწყენდებიან: ქარუმიძეს **„ვ ი ნ მ ე"** როგორ აკადრა, არ იცის, ლიტერატურული პრემიებით განებივრებული ავტორი რომაა და დღეს თუ ხვალ ხელმწიფის ტოლა კაციც გაგვიხდება, — დიდ ბრიტანეთში ელჩობას ეხუმრებითო?!

ახლახან შევიტყვე, თურმე **პენცენტრელთა „გურუც" ყოფილა, ხელისუფლებაშიც შეუქმნიათ მისი ფანკლუბი და ჩვენ, საწყლები, რა ცეცხლს ვეთამაშებოდით, ქვეყნისთვის წარღვნა მოგვივლენია და არ ვიცოდით!** არ ჩანდა, კაცო, არ ჩანდა, აქამდე თურმე თავმდაბლობის ღრუბლებში იმალებოდა, თორემ მის ბრწყინვალებას თვალის გასწორებას როგორ შევბედავდით? ეს ისე — ლაღობით! ახლა მის ფანებს, უკვე გაბრაზებულ გულზე, კაი გემრიელი კახურით რომ ვუპასუხო, ეწყინებათ და გავჩუმდები. ალალად კი ერთს ვიტყვი:

**მაგ მწერალს, ბევრი სხვასავით, მეც არ ვიცნობ. ისიც ახლა შევიტყვე, ხაზარაძე-თევზაძის პრემიები "ოპტომ" რომ დაუთრევია. საერთოდ, ეს ჯინჯილები და მედლები, ბოლო ხანს, სააკაშვილის ხელში „გაპუტანკებულ" „ღირსების ორდენს" მაგონებს, აღმადალმა მოტრაშუნე ჩვენი ჭკუამხიარული პრეზიდენტი ჯიბით რომ დააჩხრიალებდა, ტუფტა ღიმილით აქეთ-იქით საჩუქრებად აბნევდა და ეს მართლაც საპატიო ჯილდო, როგორც იტყვიან, „ძაღლსაც კუდზე წამოაცვა", გაათახსირა და სამარცხვინო გახადა.**

ნათქვამია, წყლის წვეთში ოკეანე იკითხებაო. **ქარუმიძის ტვინიდან ნაჟურ „ერთ წვეთშიც" კარგად იკითხება, რა შედევრებთანაც გვაქვს საქმე.** ოცნებით უკვე ინგლისში მქროლავი დესპანის მეხოტბეთა გასაგონად ვიტყვი: **რა ფასი აქვს თუნდაც უზადო ნიჭსა და განათლებას, თუ საზოგადოების სულიერ გაჯანსაღებას არ მოემსახურება, თუ იმ „წვეთიდან" სინათლის ანაბზინიც არ გამოკრთის? ავტორს კი მკითხველი პირველივე ფრაზიდან, ასე ვთქვათ, „მხატვრულად" შეჰყავს ბნელით მოცულ სამყაროში, კერძოდ, აღწერილი აქვს უშგულის ლამარიის ეკლესიის ეზოში „მელია-ტელეფია"-ს დღესასწაული, რომელსაც მეტად შეურაცხმყოფელი და მახინჯი ფორმით წარმოადგენს: ფერხულში ჩამწკრივებული, შარვალჩახდილი დაფალოსებს ჩაფრენილი პერსონაჟი მამაკაცები ჯგუფური სექსის განცხრომას მისცემიან, რომელთაც ნეხვში ამოთხვრილი ბავშვები ასდევნებიან. იქვე, თეთრთავსაფრიანი ქალები საგანგებოდ მორეკილ, მანაზე დაბმულ საქონელთან იჩოქებენ, ფსელს პირს უშვერენ და დახარბებულნი ხვრეპენ, „მერე თავსაფრის კიდით ტუჩებს მოიწმენდენ და ჩურჩულით იტყვიან: მარილი ჩვენი მოგვეც, ჩვენ, ჯიმშერ (მონ ჰერ! ჯიმშერ! მონ ჰერ!..")!"**

საიდან ასეთი კოშმარული ხატი, რატომ და რისთვის? იმ პირველქმნილ სიანკარესა და სისუფთავეში ამ მართლაც ვინმე ქარუმიძემ რა მანქანებით აზიდა ამოდენა ლაფის გროვა და ტალახში ამოგანგლა დასაბამიდან წმინდად შემონახული ოაზისი, ეკოლოგიურად სუფთა, მართლაც ღვთიური სამყარო, სვანური სოციუმი, მისი ტრადიციები?! ხევისბერი გოჩასი არ იყოს, „რაისთვის გვეჭრების ოჯახობაში?!" მამაცხონებული, ჯერ იმ ხალხის ხასიათს, მენტალობას არ იცნობს და სად მიაცუხცუხებს იმ თავის მყრალ ნაგავს, არ უნდა დაფიქრდე?!

**არა მგონია, ქარუმიძეს სვანებზე უკეთესი წინაპრები ჰყოლოდა და აპოლონ ბელვედერელის შთამომავალი იყოს. საინტერესოა, ვინმეს რომ მისი მშობელი კუთხე, მოდგმაჯილაგი ამგვარად მოეჯირყვნა, ვთქვათ, მისი წინაპრები მეოცე საუკუნის კანიბალებად, სულაც პოლიგამიურ და ინცესტურ ურთიერთობებში წარმოედგინა, არაფრად მიიჩნევდა და "ჩაყლაპავდა"? პირადად მე, ნებისმიერი კუთხის მიმართ მსგავსი არაკაცური საქციელი უპატიებელ დანაშაულად და მკრეხელობად მიმაჩნია. თუ ქარუმიძეს მაინცდამაინც ეშმაკი არ ასვენებდა, ანდა ვიღაცის სარფიან სპეცშეკვეთას დახარბდა, მაგ „ძღვენით" ისევ თავისი მშობელი კუთხე "დაემშვენებინა", ანდა, გათახსირების ეს „გრანდიოზული პროექტი" სულაც აბსტრაქციაში განეხორციელებინა! — რაღა სვანეთს ებდღვნა? (შედარებისთვის გავიხსენოთ, "თეთრ საყელოში" გენიოსმა მიხეილ ჯავახიშვილმა რა ლამაზად, როგორი ფაქიზი შტრიხებით წარმოგვიდგინა სწორფრობის (წაწლობის) ერთობ უხერხული ხევსურული ტრადიცია!)...**

**ამას წინათ, დიდებული მხატვარი — ვახტანგ ონიანი სიხარულით იხსენებდა: უცხოელი კოლეგები ავიყვანე უშგულში და გაგიჟდნენ სვანი ქალების ხილვით, ასეთი სრულყოფილი, ჯანსაღი სილამაზე არსად გვინახავსო! როგორც უკვე ითქვა, ქარუმიძემ ის ქალები თხებს მიუსხა და...**

**ისტორიის მანძილზე მარიამ ღვთისმშობელიც, მის წილხვედრ ქვეყანასთან ერთად, არაერთგზის ვნებულა, მაგრამ — შ ე ე ფ უ რ თ ხ ე ბ ი ნ ო თ?! — ასეთი პრეცედენტი არ მახსენდება. ქარუმიძე ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის გარშემო მოზეიმე ანგელოზ ბავშვებს ფურთხებითა და ნეხვის სროლით აძახებინებს: „ფუი, ლამარია! ფუი, ლამარია!" („ლამარია" მარიამ ღვთისმშობელია) — მეტი მკრეხელობა განა იქნება?!**

გადმოცემით, სვანეთში მყოფი სულმნათი აკაკი წერეთელი მასპინძლებს ერთხელ „კვირიკეს" ეკლესიის მოსანახულებლად წაუყვანიათ. გარკვეულ მანძილზე რომ მიახლოებიან, გამყოლებს ფეხზე გაუხდევინებიათ,— აქედან წმინდა მიწა იწყება და ფეხშიშველმა უნდა ვიაროთო... სვანეთში ჩაბრძანებული ქარუმიძე კი თავის პერსონაჟ მამაკაცებს ეკლესიის კარზე მკრეხელურ, გულისამრევ საქციელს ჩაადენინებს! ეს მაშინ, როცა სვანები თავის სალოცავებს დღემდე მოწიწებით ეპყრობიან.

**უნდა ითქვას, რომ სვანური ენაც იმ ცადაწვდილი მწვერვალებივით წმინდაა. კაცი სვანურად ვერ შეიგინებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ პირველქმნილ ქართველურ ენას საგინებელი ფორმულები არ** ▶

## ჰკა მაგასა!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქარუმიძემ, კერძოდ, სვანებს და, საზოგადოდ, ქართველებს ერთნაირად „სცა პატივი"! დიახ, თუ ვინმეს ჰგონია და მათ შორის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსაც, რომ ქარუმიძემ დაბალი ღობე მხოლოდ სვანები ნახა და ეს შეურაცხყოფა სხვებსაც არ შეეხება, ძალიანაც ცდებიან!

◀ **აქვს** — განა ეს ცოტაა? **ქარუმიძეს კი „ლილეოსა" და „შინავორგილის" შემქმნელი, სუფთა სულის, ამაყი, ალალი მთიელები პირუტყვებად ჰყავს გამოყვანილი, ისეთად, ველურ კანიბალებშიც რომ ვერ ნახავთ. წარმოიდგინეთ, მის პერსონაჟებს მეტყველებაც არ შეუძლიათ: „ა, თქვენისთანა ბალღებს, დედის სკორემც გვიჭამია!"... „მარილი ჩვენი მოგვეც ჩვენ, ჯიმშერ" და მსგავსი აბდაუბდა...** ავტორი ამ ყოველივეს დოკუმენტურ ელფერს სძენს და მეტი სარწმუნოობისათვის ვასერმანების სტუმრობას უკავშირებს. საინტერესოა, რას ფიქრობდა ამ დროს: **ადგილობრივ ზღაპრულ სილამაზეს ასე ფანტასტიკურად შერწყმულ-მისადაგებული ათასწლოვანი არქიტექტურული „კოლოსების" — მურყვამებისა და სალოცავების, საცხოვრებელი კომპლექსების შექმნას მისი პრიმიტიული, ერთმანეთს „მოქაქუნე" პედერასტი პერსონაჟები შეძლებდნენ? თუ ეს ყოველივე საიდანღაც მოსულმა ჰუმანოიდებმა აღმართეს და დაგვიტოვეს?** იქნებ აგვიხსნას ვინმემ, ეს „ფანტასტიკური" და „ბრწყინვალე ნიჭის" კაცი ასე რამ დაბოღმა, თავისი „პამფლეტით" რისი თქმა ეწადა, რას ემსახურება და სვანები რაში გვამხილა?

ამ შემთხვევაში ვინ ვისი უფლებები შელახა? ანდაზისა არ იყოს, „მე შაირი არ მინდოდა, შენ ამტეხე ძალადაო", **ქარუმიძეს რომ არ გაველანძღეთ, უტიფრად არ გამოვეწვიეთ და გავემწარებინეთ, რომელიმე ჩვენგანს ეს კაცი ოდესმე გაახსენდებოდა? ცხადია, — არა! ისედაც ცოტა თავის ტკივილი გვაქვს სვანებს, რომ ქარუმიძეს არ გამოვკიდებოდით?!**

ყველა ადამიანი თავისუფალია, ქარუმიძესაც სრული უფლება აქვს, რაც უნდა, ის წეროს, ამასთან, **მწერალი ვალდებული იყო, დაეცვა ელემენტარული, თუმცაღა აუცილებელი პრინციპი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა თავისი ნამოქმედარით სხვა არ უნდა დააზიანოს! სამწუხაროდ, „ჰერ" ქარუმიძემ ეს უზენაესი დათქმა მისთვის ეგზომ საყვარელ ერთ ადგილზე დაიკიდა... მართლაც მეტი პარადოქსი რა უნდა იყოს, მისი ფანები შეურაცხმყოფელს გააფთრებით იცავენ და შეურაცხყოფილებს (განსაკუთრებით ჯაჭვლიანს) ლანძღავენ. გაიხსენონ: ბევრისგან განსხვავებით, ჯაჭვლიანი ბიძინას არ „დაუნიშნავს", ხალხმა აირჩია თავის წარმომადგენლად, უფლებების დამცველად და მან ეს ვალდებულება ლეგიტიმურად გამოიყენა.**

ამ დღეებში ავტორის სხვა შემოქმედებით „მარგალიტებსაც" ჩავკარი თვალი და **დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ისევე, როგორც მწყურვალის ფიქრები მუდმივად წყალს დასტრიალებს ხოლმე, ქარუმიძის საფიქრალი და დომინანტა, რატომღაც ლიბიდოს თემა ყოფილა; გატაცებულია სქესობრივი წიაღსვლებითა და სკრუპულოზურად აღნუსხავს ნაირნაირ ფიზიოლოგიურ შეგრძნებებს და ინტიმური პროცესების თანმხლებ ბგერებს, ჩვენი წერილის სათაურში რომ გამოვიტანეთ მისი მეორე „შედევრიდან" — „ღვინომუქი ზღვა".**

აქვე, უნებურად, იმ წვერიან-მწვირიანი ადრეკილას „წითელი მამლაყინწასავით" თავს წამოყოფს ეჭვიანი კითხვები:

**— ვის სჭირდება ამგვარი ნაღვაწი, მით უმეტეს დღენიადაგ სექსუალურ განცდებში ქექვა? რა არის მიზანი, რას ემსახურება?**

**რას და, პირდაპირ ვთქვათ: მასონური სამყაროდან მიღებულ მაღალანაზღაურებად დაკვეთებს ხომ არა? ამგვარ ლიბერასტ შემოქმედთა პროდუქცია პირდაპირ პასუხობს მათ მოთხოვნებს, დირექტივებს; თანხვედრილია თუნდაც აგერ, სულ ახლახან ევროპარლამენტის მიერ მოწონებულ, დეპუტატ ედიტე ესტრელას შემუშავებულ რეზოლუციასთან, რომლის მიღების შემდეგ სავალდებულო გახდება, ბავშვები 2-3 წლის ასაკიდან ვაზიაროთ გენიტალიების სექსუალური ფუნქციის ცოდნას, მასტურბაციით, ერთსქესიანი სექსით ტკბობის საიდუმლოებებს და ა.შ...**

ლიტერატურა რომ ავტორის ხელში საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების უმძლავრესი „ფსიქოტრონული იარაღია" ეს ყველამ იცის; გააჩნია, „იარაღი" საითაა მიმართული: სიკეთისკენ თუ — პირიქით. მხატვრული ნაწარმოებიდან წამოსული არაჯანსაღი მუხტი განსაკუთრებით მოზარდ თაობას აზიანებს, რომლის იმუნური სისტემა მყიფე, სათუთი და დაუცველია. მე აქ გამახსენდა გამორჩეულად ნიჭიერი ახალგაზრდა ავტორის — ერეკლე დეისაძის გულწრფელი აღიარება: — „ზაზა ბურჭულაძის წაკითხვის შემდეგ, ორი კვირა გონზე ვერ მოვედიო". ეს ახალგაზრდა კაცი, ნიჭის წყალობით, დღეს გადარჩენილია და წინ საინტერესო შემოქმედებითი გზაც აქვს... სხვა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდაც იკვეთება, ვინც ამჟამად, შესაძლოა, იმდენად არ ხმაურობდეს, მაგრამ თავის სათქმელს მომავალში იტყვის. სამწუხაროდ, ნიჭს მხოლოდ განათლება (თუნდაც „ფანტასტიკური") არ ჰყოფნის. როგორც უკვე ითქვა, ეს ღვთიური მადლი სულიერი ტკივილების, მოყვასისადმი თანაგრძნობის, სიყვარულის გარეშე მკვდარია. ასეთები ჭაობის ზედაპირზე მოტივტივე უფესვო წყალმცენარეებივით არიან; ინტრიგა, სკანდალი, ბილწსიტყვაობა, სექსი, აგრესია მწერლობა ჰგონიათ და, როგორც წესი, ლიტერატურშჩინას იქით ვერ ქაჩავენ. დეისაძეს ამ მხრივაც გაუმართლა, მაგრამ, ახალუხლებიდან რამდენია, ვისმა ფსიქიკამაც კოლექტიური „ბურჭულაძისგან" ცნობიერებაში შეყვანილ სულიერ შხამს ვერ გაუძლო, თავი ვერ დააღწია და ამგვარი ლიტერატურის გავლენით, როგორც იტყვიან, — „ლომკაში ჩარჩა"?

მეტისმეტად მოგვიმრავლდნენ უცხოურ დაკვეთებზე სარფიანად მომუშავე კალმოსნებიც, რომელთა შემოქმედება პირდაპირ კავშირშია ერის მორალურ-ზნეობრივ გარდაგულარძნებასთან. ქარუმიძის "ღვაწლსაც" გარკვეული ახსნა, შესაძლოა, ამ კუთხითაც ეძებნებოდეს. უკვე კლანებად დაჯგუფებული ამგვარი კალმოსნები, წინა რეჟიმის დროს ყოველგვარი მხარდაჭერით და ხელშეწყობით სარგებლობდნენ. როგორც ჩანს, დღესაც გამოჩნდნენ ისეთები, მათ შორის ხელისუფლებაშიც, სწორედ სკანდალურობით გამორჩეული ავტორების მფარველობა-წახალისებაზე რომ არიან ორიენტირებული და ერის მენტალობას, ღირსებას არაფრად დაგიდევენ, მკითხველთან ბოდიში და ზაზა ბურჭულაძის — „დე, პირში აიღებ?" და მისთანებს, ყოველდღიურ უბრალო საყველპურო ფრაზებად მიიჩნევენ.

> **«მელია-ტულეფიას» და «ღვინომუქი ზღვის» პორნო-პათოლოგიურ წიაღსვლებსაც საკმაოდ საეჭვო პოლიტიკური შეკვეთის მყრალი სუნი უდის!**

თუმცა დავუბრუნდეთ ჩვენს თემას:

... სტუმარს ლუკმა როგორ უნდა დაამადლო, მაგრამ, როცა მტრის ბანაკიდან მოგზავნილივით შემოგეპარება და გიმუხთლებს, ასეთს სტუმარი აღარ ჰქვია. **სვანეთში ამ უმადური ქარუმიძისთვისაც უციათ პატივი, უშგულელები„ ზედ გადაჰყოლიან, ჯიხვის მწვადებით, ქუთებით და კუბდარითაც უსიამოვნებია. თვითონ კი როგორ მოიქცა? ისე გამოვიდა, გამოტრიალდა და, მადლობის მაგიერ, მასპინძლებს სუფრა წაუბილწა!**

**ქარუმიძე, ამის შემდეგ სი მარე ხია (შენ კაცი ხარ)?!** — თუმცა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა უკვე მკითხველისთვის მიგვინდია...

**პლანეტაზე, რომელსაც ქართველმა კაცმა სიყვარულით „დედამიწა" შეარქვა, ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილი შორეული მისტერიების ანარეკლი, მათ შორის წარმართული ღვთაება მელია-ტელეფიას რიტუალი, რომელსაც ხეთურ მითოსურ ტელეფინუსთან ეძებნება პარალელი, ჩვენი ერის არქაულობის, უძველეს ცივილიზაციებთან წილნაყარობის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია და რატომაა, რომ ქარუმიძე ამ სიმდიდრის პატრონებს დაგვცინის და ცინიკურად მიწასთან გვასწორებს?**

ამ კითხვას მრავალი საორჭოფო პასუხი შეიძლება მოეძებნოს:

მხოლოდ მე არ ვარ, ვინც ეს სიბინძურე ქართველთმოძულე კაცის დაწერილად მიიჩნია. ტელეეთერში ამ თემაზე საუბრისას, აღშფოთებულმა უცნობმა ქალმა დარეკა, — **ქარუმიძე ქართველი არ გეგონოთ, გვარგადაკეთებულია,** ანუ „თვისტომის დამვიწყებელი" მფრინავი თაგვიაო!

**უცხოტომელობა არაფერ შუაშია, მთავარი ცნობიერებაა. ბევრისთვის, ეგებ, გაუგებარიც იყოს, არაბ აბოს, სომეხ შუშანიკსა და ასურელ აბიბო ნეკრესელს რატომ მივიჩნევთ ქართველ წმინდანებად და ქართული გვარის მქონე სააკაშვილს — არაქართველად. მისი წარმომავლობა ვინმეს გაახსენდებოდა, ქართული საქმე რომ ეკეთებინა? ცხადია, — არა! ჩვენმა მენტალიტეტმა სააკაშვილი მას შემდეგ გაიუცხოვა, რაც მასში ქართული გენისადმი მტრულად მომართულ ცნობიერებას წააწყდა.**

ქართველი დაუძახე და, **როცა რომელიმე ჯიბესქელი ბანკირი ერის გაუკულმართებას პრემიებით ახალისებს, ამასთანავე, კაბალური საბანკო ვალებით ლამის წიხლქვეშ ჰყავს მოგდებული მთელი საქართველო, მისი საქციელი ავი დედინაცვლის ორგულობისგან ძალიან განსხვავდება?**

მიმოვიხედოთ, კიდევ რამდენი „ნაქართველარია" ჩვენ გვერდით, თუნდაც ქვაწვია **ბენდუქიძის** მსგავსი, ბოლომდე რომ გამოხრეს ქვეყანა!

ასეთების ფონზე, არც არის გასაკვირი, ვთქვათ, **ლალი მოროშკინა** უფრო გვეთავისებოდეს და გვეიმედებოდეს, ვიდრე ქართულ ტრადიციებთან თავგადაკლული მებრძოლი ლგბტ-ელი ჩვენებური გლობალისტ-ლიბერასტები.

სწორედ გუშინ იყო, დიდებული სომეხი და, ამასთანავე, დიდებული ქართველიც — **გივი შაჰნაზარი** „ობიექტივის" ეთერში ისეთი სიყვარულით საუბრობდა ცხონებულ შოთა ნიშნიანიძეზე, მადლიერებით ავივსე. თუნდაც **გია ვოლსკი** და **დავით სერგიენკო** ვისზე ნაკლები ქართველები არიან? ჩამოთვლილთაგან გვარი არც ერთს არ გადაუკეთებია, თავისი გენიალოგია არ დაუმალავს, აქ გვარი და პიროვნება ერთმანეთს ავსებენ (დაფარული ეშმაკისააო, — ტყუილად როდი უთქვამთ!).

**„ჭკუით, ქართველებო!" — ანდერძად დაგვიტოვა სულგანათლებულმა ჭაბუა ამირეჯიბმა; ხოლო გენიოსი რუსთველი ჯერ კიდევ როდიდან გვაფრთხილებს — „მოყვარე მტერი ყოვლისა მტერთაგან უფრო მტერია!". დიახ, „მოყვარე მტრებმა" ზურგსუკან იციან საფლავის გათხრა, ვერაგულად იციან ზურგში ლახვრის ჩაცემა, თუმცა ეს მათი ბრალი როდია, ავ-კარგის გარჩევა ვერ ვისწავლეთ ქართველებმა.**

აქ მცირე რეტროსპექტივა:

**სვანებს განსაცდელის მეტი რა უნახავთ, მაგრამ სააკაშვილისდროინდელი მაინც უმწარესია — გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სატანის ამ მოციქულმა და მისმა ბანდამ, ქართველთა გენოციდი სწორედ სვანეთიდან დაიწყეს.** ჯერ იყო და **ვანო მერაბიშვილმა გირგვლიანის მკვლელებად არარსებული „სვანური დაჯგუფება" გამოაცხადა; სვანებს დააბრალეს ლევან კალაძის მკვლელობა და 16 წლის წყნეთელი ქალიშვილის, გოგინაშვილის, გატაცება-გაუჩინარება; სააკაშვილ-მერაბიშვილის ზონდერებმა ცემით მოკლეს მესტია-ზუგდიდის ტრასაზე შემთხვევით გზად შემოყრილი უდანაშაულო ახალგაზრდა, ტრაქტორისტი რეზო ცალანი; უკვალოდ გააქრეს გამორჩეული ვაჟკაცი, სატყეო მეურნეობის თანამშრომელი დათო ცინდელიანი; სააკაშვილის ბრძანებით, ვერტმფრენების ესკადრილიით ღამით დაბომბეს აფრასიძეების ოჯახი და მათ თავს ჯოჯოხეთი დაატრიალეს. ნუ დაგვავიწყდება ნაცბანდის „იფის ციხეში" თითიდან გამოწოვილი ბრალდებით დიუმას ედმონ დანტესივით სამუდამო პატიმრობამისჯილი, სამაგალითო ოჯახის შვილი და თავადაც ზნეკეთილი კაცი — გია გვიჩიანი; გმირი დაძმის — ნორა და ემზარ კვიციანების — მიმართ გამოჩენილი სასტიკი უსამართლობა და გავიხსენოთ დიდებული ქალბატონის — ნანუჩი ნავერიანისა და მისი ოჯახის დარბევა-აწიოკებაც და სხვა კიდევ რამდენი! მაგრამ სააკაშვილის ხროვისაგან ყველაზე დიდი დანაშაული მაინც დალის სვანეთის მოღალატური „გა-პრადალება" იყო, სრულიად საქართველოს მოურჩენელ ტკივილად რომ იქცა...**

**გლობალისტებმა საკუთარი იდეების ხორცშესასხმელად მსუყე ნიადაგი საქართველოში ჰპოვეს. მეობაგამოშიგნული რამიშვილ-ბოკერიები ფილანთროპის ნიღაბს ამოფარებული მილიარდერის — სოროსის ყუათიან ლუკმას ხარბად ჩააფრინდნენ, ეროვნულ სხეულში სარკომად ჩანერგილი „თავისუფლების (თავაშვებულების!) ინსტიტუტის" სახით მყარი პლაცდარმი შეიქმნეს და ნიჭიერად აიტაცეს ზემოდან ჩამოწვდილი სატანისტური ლოზუნგი — „უარი ყოველივე ქართულს!". „მელია-ტულეფიას" და „ღვინომუქი ზღვის" პორნო-პათოლოგიურ წიაღსვლებსაც საკმაოდ საეჭვო პოლიტიკური შეკვეთის მყრალი სუნი უდის!**

**ქარუმიძემ, კერძოდ, სვანებს და, საზოგადოდ, ქართველებს ერთნაირად „სცა პატივი"! დიახ, თუ ვინმეს ჰგონია და მათ შორის ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელსაც, რომ ქარუმიძემ დაბალი ღობე მხოლოდ სვანები ნახა და ეს შეურაცხყოფა სხვებს არ შეეხებათ, ძალიანაც ცდებიან!**

თუ „ერთობილი" სვანეთის ხმა, გულისთქმა (და არა მარტო მათი) ერთი „ნეხვისროლიას" დაწინაურებაზე მეტად არ ულირთ, უკვე მათი პრობლემაა, **ეს „ჭყპრ"კაცი ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, მაგრამ ხალხს რას ერჩიან?! ნუთუ ეს ადამიანები ხელისუფლებაში ჩვენივე სულში ჩასაფურთხებლად ავირჩიეთ?!**

ცოდვათნაშრევები დღეს კვლავ მრუმე ღრუბლებად ჩამოსწოლია ქართულ ზეცას. თუ არ გამოვფხიზლდით და მტერ-მოყვარის გარჩევა ვერ ვისწავლეთ, გუგულის კვერცხებივით შემოპარებული თუ ბნელ ღამეს ქურდულად შემოყოლილი ხაზარები და პაჭანიკები, „თავისუფლების ინსტიტუტში" დაფრთიანებულები, ნაწვიმარზე ამოყრილი სოკოებივით მომრავლებული გრანტითქვლეფია არასამთავრობოები და სხვა „დაცენტრილი" გლობალისტ-ლიბერასტები ამ ჩვენს უბედურ ქვეყანას აფთრების ხროვასავით გადათქერავენ და, წმინდა ილია მართლის თქმისა არ იყოს, ქართველთა მოდგმას ისე მოთელავენ, „როგორც დიდოელი ლეკი — ნაბადსა".

**„...და ჰკითხა მას [იესო]: რაი არს სახელი შენი? და რქუა მან: ლეგიონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ... და გამოვიდნენ უწმინდურნი სულნი, ღორებში შევიდნენ, და მთელი კოლტი, ასე, ორი ათასამდე სული, ზღვის კბოდეს მიაწყდა და წყალში ჩაიხრჩო..."** *(მარკოზი. 5. 9.)*

**დიახ, რუსის „კალაშნიკოვზე" მეტად სულში ჩაბუდებულ ავსულთა „ლეგიონის" გვეშინოდეს, რომელთა შესასახლებლად, ვაითუ, დღეს იმ ორი ათასი ღორის კოლტიც ერთობ მცირერიცხოვანი აღმოჩნდეს!**

**მირონ ხერგიანი**,
მწერალი, პუბლიცისტი,
სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი

> **ბევრისთვის, ეგებ, გაუგებარიც იყოს, არაბ აბოს, სომეხ შუშანიკსა და ასურელ აბიბო ნეკრესელს რატომ მივიჩნევთ ქართველ წმინდანებად და ქართული გვარის მქონე სააკაშვილს — არაქართველად. მისი წარმომავლობა ვინმეს გაახსენდებოდა, ქართული საქმე რომ ეკეთებინა? ცხადია, — არა! ჩვენმა მენტალიტეტმა სააკაშვილი მას შემდეგ გაიუცხოვა, რაც მასში ქართული გენისადმი მტრულად მომართულ ცნობიერებას წააწყდა**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ისე რომ ეპყრობიან, როგორც მონებს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ თბილისშიც არანაკლებს ბედავენ – დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე გახსნილ კაფეებში ქართველებს არ უშვებენ, თურქი ინვესტორები ქართველ ექიმებს აგინებენ კიდეც და პატრიარქის სურათის ჩამოხევასაც კი ცდილობენ! თურქების თავხედობის უფრო შორს წასვლა სწორედ ჩვენი ნატოში გაწევრების შემდეგ მოხდება.**

# ორი-სამი თაობის შემდეგ ენასაც დავკარგავთ, რწმენასაც და მამულსაც!

**ყველა ხელისუფლება და, ბუნებრივია, ჩვენიც, ცდილობს, თავისი გადაწყვეტილებების დამაჯერებლად წარმოჩენას მის ხელთ არსებული პრესა-ტელევიზიის (ძირითადად) მეშვეობით და ამაში მიუღებელი არაფერია — ყველას მოსაწონი პოლიტიკის გატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მხოლოდ იმ სიტყვებსა და ნაბიჯებზე შევჩერდები, რომელთაც, ჩემი შეფასებით, აბსურდული (უტოპიური), ქვეყნისთვის საზიანო (დანაშაულებრივი) და უზნეო (ამორალური) ჰქვია.**



**10 წელიწადში ასე დაგვაჯდნენ თავზე «ნაცების» შემოყვანილი თურქები და ნატოს სახელით შემოჯლიგინებულები ხომ სულ გაგვათურქებენ**

გადაჭარბებულად რომ არ მოეჩვენოს ვინმეს ჩემი ეს შეფასებები, დავიწყებ იმ საკითხის განხილვით, რომელშიც ერთადაა თავმოყრილი სამივე: **უტოპიურობა, ქვეყნისთვის საზიანო ქმედებები და ამორალურობა. ესაა ნატო, რომლის „ღია კარში" შესასვლელად ხან ასპირანტის წიგნაკს გვაძლევენ, ხანაც — მაპზე უკეთესს, მაგრამ შესვლით ვერ შევედით და ვერც ვერასოდეს შევალთ, ვიდრე რუსეთი იარსებებს! რუსეთი კი იარსებებს, ვიდრე დანარჩენი მსოფლიო იარსებებს, ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც არ დაგლახაკავდება, რომ ჩვენ ვერ წაგვიმძლვაროს წინ.**

ამაზე ბევრჯერ თქმულა, მაგრამ **ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი ექსპერტები, ნაცვლად იმისა, რომ არგუმენტებით გვარწმუნებდნენ ნატოში შესვლის მიზანშეწონილობას, თოფნაკრავივით გაურბიან ამ საკითხზე ღია მსჯელობას და ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით, ანუ მამალი ტყუილებით ცდილობენ, დაგვაჯერონ დაუჯერებელში – უახლოეს მომავალში ნატოს წევრობასა და ამის შედეგად მოპოვებულ უსაფრთხოებაში.** ცხადია, პირველ რიგში, ისინი რუსეთის აგრესიისგან დაცულობას გულისხმობენ (აქვე მინდა განვმარტო, რომ „ხელისუფლებაში" ვგულისხმობ როგორც ახალ, ისე ძველ ხელისუფლებას, რადგანაც „ნაცებს" არანაკლები წარმომადგენლობა ჰყავთ სახელისუფლო რგოლებში და ტელეეკრანიდან ისინი უფრო ხშირად გვამუნათებენ, ვიდრე ქოცები)!

**დავიწყოთ ნატოში შესვლით, ანუ უტოპიურობით.** იმის მიუხედავად, რომ **ყველამ, ხელისუფლებამ და მისმა მხარდამჭერმა ექსპერტებმაც, შესანიშნავად იციან ნატოს წესდების ორი მუხლი – ნატოში მისაღებ სახელმწიფოს ერთხმად უნდა უჭერდეს მხარს ამ ალიანსის ყველა წევრი-ქვეყანა და მას არ უნდა ჰქონდეს სასაზღვრო პრობლემები, ისინი მაინც ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას, რომ დღეს თუ არა ხვალ უეჭველად ამოვყოფთ თავს ნატოში.** აი, **კითხვაზე — როგორ დავძლევთ ნატოს წესდების ამ ორ მოთხოვნას, ანუ როგორ დაგვიჭერს აბსოლუტურად ყველა(!) სახელმწიფო მხარს რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ, როცა თითქმის ყველანი რუსეთის გაზზე არიან მიბმულნი (ზოგი სანახევროდ და ზოგიც მთლიანად) ან როგორ დახუჭავს ნატო თვალს ჩვენს არათუ სასაზღვრო პრობლემებზე, არამედ გაცილებით უარესზე – საქართველოს ორ რეგიონში მდგარ რუსეთის ჯარზე, ამის განმარტებით არავინ იწუხებს თავს. რატომ? იმიტომ, რომ პრონატოელებს პასუხი, უბრალოდ, არ აქვთ.** ამის ნაცვლად რიხით აცხადებენ: აჰ, ვინ ჰკითხავს რუსეთს საქართველოს მიღება-არმიღებასო, თითქოს ჩვენ გვეკავოს დედამიწის ერთი მეექვსედი და არა – რუსეთს! **ნორმალური ადამიანისთვის წარმოუდგენელია, რისი იმედი აქვთ ხელისუფლებაში ან ექსპერტთა კოჰორტაში, როცა ნატოში გაწევრების უტოპიურ ოცნებაზე ასეთი ოპტიმიზმით გვესაუბრებიან!**

ახლა განვიხილოთ ხელისუფლებისთვის სასურველი ვარიანტი, რომელსაც იგი, ალბათ, ახლო მომავლისთვის ელოდება. დავუშვათ, ერთი მხრივ, ევროპამ მიაგნო ბუნებრივი აირის ალტერნატიულ წყაროს, ნაკლებად დამოკიდებული გახდა რუსეთზე და გადაწყვიტა, ერთხმად დაუჭიროს მხარი საქართველოს ნატოში მიღებას და, მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამაც, ნატოში გაწევრების სანაცვლოდ, აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე უარის თქმა გადაწყვიტა. ამით მოიხსნება ზემოთ მოყვანილი ორი, თითქოსდა გადაულახავი ბარიერი და ნატოში შესვლაც რეალური გახდება, შესაძლებელია მოვლენების ამგვარად განვითარება? — ძნელი წარმოსადგენია, რადგან ევროპა კიდევ კარგა ხანს, ახლო მომავალში მაინც, რუსულ გაზზე იქნება დამოკიდებული (სხვა კავშირებზე რომ არაფერი ვთქვათ). რაც შეეხება ქართველი ხალხის დაყაბულებას აფხაზეთ-სამაჩაბლოზე უარის თქმაზე, ამას მხოლოდ მასობრივი რეპრესიების ხარჯზე თუ მიაღწევს ხელისუფლება. მაგრამ მოდი, ხალხის იძულებითი დათანხმების თუ პასიურობის შესაძლებლობაც დავუშვათ (დაშინებით, ტელეგამოჩერჩეტებით თუ ახალი გაყალბებული პლებისციტით გამოწვეული). რუსეთი, რუსეთი დაგვავიწყდა? იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ის გულარხეინად დაგვაკვირდება შორიდან და ხელსაც არ გაანძრევს, აქაოდა, ამერიკამ სანქციები არ დამიწესოსო?! **ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ, როგორც კი რეალურად დადგება საქართველოს ნატოში მიღების საკითხი, იმავე წუთს, სულ რაღაც ორ საათში, საქართველოს მთელი ტერიტორია აღმოჩნდება რუსეთის სამიზნე! პუტინმა ყველას გასაგონად და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ განაცხადა, რომ იგი რუსეთის საზღვრებთან (ლობესთან) ნატოს არ გააჭაჭანებს!** ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი მოახდენს არა მარტო საქართველოს, არამედ მოსაზღვრე ყველა იმ ქვეყნის ნეიტრალიზაციას, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის მოცემულ ეტაპზე, და მას წინ ვერ აღუდგება ვერც ევროპა და ვერც ამერიკა თავიანთი შეშფოთებებით! **არც საქართველოს და არც არავის გულისთვის დასავლეთი პლანეტის და, მაშასადამე, საკუთარი თავის დამღუპველ მესამე მსოფლიო ომს რომ არ წამოიწყებს, ამას გიჟის მეტი ყველა ხვდება.**

**სახელმწიფოს ტერიტორიების დაკარგვა, რომელიც ხელისუფლების უგუნური აქტიურობითა და პროვოკაციული ნაბიჯებით იყო გამოწვეული, ქვეყნის ინტერესების საზიანო ქმედებად ითვლება ყველგან და მკაცრადაც ისჯება!** მხოლოდ ჩვენთან შეფასდა მაღალი „ნაცის" მიერ ტერიტორიის 20%-ის დაკარგვა „ნაციონალურად" — **რა მოხდა, რაღაც 150 სოფელი დავკარგეთ და 25 ათასი ახალი ლტოლვილი დაგვემატა, ქვა და ღორღი იყო ის მიწები, რას მივტირითო!** ამის მთქმელს არ უნდა ეპატიოს ჩადენილი დანაშაული და მკრეხელური სიტყვები (რა დროც უნდა გავიდეს!) და არც ხელისუფლებასაც, რომელმაც ის არ დასაჯა!

ახლა კიდევ ერთი, თითქოსდა, რთული რამ — **ხელისუფლების უზნეობა-ამორალურობა დაგვრჩა დასამტკიცებელი.** ზემოთქმული — ხალხის მოტყუება და ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფა — უზნეობის კატეგორიაში გადის, მაგრამ გაცილებით მძიმე ხარისხის ამორალურობაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ნატოში გაწევრებას აუცილებლად მოჰყვება.

დავუშვათ, იდეალური ვარიანტი: ამა თუ იმ გზით, ნატოს წესდების მუხლებიც დაიძლია და რუსეთშიც ისეთი ხელისუფლება მოვიდა პუტინის შემდეგ, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოც დაგვიბრუნა, ჯარებიც გაიყვანა და ნატოში შესვლაზეც მწვანე შუქი აგვინთო! ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო კაცმა, მაგრამ მაინც ვიკითხოთ: **ავშენდებით თუ დავიღუპებით ნატოში შესვლით?**

დღეს **ყველანი მოწმენი ვართ, როგორ ითვისებს ქართულ მიწებს თურქეთი, განსაკუთრებით — აჭარაში და ამის ასალაგმად ხელისუფლება ზომებს არ იღებს. ხვალ, ანუ ნატოში შესვლის შემდეგ, თურქების გავლენა საქართველოში (სამხედრო ძალის შემოსვლაც, ნატოს ეგიდით) უდავოდ მოიმატებს და ხელისუფლება, სურვილის შემთხვევაშიც კი, წინ ვერ აღუდგება ნატოს წევრ ჩვენს მეზობელს, რომელიც დიდ თურქეთზე ოცნებობს და აჭარაზე პრეტენზიაც ბევრჯერ გამოხატა საჯაროდ.** დანარჩენ საქართველოზეც რომ უჭირავს თვალი, არც ეს არის საიდუმლო. **თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს ისე რომ ეპყრობიან, როგორც მონებს, დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ თბილისშიც არანაკლებს ბედავენ – დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე გახსნილ კაფეებში ქართველებს არ უშვებენ, თურქი ინვესტორები ქართველ ექიმებს გინებას არ აკლებენ და პატრიარქის სურათის ჩამოხევასაც კი ცდილობენ! თურქების თავხედობის უფრო შორს წასვლა სწორედ ჩვენი ნატოში გაწევრების შემდეგ მოხდება.** ჩვენი უსუსური ხელისუფლების მოღალატეობრივი უგუნურებაც მაშინ გახდება კიდევ უფრო თვალში საცემი, მაგრამ უკვე გვიანი იქნება! ადვილი მისახვედრია, რა მოგველის ახლო მომავალში ნატოს წყალობით — **10 წელიწადში ასე დაგვაჯდნენ თავზე „ნაცების" შემოყვანილი თურქები და ნატოს სახელით შემოჯლიგინებულები ხომ სულ გაგვათურქებენ — დიდი ალბათობით, ორი-სამი თაობის შემდეგ ენასაც დავკარგავთ, რწმენასაც და მამულსაც!**

**როდესაც შენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის ნაცვლად, წინდაუხედავი თუ გამიზნული ნაბიჯებით ერი მეთოდურად მიგყავს გადაშენება-გადაგვარების გზით, სწორედ ამას ეწოდება დანაშაული და ამორალურობა.** ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **ყველა (პირველ რიგში, ცხადია, ხელისუფლება), ვინც ნატო-ნატოს გაიძახის, ვისაც სჯერა ნატოში გაწევრებისა და მისი იმედი აქვს, არის უცოდინარი და ბრიყვი, ხოლო ვინც იცის, რა სავალალო შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ გაუაზრებელ მხოლოდ ლტოლვასაც კი და, მით უფრო, ნატოში შესვლას, საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის (რუსეთის სამიზნედ გადაქცევა ან გათურქება „ისტორიული მეგობრისგან"), ის ქართველობაზე, მართლმადიდებლობაზე ხელაღებული, უკვე გადაგვარებული, ვერცხლზე გაყიდული არსებაა!**

ახლა ნატოსავით აკვიატებულ და არანაკლები საფრთხის შემცველ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თაობაზე და ხელისუფლების სხვა უზნეობებზეც მოგახსენებთ:

**ევროკავშირთან ასოცირებაც რომ დამღუპველია, ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების – ბულგარეთისა და რუმინეთის — და, გნებავთ, ჩვენსავით პოსტსაბჭოთა ლატვიის მაგალითზე, საიდანაც ხუთ წელიწადში მოსახლეობის მეხუთედმა(!) დატოვა ქვეყანა და სამუშაოს საძებნელად ევროპას მოედო.**

ამერიკელებს აქვთ გამოთქმა (შიგა მოხმარებისთვის განკუთვნილი და არა – განვითარებადი სახელმწიფოების მოსახლეობისთვის, ცხადია): „ერთხელ მომატყუე? — შენი სირცხვილი; ორჯერ? — ჩემი სირცხვილი!". ჩვენ რამდენჯერ მოგვატყუეს, ამას თვლა აქვს? მხოლოდ მოგვატყუეს? რამდენჯერ გაგვითელეს ღირსება და აგვყარეს პატივი და საერთოდ, გვაგდებს ვინმე ძაღლად, გვეკითხება რამეს? ხალხს ხომ იმის არჩევის უფლებასაც არ აძლევენ, სად, რომელ კავშირში სურს გაწევრება — ნატოში, ევროკავშირში, ევრაზიულ კავშირში თუ არც ერთში! **როცა ხელისუფლება გვეუბნება: საგარეო კურსის არჩევის უფლება არ გაქვთ, ასეთ საკითხებზე რეფერენდუმი არ ტარდება, კონსტიტუცია ამას არ ითვალისწინებს, ეს ჩვე-** ▶

**ჩვენ, ქართველებს, ისე გვექცევიან, თითქოს მრავალომგადახდილი ჩვენივე მიწა-წყალი მათგან, ევროპელებისგან, არენდით გვქონდეს აღებული და ახლა ყურადღებით გვაკვირდებიან: ემანდ რამეზე ცუდად არ დავაბიჯოთ, რაიმე არ გავაფუჭოთ.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ნი გადასაწყვეტიაო და, ამასთანავე, თავს ხალხის ნების აღმსრულებელ, ხალხის სამსახურში მყოფ დაქირავებულ ხელისუფლებას უწოდებს, იგი ერთდროულად გვატყუებს და დაგვცინის კიდეც!**

არადა, თავისუფალ არჩევნებთან ერთად სწორედ რეფერენდუმი არის ხალხის მმართველობის, ანუ დემოკრატიის უშუალო და პირდაპირი გამოხატულება, ამ გზით მოქალაქეები უშუალოდ მონაწილეობენ სახელმწიფოსთვის და, მაშასადამე, თითოეული მათგანისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში! და ამ დროს გვიცხადებენ, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა-არმოწერა რეფერენდუმით არ წყდებაო. ნატოში შესვლა-არშესვლაზეც, წესით, რეფერენდუმი უნდა იმართებოდეს, მაგრამ ჩვენ პლებისციტს(?!) გვიტარებენ; არადა, პლებისციტი მხოლოდ ლოკალური(!) მნიშვნელობის საკითხებზე ხალხის გამოკითხვაა და მეტი არაფერი, რეფერენდუმი კი ხალხის ნების გამოხატვაა, რის წინააღმდეგაც ხელისუფლება ვერ წავა! თანაც, **ჩვენ ზუსტად ექვსი წლის წინათ (2008 წლის იანვარში) პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად და არანაკლები გაყალბებით ჩატარებული პლებისციტით გვკვებავენ დღესაც – ახალი, „პატიოსანი" ხელისუფლების პირობებშიც.** ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ არც ნატოში და არც ევროკავშირში თავის შეყოფა (ნატოს ომებში მონაწილეობა და თუნდაც ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა) არ არის მეათეხარისხოვანი საკითხი და, რომ ასეთ **სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე აუცილებლად რეფერენდუმი უნდა იმართებოდეს, და არა – იურიდიული ძალის არმქონე პლებისციტი, რომლის ფუნქციასაც მშვენივრად ასრულებს სხვადასხვა სოციოლოგიური გამოკითხვა.**

**ეკონომიკის მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთი ჩამორჩენილი საქართველო, რომლის ხელისუფლებასაც შინ ვერ მოუგვარებია ვერც ერთი პრობლემა (ეკონომიკური, სამართლებრივი, პოლიტიკური), რომელსაც უზარმაზარი საგარეო ვალი აქვს და რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უცხოეთში სამუშაოდ წასული ოჯახის წევრების მიერ გადმორიცხული თანხების იმედზეა, რომელიც ვერც ერთ მეზობელ ქვეყანას ვერ გაუმკლავდება სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, სხვას უმყარებს წესრიგს და დემოკრატიას და რიხით აცხადებს: მსოფლიოს უსაფრთხოებაში შეგვაქვს ჩვენი წვლილიო!**

**სხვისი შვილების ომში გაწირვა და საკუთარზე კრუხივით გადაფოფრა რომ დიდზე დიდი უზნეობაა ხელისუფლების მხრიდან, ამას ვინმეს დასტური სჭირდება?!**

ახლა ისიც ვიკითხოთ, **რა იურიდიული და, რაც მთავარია, რა მორალური უფლება გვაქვს, ცხრა მთას იქით ვიღაცებს წესრიგი დავუმყაროთ, თანაც, ცეცხლითა და მახვილით! გვთხოვეს კი მათ — ხელისუფლებამ ან ხალხმა — დახმარება? თუკი სხვის საქმეებში, თუნდაც შიდა არეულობაში ჩარევა სამართლიანია, მაშინ 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენთან ატეხილ სამოქალაქო ომში უცხო ქვეყნები (აფრიკიდანაც) რომ ჩარეულიყვნენ იმავე გაეროს ან ნატოს მანდატით და მშვიდობის აღდგენის მომიზეზებით (საკუთარი სამშობლოს დაცვის და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების მიზნით!) გვარიანადაც გავეჟუჟეთ, გამოდის, მისასალმებელი იქნებოდა!**

ხელისუფლება დაგვცინის, როცა „გვამშვიდებს": ხომ ხედავთ, სამართლის აღდგენას ვიწყებთ, ათ(!) საქმეზე ვიბარებთ სააკაშვილს მოწმედ, მაგრამ, რადგან არ ჩამოდის და გამოუცხადებლობის გამო მოწმეზე ძებნაც არ ცხადდება, თქვენ ნუ ინერვიულებთ, ყურებით თუ არა, სკაიპით მაინც „დავიჭერთ" და ჩვენებას მოვაცემინებთო. თუ მართლა მისი ჩამოყვანა და გასამართლება სურს „ქართულ ოცნებას", რაღა მოწმის სახით იბარებს, სისხლის სამართლის დანაშაული არაფერი აქვს ჩადენილი ამ ვაჟბატონს?! **მარტო აფრასიძეების ჩახოცვის თაობაზე მის მიერ საჯაროდ გაცხადებული აღიარება და დოკუმენტურად(!) დადასტურებული დიდი ოდენობით სახელმწიფო ფულის საკუთარი მიზნებისთვის ხარჯვა, როცა მუცლის ამოყორვას და მრუშობას გადაყოლილი 40 წლის(!) „მამაკაცი" ბოტოქსების ინექციაში, მასაჟებსა და ღიპის დასაგდებად ათეულობით ათასს ხარჯავდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საკუთარი შვილის სწავლის საფასურს იხდიდა, საკმარისზე მეტი სამხილი არ არის სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად და მის ყურით ჩამოსათრევად?!**

მასხრად აგდებაზე მეტია, როცა ამერიკიდან თავსმოხვეულ კოჰაბიტაციას — „ბილწებთან ზავით შეკვრას", ურცხვად გვაბრალებს „ქართული ოცნება", თითქოს ეს იყო ქართველი ხალხის მოთხოვნა და არა — „ნაცხროვის" გასამართლება!

**ასეთ უტიფრობას შესატყვისი სახელიც არ მოეძებნება, შეურაცხყოფილ, გამწარებულ და „ქართული ოცნებისგანაც"(!) გაბითურებულ კაცს, ასეთ დროს, მხოლოდ ერთი გავრცელებული გამოთქმა მოადგება პირზე: „მაშ, მტყუნის..."**

**იაკობ ლეჟავა**

**რა იურიდიული და, რაც მთავარია, რა მორალური უფლება გვაქვს, ცხრა მთას იქით ვიღაცებს წესრიგი დავუმყაროთ, თანაც, ცეცხლითა და მახვილით! გვთხოვეს კი მათ — ხელისუფლებამ ან ხალხმა — დახმარება?**

# ღია წერილი საქართველოს ხელისუფლებას! ქართული საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელს, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო!

**დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც თავს ვერ ართმევს მის წინაშე მდგარ ვერც ერთ ამოცანას; უფრო მეტიც — არ აქვს პოლიტიკური ნება და სიმტკიცე, საკითხები ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. სამაგიეროდ ბედავენ, ქვეყნის მოსახლეობა „დააბოლონ" ყოველდღიური შეგონებით, რომ „ცხოვრება მშვენიერია"...**



ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო, დედებო და მამებო, დებო და ძმებო, უფროსებო და უმცროსებო, ჩემო სისხლო და ხორცო!

ორ ათეულ წელზე მეტია, ჩვენი სამშობლო სავალალო დღეშია: ქვეყანა დაღუპვის პირასაა; ვკარგავთ ტერიტორიებს; გვართმევენ ენას, ებრძვიან ჩვენს უძველეს სარწმუნოებას — მართლმადიდებლობას; გვინგრევენ და გვინადგურებენ ყველაფერს, რაც ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი ქართველისთვის; გვისპობენ ეროვნულ თვითშეგნებას, უძველეს კულტურულ ტრადიციებს; ოჯახური ცხოვრების წესსა და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ზნეობრივ ფასეულობებს. იშლება და ნადგურდება ყოველივე, რაც ქართველ ერს საუკუნეების განმავლობაში ბრძოლითა და სისხლისღვრით დღემდე მოუტანია! ნუთუ დავბრმავდით, ნუთუ დავყრუვდით?! დღეს უკვე გაჩუმება და განზე დგომა დანაშაულის ტოლფასია. **თითოეული ქართველის მოვალეობაა, წინ აღვუდგეთ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მომართულ მტრულ აგრესიას. გარედან შველას ტყუილად ველით. ბრძოლა გადარჩენისათვის თითოეული ჩვენგანის ვალია.**

ამიტომაც გავკადნიერდი თქვენი მონა-მორჩილი, თქვენი თანამოძმე, ერთ-ერთი რიგითი ქართველი და გადავწყვიტე, მომემართა თქვენთვის, თქვენთვის, ჩემო ქართველო ხალხო! რა ვქნა, ველარ გავჩუმდები და გულგრილად ველარ ვუყურებ, როგორ მიექანება უფსკრულისკენ ჩვენი გმირი წინაპრების მიერ დღემდე სისხლით მოტანილი ჩვენი სამშობლო — საქართველო!

**ჩვენ გვიღალატეს და დღესაც გვღალატობენ! დამისახელეთ ქვეყანა, რომლის ხელისუფლების სათავეში მოსულა მმართველი პარტია, რომლის სახელწოდებაშიც იყო სიტყვა „ნაციონალური" და მას დაეწყოს ყოველივე ეროვნულის ნგრევა და განადგურება ისე, როგორც ამას „ნაციონალური მოძრაობა" სჩადიოდა 9 წლის განმავლობაში. ბუნებრივია, ყველა ნორმალურ ქვეყანაში საკუთარი ხალხის მიმართ მტრულად მოქმედი პარტია გასამართლდებოდა და დაისჯებოდა. საქართველოში კი ამას საშველი არ დაადგა. უფრო მეტიც — ეს ძალა, ამჟამინდელი ხელისუფლების უნიათობითა და უმოქმედობით, ოპოზიციად მოგვევლინა პარლამენტში და ლამის ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. ის, რაც ასწლეულების განმავლობაში ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ღალატად და დანაშაულად ითვლებოდა, დღეს თურმე „ნაციონალების" მხრიდან მხოლოდ სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის გადამეტება ყოფილა?!**

9 წელი ითმინა და გაუძლო ქართულმა სახელმწიფომ „ნაციონალების" თარეშს. გადაიტანა უმძიმესი პერიოდი და იმედის თვალი მიაპყრო ახალ სახელისუფლო ძალას — „ქართულ ოცნებას", რომელიც არანაკლებ მყვირალა პატრიოტული ლოზუნგებით მოვიდა (მოვიყვანეთ) ქვეყნის სათავეში, მაგრამ რად გინდა? **ვეკითხები დღევანდელი მთავრობის პატივცემულ წევრებს: იცით კი, რისთვის იბრძოდა ქართველი ერი 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში? ნუთუ გგონიათ, რომ ქართველები ფქვილის, დიზელის საწვავის ან თუნდაც ვაუჩერებისთვის იკლავდნენ თავს?! არა, ბატონებო! ქართველები, პირველ რიგში, კანონიერებისა და სამართლიანობისთვის, ღირსებისთვის, ქართული ეროვნული სულის გადარჩენისთვის, ქართული კულტურის, ტრადიციების, მაღალი ზნეობრივი ფასეულობებისა და ჩვენი მიწა-წყლის გადარჩენისთვის ვიბრძოდით! 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მოგება ჩვენთვის დიდგორის ომში გამარჯვების ტოლფასი იყო. თქვენ კი საკუთარი ხალხის რწმენა და იმედი ქარს გაატანეთ!**

ეჭვებისა და ვარაუდების დრო დამთავრდა. დროა, მოვრჩეთ მარჩიელობას, „ქუდია თუ ბოხოხია"-ს ძახილს და, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. სხვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ **მე, თქვენი მონა-მორჩილი, აღარ ვაპირებ, კიდევ ათი წელი ცრუ დაპირებებითა და ფუჭი იმედებით ვიკვებო. ველოდო, რომ ეს უსუსური და უნებისყოფო სუბიექტებისგან შემდგარი მთავრობა სიკეთეს მოუტანს ქართულ სახელმწიფოს.**

საკმაო დრო გავიდა 1 ოქტომბრის არჩევნებიდან და თამამად შეიძლება ითქვას, **რომ ხელისუფლება, რომელიც ხელმძღვანელობს ბოლშევიკური ლოზუნგით „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი ევროპა ან ამერიკა მიბრძანებს ამას!", სიკეთეს ვერ მოგვიტანს!**

დღეს ჩვენ გვყავს ხელისუფლება, რომელიც თავს ვერ ართმევს მის წინაშე მდგარ ვერც ერთ ამოცანას. უფრო მეტიც — არ აქვს პოლიტიკური ნება და სიმტკიცე, საკითხები ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. სამაგიეროდ ბედავენ, ქვეყნის მოსახლეობა „დააბოლონ" ყოველდღიური შეგონებით, რომ „ცხოვრება მშვენიერია"... ამ დროს ჩვენი ქვეყნის ე. წ. სტრატეგიული პარტნიორები ახალ-ახალი, საქართველოსთვის დამღუპველი იდეებითა და დავალებებით ამარაგებენ ბეჯით შემსრულებლებს, ე. წ. დამოუკიდებელი საქართველოს „დამოუკიდებლად" მოაზროვნე მაღალჩინოსნებს!

ბუნებრივია, **ბევრ მოქალაქეს უჩნდება შეკითხვა — კი მაგრამ, რა სჭირთ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებს? ასე ზედმიწევნით როგორ ემთხვევა ერთმანეთს მათი და დასავლელი პარტნიორების აზრი ქვეყნისთვის საჭირბოროტო ყველა საკითხზე? ზემოქმედებას განიცდიან? იქნებ „აწამებენ" ან იქნებ გიორგი სააკაძის დღეში არიან და მაინც ქართულ ინტერესებს არ ღალატობენ?** (ასე რომ იყოს, რა გვიჭირს). არა, ჩემო კარგებო. საკმარისია ელემენტარული ანალიზი და პასუხს ისე მარტივსა და ბანალურს მივიღებთ, რომ მწარედ გაგეცინებათ. **ყველაფერზე უნდა დაეთანხმონ და კვერი დაუკრან, ხელისუფლებაში ყოფნის და, შესაბამისად, კომფორტულად ცხოვრების დრო რომ გაიხანგრძლივონ, პირადი ცხოვრება მოიწყონ! აი, ასეთი ზნეობის ადამიანები გვყავს ხელისუფლებაში, აი, ვის პირად ინტერესებს ეწირება ჩვენი ქვეყნის მომავალი!**

**გვთავაზობენ მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ორიგინალურ ფორმას. თურმე მეგობარია ის, ვინც გართმევს მშობლიურ ენას, მამულს, ებრძვის შენს რელიგიას. გინადგურებს ეკონომიკას, კულტურას, მეცნიერებას, ეროვნულ ცნობიერებას. გართმევს წარსულსა და მომავალს, გიგზავნის ინსტრუქციებს, როგორ უნდა იცხოვრო!**

**ჩვენ, ქართველებს, ისე გვექცევიან, თითქოს მრავალომგადახდილი ჩვენივე მიწაწყალი მათგან, ევროპელებისგან, არენდით გვქონდეს აღებული და ახლა ყურადღებით გვაკვირდებიან: ემანდ რამეზე ცუდად არ დავაბიჯოთ, რაიმე არ გავაფუჭოთ. მოკლედ, საკუთარ სახლში არ გვასვენებენ და ისე გვეუფროსებიან, თითქოს მათი წყალობაა, რომ ქართველმა ერმა დღემდე მოაღწია და რომ ნატოს, ევროკავშირისა და ყბადაღებული ევროპული „უნიკალური" ფასეულობების გარეშე მომავალი არ გვიწერია!**

უმოქმედობა და შორიდან ყურება დამღუპველია. საჭიროა კონკრეტული სამოქმედო გზების დასახვა, მდგომარეობა სასიკეთოდ რომ შეიცვალოს. კიდევ 10 წელი „დავაცადოთ" რეჟიმში ყოფნა ჩვენს ქვეყანას საბოლოოდ დაღუპავს.

**შექმნილ ვითარებაში უაღრესად აქტუალურია რუსეთთან დაახლოება და, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ურთიერთობების მოგვარება. აი, რა უნდა იყოს დღეს ჩვენი მთავარი ამოცანა! თუ ამას მივაღწევთ, გადავრჩებით! ეს კი დასავლეთს ხელს არ აძლევს, რადგან ჩვენთვის „არენდით ბოძებულ" ძირძველ ქართულ ტერიტორიას დაკარგავს, ისე ველარ „გვიხმარს," როგორც აქვს ჩაფიქრებული.** ამიტომაც მიმდინარეობს ქართველი ხალხის მიზანდასახული დაშინება, რომ რუსეთი საქართველოს დაუძინებელი მტერია. არადა, დღეს სხვა გზა არ არსებობს.

**ჩვენ უნდა ვიცხოვროთ და ვითანამშრომლოთ ყველა მეზობელთან და მათ შორის, უპირველესად, რუსეთთან!**

**ბიძინა გოგოლაძე,**
მესხეთი, ახალციხე

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩნდება კითხვა: ვინ ურჩია ან ვინ დააძალა ბიძინა ივანიშვილს მარგველაშვილის გამინისტრება ან გაპრეზიდენტება? საზოგადოებისთვის ცნობილია გიორგი მარგველაშვილის წარსული. ის ერთ-ერთი იდეოლოგია ავადსახსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტისა“, რომელთანაც დაკავშირებულია საქართველოში ჩადენილი არაერთი უმძიმესი დანაშაული.**

# საქართველოში არასრულწლოვანს პურის მოპარვისთვის ციხეში სვამენ, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენს კი ცივ ნიავს არ აკარებენ!

**რუსეთ-უკრაინის სამხედრო-პოლიტიკურმა დაპირისპირებამ საფრთხე შეუქმნა საქართველოსაც, რადგან ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება მიისწრაფვის ნატოსკენ, რაც აღიზიანებს რუსეთს, რომელმაც მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ ის თავისი საზღვრის ახლოს არ დაუშვებს ნატოს სამხედრო შეიარაღების განლაგებას. ეს მკაცრი განცხადება ქართველი საზოგადოების განწყობაზეც აისახა.**
**ბევრს გაუჩნდა შიში იმისა, რომ საქართველო უკრაინის ბედს გაიზიარებს, თუმცა ვითარება გაანეიტრალა აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას განცხადებამ: „არც უკრაინა და არც საქართველო ამჟამად ნატოში გაწევრიანების გზაზე არ დგანან“.**



ბარაკ ობამას განცხადებამ შოკში ჩააგდო როგორც უმრავლესობის, ისე უმცირესობის ზოგიერთი ენაჭარტალა პოლიტიკოსი, რომლებმაც გამოგვიჭედეს ყურები: „ნატოში შესვლამდე რამდენიმე ნაბიჯი დარჩაო“. ხომ გაირკვა, რამდენიმე ნაბიჯი კი არა, ნატოს კართან მიახლოებულიც არ ვყოფილვართ. ასე გვატყუებდა ჯერ „ნაციონალური მოძრაობა“, ახლა კი — „ქართული ოცნება“. საზოგადოებას ფოჩიან კანფეტებს გვიყრიდნენ იმისთვის, რომ ჩვენი საჯიშე ბიჭები ავღანეთსა და აფრიკაში საომრად გაეგზავნათ. ვნახოთ, ახლა რა ტყუილს მოიგონებენ ალასანია და პეტრიაშვილი. ნატოსკენ მიმავალი გზა დაკეტილია და ღმერთმა ქნას, სამუდამოდ!

**მთავრობის წარმომადგენლებო! ნუ ავირჩევთ ხალხის მოტყუებისა და „დაჩმორების“ გზას! ხომ ვიცით, რომ ეს კრახით დამთავრდება.**

ბატონი ბიძინა ივანიშვილის გაუაზრებელი ნაბიჯები, რომლებიც მან გადადგა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ადამიანური ეთიკის ნორმებში არ ჯდება. **გაჩნდა ეჭვი, რომ „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე გაურიგდა — რეჟისორი სცენებისა, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იდგმებოდა, ბიძინა ივანიშვილი იყო. მან არჩევნების შემდეგ თავისთვის აღიდგინა სამართლიანობა, დაიბრუნა თავისი ქონება, ხალხი კი ფეხებზე დაიკიდა – აი, ეს არის ფულიანი კაცის პატიოსნება!**

ან რას ემსახურებოდა ბიძინა ივანიშვილის სტუმრობა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან, როდესაც მან ბატონი კოტე შეუცვლელ პიროვნებად აღიარა, უკანონო პატიმრებით გამოტენილი ციხეები კოტე კუბლაშვილის კანტორის „ნამოღვაწარი“ რომ იყო, ეს თურმე არაფერი. ეს იყო პირველი გზავნილი ქართველი ხალხისადმი, რაც იმას ნიშნავდა, რომ, სამართლიანობის აღდგენის მხრივ, არაფერი შეიცვლებოდა. ბიძინა ივნიშვილი პატივმოყვარე კაცია, თავის კრიტიკას ვერ იტანს, სხვის გაკრიტიკებას კი არასდროს ერიდება. აბა, რას უნდა მივაწეროთ ის მიუტევებელი ფრაზა, რომელიც მან უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ს მიმართ თქვა: „პატრიარქიც უნდა გავაკრიტიკოთ!“. ერის სულიერი მამის კრიტიკის უფლება არავის აქვს და, თუ ვინმე ამას გაბედავს, ერის რისხვას მიიღებს.

„ქართულ ოცნებას“ და მის თავკაცს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პირველ რიგში, სასამართლოს შემადგენლობა უნდა გაეწმინდა „ნაციონალებისაგან“. ეს რომ მომხდარიყო, დღეს ქვეყანაში სხვა ვითარება იქნებოდა. სწორედ „ნაციონალური“ სასამართლოს არასწორმა გადაწყვეტილებებმა და პროცესში მონაწილე ადვოკატების არაკომპეტენტურმა განცხადებებმა ითამაშა დიდი როლი ქართველი საზოგადოების მოლოდინის გაცრუების საქმეში. შედეგად, **დესტრუქციულმა ძალებმა აღვირახსნილი მოქმედებებით საწადელს მიაღწიეს — ხალხში ჩააქრეს 2012 წლის 1 ოქტომბრის მუხტი, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი უნდა გაფრთხილებოდა, მაგრამ პოლიტიკურმა ნიჭმა უღალატა.** ყველას გვახსოვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გიორგი მარგველაშვილისთვის ძალით მიგვაცემინა ხმა, თუ ქართველი ხალხი ამას არ გააკეთებს, სულ წავალ პოლიტიკიდანო, — იმუქრებოდა ბიძინა ივანიშვილი. **ჩნდება კითხვა: ვინ ურჩია ან ვინ დააძალა ბიძინა ივანიშვილს მარგველაშვილის გამინისტრება ან გაპრეზიდენტება? საზოგადოებისთვის ცნობილია გიორგი მარგველაშვილის წარსული. ის ერთ-ერთი იდეოლოგია ავადსახსენებელი „თავისუფლების ინსტიტუტისა“, რომელთანაც დაკავშირებულია საქართველოში ჩადენილი არაერთი უმძიმესი დანაშაული: ბრძოლა მართლმადიდებლობასთან, ბრძოლა ქართულ ტრადიციებთან, განათლებასთან და იმ მახინჯი იდეოლოგიის გატარება, რომელიც მიუღებელია ქართველის მენტალიტეტისთვის.** გიორგი მარგველაშვილი დაუფარავად აცხადებს, რომ ლევან რამიშვილი და გიგა ბოკერია მისი მეგობრები არიან (ნათქვამია: „მითხარი, ვისი მეგობარი ხარ და გეტყვი, ვინ ხარ შენ“) და მხარს უჭერს უსუფაშვილის, ხიდაშელის, ძმები ბერძენიშვილებისა და მთლიანად რესპუბლიკელე-

# ფული და მისი როლი გლობალიზაციის პროცესში



**გლობალიზაციის ეკონომიკური ასპექტები ბოლო ხანს მეცნიერთა ინტენსიური კვლევის ობიექტად გადაიქცა. ურთიერთგაგებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში კულტურათა და ცივილიზაციათა დიალოგის აუცილებლობას დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს ეკლესიაც.**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამბობს: „გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურული, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა. ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა, მტრობასა და შუღლშიც გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით — ამდიდრებს მსოფლიოს. მაგრამ ამავე დროს, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ საჭიროა, ჩამოყალიბდეს საკაცობრიო ღირებულებათა ზნეობრივი ღერძი, რომელსაც ჩვენ მთლიანად მხარს ვუჭერთ და მიგვაჩნია, რომ იგი ხელს შეუწყობს ცივილიზაციათა შორის დიალოგს. ...ცივილიზაციათა შორის დიალოგი აუცილებელია და მას საქართველოც აქტიურად უჭერს მხარს“.

სამწუხაროდ, პრობლემისადმი ასეთ მიდგომას უარყოფენ ის ანტიქრისტიანული ძალები, რომლებიც მსოფლიოში გაბატონებას ესწრაფვიან და თავიანთი მიზნების მისაღწევად, ნებისმიერ უზნეო ეკონომიკურ და ფინანსურ მეთოდს იყენებენ.

მსოფლიოს ეკონომიკის დამანგრეველი კრიზისის ძირითადი მიზეზი არის მსოფლიო ვალუტის — აშშ დოლარის — ხელახალი წარმოება. 1971 წლიდან, როდესაც დოლარები შეუზღუდავი რაოდენობით ჩაუშვეს მიმოქცევაში, სახელმწიფოებს, რომელთა ეკონომიკამაც დაიწყო დოლარის ძალის უზრუნველყოფა, არასდროს ჰქონიათ დოლარის ემისიის მოცულობაზე კონტროლის დაწესების საშუალება. ეს კონტროლი რეალურად აშშ-ს მთავრობასაც არ გააჩნია. ამის უფლება მხოლოდ აშშ-ის ფედერალურ სარეზერვო სისტემას (აშშ-ის ცენტრალურ ბანკს) აქვს. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც აშშ-ის 20 კერძო ბანკს ეკუთვნის. მათი მთავარი ბიზნესი კი მსოფლიოს ვალუტის ბეჭდვაა. ამის მისაღწევად აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ახლანდელმა მფლობელებმა უამრავი დრო დახარჯეს და უზარამზარი ძალისხმევა გასწიეს. შედეგად, კერძო პირების ჯგუფმა დოლარების მიმოქცევაში ჩაშვებისა და მათი მოცულობის ვადების განსაზღვრის უფლება მიიღო. 1971-დან 2009 წლამდე მსოფლიოში დოლარის მასის მოცულობა ათჯერ გაიზარდა და საქონლის მასის რეალურ მოცულობას რამდენიმეჯერ გადააჭარბა. ასეთი ვითარება ხელსაყრელი იყო აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის მფლობელებისა თვით აშშ-ისთვის, როგორც სახელმწიფოსთვის.

**ცნობისათვის: აშშ-ის მეპ-ი (მთლიანი ეროვნული პროდუქტი) მსოფლიოს მეპ-ის დაახლოებით 20 %-ს შეადგენს. აშშ კი მოიხმარს 40 %-ს მსოფლიოს ყოველწლიური წარმოებიდან. ჩნდება კითხვა: თუ ვინმე აწარმოებს 20 %-ს (ან 15 %-ს?) და მოიხმარს 40 %-ს, მაშინ ვილაცამ ხომ უნდა გადაიხადოს ამის საფასური? და ამის საფასურს იხდის დანარჩენი სამყარო, რომელიც აძლევს ამერიკას თავის საქონელს, ანუ ხდება მსოფლიო სიმდიდრეების გადანაწილება აშშ-ის სასარგებლოდ.**

ამ უფლების მისაღებად კი დაიხარჯა ინტელექტი (შესანიშნავი ტვინების) დიდი შრომა, ფული და წლები, ამისათვის ორგანიზებული იქნა რამდენიმე კრიზისი და რამდენიმე მსოფლიო ომი.

**დოლარის გაუფასურება რომ არ მოხდეს, რაც გარდაუვალია, თუ დოლარი მიმოქცევაში იქნება მეტი, ვიდრე სასაქონლო აქტივები მსოფლიოში, აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მფლობელების გენიალურმა ტვინებმა მოიგონეს ვირტუალურ საქონელში დოლარის მასის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკავშირებისა და გაყინვის ხერხები.**

ამისათვის, პირველ რიგში, გამოიყენეს საფონდო ბაზარი. მნიშვნელოვანია, იზრდებოდეს თქვენი აქციების პაკეტის ღირებულება — ეს არის ინვესტორის მთავარი შემოსავალი. სინამდვილეში კი ეს არის მთავარი მზაკვრობა უმეცართათვის. საფონდო ბაზარი შეიძლება შევადაროთ რუსული რულეტის თამაშს, ოღონდ უფრო მკაცრი პირობით: რევოლვერის „ბარაბნის“ 6 უჯრედში ხუთი ტყვია დევს.

რეალურად, საფონდო ბაზარი უზრუნველყოფილია მხოლოდ 1-2 %-ით. ვინაიდან ეს ბაზარი ვირტუალურია და მისი შექმნის მომენტიდან არ იყო გათვალისწინებული, რომ ინვესტორები მოახერხებენ მისგან მასობრივად გასვლას და იმის გატანას, რაც მათ რეალურად გადაიხადეს შესვლისას. აქ არავინ არავის არაფერი უნდა გადაუხადოს. არც არავინ აპირებს რამის მიცემას. ვირტუალური საფონდო ბაზრის გადასარჩენად აუცილებელია 100 ტრილიონი დოლარის დაბეჭდვა, მაგრამ მათი დაბეჭდვის შემთხვევაში, დოლარი კიდევ 10-ჯერ დაინგრევა, ამიტომ არავინ აპირებს ასეთი ფორმით საფონდო ბაზრის გადარჩენას.

ამჟამად ხდება „კონტროლს დაქვემდებარებული ნგრევა“. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ნგრევის ამ ეტაპმა უნდა გააძლიეროს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის პოზიციები მსოფლიოში. ის თვითონ დაინგრეოდა 2-3 წლის შემდეგ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში პროცესი ვერავინ გააკონტროლებდა და ზიანს მოუტანდა ფინანსური პირამიდის შემქმნელებს. „კონტროლს დაქვემდებარებული ნგრევისათვის“ ემზადებოდნენ წლების განმავლობაში. საქმე ის არის, რომ ამ ეტაპზე შემოსავლიან საწარმოებს მუქთად შეისყიდიან.

მსოფლიოს ეკონომიკურ მოდელში სესხების გარეშე ვერ იმუშავებდა ვერც ►

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დოლარის დანგრევა, აშშ-ის მიერ მასზე უარის თქმა გარდაუვალია. გარდაუვალობა განსაზღვრულია იმით, რომ მსოფლიოს ახლანდელი ფინანსური სისტემა აშენებულია ფინანსური პირამიდის პრინციპით. ერთდროულად დაინგრევა ევრო და სხვა ერთეულები... როდესაც ყველას პრაქტიკულად გაუქრება ფული, დაიწყება ახალი მსოფლიო ეკონომიკური, ანტიქრისტიანული, უკიდურეს ანგარებასა და უსულგულობაზე დაფუძნებული სისტემის მშენებლობა...**

ბის იდეოლოგიას, რომლებიც რეანიმაციიდან გამოიყვანა ბიძინა ივანიშვილმა. შედეგიც არ დააყოვნებს — ძალიან მალე მნიშვნელოვანი ძვრების მომსწრენი ვიქნებით: **ბიძინა ივანიშვილი იმიჯს ველარ აღიდგენს, რადგან ხალხს მოთმინების ფიალა უკვე აევსო!**

ბიძინა ივანიშვილს დღესაც ვერ გაუცნობიერებია, რა მდგომარეობაა ისეთ საპასუხისმგებლო ორგანოში, როგორიც არის მთავარი პროკურატურა. არადა, პროკურატურაში შექმნილ ვითარებაზე ისეთი ინფორმაცია ვრცელდება, თვალის დახუჭვა და მიფუჩჩება დანაშაულის ტოლფასია. ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული მთავრობა უნდა ცდილობდეს, მთავარი პროკურორი და მისი თანამშრომლები მაღალი პროფესიონალიზმითა და უმწიკვლო წარსულით გამოირჩეოდნენ... შეცდომა იყო მთავარ პროკურორად არჩილ კბილაშვილის დანიშვნა. მთავარ პროკურორს ორგანიზაციული მართვის ნიჭი და გამოცდილება უნდა ჰქონდეს, იყოს პროფესიონალი, კანონის ერთგული და უმწიკვლო წარსულის მქონე. ჰქონდა ეს ყველაფერი კბილაშვილს? შეცდომა იქნა დაშვებული მთავარ პროკურორად ბიოგრაფიაშეუმოწმებელი ფარცხალაძის დანიშვნითაც. ამჟამინდელი მთავარი პროკურორი გიორგი ბადაშვილი, როგორც ვიცი, 33 წლის არის. დღეს მის სახელსა და გვარს არავინ ახსენებს, **ყველა გაიძახის, პროკურატურას ისევ ფარცხალაძე ხელმძღვანელობსო. ეს ხომ პრემიერმინისტრის ავტორიტეტის შელახვაა?! თუ ასე გაგრძელდა, სავალალო დასასრულამდე მივალთ**.

სააკაშვილის მავნებლური რეფორმის შედეგად, როცა 40 წლის პროფესიონალები სამსახურიდან გაყარეს და სახელმწიფო დაწესებულებები გოგო-ბიჭებით აავსეს, თაობათა ბუნებრივი ცვლა არ მომხდარა და დღეს პროფესიონალი კადრები სანთლით საძებარია. საქართველო გახდა უცხო ქვეყნის მოხეტიალე მოქალაქეების საჯირითო. **„ერი, რომელსაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიზნები არ გააჩნია, დაუცველია და მას, როგორც შიგნიდან, ისე გარედან თავს მოახვევენ საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ უცხო, დამღუპველ სოციალურ-პოლიტიკურ მოწყობას“** (ა. ჭაჭია ტ. 1, გვ. 286, 2002). ვიდრე არ გავთავისუფლდებით ევროპისა და ამერიკისადმი მონური დამოკიდებულებისგან, ჩვენი საშველი არ იქნება. უნდა გავაცნობიეროთ, „რომ **ევროპარლამენტის, მინიმუმ, ნახევარი მაინც დაკომპლექტეულია ავანტიურისტებით, მექრთამეებით, ჰომოსექსუალებით, ლესბოსელებით, საკუთარ ეროვნულ სახელმწიფოში ვერანაირი პოზიტიური საქმიანობით თავი ვერ გამოიჩინეს**“ (ა. ჭაჭია ტ. II, გვ. 98, 2013). დიახ, ზუსტად ამბობს ბატონი ალექსანდრეQ — **საქართველოდან ევროპარლამენტარები ქრთამით დატვირთული მიემგზავრებიან. სწორედ ამ მექრთამე ლობისტების დასაფინანსებლად გაედინება მილიონობით თანხები საქართველოდან და ჩვენნაირი ღარიბი ქვეყნებიდან.** რამდენიმე დღის წინ მთავარ პროკურატურას დასაკითხავად ჰყავდა უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი გიგა ბოკერია, რომელსაც პირად ანგარიშზე რამდენიმე მილიონი აქვს გატანილი ბიუჯეტიდან. დაკითხვიდან გამოსულმა ბოკერიამ ჟურნალისტებს განუცხადა, ლობისტობა აპრობირებული ქმედებაა და, ის საქმეს რომ გაგიკეთებს, ანაზღაურება ხომ უნდაო. აი, ასეთი ლოგიკით ხსნიან სახელმწიფო მოხელეები თავიანთ დანაშაულს. აი, ასეთი მოხელეებით აავსო საქართველო მიხეილ სააკაშვილმა, ამიტომ დღევანდელმა მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს ევროპაამერიკის ჩარევას ჩვენს საშინაო საქმეებში. **საქართველოში სააკაშვილს მოვთხოვთ პასუხს თუ სიკინჭილაშვილს — ეს ჩვენი საქმე, ჩვენი კანონიერი უფლებაა!** პრეზიდენტი, რომელმაც საქართველო საპყრობილეს დაამგვანა — ციხეები აავსო ქართველებით, მოსპო მწერლობა, მეცნიერება, განათლება, გაანადგურა ყველა წარმატებული პიროვნება, გააუქმა და დაანგრია სამეცნიერო ინსტიტუტები, გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა და დაიხვრიტა მრავალი ახალგაზრდა, 40 წელს გადაცილებულ პროფესიონალებს გენოციდი მოუწყო, დღეს შარაგზის ყაჩაღივით დაქრის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; სადაც დაინახავს ტრიბუნას, შევარდება და ლანძღავს საქართველოს. სააკაშვილის ამ საქციელს წერტილი უნდა დაესვას და ეს უნდა გააკეთოს საქართველოს პროკურატურამ.

**საქართველოში არასრულწლოვანს პურის მოპარვისთვის ციხეში სვამენ, კაცობრიობის წინაშე დანაშაულის ჩამდენს კი ცივ ნიავს არ აკარებენ!**

ვნახოთ, როდემდე გასტანს ქართველი ხალხის მოთმინება...

**ლეონტი ბიწაძე,**
**ინჟინერ-ეკონომისტი**

### ქირურგი ნიკოლაოს მუხსიადისი:

# როდესაც პაციენტი ინფორმირებულია, ის ფსიქოლოგიურადაც მზად არის პროცესის ნებისმიერი მიმართულებით განვითარებისთვის!

**როგორ არის დაცული საქართველოში პაციენტის უფლება და როგორი მიდგომა უნდა ჰქონდეს ექიმს დიაგნოზის დასმის შემდეგ პაციენტისადმი? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება დავით გაგუას სახელობის კლინიკის წამყვანი ქირურგი ნიკოლაოს მუხსიადისი.**



**— ბატონო ნიკოლაოს, როგორ უნდა მიაწოდოს ექიმმა პაციენტს ინფორმაცია მძიმე დიაგნოზის შემთხვევაში?**

— ჩემი აზრით, მკურნალ ექიმს, ჩემს შემთხვევაში ქირურგს, აკისრია ვალდებულება, მიაწოდოს პაციენტს ამომწურავი ინფორმაცია დაავადებისა და მისი მკურნალობის შესახებ, გააცნოს ყველა შესაძლო რისკი და ფსიქოლოგიურად მოამზადოს პაციენტი შესაძლო არასასურველი შედეგისთვის.

**— საქართველოში დაცული თუ არის პაციენტის უფლებები?**

— პაციენტის უსაფრთხოების პრინციპების დაცვით, ჩვენ არამარტო ვიცავთ მათ ჯანმრთელობას, არამედ ვაუმჯობესებთ მისი ცხოვრების ხარისხს გართულებების მინიმუმამდე შემცირებით, ანუ, **როდესაც პაციენტი ინფორმირებულია, ის ფსიქოლოგიურადაც მზად არის პროცესის ნებისმიერი მიმართულებით განვითარებისთვის, რაც აძლევს მკურნალ ექიმს საშუალებას, გამოიყენოს მკურნალობის ყველა შესაძლებლობა,** დაწყებული ლაბორატორიული გამოკვლევებიდან, დამთავრებული უშუალოდ ინსტრუმენტალური მკურნალობით.

**— თუ გაქვთ შემუშავებული ჯანდაცვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციფიკური მეთოდი პაციენტის ფსიქოლოგიურად მოსამზადებლად, ვიდრე მძიმე დიაგნოზის შესახებ ამცნობთ?**

— სამწუხაროდ, საქართველოში ჯერ არ არსებობს საკანონმდებლო რეგულაციები, რომელთა მიხედვითაც ეს პროცედურა სავალდებულო იქნება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ **მნიშვნელოვანია პაციენტის ფსიქოლოგიური მომზადება, რომელიც მკურნალი ექიმის მხრიდან გულწრფელი დამოკიდებულებით უნდა მოხდეს.** ჩვენი მიზანია, პაციენტს ინფორმაცია მივაწოდოთ ზუსტად, ფაქიზად და ვამცნოთ მოსალოდნელი რისკფაქტორებისა და შედეგების თაობაზე.

ერთი მსხვილი საწარმო, ვერც ერთი ბანკი. სასესხო რესურსების ხელმისაწვდომობა დასავლეთში შესანიშნავი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი უეცრად ქრება, როგორც კი საწარმოები და ბანკები იწყებენ სესხის ვადამდე დაბრუნებას, თუმცა მიზეზები ძალიან „ობიექტურია“ და გაწერილია სასესხო ხელშეკრულებაში. ეს ძალიან ჰგავს 1929 წლის კრიზისის — „დიდი დეპრესიის“ დასაწყისს. იქაც, სესხების პირობებით, კრედიტორს უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სესხის დაბრუნება ერთი დღის განმავლობაში. ასეთი მოთხოვნები ერთდროულად და უცბად იქნა წამოყენებული და მსესხებლები იძულებულნი გახდნენ, სასწრაფოდ გაეყიდათ აქციები, რამაც გამოიწვია აქციების ბაზრის წამიერად დანგრევა. როდესაც დადგება სესხების დაბრუნების ვადა, მათი დაბრუნება იქნება რეალურად შეუძლებელი. აქციების ფასები კიდევ უფრო დაეცემა, ნაწარმის გასაღება ნოლს გაუტოლდება. ასე მოხდება საკუთრების გლობალური გადანაწილება, რაც „კონტროლს დაქვემდებარებული ნგრევის“ მთავარი მიზანია. რა თქმა უნდა, ჯერ ბიზნესი ჯერ გადავა სახელმწიფოს საკუთრებაში (ჩინოსნები უცბად დაიკავებენ მკაცრ პოზიციას ოლიგარქების მიმართ — სად წახვალ ამ პირების ბრძანების წინააღმდეგ? მათი ბრძანების შეუსრულებლობა სიკვდილის ტოლფასია), შემდეგ კი სახელმწიფოსგან გადავა იმ პირებზე, რომელთაც ის ეკუთვნის.

ამის შემდეგ დადგება ყველაზე საინტერესო და საშიში ეტაპი. **ეს ყველაფერი იწერება უბრალო ადამიანებისათვის, რომლებსაც აქვთ მცირე დანაზოგები, მცირე და საშუალო ბიზნესმენებისათვის, რომლებმაც პატიოსანი შრომით დააგროვეს 100 ათასიდან 2 მილიონ დოლარამდე. გლობალურმა პროცესებმა, რომლებიც ახლა მიმდინარეობს, შეიძლება დამანგრევლად იმოქმედოს მათი შრომის შედეგებზე. რეალური სურათის ცოდნის შემთხვევაში კი შედარებით იოლი იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება და მრავალწლიანი შრომის შედეგების შენარჩუნება.**

ამჟამად მიმდინარეობს საკუთრების გლობალური გადანაწილება, წარმოიქმნება მსოფლიოს ახალი კონფიგურაცია. ისეთ სიტუაციაში, როდესაც საჭიროა ადამიანური მსხვერპლის გაღება და დიდი მოგების მიღება, მათ, ვინც პროცესებს მართავს, იციან, როგორ მოიქცნენ. კომბინაციების განხორციელება ზოგჯერ მილიონობით სიცოცხლეს მოითხოვს მსხვერპლად. პირველ მსოფლიო ომში 20 მილიონი ადამიანი დაიღუპა, მეორეში – 60 მილიონი. როგორი ოპერაციები ხორციელდებოდა პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს? ვინ მოიგო ამით, ვისთვის იყო ეს ხელსაყრელი? მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირმა, მაგრამ ომისგან გამორჩენა ჰქონდა აშშ-ს. პირველ მსოფლიო ომშიც ასევე მოხდა. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ამჯერად, დოლარის დასანგრევად შერჩეული არაა უდანაშაულო ადამიანების სისხლის ღვრისა და ომის გზა.

საერთოდ, **დოლარის დანგრევა, აშშ-ის მიერ მასზე უარის თქმა გარდაუვალია. გარდაუვალობა განსაზღვრულია იმით, რომ მსოფლიოს ახლანდელი ფინანსური სისტემა აშენებულია ფინანსური პირამიდის პრინციპით. ერთდროულად დაინგრევა ევრო და სხვა ერთეულები...**

**როდესაც ყველას პრაქტიკულად გაუქრება ფული, დაიწყება ახალი მსოფლიო ეკონომიკური, ანტიქრისტიანული, უკიდურეს ანგარებასა და უსულგულობაზე დაფუძნებული სისტემის მშენებლობა...**

**მთავარი პოზიციები ექნებათ იმ პირებს, რომლებიც ფლობენ ყველაზე შემოსავლიან აქტივებს (რეალურ საწარმოებს და ა.შ.). ისინი ყველაზე სწრაფად და ყველაზე მეტად დაიწყებენ ახალი ფულის ახალი წესებით კეთებას. დანარჩენები კი უიმედოდ ჩამორჩებიან მათ. ასეთი მზაკვრულია მსოფლიო ანტიქრისტიანული ძალების გეგმები, მიზნები და მათი მიღწევის გზები. მატერიალურ-ფინანსური და სულიერი კატასტროფისაგან კაცობრიობის გადარჩენა კი მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკლესიური ცხოვრების საფუძველზეა შესაძლებელი.**

დეკანოზი
**ბასილ ახვლედიანი,**
**ბოლნისის ეპარქია, აკაურთას სიონის წინამძღვარი, ეკონომიკის დოქტორი**

# «დედაენის» შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია ენიჭება

**14 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ გამართა პრეზენტაცია „დედაენის“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს, შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდისთვის ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის მინიჭების თაობაზე.**




საქართველოს მთავრობა ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიას მიანიჭებს. აქამდე მას უკვე ჰქონდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. ახალი სტატუსი — ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია, კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართული ენის სწავლების იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის უნიკალურობაზე და ზრდის ამ უძველესი ქართული საანბანე სახელმძღვანელოს მნიშვნელობას. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ საფუძვლად დაედო სხვადასხვა თაობის მიერ შექმნილ ფუნდამენტურ სასწავლო მეთოდებს, რომლებითაც ისწავლება ქართული ენა და მომავალშიც არაერთი მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური კვლევის საფუძველი გახდება.

# იწყება პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი



როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაურმა განაცხადა, პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 23 აპრილს დაიწყება და პროცესი შეეხება ბავშვებს, რომელთა და-ძმაც სწავლობს სკოლაში; **რომელთა მშობელიც სკოლის თანამშრომელია; რომელთა ოჯახიდანაც ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში (ტყუპები, და-ძმები).**

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა 25 მოსწავლით განისაზღვრა.

ამასთანავე, მესამე ბავშვის მონათვლის თაობაზე პატრიარქის ინიციატივასთან დაკავშირებით, წელს პირველკლასელთა რაოდენობა, გასულ წელთან შედარებით, თითქმის 9 000-ით მეტია. ლია გიგაურის თქმით, სკოლები საამისოდ მზად არიან.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ში მეორადი გაშვილების მთელი ბაზარია ფორმირებული. შტატების კანონმდებლობაში ნაშვილებ ბავშვებთან დაკავშირებულ კანონებში უდიდესი პრობლემებია.**




## ყველაზე ძვირადღირებული საიტი

**ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საიტი ინტერნეტსივრცეში, რომელიც განკუთვნილია ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისთვის, თავადაც იყიდება. მისი ფასი 3 მილიარდი ამერიკული დოლარია. საუბარია საიტზე www.cars.com, რომელიც ამჟამად კომპანია Classified Ventures-ის საკუთრებაა. ამ კომპანიის წილები კი ეკუთვნის ისეთ ცნობილ მედიაგამომცემლობებს, როგორებიცაა Los Angeles Times, Miami Herald და Dallas Morning Star.**

საიტის შესყიდვით უკვე დაინტერესებულები არიან ინვესტორები, მათ შორის — კერძო საინვესტიციო კომპანიები.

რაც შეეხება საიტს, იგი საკმაოდ მომგებიანია — ყოველწლიური მოგება ნახევარ მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს. ეს გასაკვირი არც არის, რადგან ყოველთვიურად მისი მომსახურებით 11 მილიონი ადამიანი სარგებლობს (იგულისხმებიან კლიენტები, რომლებიც საიტის მეშვეობით ყიდულობენ მანქანებს და არა უბრალოდ ვიზიტორები). Cars.com ჯერ კიდევ 1998 წელს დაფუძნდა და კლიენტებს აძლევს იმის საშუალებას, რომ მათ შეადარონ ავტომანქანების ფასები, ასევე განიხილონ ფორუმზე სხვადასხვა დილერის მომსახურება. თუ საიტი გაიყიდება, ეს შეიძლება ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ გარიგებად ჩაითვალოს.



## სპა-სალონი ძაღლებისთვის

**თუკი შინაურ ძაღლებს დაბანთ, დროულად აჭმევთ, რეგულარულად გაასეირნებთ, მაშინ ისინი წყნარი და დამჯერიც იქნებიან. თუკი ზემოხსენებულ სიას დავუმატებთ სპა-სალონში პროცედურებს, მაშინ ძაღლი საერთოდაც პატარა ანგელოზად გადაიქცევა. სწორედ ასეთ სიამოვნებას ანიჭებენ ძაღლებს ბრაზილიაში. შინაური ძაღლების ასოციაცია Abinpet-ში თვლიან, რომ შინაური ძაღლის დაბანა ვარდის ფურცლებში არ არის ზედმეტობა, არამედ აუცილებლობაა.**

პროცედურების სპეციალური შემადგენლობის მიხედვით, ძაღლის ბეწვი ხდება უფრო ფუმფულა, რბილი, ხოლო თვითონ ძაღლი — მშვიდი. დაბანის შემდეგ ცხოველს ამშრალებენ და ვარცხნიან. კლიენტის სურვილის შემთხვევაში ძაღლს კლანჭებს არამხოლოდ უქლიბავენ, არამედ ლაკსაც უკეთებენ. ძაღლების სპეციალური სტილისტები ძაღლის ბეწვს ნაწილობრივ ან მთლიანად ღებავენ. სპა-ცენტრებში მუშაობენ ვეტერინარები, რომლებიც კლიენტებს რჩევებს აძლევენ — უნიშნავენ ძაღლებისთვის ვიტამინების კურსს ან კონსულტაციას უწევენ ცხოველის სწორი კვებისთვის.



# გაშვილებული ბავშვების ბედი ამერიკაში

**ცოტა ხნის წინათ აშშ-ში გამოააშკარავეს მთელი ქსელი, რომელიც ნაშვილები ბავშვების გაცვლითა და გაყიდვით იყო დაკავებული. მშობლები, უბრალოდ, განცხადებებს აქვეყნებდნენ ინტერნეტში და ყოველგვარი გარანტიებისა და დაცულობის გარეშე გადასცემდნენ საკუთარ ნაშვილებ ბავშვებს სხვა, უფრო ნაკლები კეთილდღეობის ოჯახებს. გამოვლინდა ობლებთან არაადამიანური მოპყრობის უამრავი შემთხვევა.**



### პირობითმა მშობლებმა ანა ნახმარ მანქანასავით გაყიდეს

დაობლებული ანა შვიდი წლის იყო, როდესაც რუსეთიდან იშვილეს ამერიკელმა მშობლებმა ჯონ და ჯილი შტოლმეიერებმა და შორეულ ინდიანაში წაიყვანეს. წყვილი შეძლებული იყო, დიდი სახლი ჰქონდათ და ძიძებიც კი ჰყავდათ, მაგრამ ერთ დღეს შტოლმეიერებმა ანა მანქანაში ჩასვეს, ათასობით მილი გაიარეს, ტეხასში ჩაიყვანეს და, უბრალოდ, დატოვეს რომელიღაც უცხო სახლში.

**„არავის არაფერი უკითხავს, მოგვიანებით მათ დამირეკეს და მითხრეს: ეს არის შენი ახალი სახლი,** — იგონებს გოგონა. **— ავტირდი, სული ნაწილებად მეგლიჯებოდა, ვგრძნობდი, რომ მიღალატეს“.**

ამრიგად, 11 წლის ასაკში გოგონა ამერიკის მორიგ მიყრუებულ ფერმაში აღმოჩნდა ცხენების მომშენებელ გარი და ლიზი ბერნსებთან. წყვილის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოაჩინეს, რომ ანა ცუდად იქცეოდა: ხშირად ქვითინებდა, ყვიროდა, რომ კვლავ ინდიანაში სურდა ყოფნა, თავისი მშობლების გვერდით, ჩამორჩა სკოლაში, ახალ მეურვეებთან გაცხარებულ კამათში ებმებოდა...

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, საზღვარგარეთ გაშვილებული ბავშვების შემთხვევაში, ექიმებმა ანას დაუსვეს დიაგნოზი — მიჯაჭვულობათა რეაქტიული აშლილობა და გამომწვევი ოპოზიციური აშლილობა. ორი წლის შემდეგ ბერნსების ოჯახმა 13 წლის გოგოს გამოუცხადა: „რაკი აქ არ მოგწონს, გადავწყვიტეთ, შენთვის ახალი სახლი მოვძებნოთ“.

**„ვევედრებოდი, ეს არ გაეკეთებინათ, კიდევ ვინმესთვის არ გადაეცათ ჩემი თავი,** — იხსენებს ანა. **— მზად ვიყავი, მუხლებზე მდგომს მეხვეწა მათთვის, მაგრამ მოკლედ მიპასუხეს — არა. არასდროს მიფიქრია, რომ ძალღივით გადამცემდნენ ხელიდან ხელში“.**

ხუთი წლის მანძილზე ანას უკვე მესამე სახლი მართლაც ძაღლის ბუნაგს ჰგავდა. ნიკოლ და კელვინ ისონის ტრეილერში ცხოვრობდნენ ძაღლები, რომლებსაც ხანდახან საერთოდ არ ასეირნებდნენ გარეთ. გოგონა ძალიან მალე მიხვდა, რომ შეშლილთა ხელში ჩავარდა. თავიდან ცდილობდნენ, მისთვის პორნოდისკები ჩაერთოთ, შემდეგ საღამოს კი ისონების წყვილმა ანას თავისთან უხმო.

**„თავიანთ ლოგინში ჩამიწვინეს. თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სენდვიჩში — შიშველ ქალსა და მამაკაცს შორის“.**

**ისონებს საკუთარი შვილებიც ჰყავთ, მაგრამ ისინი მშობლებს ჩამოართვეს — მშობლები არასრულწლოვან საკუთარ შვილებს ბოროტად ექცეოდნენ.**

ფოტოზე ანამ თავის ახალ მშობლებთან ერთად სხვა აყვანილი ბავშვები ნახა და იკითხა, სად წავიდნენ ეს ბავშვებიო. პასუხი შემზარავი იყო: ხანდახან ბავშვები

## ნაშვილები ბავშვი აბსოლუტურად დაუსჯელად შეიძლება ვიღაცას ნივთივით ჩააბარო, ამისათვის უფროსების თანხმობა და ნოტარიუსის ბეჭედიც კი საკმარისია

უბრალოდ კვდებიან. გაირკვა, რომ ეს ბავშვებიც ანას მსგავსად სხვა პირობითმა მშობლებმა გადასცეს ისონებს. ჟურნალისტურმა გამოძიებამ შოკისმომგვრელი ფაქტები გამოააშკარავა.

4-დღიანი ჯოჯოხეთის შემდეგ ბერნსებმა ანა კვლავ ტეხასში წაიყვანეს. შემდეგ ისინი ამბობდნენ, რომ ისონების შესახებ ყველაფერი არ იცოდნენ. თითქოს არ იცოდნენ არც იმის შესახებ, თუ რა ფარული დაავადებები აღმოაჩნდა ანას. მამამ ეს დაავადებები ნახმარი ავტომანქანის ფარულ დეფექტებს შეადარა.

**„ეს დაახლოებით ისევეა, როგორც ნახმარი ავტომანქანის გაყიდვა: ადამიანებს, რომლებიც ყიდულობენ მას, არ ეუბნებით ყველაფერს, რაც, წესით, უნდა იცოდნენ, — ამბობდა არნი ბარნსი. თქვენ, უბრალოდ, აჩვენებთ მანქანას პოტენციურ მყიდველს და ეუბნებით, რამდენი აქვს გარბენი. არავინ გეტყვით, არ იშვილო ეს ბავშვი, მას პრობლემები აქვსო“.**

ყველაფრის გამოაშკარავების შემდეგ ბერნსები ყველას სთხოვდნენ, მკაცრად არ განესაჯათ. მათი თავისმართლება ის იყო, რომ, ვისაც არ უშვილებია ასეთი პრობლემური ბავშვები, ვერ გაუგებდნენ.

### ამერიკაში ხუთჯერ გასხვისებული ნიტას გამო პასუხს არავინ აგებს

ჰაიტის ბავშვთა სახლიდან ნაშვილები ნიტა დიტენბერი აშშ-ში ცხოვრების ხუთი წლის მანძილზე ხუთ სხვადასხვა ოჯახში აღმოჩნდა. ყოველ ჯერზე, ცდილობდნენ რა მისგან გათავისუფლებას, პირობითი მშობლები განცხადებებს დახურულ ინტერნეტგვერდებზე აქვეყნებდნენ. ნიტას ბედით არც ერთი სახელმწიფო სამსახური არ დაინტერესებულა.

მოვლენები და მთავარი მოქმედი გმირის ვინაობა გამოგონილი არ არის, ყველაფერი რეალურად მოხდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გაშვილების კონვეიერში მოხვედრილ ნიტა დიტენბერთან დაკავშირებით. მისი წამება 13 წლის ასაკში დაიწყო. სწორედ მაშინ იშვილეს ნიტაც და მისი დაც ჰაიტიდან აიდაჰოს შტატის მიყრუებულ ქალაქ ნამპაში.

ერთი წელიც არ იყო გასული, პირობითმა დედამ განცხადება გამოაქვეყნა ინტერნეტში: **„მყავს ჰაიტიდან ნაშვილები 14 წლის გოგონა. სამწუხაროდ, საჭიროა მისთვის ახალი ოჯახის მოძებნა. რით დავიწყო?“**

ეს განცხადება „Yahoo“-ს პორტალზე არსებულ სპეციალიზებული საზოგადოების გვერდზე გამოქვეყნდა ათასობით მსგავსი ჩანაწერის გვერდით. რეკლამამ ამჯერადაც პირნათლად შეასრულა თავისი საქმე. ნიტა, რომელიც, მშობლების თქმით, ძალზე ცუდად იქცეოდა, ქვეყნის მეორე ბოლოში, ოჰაიოს შტატში მცხოვრებ წყვილს მოეწონა.

**„ღამის სამ საათზე მამამ გამაღვიძა, აეროპორტში წამიყვანა და ჩამსვა თვითმფრინავში. სად მივფრინავდი, არ ვიცოდი“,** — იხსენებს ნიტა.

ამიერიდან ის ერთადერთ დასაც დააშორეს. გოგონა არც ახალ ოჯახს მოეწონა — 4 თვის შემდეგ უკან გაამწესეს. ამის შემდეგ იყო კიდევ ერთი წყვილი, შემდეგ კიდევ ერთი... ხუთი წლის მანძილზე ნიტა ხუთჯერ გადასცეს სხვადასხვა პირობით მშობლებს.

**„მთელი ამ ხნის მანძილზე თავს მარტოდ ვგრძნობდი, არავის ვუყვარდი, — ამბობს გოგონა. — საკუთარი თავი მეზიზღებოდა, სულ ვლოცულობდი და ღმერთს ვეხვეწებოდი, წავეყვანე, აღარ მსურდა ამ ყველაფრის კიდევ ერთხელ გავლა“.**

**ერთ-ერთ ოჯახში, სადაც ნიტას გარდა საკუთარი და ნაშვილები ბავშვების ჩათვლით კიდევ 10 ბავშვი ჰყავდათ, გოგონებმა ახალ დას უამბეს, რომ მამა მათ აუპატიურებდა, დედა კი აიძულებდა, ხმა არ ამოეღოთ. საქმე მაინც მივიდა სასამართლომდე და ჟან-პოლ და ემილი კრუზების საქმე ახლაც ძიებაშია.**

მაგრამ ნიტას გამო პასუხს არავინ აგებს. ამერიკაში ხომ ბავშვის ხელიდან ხელში გადაცემა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე ავტომობილის გადაფორმება.

### ბავშვების გაცვლისა და გაყიდვის საზოგადოება

აშშ-ში მეორადი გაშვილების მთელი ბაზარია ფორმირებული. შტატების კანონმდებლობაში ნაშვილებ ბავშვებთან დაკავშირებულ კანონებში უდიდესი პრობლემებია. ნაშვილები ბავშვი აბსოლუტურად დაუსჯელად შეიძლება ვიღაცას ნივთივით ჩააბარო, ამისათვის უფროსების თანხმობა და ნოტარიუსის ბეჭედიც კი საკმარისია.

**„აღმოჩნდა, რომ ინტერნეტში, ისეთ რესურსებზე, როგორებიცაა „Yahoo“ და „Facebook“ ყოველგვარი განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეიძლება იპოვოთ ობლების გაცვლის მთელი საზოგადოება, — აღნიშნავს სააგენტო „Reuters“-ის კორესპონდენტი მეგან ტუხი. — იქ მშობლები რეკლამას უკეთებენ თავიანთ ნაშვილებ ბავშვებს სხვა ოჯახებში მათი გადაცემის მიზნით“.**

ხშირად ამგვარ განცხადებებში ბავშვებს სპეციალურად მიაწერენ ხოლმე სხვადასხვაგვარ სექსუალურ გადახრებს და ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას — ამ გზით ახალი მშობლები გაცი- ▶

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მოძალადეთა უმეტესობა ვერ ჩერდება მხოლოდ ერთ ბავშვზე, თუ მათ არ ეძებენ ან არ აპატიმრებენ. იმ დამნაშავეთა 70%-ს რომლებმაც ბავშვებზე იძალადეს, 1-დან 9-მდე მსხვერპლი ჰყავდა, სულ მცირე 20%-ს კი — 10-დან 40-მდე მსხვერპლი.

◀ ლებით უფრო სწრაფად იძებნებიან.

**ნაშვილები ბავშვების გაცვლისა და გაყიდვის საზოგადოებები სოციალურ ქსელებში უკვე დიდი ხანია არსებობს. მათ საპოვნელად საკმარისია სულ რამდენიმე კოდური სიტყვის ცოდნა. მაგრამ ახლა ფართო საზოგადოებამაც გაიგო ნაშვილები ბავშვების მეორადი ბაზრის არსებობის შესახებ — მას შემდეგ, რაც ინტერნეტსაზოგადოებას ჟურნალისტები გადააწყდნენ.**

როგორც გაირკვა, ყველაზე ხშირად ამერიკელი მშობლები რუსეთიდან, უკრაინიდან, ასევე აფრიკისა და აზიის ქვეყნებიდან ნაშვილებ ბავშვებს ხელახლა აშვილებენ ან ყიდიან.

რაც ყველაზე საინტერესოა, ადამიანებით ვაჭრობის შესახებ კანონები ბავშვების გაცვლის საზოგადოების წევრებზე არ ვრცელდება. მართალია, ხანდახან გაცვლების მონაწილენი ერთმანეთს გარკვეულ ბონუსებს ჰპირდებიან, მაგალითად, ახალ ველოსიპედს ბავშვთან ერთად ან საკვების მარაგს, მაგრამ ბავშვის გადაცემის პროცესი არ საბუთდება. ამის გამო არშემდგარი მშობლების პასუხისგებაში მიცემა უკიდურესად რთულია. ექსპერტები იძულებულნი არიან აღიარონ, რომ ბავშვების გაშვილებისა და მათი დაცვის საერთაშორისო კანონები ხშირად არ მუშაობს.

**„არსებობს რამდენიმე მიზეზი იმისა, რომ გაშვილების შესახებ საერთაშორისო კანონები ძალზე არაეფექტურია. ჯერ ერთი, პირობითი მშობლები რაიმე ტრენინგს არ გადიან მანამ, სანამ ბავშვს აიყვანენ. მეორეც, არ არსებობს ამგვარი ოჯახების ერთიანი მონიტორინგის სისტემა, კონტროლის საერთო ორგანო“,** — ამბობს ექსპერტი.

ვისკონსინი არის ამერიკის ერთადერთი შტატი, რომელმაც მოახერხა და აკრძალა ბავშვების ხელიდან ხელში უბრალო გადაცემა.

**90-იანი წლების ბოლოდან ამერიკაში საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 243 ათასზე მეტი ბავშვი იშვილეს. სტატისტიკის მიხედვით, ამერიკელი პირობითი მშობლები მოგვიანებით ყოველი მეათე ბავშვისგან გათავისუფლებას ცდილობდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩაბარებისა და გაცვლის სისტემა აშშ-ში უცხოეთიდან ნაშვილებმა, სულ მცირე, 24 ათასმა ბავშვმა გაიარა.**

## აშშ-ში ყოველი მეხუთე ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია

ბავშვებზე ძალადობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პრობლემაა და მთავარი მიზეზია არამხოლოდ მსხვერპლის განცდების, არამედ მისი შემდგომი პირადი პრობლემებისაც. ეს გრძელვადიან დამანგრეველ გავლენას ახდენს მსხვერპლზე. **კვლევების მიხედვით, გაუპატიურებამ შეიძლება განაპირობოს ნდობის დაკარგვა, თვითშეფასების შემცირება, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობის განვითარება, დეპრესია, ნარკომანია, თვითმკვლელობა, სქესობრივი მიდრეკილებების ცვლილება, პროსტიტუცია, უსაფუძვლო შიში და ქცევის სხვა მრავალი პრობლემა.**

უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლი არასდროს არავის ეუბნება ძალადობის შესახებ, მის ქცევაში ცვლილებებს კი ვერავინ აკავშირებს საწყის მიზეზთან.



## სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი მხოლოდ მოზარდები არ არიან, მათი 20%-ზე მეტი ამას 8 წლის ასაკამდე განიცდის, 50% კი — 12 წლის ასაკამდე

ვინაიდან ბავშვებზე სექსუალური ძალადობა მნიშვნელოვანწილად ტაბუდადებული თემაა, ბევრს არც კი ესმის პრობლემის მთელი სიმძიმე და მისი გავრცელების მასშტაბები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ბავშვებზე ფიზიკური, ფსიქიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტებმა უკვე ეპიდემიის მასშტაბებს მიაღწია. სტატისტიკური მონაცემები შოკისმომგვრელია:

**4-დან 1 გოგონა 18 წლის ასაკამდე სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება.**

**6-დან ერთი ბიჭი 18 წლის ასაკამდე სექსუალური ძალდობის მსხვერპლი ხდება.**

**5-დან ერთი ბავშვი ინტერნეტში მუშაობისას სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება.**

ყველა დარეგისტრირებული სექსუალური ხასიათის თავდასხმის (მათ შორის უფროსების მიმართაც) 70%-ზე მეტ შემთხვევაში მსხვერპლი 17-წლამდე ასაკის ბავშვები არიან.

შეფასებების თანახმად, დღეისათვის 39 მილიონი ამერიკელი ბავშვი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

პატიმართა 84% ბავშვობაში ძალადობის მხვერპლი იყო.

ბავშვები ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი მათი მხრიდან, ვისაც ენდობიან.

მსხვერპლთა 30-40% საკუთარი ოჯახის წევრთა მხრიდან განიცდიდა ძალადობას. კიდევ 50% ძალადობას განიცდიდა იმ პირებისგან, რომლებიც არ იყვნენ მათი ოჯახის წევრები, მაგრამ რომლებსაც კარგად იცნობდნენ და ენდობოდნენ. დაახლოებით 40% ნაცნობი უფროსი ბავშვების ძალადობის მსხვერპლი ხდება.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი მხოლოდ მოზარდები არ არიან, მათი 20%-ზე მეტი ამას 8 წლის ასაკამდე განიცდის, 50% კი — 12 წლის ასაკამდე.

ბავშვების უმეტესობა ძალადობის ფაქტების შესახებ მაშინაც კი დუმს, როდესაც ამის თაობაზე ეკითხებიან, მომხდარის შესახებ მტკიცებულებები კი ყოველთვის არ იძებნება. მსხვერპლთა 30%-ზე მეტი არასდროს არავის უყვება მომხდარის შესახებ.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ვერ აღიქვამენ თავდასხმის სექსუალურ ხასიათს. დაახლოებით 80% თავიდან უარყოფს ძალადობას და ცდილობს მის დამალვას. მათგან 75% შემთხვევით ამხელს მომხდარს, კიდევ 20% კი ფაქტის გამოაშკარავების შემდეგაც არ აღიარებს მას.

სექსუალური ძალადობის შელამაზებულ ანგარიშებში ყველა დარეგისტრირებული შემთხვევის 1-4% ფიქსირდება. ეს ანგარიშები 75%-ით მცდარია ძალადობის მოზრდილ მსხვერპლებთან მიმართებაში და 25%-ით ბავშვებთან მიმართებაში.

სექსუალური ძალადობა მომენტალურად ცვლის როგორც ბავშვების, ასევე მათი ოჯახების ცხოვრებას. ის ასევე ურიცხვი ნეგატიური ფაქტორებით ზემოქმედებს მთელ საზოგადოებაზე. ეს ნეგატიური ფაქტორები შეიძლება გამოვლინდეს დაზარალებულის მთელი ცხოვრების მანძილზე, ამიტომ მხოლოდ ერთი დაზარალებულის მიერ საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე შეიძლება გრძელდებოდეს. წარმოიდგინეთ ზიანი, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ძალადობის 39 მილიონი მსხვერპლი აყენებს საზოგადოებას.

სექსუალური ძალადობა შეიძლება ქცევისა და ჯანმრთელობის პრობლემების მიზეზი გახდეს და ის, თუ რა რეაქცია ექნება დაზარალებულის ოჯახს მომხდარზე, უკიდურესად მნიშვნელოვანია.

ბავშვები, რომლებიც მალავენ მომხდარს ან ყვებიან, მაგრამ უფროსები არ უჯერებენ, ფსიქოლოგიური, ემოციური, სოციალური და ფიზიკური პრობლემების რისკის წინაშე არიან. ეს პრობლემები მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე გრძელდება.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვები ხშირად ავლენენ პოსტტრავმატული სტრესის სინდრომებს, სევდიანები არიან, სკოლაში უფრო მეტი პრობლემები აქვთ და უფრო ხშირად ავადმყოფობენ, ვიდრე მათი თანატოლები.

ისინი გაცილებით უფრო მეტად არიან მიდრეკილნი დეპრესიული აშლილობებისკენ. გოგონები, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი იყვნენ, ხშირად არასწორი კვების მსხვერპლნიც ხდებიან. ამ კატეგორიის მოზარდები ძნელად გადადიან ზრდასრული ასაკის შესაბამის ცხოვრების წესზე, ხშირად განიცდიან ფინანსურ კრახს და ფიზიკურ ტრავმებს.

სექსუალური ძალადობა ხშირად ნარკოტიკების მოხმარების წინაპირობაა. მისი მხვერპლნი ასევე ხშირად იყენებენ ბოროტად ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს.

გოგონები, რომლებზეც იძალადეს, სამჯერ უფრო ხშირად ავლენენ ფსიქიურ აშლილობებს, ბოროტად იყენებენ ალკოჰოლსა და ნარკოტიკებს.

მამაკაცებს შორის ძალადობის მსხვერპლთა 70% ფსიქოლოგიურ დახმარებას ნარკოტიკებში, სუიციდალურ აზრებსა და თვითმკვლელობაში ეძებს. ისინი სისასტიკისკენ მიდრეკილნი ხდებიან (სტატისტიკის თანახმად, სექსუალური ძალადობის 68%-ს და სექსუალურ ნიადაგზე მკვლელობების 48%-ს ამერიკაში ჰომოსექსუალები სჩადიან. ისინი დგანან სერიული მკვლელების ტოპსიის სათავეშიც).

**18-წლამდე ქალებში, რომლებზეც ბავშვობაში ძალადობდნენ, დაორსულების ალბათობა სხვა თანატოლებთან შედარებით სამჯერ მეტია. მოზარდ ორსულებს შორის 60%-ის შემთხვევაში ორსულობამდე ადგილი ჰქონდა გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას. ძალადობის მხვერპლი ბავშვები, დიდი ალბათობით, უწესო სექსუალურ ცხოვრებას ეწევიან.**

მოზარდი მეძავების 75% ბავშვობაში გააუპატიურეს.

პატიმარი ქალების 50% ირწმუნება, რომ ბავშვობაში მათზე ძალადობდნენ.

სერიული მოძალადეების 75% ბავშვობაში სექსუალური ძალდობის მსხვერპლი იყო.

**მოძალადეთა უმეტესობა ვერ ჩერდება მხოლოდ ერთ ბავშვზე, თუ მათ არ ეძებენ ან არ აპატიმრებენ. იმ დამნაშავეთა 70%-ს რომლებმაც ბავშვებზე იძალადეს, 1-დან 9-მდე მსხვერპლი ჰყავდა, სულ მცირე 20%-ს კი — 10-დან 40-მდე მსხვერპლი.**

**საშუალოდ, ერთ სერიულ მოძალადეს მთელი სიცოცხლის მანძილზე შეიძლება 400-მდე მსხვერპლი ჰყავდეს.**

vesti.ru
communitarian.ru



## ყველაზე მძიმე ათლეტი

**მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ხოსე ლუის გარზა, რომელიც 499 კილოგრამს იწონიდა, და მას შემდეგ, რაც მეორე მძიმე ათლეტმა მანუელ ურიბემ 558-დან 230 კილოგრამი დაიკლო, მსოფლიოში ყველაზე სქელი და მძიმე ათლეტი ემანუელ იაბრაუ გახდა. ასევე ემანუელი არის ყველაზე დიდი და მძიმე მებრძოლი სუმოში თავისი წონის წყალობით. იგი დაახოებით 450 კილოგრამს...იწონის.**

ჭიდაობის სახეობა სუმო, რა თქმა უნდა, თავისთავად დიდი ადამიანებისთვისაა, მაგრამ, როგორც ყველა სპორტში, აქაც არიან გამორჩეულები. სუმო არის სპორტის ნაციონალური სახეობა და მეტად პოპულარული სანახაობაა იაპონიაში. სუმო არის თითქმის იმდენი ხნის, რამდენისაცაა თვითონ იაპონური ცივილიზაცია. საუკუნეების განმავლობაში დადგენილი წესებისა და რიტუალების მიხედვით, მეტოქეები, რომლებიც სპეციალურად შერჩეული საკვებით იკვებებიან წონის მოსამატებლად, ცდილობენ, ერთმანეთი რინგს გადალმა გადააგდონ.

სუმოისტებს არ შეუძლიათ სწრაფად გადაადგილდნენ და ამიტომ სუმო ძალიან ნელი სპორტია. სუმოისტები ვარჯიშს და სათანადო კვებას ბავშვობიდანვე იწყებენ.

სუმოს მატჩი ტარდება მრგვალ ქვიშის იატაკიან რინგზე. რესლერი აგებს მატჩს, თუ მოედანს დატოვებს. ასევე ის წაგებულია, თუ მისი სხეულის ნებისმიერი ნაწილი (ფეხების გარდა) შეეხება რინგს.



## სელფშოტი ფსიქიკურ აშლილობად აღიარეს

**ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მეცნიერებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ სელფშოტი ფსიქიკური აშლილობის ნიშანია.**

ასოციაციის წარმომადგენლებმა ეს განცხადება ჩიკაგოში, ყოველწლიურ ოფიციალურ შეხვედრაზე გააკეთეს. მათი თქმით, არსებობს აშლილობის 3 ფაზა: **მოსაზღვრე სელფშოტი,** როდესაც ადამიანი საკუთარ თავს დღეში სამჯერ უღებს ფოტოებს, მაგრამ სოციალურ ქსელში არ აქვეყნებს, **მკვეთრი სელფშოტი,** როდესაც ადამიანი საკუთარ თავს დღეში სამჯერ უღებს ფოტოებს და ყოველ ჯერზე სოციალურ ქსელში პოსტავს, და **ქრონიკული სელფშოტი** — დაუოკებელი განზრახვა, ყოველ წამს საკუთარ თავს ფოტოები გადაუღო და დღის განმავლობაში პროფილზე მინიმუმ 6-ჯერ ატვირთო.

როგორც ფსიქიატრები ამბობენ, ამ დროისთვის მსგავსი აშლილობის სამკურნალო პროგრამა არ არსებობს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ევროპაში შექმნილი მდგომარეობა რადიკალურ ინიციატივებს საჭიროებს. თუ არავინ არაფერს გააკეთებს, არჩევნებზე სავალუტო კავშირის მოწინააღმდეგეებს დარჩებათ გამარჯვება. მათთვის რაიმეს დაპირისპირება კი იოლი საქმე არ იქნება.**



## 9 თვის ჩვილს მკვლელობის დაგეგმვაში დასდეს ბრალი

**პაკისტანში 9 თვის ბიჭუნა სასამართლოში გამოიძახეს, რადგანაც მკვლელობის დაგეგმვაში იყო ბრალდებული.**

ბავშვი, სახელად მუჰამედ მოსა ხანი ბრალდებულია პოლიციელების მიმართ მუქარაშიც. საქმე ის არის, რომ სამართალდამცავებმა რეიდი მოაწყვეს, რათა გაერკვიათ, თუ ვინ იპარავს გაზს ლაჰორიში. როგორც პოლიციელები აცხადებენ, ეჭვმიტანილებმა — ჩვილმა ბავშვმა და მისი ოჯახის მოზრდილმა წევრებმა — პოლიციის ოფიცრებს ქვები ესროლეს და მათ მოკვლას შეეცადნენ.

ჩვილი მთელი პროცესის მანძილზე მამის მუხლზე იჯდა და ბოთლიდან რძეს მიირთმევდა. მოსამართლე იძულებული გახდა, ბავშვის წინააღმდეგ ბრალდება მოეხსნა.



## მშრალი წყალი

**ცოტა ხნის წინ ბრიტანელმა სწავლულებმა გამოიგონეს „მშრალი წყალი“ — ნივთიერება, რომელიც ძირითადად, ჩვეულებრივი წყლისგან (95%) და მცირე რაოდენობით (5%) კრემნიუმის დიოქსიდისგან შედგება. თითოეული წყლის წვეთი გახვეულია კრემნიუმის დიოქსიდის გარსში. ეს ნივთიერება გარეგნულად შაქრის ფხვნილს მოგვაგონებს.**

„მშრალი წყალი“ რევოლუციას მოახდენს ქიმიკატების გამოყენებაში. ბრიტანელი სწავლულების აზრით, ეს ნივთიერება მეცნიერებს დაეხმარება გლობალური დათბობის წინააღმდეგ ბრძოლაში – იგი სამჯერ უკეთესია, ვიდრე ჩვეულებრივი წყალი, ისრუტავს ნახშირორჟანგის გაზს, ამით ხელს უშლის მის მოხვედრას ატმოსფეროში. „მშრალი წყალი“, აგრეთვე, შეიძლება გამოვიყენოთ მეთანის მარაგის შესანახად და მისი ენერგეტიკული პოტენციალის გაზრდისთვის.

ლივერპულის უნივერსიტეტის დოქტორმა ბენ კარტერმა თავისი სამუშაო ბოსტონში, ამერიკის ქიმიური საზოგადოების 240-ე ნაციონალურ კონფერენციაზე წარადგინა.

„მშრალი წყალი“ შეიძლება გამოვიყენოთ კატალიზატორად, წყალბადისა და მალეინის მჟავას შორის რეაქციის დასაჩქარებლად. შედეგად წარმოიქმნება ქარვის მჟავა – ნივთიერება, რომელიც გამოიყენება წამლების, კვებითი პროდუქტების დამატებებისა და სახალხო მოხმარების საგნების დასამზადებლად.

„მშრალი წყლის“ გამოყენებით შესაძლებელი იქნება, ერთმანეთს შევურიოთ ისეთი სითხეები, რომელთა შერევა ადრე არ შეიძლებოდა. მაგალითად, ნავთობი და წყალი. ასეთი „მშრალი ემულსიები“ გაამარტივებს და უსაფრთხოს გახდის საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებას.

# ევროპა ევროს წინააღმდეგ

**ირწმუნებიან, რომ ევროპის ქვეყნების ყველა პრობლემაში დამნაშავე ძალზე ძვირადღირებული ევროა, მაგრამ ევროპის ეკონომიკისთვის ნუთუ მართლა კარგი იქნება ვალუტის კურსის დაწევა?**

იცით, რატომ არის საფრანგეთში ყველაფერი ძალიან ცუდად? იმიტომ, რომ საფრანგეთმა უარი განაცხადა ფრანკზე და ევროზე გადავიდა, ახლა კი ევროს კურსი ძალზე მაღალია. ერთიანი ვალუტის გაიაფება ან მასზე საერთოდაც უარის თქმა საფრანგეთის ყველა პრობლემას გადაჭრიდა. ასე ამბობენ, მაგრამ კარგი იქნებოდა, ყელაფერი მართლაც ასე რომ ყოფილიყო. სამწუხაროდ, საფრანგეთისთვის იოლი და იაფფასიანი გადაწყვეტილება არ არსებობს.

ყველა თანხმდება, რომ ახლა ევრო ძალიან ძვირია, რაც სერიოზულ ზეწოლას ახდენს ექსპორტით დაკავებულ საწარმოებსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. „France Inter“-ის პირდაპირ ეთერში მარინ ლე პენმა განაცხადა, რომ ევროპის ერთიანი ვალუტის ღირებულება 30%-ით გადაჭარბებულია, მაგრამ საკუთარი თავის პატივისმცემელი არც ერთი ეკონომისტი არ მიდის ასე შორს. **პრაქტიკულად, უკლებლივ ყველა აღიარებს, რომ ევროს ახლანდელი კურსი არ ასახავს სხვადასხვა ეკონომიკურ ზონაში არსებულ შედარებით მდგომარეობებს.**

თუ ციფრებს დავაკვირდებით, ნათელი ხდება, რომ სიტუაცია არც ისე უგუნურია, როგორც ამას ევროპული ვალუტის ყველაზე მწვავე მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ. **ევრო დაახლოებით 1,38 დოლარის ნიშნულზეა გაჩერებული, თუმცა 2008 წლის აპრილში საუბარი იყო 1,6-დოლარიან ნიშნულზეც. თუ ევროს შევადარებთ იმ სახელმწიფოთა ვალუტებს, რომლებიც საფრანგეთის საგარეო ვაჭრობაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს, გამოჩნდება, რომ მისი კურსი, რა თქმა უნდა, გრძელვადიან საშუალო დონეზე მაღალია, მაგრამ ეს დისპროპორცია 10%-ს არ აღემატება.**

მიუხედავად ამ ყველაფრისა, თვალში მოსახვედრია ის ფაქტი, რომ უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში კურსმა მოიმატა, მაგრამ ევროპული კონიუნქტურის მაჩვენებლები მაინც საკმაოდ ულიმღამოდ გამოიყურება, უმუშევრობა კი სტაბილურად იზრდება.

**როგორც ევროპის ცენტრალური ბანკის უკანასკნელ ყოველთვიურ ანგარიშშია აღნიშნული, 5 მარტისთვის ევროს ნომინალური გაცვლითი კურსი ევროზონის 20 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის ვალუტებთან შედარებით 0,9%-ით გაიზარდა 2013 წლის დეკემბრის დასაწყისის შემდეგ და 3,7%-ით — გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში დოლართან შედარებით ევრო — 1,4%-ით, იენთან შედარებით კი 1,1%-ით გაძვირდა. მან ფასი დაკარგა მხოლოდ რამდენიმე ვალუტის, მაგალითად, ფუნტი-სტერლინგის მიმართ, ისიც უმნიშვნელოდ — 0,5%-ით.

როგორც ანალიტიკოსები მიიჩნევენ, კურსის მომატების ეს ბოლოდროინდელი ტენდენცია პრობლემების წყაროა და ქმნის ძლიერი ევროს შთაბეჭდილებას. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შუა პერიოდიდან კურსი ეცემოდა 2012 წლის ივლისამდე, ამ უკანასკნელი თარიღის შემდეგ მან 11%-ით მოიმატა.

**როგორც არ უნდა იყოს, განა ევროს კურსის შემცირება ევროპის ეკონომიკისთვის კარგი სიახლე იქნება? იაპონიის მაგალითის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოველთვის ასე არ ხდება.**

„Aurel-BGC“-ის ექსპერტის — ჟან-ლუი მურიეს თქმით, 2012 წლიდან იენის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვნად შემცირებამ ვერ განაპირობა ექსპორტის გაზრდა და არ მისცა საშუალება საგარეო ვაჭრობას, ეკონომიკურ ზრდაში საკუთარი წვლილი შეეტანა“.

თუმცა იენის ღირებულების შემცირებას შედეგი მაინც მოჰყოლია: მან გაზარდა იმპორტის ღირებულება (ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყანაში დეფლაციისას) და ექსპორტის ღირებულებაც (ეს დაეხმარა იაპონიის მსხვილ კომპანიებს, მოგების მაჩვენებლები გაეუმჯობესებინათ).

მაგრამ რა მოხდება ევროს გაიაფების შემთხვევაში? პერსპექტიული და ინფორმაციული საერთაშორისო კვლევების ცენტრის სამი ეკონომისტი ცდილობდა ამ საკითხში გარკვევას, რისთვისაც ფრანგული ექსპორტიორი საწარმოების შესახებ საბაჟოს მიერ 1995-დან 2010-წლამდე შეგროვილი მონაცემები გააანალიზეს. მათი შეფასებით, ერთიანი ვალუტის კურსის 10%-ით შემცირება ევროზონის პარტნიორი ქვეყნის ვალუტასთან შედარებით ექსპორტიორი ფირმის გაყიდვების ღირებულებას ამ ქვეყანაში საშუალოდ 6%-ით ზრდის (5% მოცულობების ზრდა და 1% ღირებულების გაზრდა). თუ ყველაფერს ეკონომიკის დარგების დონეზე განვიხილავთ და არა საწარმოების დონეზე, ეფექტი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება (7,5%), რადგან ვალუტის კურსის შემცირება საშუალებას იძლევა, ბაზარზე ახალი კომპანიები გამოვიდნენ. გარდა ამისა, მთელი ეს პროცესი სწრაფად ვითარდება: სულ რაღაც ერთ წელიწადში.

ამ ყველაფერთან ერთად **ეკონომისტები აღნიშნავენ, რომ კურსის შემცირება ზრდის იმ საწარმოების ხარჯებს, რომლებიც შუალედური საქონლისა და ნედლეულის იმპორტირებით არიან დაკავებულნი. მათი შეფასებით, ევროს 10%-ით გაიაფება საწარმოების მიერ იმპორტირებადი საქონლის ღირებულებას 2-3%-ით გაზრდის და ამ იმპორტის მოცულობას კი 0-2,5%-ით შეამცირებს.**

ეს დასკვნები სულაც არ მოეწონებათ სამამულო წარმოების მომხრეებს: თუ საწარმომ თავისი სამრეწველო პროცესი საერთაშორისო დონეზე გაიტანა და აქტიურადაა საზღვარგარეთ ყიდვა-გაყიდვაში ჩართული, მას გაცილებით უკეთ გამოსდის გაცვლითი კურსების ნებისმიერი რყევებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

საჭიროა ყურადღების გამახვილება პერსპექტიული და ინფორმაციული საერთაშორისო კვლევების ცენტრის ეკონომისტების კიდევ ერთ შენიშვნაზე: გაცვლითი კურსის შემცირება ზუსტად იმავე შედეგებს განაპირობებს, რასაც შედარებითი ფასების ვარდნა.



სხვაგვარად რომ ვთქვათ, საწარმომ შეიძლება ზუსტად ანალოგიურ შედეგს მიაღწიოს, უბრალოდ, უცხოელ კონკურენტებთან შედარებით ფასების დაკლებით და წარმოების ეფექტურობის გაზრდით. გასათვალისწინებელია ერთი დეტალი: გაცვლითი კურსის საშუალებით კორექცია გაცილებით სწრაფად მიდის, ვიდრე ფასების დაკლებით, მაგრამ მისი შედეგი ნაკლებად მდგრადია. საქმე ისაა, რომ ვალუტის დასუსტების გზით კონკურენტუნარიანობის გაზრდა ნელ-ნელა ფასების ზრდით ნიველირდება.

ეკონომიკური ანალიზის საბჭო ამ კვლევებს ეყრდნობოდა იანვარში გამოქვეყნებულ ანგარიშში სახელწოდებით „ევრო სავალუტო ომში“. ავტორები აღიარებენ, რომ „უფრო ექსპანსიონისტური სავალუტო პოლიტიკის პირობებში ევროს კურსის შემცირება ევროზონას დაეხმარებოდა მძიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევაში“. მიუხედავად ამისა, მათივე თქმით, „არ ღირს ევროპული ვალუტის მდგრადი დასუსტების ლოდინი, რადგან ახლა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ევრო ახლოსაა თავის დაბალანსებულ გრძელვადიან ნიშნულთან“.

**საერთო ჯამში ევროს გაიაფება იქნებოდა საერთო აუცილებელი კურსის — ექსპანსიონიზმისკენ მნიშვნელოვნად გადახრილი სავალუტო პოლიტიკის ერთ-ერთი სასიკეთო შედეგი.**

ევროს ახლანდელი მაღალი ღირებულება მთელ მსოფლიოში მიმდინარე სავალუტო პოლიტიკის კურსების შედეგია: ევროპის ცენტრალური ბანკი გამოირჩევა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის, ინგლისის ბანკისა და იაპონიის ბანკისგან 2012 წლის შემოდგომიდან აქტივობის მკვეთრი შემცირებით.

შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის ნელ-ნელა განდგომა ექსპანსიონისტური პოლიტიკისგან უკვე საკმარისი იქნებოდა ევროსთან მიმართებაში დოლარის კურსის გასაზრდელად, მაგრამ რამდენიმე მიზეზის გამო ეს არ ხდება: ევროზონის საგარეო სავაჭრო ბალანსის სალდო ახლა უზარმაზარ პლუსშია (და ის კიდევ იზრდება), ევროზონის დაშლასთან დაკავშირებით შიშები გაქარწყლდა, კაპიტალი ბრუნდება და ასე შემდეგ.

სავარაუდოა, რომ ევროს კურსი განსაკუთრებით არ დაიკლებს, თუ ევროპის ცენტრალური ბანკი „არატრადიციული“ პოლიტიკის გატარებას არ დაიწყებს. ამ დრომდე ევრობანკი ამის მტკიცე მოწინააღმდეგე იყო და საკუთარ პოზიციას დეფლაციის რისკის არარსებობით ამართლებდა. გარდა ამისა, გერმანიას არ სურდა აშშ-ში მოქმედი მსგავსი მოქნილი სავალუტო პოლიტიკის მიმართულებით გადასადგამი რაიმე ნაბიჯების ხსენებაც კი.

როგორც არ უნდა იყოს, მდგომარეობა ნელ-ნელა იცვლება. ეკონომისტები, რომლებიც მზად არიან, დრო დახარჯონ გერმანიის ფედერალური ბანკის ყოველთვიური ანგარიშების ყურადღებით შესწავლაზე, აღნიშნავენ, რომ ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ პირდაპირი მონეტარული ოპერაციების პროგრამის ლიკვიდურობის სტერილიზაციასთან დაკავშირებით მისი პოზიცია იცვლება. საუბარია საბერძნეთის, იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიისა და ირლანდიის სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვაზე 2012 წლის თებერვლიდან შემოდგომამდე. 25 მარტს ბუნდესბანკის ხელმძღვანელმა იენს ვაიდმანმა განაცხადა „არატრადიციული ზომების“ შესაძლო გამოყენების შესახებ. მან ხაზი გაუსვა, რომ საუბარია სამუშაო ჰიპოთეზებზე და ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. როგორც არ უნდა იყოს, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ახლო მომავალში, შესაძლოა, ყველა გააოცოს.

**ეს მართლაც კარგი სიახლე იქნებოდა. მკაცრი სავალუტო პოლიტიკისადმი გერმანიის ერთგულება ქებას იმსახურებს, მაგრამ დღეს ევროპაში შექმნილი მდგომარეობა რადიკალურ ინიციატივებს საჭიროებს. თუ არავინ არაფერს გააკეთებს, არჩევნებზე სავალუტო კავშირის მოწინააღმდეგეებს დარჩებათ გამარჯვება. მათთვის რაიმეს დაპირისპირება კი იოლი საქმე არ იქნება.**

მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხიც: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერი ვალუტა, შესაძლოა, დამატებით ტვირთად იქცეს ექსპორტისთვის (ბუნდესბანკში აღიარებენ გერმანული საწარმოების ღელვას იმასთან დაკავშირებით, თუ რა გავლენას მოახდენს იენის კურსის კლება მათი იაპონელი მოწინააღმდეგეების კონკურენტუნარიანობაზე), მისი ღირებულების ვარდნა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით გაღარიბებას ნიშნავს. ჟან-კლოდ ტრიშე ხშიად საუბრობდა ამაზე და არც თუ უსაფუძვლოდ. გარდა ამისა, კურსის ვარდნა ყველა პრობლემას ვერ აგვარებს, მათ შორის, ვერც მოსახლეობის იმედგაცრუების პრობლემას.

**Slate.fr**

დასავლური ცივილიზაციის შიგნით კონფლიქტი რომის იმპერიის დაცემის ანალოგი გახდება. კონსტანტინოპოლი და რომი ურთიერთშემავსებელი გავლენის პოლუსებიდან შეურიგებელ მტრებად გადაიქცნენ და თითოეული ცდილობდა, მხოლოდ მისეული მსოფლმხედველური მოდელის სისწორე დაემტკიცებინა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროკავშირი — აშშ-ის ხელქვეითი თუ პოტენციური მოქიშპე?

**ცივილიზაციათა შეჯახებები უახლოეს მომავალში მოხდება არა ამერიკასა და დანარჩენი მსოფლიოს, არამედ ამერიკასა და ევროკავშირს შორის. ასე ფიქრობს ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი ჩარლზ კუპჩანი. მეცნიერის აზრით, ამერიკელებმა სრულად უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ქვეყანა ხელს უწყობს დასავლური ცივილიზაციის განადგურებას.**



მკვლევარ რობერტ კაგანთან ერთად კუპჩანი საკუთარ თავს მიაკუთვნებს ამერიკულ მეცნიერებაში არსებულ იმ მიმდინარეობას, რომელიც ტრანსნაციონალური კავშირის დაშლის შემდეგ მის ნაწილებს შორის სრულმასშტაბიან დაპირისპირებას ვარაუდობს. მეცნიერების აზრით, მსოფლიო პოსტჰეგემონიის, ტურბულენტურობისა და მრავალპოლარულობის ფაზაში შედის.

ამგვარი თვალსაზრისი დასავლური მეცნიერებისთვის სიახლე არ არის. ჩარლზ კუპჩანი თავის ვარაუდს აგებს მისივე წინამორბედის — სამუელ ჰანტინგტონის ნამუშევრებზე. ამ უკანასკნელმა წიგნში „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო მოწყობის ახალი სახე“ აღნიშნა, რომ მსოფლიოში თანამედროვე დისპოზიცია დაპირისპირებას გამოიწვევდა არა მხოლოდ მსოფლმხედველურ ანტიპოდებს, არამედ დღევანდელ მოკავშირეებს შორისაც.

კუპჩანი თავის მასწავლებელზე შორს წავიდა, რადგან საუბრობს იმაზე, რომ მსოფლიო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის გაზრდა განაპირობებს მისი და აშშ-ის პოზიციების დაშორებას.

**ჯორჯთაუნის პროფესორი ვარაუდობს, რომ საერთაშორისო არენაზე აშშ-ის დომინირების დეგრადაცია საერთაშორისო არენაზე სულ უფრო ხშირად განაპირობებს სისხლიან მოვლენებს. უფრო მეტიც, რაც უფრო მეტად შესუსტდება ამერიკული ჰეგემონია, მით უფრო დრამატული მოვლენები და რყევები ელის მსოფლიოს.**

მეცნიერი თავის პროგნოზს იმით ხსნის, რომ ამერიკული ხელისუფლება დაავადებულია „მისიონერობით“ და მზადაა, ყველაზე რადიკალური ნაბიჯები გადადგას, მიუხედავად იმისა, რომ ეს „მისიონერობა“ მსხვილი კორპორაციების ვიწრო ინტერესებზე შორს არ მიდის. აშშ დღემდე ვერ აცნობიერებს, რომ მხოლოდ ამერიკელთა ცნობიერებაში ფორმირებული ჰეგემონიის მკვეთრი იერარქიის მქონე თანაბრად მდგრადი მსოფლიო არასდროს არსებობდა და პლანეტა სულ უფრო მეტად განიცდის ევოლუციას დებალანსირების მიმართულებით. **ამიტომ, მეცნიერის აზრით, თავად ამერიკისთვის სახიფათო ხდება მისი ელიტის რწმენა, რომ ტექნოლოგიურად ყველაზე განვითარებულ, ყველაზე თანამედროვე არმიისა და დიპლომატიის მქონე, ანუ საკუთარი დისკურსის დიქტატის სისტემისა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ერთადერთი სწორი მატრიცის გაცემის ქვეყანაში ცხოვრობენ.**

რაც შეეხება ევროკავშირს, პროფესორის აზრით, ამერიკული ელიტები კავშირს მხოლოდ ეკონომიკური ბლოკის სახით განიხილავენ და თვლიან, რომ საერთაშორისო პოლიტიკურ ბრძოლის ველზე მას სრულფასოვანი პერსპექტივები არ გააჩნია. **ბევრი ამერიკელი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ამერიკა და ევროპა იმდენად მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული, პირველ რიგში, სამხედრო მიმართულებით, რომ ქვეყნებს შორის ინტერესების კონფლიქტი, უბრალოდ, შეუძლებელია, რადგან ამან, შესაძლოა, ძალთა ბალანსი დაარღვიოს. ამ შემთხვევაში ევოპა თავის დაცვას ვერ შეძლებს.**

ამერიკული ელიტების ამგვარი პოზიციიდან გამომდინარე, ამერიკის, როგორც ევროპის მცველის, მოხსენიება, რაც ბოლო წლების განმავლობაში მსოფლიო დიპლომატიაში პრევალირებს, სავსებით ახსნადი ხდება.

კუპჩანი ხედავს, რომ ამერიკელი პოლიტიკოსებისა და მეინსტრიმული ექსპერტების მხრიდან მიმდინარე ცვლილებების გაუგებრობის ფესვი მსოფლმხედველობის დეგრადაციიდან მოდის. თუ ცივი ომის პერიოდში ევროპელებიც და ამერიკელებიც საკუთარ პოზიციებს ათანხმებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობით, ახლა, გლობალური თვალსაზრისით, მსგავსი მტერი აღარ არსებობს. თვით სახელმწიფოს მოწყობის გაგების სფეროშიც კი დასავლურ ელიტებს შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობაა.

დღეს ევროპა იმდენად აღარაა დამოკიდებული ამერიკის სამხედრო დახმარებაზე. ძველ კონტინენტზე, მეცნიერთა აზრით, საერთაშორისო ურთიერთობების ახალი ფორმა — ერთიანი მსოფლმხედველობითი ბლოკი ყალიბდება. **ამ ფონზე აშშ-ისა და ევროკავშირის ელიტებს შორის უზარმაზარი უფსკრული ჩნდება დასავლური ცივილიზაციის მომავალი მიმართულების წარმოდგენის საკითხში. ახალი გამოწვევები ახალი მიდგომების დანერგვას ითხოვს საერთაშორისო ურთიერთობებშიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის დონეზე. ევროპელები მზად არიან ამ სფეროებში ტრანსფორმაციისთვის, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკელებზე.**

როგორც ამერიკელი მეცნიერი თვლის, ვაშინგტონის სამთავრობო დერეფნებში რიტორიკა არ შეცვლილა პოსტსაომარი დროის შემდეგ. ამერიკელები საერთაშორისო ჰეგემონისა და მშვიდობისმყოფელის როლს კვლავაც მხოლოდ „შევარდნის“ ფორმატში აღიქვამენ, შევარდნისა, რომელიც პრობლემებს მხოლოდ მათი გაჩენის შემდეგ აგვარებს, არ იძლევა გაფრთხილებებს კრიზისების მოსალოდნელობის შესახებ და მკაცრად და რადიკალურად მოქმედებს. ვაშინგტონელი „მშვიდობის მტრედების“ მთავარი მიზანი ძირითადი საზღვაო გზების ზონებში სტრატეგიული პოზიციების შენარჩუნებაა, რადგან ამან ნავთობბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირება უნდა უზრუნველყოს.

**ამ დროს ევროკავშირი თავის გავლენას გარდაქმნიდა კრიზისების თავიდან აცილების ფორმებში, მრავალბლოკიან თანამშრომლობებში, „რბილი ძალის“ გამოყენებასა და დიპლომატიაში. ეს აიხსნება ევროპული ბაზრებისა და ეკონომიკის ამერიკულზე მეტად დამოკიდებულებით შეიარაღებულ კონფლიქტებსა და ომებთან დაკავშირებულ რყევებზე.**

მსჯელობისას ამერიკელი მეცნიერი მიანიშნებს როგორც აშშ-ის, ისე ევროკავშირის შეცდომებზე, რომლებმაც სხვა არასასურველ შედეგებთან ერთად, შესაძლოა, გლობალური დასავლეთის დაშლაც განაპირობოს.

მისი აზრით, ამერიკისთვის აუცილებელია ევროპისადმი დამოკიდებულების, საერთაშორისო პოლიტიკაში მიდგომების, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების შეცვლა. მან უფრო ხშირად უნდა შეუთანხმოს თავისი ქმედებები ევროკავშირს, როგორც სრულფასოვან პარტნიორს, მოუსმინოს ევროპელთა აზრს და, თუ აუცილებელი გახდება, გადახედოს საკუთარ პოზიციებს.

რაც შეეხება ევროპას, მან უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს აშშ-თან ერთიან სამხედრო პროგრამებში. პროფესორი იმაზე მიანიშნებს, რომ ევროპელები იძულებულნი არიან, უზარმაზარი სახსრები ჩადონ ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფაში, თავად კავშირში კი შეიმჩნევა ახალი წევრი ქვეყნების ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები და მზარდი მუსლიმანური ძალადობა. ევროპელები იძულებულნი არიან, შეინარჩუნონ კეთილდღეობის გარკვეული დონე, რაც აისახება სამხედრო უსაფრთხოებისთვის გამოყოფილ სახსრებზე. ევროპელთა შეიარაღებული ძალების დეგრადაცია განაპირობებს ევროკავშირის როლის შესუსტებას ამერიკასთან კავშირში, რაც ნეგატიურად აისახება ევროპის შიდაპოლიტიკურ გავლენაზეც. დანარჩენი მსოფლიოს თვალში დღეისთვის ევროკავშირი გამოიყურება, როგორც შეშლილი მდიდარი, რომელიც საკუთარ ქონებას ურიგებს ყველას. ეს აუცილებლად განაპირობებს მთელი ევროკავშირის დებალანსირებას, როდესაც ევრობიუროკრატიის პოლიტიკით უკმაყოფილო გაერთიანების წევრები კონფლიქტთა პროვოცირებას დაიწყებენ.

**დასავლური ცივილიზაციის შიგნით კონფლიქტი რომის იმპერიის დაცემის ანალოგი გახდება. კონსტანტინოპოლი და რომი ურთიერთშემავსებელი გავლენის პოლუსებიდან შეურიგებელ მტრებად გადაიქცნენ და თითოეული ცდილობდა, მხოლოდ მისეული მსოფლმხედველური მოდელის სისწორე დაემტკიცებინა.**

ყველა ის ექსპერტი, რომელიც დასავლეთის გარდაუვალ დაშლას აცნობიერებს, მიანიშნებს ევროკავშირსა და აშშ-ს შორის თანამშრომლობის გაგრძელების აუცილებლობაზე. თუმცა, მათი აზრით, ეს პროცესი ყოველწლიურად უფრო და უფრო გართულდება ამ ცივილიზაციურ პოლუსებს შორის არსებული უფსკრულის გათვალისწინებით. არადა, სწორედ ამერიკასა და ევროპას შორის დიალოგს შეუძლია იხსნას მსოფლიო ფატალური დებალანსირებისგან.

**ამ ყველაფერთან დაკავშირებით ევროპისთვის გამოწვევას წარმოადგენს საერთაშორისო არენაზე თავისი ახალი, ავტონომიური როლის გაცნობიერება, ასევე შიდა დაპირისპირებების დაძლევისა და ერთიანი ძალის სახით გამოსვლის შესაძლებლობა.**

ახლა ძნელი გასარკვევია, მზადაა თუ არა ევროპა ახალი როლისთვის და თუ შეძლებს, მიიღოს მსოფლიოს მოწყობის ამგვარი ტრანსფორმაცია.

malanka.org



## 100%-იანი დაცვა ავიაკატასტროფებისას

**კიშინიოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ალექსანდრე ბალანმა, შესაძლოა, გადატრიალება მოახდინოს მსოფლიო ავიაციაში. გამომგონებელი ამტკიცებს, რომ ფაქტობრივად 100%-ით დაიცავს ავიაკატასტროფის დროს ადამიანთა სიცოცხლეს.**

იდეის განხორციელების შემთხვევაში, ავიაკატასტროფის დროს თვითმფრინავი აღარ აფეთქდება და ამის გამო მგზავრები აღარ დაიღუპებიან.

როგორც ცნობილია, თვითმფრინავის საწვავი საავიაციო ნავთია, კატასტროფის დროს მიწასთან შეჯახების შედეგად ლაინერი ფეთქდება.

SIAAB1 2013 — ასე ჰქვია ქიმიური შენაერთების სითხეს, რომელიც ავტორმა შეიმუშავა. იგი შეერევა საავიაციო საწვავს შესაბამისად 1/100 თანაფარდობით. კატასტროფის შემთხვევაში SIAAB1 2013 საწვავს აქცევს მყარ მწვანე ფერის მასად და ნავთის აალება უკვე შეუძლებელი ხდება.

მეორეა სისტემა SIAAB2 2013. ეს არის სითხისა და ქაფის ჰიბრიდი, რომლის შემადგენლობაც, აგრეთვე, გასაიდუმლოებულია. მეორე სისტემა უშუალოდ ადამიანების სიცოცხლეზე ზრუნავს — იგი სპეციალურ ტიტანის კაფსულებშია მოთავსებული, კატასტროფამდე 8 წამით ადრე კაფსულა ავტომატურად იწყებს მოქმედებას, სალონი ივსება ქაფით და მყარდება, ქმნის დამცავ გარსს მგზავრების გარშემო, რომელიც გარანტიას იძლევა, რომ დანარცხების შედეგად მგზავრები ტრამვას არ მიიღებენ. კატასტროფიდან 30 წამის შემდეგ ქაფი ისევ სითხედ იქცევა და საწყის მდგომარეობას უბრუნდება. სხვათა შორის ქიმიური შენაერთი არც თვალებს წვავს და არც კანს აღიზიანებს.

ალექსანდრეს გამოგონებამ ნამდვილი ფურორი გამოწვია მსოფლიოში, პირველად ჩინური ტექნიკური კორპორაცია დაინტერესდა ამ გამოგონებით და მზადაა, მილიარდები გადაიხადოს, თუმცა სიახლე ნატოსაც არ გამოპარვია მხედველობიდან.

ახალი გამოგონების პრეზენტაცია გაიმართება ლონდონში, ნიუ იორკში, სიეტლსა და ჩიკაგოში. პროექტის ტესტირება კალიფორნიის პოლიგონზე მოხდება, თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, უსაფრთხოების სისტემა მთელ მსოფლიოში დაინერგება როგორც საავიაციო, ისე, საავტომობილო მრეწველობაში.





ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი



# ო, ეს ტკბილი სიტყვები — «თბილისის დინამო»!

**ამ სიყვარულს ვერც ახსნი და ვერც აღწერ. უბრალოდ, თვალები გაგიბრწყინდება და მოგონებათა საამო ჟრუანტელი დაგივლის, რაკი აშკარად გესმის ტრიბუნათა გუგუნის შორეული ექო და ეროსის (ბევრმა მისი გვარიც რომ არ ვიცოდით იმ დროს) ომახიანი, მაგრამ მაინც მთრთოლვარე ხმა...**

ახლა წარმოუდგენელი და აუხსნელიცაა, რას ნიშნავდა ეს მაგიური სიტყვები (თბილისის „დინამო“) ჩემი თაობის ადამიანებისთვის, რომლებიც მართლაც მიჯაჭვულნი ვიყავით რადიო-რეპროდუქტორებს გასული საუკუნის 50-60-იან წლებში, გულისფანცქალით ველოდით ახალ-ახალ რეპორტაჟებს და გონების თვალით გავცქეროდით, როგორ დაჰქროდნენ მოედანზე პაიჭაძე და ძმანი მისნი, მაგრამ ვაი, რომ, როგორც ლეგენდარული ხორავას ფენომენს ვერ ჩაწვდება ადამიანი, ვინც კი ვერ მოეწრო მის ეპოქას, ისე ვერც იმას აუხსნი ვინმეს, ვინ იყო ან ეგებ, უფრო სწორად, რა იყო ჩვენთვის ბორის პაიჭაძე და მერე გული გვწყდება, რომ ის სიხარული და ზეიმი, ის სიამაყე და მოლოდინი, რომელიც გვაკავშირებდა პაიჭაძესთან, სამწუხაროდ, ახლა შეიძლება გაიგივდეს მხოლოდ რომელიმე პოპულარულ ფეხბურთელთან თუ მსახიობთან...

ჩვენი სიჭაბუკის სიმბოლოებს, აწ ლეგენდებში გადასულ რაინდებს, ცხრა გზის მადლობა იმ ნეტარი განცდისთვის, რომლითაც ისე გვათბობდნენ და გვამაღლებდნენ!

აი, ასეთი საღერღელი ამიშალა ერთმა მშვენიერმა წიგნმა, რომელსაც ბალადას დავარქმევდი ჩვენს ლეგენდარულ ფეხბურთელებზე, რაკი ისინი გაცილებით მეტი იყვნენ ჩვენთვის — ბევრ რამეს დახარბებული ადამიანებისთვის, ვიდრე სპორტის რომელიმე სახეობის უბრწყინვალესი წარმომადგენლები. ავტორს კი, ცნობილ ქართველ მუსიკამცოდნეს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, თბილისის კონსერვატორიის სახელოვან პროფესორსა და უაღრესად სიმპათიურ ადამიანს — ბატონ გულბათ ტორაძეს „ქართული ფეხბურთი ჩემს ცხოვრებაში“ დაურქმევია. ეს, ჩემი აზრით, ქვესათაურად უფრო გამოდგებოდა, რადგან აქ ისეთი სიყვარული და გული ჩანს, ისეთი მონატრება და სევდა, ისეთი მადლიერება და სიამაყე ჩემი თაობისა, რომ, ბუნებრივია, რაღაც პოეტური სათაური უფრო მოუხდებოდა — ისეთივე ამაღლებული და განსაცვიფრებელი, როგორიც თვითონ ტექსტია ამ მშვენიერი მონოგრაფიისა. იმასაც თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ წიგნი ათეულობით წლების ჩაკირკიტებული შრომის ნაყოფია, მაშინ ცხადი ხდება, რომ ბატონი გულბათისთვის, რომელსაც, როგორც სპორტულ ჟურნალისტს, 1987-2007 წლებში გამოცემული აქვს სამი კრებული ამ საკითხზე — ეს არის მეორე პროფესია და არავითარ შემთხვევაში რაღაც სახალისო გატაცება.



ბორის სიჭინავა



საგაზეთო ფორმატის შეზღუდულობა რომ არა, სიამოვნებით განვაგრძობდი ამ დიდებულ წიგნზე საუბარს, მაგრამ ყოველივე ამასთან, რაკი ნაშრომი კარგადაც არის რედაქტირებული (რაც ერთობ იშვიათია ჩვენს საგამომცემლო სივრცეში), **სწორედ ამ კუთხით მინდა მივუთითო იმ ლაფსუსებზე, რომლებიც მაინც გაიპარა, ერთხელ კიდევ ვიმეორებ, ამ პროფესიული კეთილსინდისიერებითა და საქმის ცოდნით რედაქტირებულ წიგნში.**

დავიწყოთ უმარტივესი საკითხებით, რაც სადავო არ არის, ორთოგრაფია მაქვს მხედველობაში:

„ჩაფსკვნილი“ კი არა (გვ. 65, 165, 180, 217) — **ჩასკვნილი**, როგორც ხაზგასმულია ორთოგრაფიულ ლექსიკონში (გვ. 573);

„წინ“ (52, 109, 173, 207, 225) კი არა — **წინათ** (ცხადია, კონტექსტის მიხედვით): „ „სენსაციური-თქო, იმიტომ ვამბობ...“ (106) — უნდა იყოს: **მეთქი**.

„ახლო პლანით“ (208) — **ახლო ხედით** (ცნობილი კინემატოგრაფიული ტერმინია);

„გავათიეთ“ (225) — **გავათენეთ;**

„დასასრულს“ (59) — **დასასრულ;**

„ერთის მხრივ“ (148) — **ერთი მხრივ;**

„მეორეს მხრივ“ (146, 148, 157) — **მეორე მხრივ;**

„სელექციონერული“ (218) — **სელექციური;**

„ჩემის აზრით“ (85, 182) — **ჩემი აზრით.**

**ცალ-ცალკე უნდა ეწეროს:**

„არცერთი“ (204), „არცერთხელ“ (236), „ახლადგადმოსული“ (41), „ახლადდაარსებული“ (9), „ახლადშობილი“ (188), „ახლადდანიშნული“ (111), „ახლადგამოცემული“ (244), „ეგრეთწოდებული“ (137), „ერთსადაიმავე“ (237), „ზემოთაღწერილი“ (85), „ზემოთგმოცხადებული“ (141), „ომისშემდგომ“ (49, 50, 57, 59, 67, 79, 226), „ფარგლებსგარეთაც“ (105, 149) და ა. შ.

**ერთად იწერება:**

„ანა-ბანა“ (44), „არა და“ (23), „არა თუ“ (166), „სიტყვასიტყვით“ (240) და ა. შ.

**დეფისით იწერება:**

„ისის“ (89), „ხელ ფეხი“ (119) და ა. შ.

**მოუწესრიგებელია სხვადასხვა გამოცემათა (წიგნი იქნება ეს თუ ენციკლოპედია და მისთ.) თარიღი და ქალაქის მითითება, მათ შორის ხან ტირეა, ხან წერტილი, ხან მძიმე და ხანაც არაფერი:** (მოსკოვი — 1997), ▶

# ერთი წერილის გამო...

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» რედაქციას

**ვეხმაურებით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (26 მარტი-1 აპრილი, 2014წ.) დაბეჭდილ, ღირსეული მამულიშვილის, ცნობილი კინომცოდნისა და საზოგადო მოღვაწის — ბ-ნ გოგი დოლიძის ფრიად საყურადღებო წერილს „ყავა კულტურის სამინისტროს თანამშრომლებისთვის თუ მსოფლიოს უნიკალური ფილმის საუკუნოვანი იუბილე“.**

ბ-ნ გოგი დოლიძეს ჯერ კიდევ იმ ასაკიდან ვიცნობთ, როცა მეხუთე კლასელები გვერქვა. დიდი სიყვარულით ვმეგობრობთ მასთან და განსაკუთრებულად ვემზადებით ყოველი 14 მარტისთვის. ამ დღეს ხომ მსოფლიო მნიშვნელობის კინოს პიონერი, ჩვენი თანაქალაქელი, ბ-ნი ვასილ ამაშუკელი დაიბადა. ამ ღირსშესანიშნავ დღეს ვიცით, რომ თბილისიდან ქუთაისში აუცილებლად ჩამობრძანდება „გოგი ბაბუ“ (როგორც მას მივმართავთ) და თავის მადლიან სიტყვას იტყვის მსოფლიოში პირველი სრულმეტრაჟიანი კინოფილმის გადამღებისა და რეჟისორის საფლავთან. ჩვენც მოვესიყვარულებით ძვირფას ადამიანს და ვასილ ამაშუკელის საფლავსაც ყვავილებითა და საგანგებოდ მომზადებული პროგრამით პატივს მივაგებთ.

უკვე გავიზარდეთ... აღარა ვართ პატარები და, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცით, ბ-ნი გოგი დოლიძის ყმაწვილობისას მისი თბილი ურთიერთობის შესახებ ბ-ნ ვასილ ამაშუკელთან; მისი გარდაცვალების შემდეგ, საფლავთან მიცემული სიტყვის შესახებაც, რომელიც დღემდე, მიუხედავად მარტის სუსხიანი ამინდებისა, არასდროს გაუტეხავს ბ-ნ გოგის.

წელსაც, ის ხომ უკვე 37-ეჯერ ჩამობრძანდა ქუთაისში და მაშინვე მწვანე ყვავილას პანთეონს ეწვია.

ჩვენ იმის შესახებაც მშვენივრად ვიცით, რომ ბატონმა გოგიმ წლების მანძილზე დაუღალავი შრომისა და ძიების შემდეგ, საოცრად შესაშური და საამაყო რამ დაუმტკიცა არამარტო ქართველებს, არამედ მსოფლიოს ხალხებსაც, რომ კაცი, რომელმაც 1912 წელს გადაიღო ქართული კინოფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, თურმე პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადამღები ყოფილა მსოფლიოში. არ შეგვიძლია, არ აღვნიშნოთ, რომ ძალიან გვატკინა გული გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულმა ბ-ნი გოგი დოლიძის საკმაოდ კრიტიკულმა წერილმა. მართალია, ჯერ კიდევ ბავშვები ვართ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ასეთი უყურადღებობა ნამდვილად არ ეპატიება დღევანდელ კულტურის სამინისტროს.

ჩვენ არაერთხელ გვსმენია იმ „დიდი საქმის“ შესახებ, რომლის მტკიცებულებების მოპოვებას წლები მოანდომა ახალგაზრდული შემართების ამ მართლაც გულმხურვალე ქართველმა, მაშინ, როცა ის პარალელურად უამრავი სასიქადულო ქმედებებითაც გვაოცებს. შორს წაგვიყვანდა იმის ჩამოთვლა, რაც ბატონ გოგის სახელს უკავშირდება.



„ოთხი წლის წინათ“



„ჩვენ გავიზარდეთ“. მარცნიდან პირველი — კესო მურცხვალაძე; მარჯვნივ — ნათია გვიშიანი, მარი გოგებაშვილი, ლამარა ბატანაგოვა

სამწუხაროა, რომ მადლობის მაგივრად, გონივრული და აუცილებელი მოთხოვნისათვის გვერდით დგომისა და დახმარების მაგივრად, დაუღლიათ ტყუილების მოსმენით, გული გაუბზარავთ უმადურობით. ნუთუ არაფერს ნიშნავს კულტურის სამინისტროსთვის, რომ მთელ მსოფლიოში ქართველმა თქვა პირველი სიტყვა მსოფლიოს კინემატოგრაფიაში?!

მოგვიტევოს მკითხველმა ასეთი სითამამე, მაგრამ ჩვენ მომავალი თაობა, ახალგაზრდები ვართ და უკვე ჩვენს ასაკში, არ შეიძლება არ ვიცოდეთ, რა არის რწმენა, რას ნიშნავს მიზნისთვის დაუღალავი შრომა, რას ნიშნავს სიტყვის და საქმის სიშორე, რა მწარეა, მადლიერების მაგივრად უმადურობა!.. არ გვინდა, რწმენა დავკარგოთ, რომ, თუკი გულით ჩვენი საფიცარი სამშობლოსთვის, ჩვენი თანამემამულეებისთვის ხელშესახებ, საშურ საქმეს გავაკეთებთ, დაპირებებით და ტყუილებით გამოგვკვებავენ და არაფრად ჩაგვიგდებენ ნაღვაწს. ▶

პროცესი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ტატიანა ჩერნოვოლი — ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელი (34 წლის).**
სახელი გაითქვა სკანდალებით. 2013 წლის 24 დეკემბერს უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია და ფოტოები ჟურნალისტისა და მაიდნის აქტივისტის სასტიკად ცემის შესახებ, თუმცა მალე გაირკვა, რომ ეს ყველაფერი ინსცენირებული იყო კოსმეტიკური საშუალებებით. გაირკვა ისიც, რომ ქალბატონი ჩერნოვოლი გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებს კიევის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ატარებდა. მემკვიდრეობით გადაცემულმა ნელა მიმდინარე შიზოფრენიამ იქამდე მიიყვანა, რომ 4 წლის განმავლობაში (1996-1999) ფსიქიატრიულში იწვა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ცნობები საგიჟეთიდან კანონთან პრობლემების თავიდან აცილებაში ეხმარება.




მიხეილ მესხი

◀ (მოსკოვი. 1988) და ა. შ.

ზოგჯერ გვხვდება, მიხეილ ჯავახიშვილის ტერმინით რომ ვთქვათ, ე. წ. დაკუტებული წინადადებებიც (58, 106, 111): მაგალითად, „გამარჯვების განმტკიცებისათვის" კი არა — **„გამარჯვების გასამტკიცებლად"** და ა. შ.

ხშირად უადგილოდ იხმარება სიტყვა „გარეშე": „დაფიქრების გარეშე" (9), „წარსულის გარეშე" (52), „რისკის გარეშე" (117), „ლიდერის გარეშე" (208), „წარმატების გარეშე" (210) და ა. შ. არადა, მარტივად და ქართულად შეიძლებოდა გვეთქვა: **„დაუფიქრებლად", „უწარსულოდ", „ურისკოდ", „ულიდეროდ", „წარუმატებლად"...**

მოჭარბებულია ნაცვალსახელები მაშინ, როცა ამის საჭიროება არ არის; ერთმანეთშია არეული დეფისი და ტირე; რუსული ციტატები იწყება პატარა ასოებით; არის პუნქტუაციური შეცდომებიც; ცუდადაა დაკაბადონებული (183-184) „დაუვიწყარი მატჩების ქრონოლოგია" და სარჩევიც; სათაურებშიც გვხვდება არასასურველი ერთფეროვნება („შოთა იამანიძე დაუვიწყარი კაპიტანი", „დაუვიწყარი ანატოლი ნორაკიძე", „გუნდის ხერხემალი დაუვიწყარი ვიტალი დარასელია", „დაუვიწყარი გივი ნოდია").

**მაგრამ ყველაზე დიდი ნაკლი მაინც საძიებლების უქონლობაა** — გასაოცარია, რატომ გამორჩათ გამოცემის მესვეურებს ასეთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობა?! **ფოტოსურათების ხარისხიც არ არის მოსაწონი**, განსაკუთრებით — ყდა, მარტო ინფორმაციულობა ცოტაა, აქ ისეთი ხარისხის ფოტოები უნდა ყოფილიყო, რომ გულშემატკივრებს, არც მეტი, არც ნაკლები, დაეტაცათ ... რჩება კიდევ სხვა, უაღრესად პროფესიული საკითხები, რომელთა დაწვრილებითი და დეტალური განხილვა გვერდების მიხედვითაა საჭირო უშუალოდ წიგნის ავტორთან და რედაქტორებთან, რასაც, ნიშნად პატივისცემისა, ნამდვილად არ დავიზარებ, თუკი, ცხადია, ამის სურვილი იქნება.

**გოგი დოლიძე**

◀ აქამდე სიტყვა „სამინისტრო", საოცარ ემოციას, კრძალვას და იმედს იწვევდა ჩვენს გულებში, ახლა? ახლა, თურმე არც ასე ყოფილა საქმე!

დიდი სიამოვნებით ვნახავდით კიდევ ერთხელ ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებულ კინოფილმს „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" და პირველ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმად კინოს ისტორიაში აღიარებულ ამერიკელი რეჟისორის, რობერტ ფლაერტის ფილმს „ჩრდილოელი ნანუკი", რომელიც თარიღდება 1922 წლით; ასევე მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს: „მატარებლის შემოსვლა ვაგზალში", „გაწუწული მრწყველი", რომლებიც 1895 წელს პირველად ნახა მაყურებელმა პარიზში.

არ ვკარგავთ იმედს, რომ ბ-ნი გოგი დოლიძის წარმოუდგენელ ძალისხმევას, ბოლოსდაბოლოს, მიაქცევენ ყურადღებას (ვგულისხმობთ უამრავ სტატიას, წიგნებს, ტელეგადაცემებს) და საქართველოში ჩატარდება ზემოთ აღნიშნული უნიკალური კინოსურათების საერთაშორისო ფესტივალი ან სამეცნიერო- შემოქმედებითი კონფერენცია.

ჩვენს ქვეყანაში მოიწვევენ ათიოდე კინემატოგრაფიული ქვეყნის, უპირველეს ყოვლისა, კინემატოგრაფიის სამშობლოს — საფრანგეთის წარმომადგენლებს, რომლებიც ჩამოიტანენ თავიანთ პირველ სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს.

მოსწავლე-ახალგაზრდობას, სხვებთან ერთად, მოგვეცემა კიდევ ერთხელ საშუალება, დავრწმუნდეთ, სხვა ფილმებთან შედარებით, ვასილ ამაშუკელის მიერ 1912 წელს გადაღებული სრულმეტრაჟიანი კინოფილმის უპირატესობაში, რომლის მთავარი პერსონაჟია სულმნათი აკაკი, რომელსაც მადლიერმა ქართველმა ხალხმა თორმეტდღიანი და 200 კილომეტრზე გადაჭიმული დღესასწაული უძღვნა. დღესასწაული, რომელმაც პროფესორი სერგეი ანისიმოვი გააოცა და აღაფრთოვანა!

ახლა, როცა გულსატკენ საკითხთან დაკავშირებულ წერილს ვწერთ, თვალწინ გვიდგას ზემოთ აღნიშნული ფილმის კადრები, ქართველი ხალხის მადლიერების გამომხატველი, და ვსვამთ კითხვას: 1912 წელს ასეთი ყურადღება და მადლიერება, დღეს კი უყურადღებობა და უმადურობა... რატომ?!

**ქალაქ ქუთაისის N20 საჯარო სკოლის IX კლასელები:**
**კესო მურცხვალაძე, მარი გოგებაშვილი, ნათია გვიშიანი, ლამარა ატანაგოვა, მარიამ ხარატიშვილი, ანა ჯიმშელეიშვილი**

# სისხლის სამართლის დამნაშავეები, ჰომოსექსუალები და ფსიქოპათები, ანუ ვინ ვინ არის უკრაინის ხელისუფლებაში

**უკრაინის მთავრობის 29 მინისტრიდან 9-ის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, 2 ჰომოსექსუალია, 1 — ფსიქიატრიული დაწესებულების პაციენტი, 1 სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნებისთვის იდევნებოდა, 1 ინტერპოლის მიერ იძებნებოდა, 1 დებოშირი და ლოთია...**
**2014 წლის 25 თებერვალს მაიდნის ე. წ. სახალხო ნდობის ჯგუფმა უკრაინის ახალი ხელისუფლებისადმი თავისი მოთხოვნების შესახებ განაცხადა. მოთხოვნათა შორის იყო: დარგში მუშაობის, სულ ცოტა, 7 წლის სტაჟი; ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის, სულ ცოტა, 5 წელი; ადამიანის უფლებების დარღვევებსა და კორუფციულ გარიგებებში ჩაურთველობა. თუმცა რევოლუციურმა მაიდანმა სახელმწიფო თანამდებობაზე რეპუტაციაშებლალული ადამიანები დანიშნა.**



**ალექსანდრე ტურჩინოვი — უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და უმაღლესი რადას სპიკერი, შეიარაღებული ძალების მხედართმთავარი (50 წლის).**

ხელისუფლებაში იულია ტიმოშენკოს წყალობით მოხვდა — 1999 წელს მასთან ერთად დააარსა პარტია „ბატკივშჩინა". 2005 წელს ხელმძღვანელობდა უკრაინის უშიშროების საბჭოს და უშიშროების არქივებიდან გაანადგურა ტიმოშენკოს მაკომპრომეტებელი დოკუმენტები, რომლებიც ქვეყნის ბიუჯეტიდან მილიარდობით თანხის მითვისებას ადასტურებდა. 2006 წელს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ტურჩინოვის წინააღმდეგ, რომელიც, როგორც უკრაინული მედია იუწყება, უკრაინის საკანონმდებლო ორგანოს სპიკერობას ბაპტისტური ეკლესიის მღვდლობას უთავსებს და ამასთანავე, ლიტვის ქალაქ კაუნასში 200 მლნ დოლარის ინვესტიციის ჩადებას აპირებს.



**სერგეი პაშინსკი — პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (48 წლის).**

ექსპრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს გარემოცვის წევრმა ხელი შეუწყო ბანკ „უკრაინის" გაკოტრებას, როდესაც უკრაინის შემნახველი ბანკის ხელმძღვანელად მუშაობდა. მან, სხვა სახელმწიფო მოხელეებთან ერთად, 4 მლრდ დოლარი მიითვისა და „ოშჩადბანკში" გადარიცხა. ეჭვმიტანილია ე. წ. შაქრის კრიზისის გამოწვევასა და ვეტერინარული ინსპექციის მიერ აკრძალული ბრაზილიური ხორცის იმპორტირებაში.



**არსენი ავაკოვი (ავაქიანი) — შს მინისტრი (50 წლის)**

2012 წელს უკრაინის პროკურატურამ ავაკოვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მასზე ძებნა გამოაცხადა, თუმცა ავაკოვმა თავი იტალიას შეაფარა. 2012 წელს დაბრუნდა უკრაინაში. მისი ხელი ურევია სააქციო საზოგადოება „ტურბატომის", ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტის, „ხარკოვობლენერგის" გაკოტრებაში. ამ ორგანიზაციებიდან მიითვისა 150 მლნ გრივნა. ეჭვმიტანილი იყო (დაიკითხა კიდეც) სააქციო საზოგადოება „ინვესტორის" თავმჯდომარის მოადგილის კონოვალოვის მკვლელობაში. ავაკოვმა დაშალა „ბერკუტი" და შსს-ს ხელმძღვანელობაში მიიყვანა უკრაინელი ნაციონალისტები „მემარჯვენე სექტორიდან". უკრაინის შს ახალი მინისტრი გარეული აღმოჩნდა სისხლის სამართლის კიდევ ერთ საქმეში — მცირეწლოვანთა გარყვნაში. ავაკოვის გაცნობის მომენტში მისი „მეგობარი" მაქსიმი არასრულწლოვანი იყო. მაქსიმის მომსახურებით ავაკოვი 2 წლის განმავლობაში სარგებლობდა, იტალიაში გაქცევის წინ კი თანაპარტიელს „ბატკივშჩანადან", ალექსანდრე კირშს — გადაულოცა.



**ვლადიმირ გროისმანი — ვიცეპრემიერი რეგიონული პოლიტიკის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალურ საკითხებში (36 წლის).**

პოლიტიკაში იულია ტიმოშენკოს წყალობით მოხვდა. ყმაწვილობაში ზეინკლად მუშაობდა, თუმცა უკვე 16 წლისა საწარმო „ოკოს" დირექტორი გახდა, ორი წლის შემდეგ კი — ქალაქ ვინიცის ბაზრის — „იუნოსტის" დირექტორი. 2006 წელს ვინიცის მერად აირჩიეს. 2009 წელს გროისმანისა და მისი მამის წინააღმდეგ, დიდძალი თანხების (100 მლნ გრივნა) დატაცების ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, თუმცა საქმე დაიხურა.



**ლუდმილა დენისოვა — სოციალური პოლიტიკის მინისტრი, პარტია „ბატკივშჩინას" წევრი, სპეციალობით** — საბავშვო ბაღის აღმზრდელი, თუმცა მოასწრო, ემუშავა სასამართლო სხდომების მდივნად, იურისტკონსულტანტად, უკრაინის საპენსიო ფონდის სამმართველოს უფროსად და ყირიმის ოლქის ფინანსთა მინისტრად. თანამდებობა სკანდალით დატოვა — სამართალდამცველებმა „სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა" და „კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის" ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს.



**ვალენტინ ნალივაიჩენკო — უკრაინის უზენაესი რადას უფლებამოსილი პირი უშიშროების სამსახურის მუშაობის კონტროლის საკითხებში (48 წლის).**

ნალივაიჩენკოს წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო საიდუმლოების გაცემის გამო. კერძოდ, საუბარი იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომლებისთვის საიდუმლო დოკუმენტების შინაარსის გაცნობაზე.



**სერგეი კვიტი — განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (48 წლის).**

კვიტის ახლო მეგობრები არიან ბანდერელი ტიაგნიბოკი და ნაციონალისტი ანდრეას უმლანდი, რომელიც პედოფილიაშია ეჭვმიტანილი. ექსპრეზიდენტ იუშჩენკოს ყოფილი მრჩეველი უმლანდი უკრაინაში ცნობილია, როგორც ულტრალიბერალური ექსპერტი, რომლის გარშემოც 2010 წელს სკანდალი ატყდა.

**უმლანდი მონაწილეობდა „ნარინჯისფერი რევოლუციის" წარმომადგენელთა მიერ საბავშვო ბანაკ „არტეკში" მოწყობილ პედოფილურ ორგიებში. მას ბრალი 13 წლის გოგონას გაუპატიურებაში ედებოდა.**



**სტეფან კუბივი — ნაციონალური ბანკის ხელმძღვანელი (52 წლის).**

„ბატკივშჩინის" წარმომადგენელი დეპუტატების — სტეპან კუბივისა და ოლეგ კანივცის ლოთობამ ტრაგედია გამოიწვია. ისინი ჯერ სიგარების კლუბ Carteblanche-ში დათვრნენ, შემდეგ კი სახელმწიფო ხაზინის შენობაში შეჭრას შეეცადნენ. სცემეს მცველებს, რომლებსაც ხელი დეპუტატის ხელშეუხებლობის მანდატმა შეუშალათ, შემდეგ კი შენობის კარს მიაშარდეს.



**ეგორ სობოლევი — ლუსტრაციის კომიტეტის ხელმძღვანელი (37 წლის).**

ხელმძღვანელობს ჟურნალისტური გამოძიების ბიუროს, რომელსაც ჯორჯ სოროსი აფინანსებს. ცნობილია, როგორც ადამიანი, რომელიც ფინანსურ დივიდენდებს იღებდა რადაში ამა თუ იმ გადაწყვეტილების მხარდაჭერისთვის.

2014 წლის 11 იანვარს მაიდნის საზოგადოებრივი საბჭოდან გარიცხეს ამორალური საქციელისა და გარყვნილებისთვის. სობოლევის საქციელის ამსახველი ვიდეო გამოქვეყნდა ინტერნეტში. **ვიდეოზე ნათლად ჩანს, რომ სობოლევი სექსით არის დაკავებული ჟურნალისტ ვიტალი პორტნიკოვთან. მიუხედავად ამისა, სობოლევი მაინც დაინიშნა ლუსტრაციის კომიტეტის ხელმძღვანელად.**

ВЕРХОВНА РАДА УКРАЇНИ

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ „კონცერტებთან“ ტანდემში პროპორციულად იზრდებოდა ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებაც. მძიმე ხმების ეშმაკისეული ერთობლიობა მსმენელის ცნობიერებას იმ დონემდე ახშობდა, რომ ნებისმიერის დარწმუნება ადვილი იყო, გაესინჯა ახალი ნარკოტიკი მხოლოდ იმიტომ, რომ „ამას ყველა აკეთებს“.**

ჯონ კოლემანი

# «300-თა კომიტეტი»

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-13 (236-248)

ახლად შექმნილმა სოციალურმა ჯგუფმა თავისი „ცხოვრების სტილით“ მილიონობით ახალგაზრდა ამერიკელის ყურადღება მიიზიდა. ამერიკის ახალგაზრდობამ რადიკალური რევოლუცია განიცადა, თან ისე, რომ ვერც აცნობიერებდა. ამ დროს უფროსი თაობა უმწეო იყო მათ გვერდით, არ ჰქონდა კრიზისის წყაროს დადგენის საშუალება და, შესაბამისად, არაადეკვატურად რეაგირებდა მის გამოვლინებებზე, როგორიცაა ყველა ჯურის ნარკოტიკი, მარიხუანა, ლიზერგინის მჟავა. ლსდ „ერთობ დროულად“ იქნა მიწოდებული შვეიცარული ფარმაცევტული კომპანია SANDOZ-ის მიერ მას შემდეგ, რაც კომპანიის ერთ-ერთმა ქიმიკოსმა ალბერტ ჰოფმანმა ცნობიერების შემცვლელი ერთ-ერთი უძლიერესი ნარკოტიკის — ერგოტამინის სინთეზი აღმოაჩინა. „300-თა კომიტეტი“ აფინანსებდა ამ პროექტს თავისი ერთ-ერთი ბანკის — S. C. Warburg-ის მეშვეობით, ხოლო ამერიკაში ეს ნარკოტიკი ფილისოფოსმა ოლდოს ჰაკსლიმ ჩამოიტანა.

**ახალი „სასწაულებრივი ნარკოტიკი“ უფასოდ და სწრაფად ვრცელდებოდა კოლეჯებში და როკკონცერტებზე შეერთებული შტატების მთელ ტერიტორიაზე, რის შედეგადაც სწორედ ლსდ გახდა ნარკოტიკების ფართო მოხმარების კატალიზატორი. აქ ჩნდება აუცილებელი კითხვა: რას აკეთებდა ამ დროს „ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველო“ (ნბს) (DRUG ENFORCEMENT AGENCY (DEA))? არსებობს უდავო ირიბი მტკიცებულებები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ ნბს-მ იცოდა, რაც ხდებოდა, მაგრამ მათ უბრძანეს, არ ჩარეულიყვნენ.**

რაც უფრო მეტი ბრიტანული როკჯგუფი ჩამოდიოდი აშშ-ში, როკკონცერტები თანამედროვე ამერკელი ახალგაზრდების ყოველდღიური ცხოვრების აუცილებელი ელემენტი ხდებოდა. ამ „კონცერტებთან“ ტანდემში პროპორციულად იზრდებოდა ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარებაც. მძიმე ხმების ეშმაკისეული ერთობლიობა მსმენელის ცნობიერებას იმ დონემდე ახშობდა, რომ ნებისმიერის დარწმუნება ადვილი იყო, გაესინჯა ახალი ნარკოტიკი მხოლოდ იმიტომ, რომ „ამას ყველა აკეთებს“. გარშემო მყოფი თანატოლების მაგალითი ძალიან ძლიერი იარაღია. „ახალი კულტურა“ მაქსიმალურად შუქდებოდა მედიაში, შეთქმულებს კი ეს ერთი ცენტიც არ დაუჯდათ.

**სამოქალაქო ლიდერებისა და საეკლესიო მოღვაწეთა ძლიერი აღშფოთება ახალი კულტის გამო მიმართული იყო მისი შედეგების და არა მიზეზების წინააღმდეგ. როკკულტის კრიტიკოსებმა დაუშვეს იგივე შეცდომები, რაც „მშრალი კანონის“ დროს; ისინი აკრიტიკებდნენ სამართალდამცველ ორგანოებს, მასწავლებლებს, მშობლებს — ვისაც გნებავთ, ოღონდ არა შეთქმულებს.**

რამდენადაც მე განრისხებული და აღშფოთებული ვარ ამ უდიდესი ნარკოტიკული ჭირის გამო, მკითხველს ბოდიშს არ ვუხდი ჩემთვის სრულიად უჩვეულო სიტყვების გამოყენებისთვის. მთელ ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე ამაზრზენი ნარკოტიკული ნაძირალა გახლავთ ალან გინზბერგი (Alan Ginsberg). ამ გინზბერგმა ცენტის დაუხარჯავად მოახდინა ლსდ-ს რეკლამირება მთელ ქვეყანაში, თუმცა ჩვეულებრივ გარემოებებში ასეთი რეკლამა ტელევიზიით მილიონობით დოლარი ეღირებოდა. ამ ნარკოტიკების და, უპირველეს ყოვლისა, ლსდ-ს უფასო რეკლამამ თავის მწვერვალს მიაღწია სამოციანი წლების ბოლოს მედიის სრულიად ნებაყოფლობითი მხარდაჭერის ხარჯზე. გინზბერგის მასობრივი სარეკლამო კამპანიის ეფექტი საშინელი იყო: ამერიკული საზოგადოება „მომავლის კულტურული შოკების“ ერთბაშად მთელ წყებას დაექვემდებარა.

მოზღვავებული ინფორმაციისა და ზედმეტი სტიმულაციის ნაკადის ზემოქმედებას დაქვემდებარებული (კვლავ მსურს, შეგახსენოთ, რომ ეს — ტავისტოკური ჟარგონია, რომელიც ტავოსტოკის პრაქტიკული სახელმძღვანელოებიდანა ნასესხები), ჩვენ დაგვატყვევა ამ ნაკადმა, ხოლო როცა კრიტიკულ სტადიას მიაღწია, ჩვენი ცნობიერება, უბრალოდ, აპათიაში ჩავარდა, რაკი ჭარბი საინფორმაციო დოზების გადახარშვა აღარ შეეძლო. **გიზნბერგი პოეტის წოდებაზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ არავის, ვინც პოეტობას ლამობდა, არ დაუწერია მასზე მეტი სისულელე და აბსურდი. გენზბერგის მიერ დასახულ მიზანს არანაირი კავშირი არ ჰქონდა პოეზიასთან — მისი მთავარი ამოცანა იყო მოსახლეობის სამიზნე ჯგუფისთვის საკუთარი სუბკულტურა მოეხვია თავს.**



**მისი მთავარი ამოცანა იყო მოსახლეობის სამიზნე ჯგუფისთვის საკუთარი სუბკულტურა მოეხვია თავს**

გინზბერგს დამხმარედ ნორმან მეილერი დაუნიშნეს, იმ ტიპის მწერალი, რომლებიც რეგულარულად ატარებენ დროს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მეილერი მემარცხენე ჰოლივუდური ჯგუფების რჩეული იყო და ამიტომ გინზბერგისთვის მაქსიმალური სატელევიზიო დროის მოპოვების პრობლემა არ ჰქონდა. რა თქმა უნდა, მეილერს უნდა ჰქონოდა კეთილშობილური საბაბი — მასაც კი არ შეეძლო, ღიად გაეწია პროპაგანდა გინზბერგის ჭეშმარიტი განზრახვებისთვის. ამიტომ შემდეგი მანევრი შესრულდა: მეილერი კამერის წინ „სერიოზულ“ საუბრებს ატარებდა გინზბერგთან პოეზიასა და ლიტერატურაზე.

გიზნბერგის მაგალითს მიბაძა ყველა როკჯგუფმა და საკონცერტო პროდიუსერმა და ფართო და უფასო სატელევიზიო რეკლამის მიღების ამ მეთოდის გამოყენება დაიწყო. **ელექტრონული საშუალებების მაგნატები ხელგაშლილობას ამჟღავნებდნენ, როდესაც ამ ბინძურ მატლისმაგვარ არსებებს და მათ კიდევ უფრო ბინძურ ნაწარმოებებსა და შემზარავ იდეებს უფასო საეთერო დრო სჭირდებოდა. ამ ამაზრზენი ბინძურენოვანი „ალბომების“ რეკლამის, ბეჭდური და ელექტრონული მედიის გულუხვი დახმარების გარეშე, ნარკოტიკებით ვაჭრობა ისე სწრაფად ვერ გავრცელდებოდა, როგორც ეს სამოციანი წლების ბოლოს და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მოხდა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მცირე ადგილობრივი რაიონებით შემოიფარგლებოდა.**

გინზბერგმა შეძლო რამდენიმე ისეთ ტელეგადაცემაში გამოსულიყო, რომლებიც მთელ ქვეყანაზე გადაიცემოდა, სადაც ხელოვნებისა და მუსიკის სამყაროში განვითარებული „ახალი იდეისა“ და „ახალი კულტურის“ საფარქვეშ ლსდ-სა და მარიხუანის ღირებულებებზე საუბრობდა. ელექტრონულ მედიასთან ერთად, გინზბერგის თაყვანისმცემლები მგზნებარე სტატიებს წერდნენ „ამ ნათელი ადამიანის“ შესახებ ხელოვნებისა და „ელიტარული ცხოვრების“ საგაზეთო სვეტებში, ამერიკის ყველაზე მსხვილ ჟურნალ-გაზეთებში. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ისტორიაში არასოდეს ყოფილა ასეთი ფართო სარეკლამო კამპანია, რომელზეც „მერწყულის შეთქმულების“, ნატოსა და „რომის კლუბის“ სულისჩამდგმელებს ცენტიც კი არ დაუხარჯავთ. ეს იყო ლსდ-ს აბსოლუტურად უფასო რეკლამა, ხელოვნებისა და კულტურის სახით შენიღბული.

გინზბერგის ერთ-ერთმა ყველაზე ახლო მეგობარმა კენი ლავმა (Kenny Love) „ნიუ იორკ ტაიმსში“ ხუთგვერდიანი სტატია გამოაქვეყნა. ტავისტოკისა და სტენფორდის მეთოდოლოგია მეტყველებს: თუ საჭიროა რამე ისეთის რეკლამირება, რასაც საზოგადოება მთლიანობაში ჯერჯერობით ვერ მიიღებს ტვინის არასაკმარისად გამორეცხვის გამო, უნდა შეუკვეთო სტატია, რომელიც აღნიშნული საკითხის ყველა ასპექტს გაამჟღავნებს. სხვა მეთოდი მდგომარეობს პირდაპირი ეთერით სატელევიზიო თოქშოუების ორგანიზებაში, რომლებშიც ექსპერტთა ჯგუფი პროდუქტის ან იდეის რეკლამირებას მათი „განხილვის“ საფარქვეშ ახდენს. შოუს მონაწილეები სხვადასხვა თვალსაზრისს წარმოაჩენენ, მომხრეები და მოწინააღმდეგეები გამოთქვამენ დადებით ან საწინააღდეგო მოსაზრებებს. როდესაც ყველაფერი სრულდება, განხილული საკითხი, უბრალოდ, რჩება მაყურებლის ცნობიერებაში. სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ეს სიახლე იყო, დღეს ეს ყველა წარმატებული თოქშოუს სტანდარტული პრაქტიკაა.

ლავის ხუთგვერდიანი სტატია, რომელშიც ლსდ და გინზბერგია შექებული, სასწრაფოდ დაიბეჭდა „ნიუ იორკ თაიმსში“. გინზბერგს რომ ეცადა იმავე მოცულობის ადგილის ყიდვა გაზეთის სარეკლამო გვერდებში, სულ ცოტა, 50 000 დოლარი დაუჯდებოდა. მაგრამ გინზბერგს არაფერი ჰქონდა სანერვიულო; თავისი მეგობრის, კენი ლავის, წყალობით გინზბერგმა ფართო რეკლამა სრულიად უფასოდ მიიღო. **ისეთი გაზეთების დახმარებით, როგორებიცაა „ნიუ იორკ თაიმსი“ და „ვაშინგტონ პოსტი“, რომლებიც „300-თა კომიტეტის“ კონტროლქვეშ იმყოფებიან, რეკლამის ამგვარი უფასო სახეობა ყველა საკითხისთვის გამოიყენება, განსაკუთრებით, თუ საჭიროა საზოგადოებაში დეკადენტური ცხოვრების წესის დანერგვა — ნარკოტიკები, ჰედონიზმი — ყველაფერი, რასაც ამერიკელი ხალხის ჭეშმარიტი გზიდან აცილება შეუძლია.**

გინზბერგისა და ლსდ-ს საცდელი შემთხვევის შემდეგ, „300-თა კომიტეტის“ სტანდარტული პრაქტიკა გახდა აშშ-ის მთავარი გაზეთებისადმი მიმართვა, იმ ხალხისა და იდეების უფასო რეკლამის მოთხოვნით, რომელთაც საზოგადოებაში ნერგავენ.

უარესიც ან უკეთესიც (თვალსაზრისს გააჩნია) — ბეჭდურმა სააგენტომ „იუნაიტედ პრესმა“ კენი ლავის, გინზბერგისა და ლსდ–ს სასარგებლო უფასო რეკლამა აიტაცა და ასობით გაზეთსა და ჟურნალს გადასცა ტელექსის მეშვეობით მთელ ქვეყანაში, „ახალი ამბის“ სახით. ისეთმა რესპექტაბელურმა ჟურნალებმაც კი, როგორებიცაა „ჰარპერს ბაზარი“ და „ტაიმი“, გინზბერგი წარმოაჩინეს, როგორც ყურადღებისა და პატივისცემის ღირსი ადამიანი. **ასეთი სრულიად ეროვნული რეკლამა გინზბერგისა და ლსდ-ს გამავრცელებლებისთვის სარეკლამო სააგენტოებს რომ გაეწიათ, მისი საერთო ხარჯები, სულ ცოტა, მილიონ დოლარს შეადგენდა 1970 წლის ფასების გათვალისწინებით. დღეს ეს ფასი 15-16 მილიონ დოლარზე მეტი იქნებოდა. არაა გასაკვირი, რომ მედიას „ტურებს“ ვეძახი.**

სცადეთ, იპოვოთ რომელიმე საინფორმაციო არხი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის შესახებ მასალების გახმაურება. თავის დროზე მე ვცადე ასეთი რამ. მე ვთავაზობდი მსხვილ გაზეთებს, სატელევიზიო არხებს, რადიოსადგურებს, ჟურნალებს და ▶

**რეკლამის ამგვარი უფასო სახეობა ყველა საკითხისთვის გამოიყენება, განსაკუთრებით, თუ საჭიროა საზოგადოებაში დეკადენტური ცხოვრების წესის დანერგვა — ნარკოტიკები, ჰედონიზმი — ყველაფერი, რასაც ამერიკელი ხალხის ჭეშმარიტი გზიდან აცილება შეუძლია**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „300-თა კომიტეტმა" „ბითლზი" ამერიკელ ახალგაზრდებსა და ჰოლივუდურ მაღალ საზოგადოებაში „სოციალური ნარკოტიკების" პოპულარიზაციისთვის გამოიყენა.

ასევე რამდენიმე თოქშოუს წამყვანს ჩემს სტატიას, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდ თაღლითობას დამაჯერებლად ხდიდა ფარდას. რამდენიმე მათგანი იძლეოდა დამაიმედებელ პირობას — „მოგვეცით დაახლოებით ერთი კვირა და ჩვენ თავად დაგიკავშირდებით". რა თქმა უნდა, არავინ დამკავშირებია, ხოლო სტატია არ გამოჩენილა გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. ისეთი შეგრძნება იყო, თითქოს ჩემზე და იმ პრობლემაზე, რომლის გაშუქებაც მინდოდა, დუმილის საფარია გადაკრული. ასეც იყო სინამდვილეში.

მედიის გაუსაძლისი ისტერიისა და არსებითად ოცდაოთხსაათიანი რეკლამის გარეშე როკმუსიკისა და ნარკოტიკების ჰიპურ-ბიტნიკური კულტი ვერასოდეს გაიდგამდა ფესვებს საზოგადოებაში, დარჩებოდა მარგინალური ბოდვის დონეზე. „ბითლზი" თავისი ჟღარუნა გიტარებით, იდიოტური გამონათქვამებით, ნარკოტიკული ჟარგონითა და სულელური სამოსით არასოდეს ავიდოდა ქუჩის კლოუნების დონეზე მაღლა. მაგრამ ამის მაგივრად „ბითლზის" პროპაგანდა მედიაში ზენიტში ადიოდა, რის შედეგადაც აშშ ერთი მეორის მიყოლებით კულტურულ შოკს განიცდიდა.

ადამიანებმა, რომელთა სახელებიც და სახეებიც ძალიან ვიწრო წრისთვისაა ცნობილი, იზრუნეს, რომ პრესას თავისი როლი შეესრულებინა. და პირიქით, მედიის მნიშვნელოვანი როლი იმ ძალების დაფარვაში, რომლებიც მომავალი კულტურული ძვრების უკან დგანან, გარანტიას იძლევა, რომ კრიზისის წყარო არასოდეს იქნება აღმოჩენილი. ასე სიგიჟემდეა მიყვანილი ჩვენი საზოგადოება ფსიქოლოგიური შოკებისა და დაძაბულობის დახმარებით. „სიგიჟემდე მიყვანილი" — ეს გამოთქმა ტავისტოკის პრაქტიკული სახელმძღვანელოდანაა ამოღებული. **ტავისტოკმა მოკრძალებულად დაიწყო 1921 წელს, ხოლო 1966 წელს უკვე მზად აღმოჩნდა, დაეწყო უძლიერესი და შეუქცევადი კულტურული რევოლუცია ამერიკაში, რომელიც დღემდე არ დამთავრებულა. „მერწყულის შეთქმულება" მისი შემადგენელი ნაწილია.**



## ნარკოტიკებით ვაჭრობა «300-თა კომიტეტის» უმაღლესი იერარქების მიერ კონტროლდება

მიიჩნეოდა, რომ ასეთი დამუშავების შემდეგ ქვეყანა სრულებით მომწიფდა ნარკოტიკების „მშრალი კანონის" ეპოქის მსგავს მასშტაბებში გავრცელებისთვის, ამასთან, ძალიან დიდი ფულის გაკეთება იგეგმებოდა. ესეც „მერწყულის შეთქმულების" განუყოფელი ნაწილი იყო. ნარკოტიკების გავრცელება ერთ-ერთი პრობლემა იყო, რომელსაც ტავისტოკში სუსექსის უნივერსიტეტთან არსებული „სამეცნიერო პოლიტიკის კვლევითი ცენტრი" შეისწავლიდა. იგი ცნობილი იყო, როგორც „მომავალი შოკების" ცენტრი — ეს განსაკუთრებული, „მომავალზე ორიენტირებული ფსიქოლოგიის" დასახელებაა, რომელიც განკუთვნილია მოსახლეობის მთელი ჯგუფებით მანიპულაციისთვის, რათა მათში „მომავლის შოკი" გამოიწვიონ. იგი ტავისტოკის მიერ შექმნილი რამდენიმე მსგავსი დაწესებულებიდან პირველი იყო.

„მომავლის შოკი" წარმოადგენს მოვლენათა სერიას, რომლებიც იმდენად სწრაფად ხდება, რომ ადამიანის ტვინი ინფორმაციის გააზრებას ვერ ახერხებს. **როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეცნიერებამ გვიჩვენა, რომ ცნობიერებას გააჩნია გააზრების მკაფიო საზღვრები, როგორც ცვლილებების რაოდენობის, ასევე მათი ბუნების მიმართ. უწყვეტი შოკის სერიის შემდეგ მოსახლეობის სამიზნე ჯგუფი შედის იმ მდგომარეობაში, როცა მათ წევრებს აღარ სურთ ცვალებად გარემოებებში არჩევანის გაკეთება. ისინი ვარდებიან აპათიაში, რომელსაც ხშირად წინ უძღვის უაზრო ძალადობა, ლოსანჟელესური ქუჩის ბანდების ომების, სერიული მკვლელობების, ბავშვთა გაუპატიურებებისა და გატაცებების მსგავსად.**

**ასეთი ჯგუფი იოლად მართვადი ხდება, იგი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დაექვემდებარება ყველა ბრძანებას, რომლებიც წარმოადგენს ამ დამუშავების მიზანს. „მომავლის შოკი", „სამეცნიერო პოლიტიკის კვლევითი ცენტრის" განმარტებით, „წარმოადგენს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ბზარს, რომელიც ადამიანის ცნობიერების იმ ნაწილის დაძაბვის შედეგად ჩნდება, რომელიც გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებაზეა პასუხისმგებელი", ეს ტავისტოკური პრაქტიკული სახელმძღვანელოებიდან აღებული ტავისტოკური ჟარგონია, რომელიც მე მათი ნების გარეშე მივიღე.**

იმის მსგავსად, როგორც გადატვირთულ ელექტროქსელში დამცველი გადაიწვება, ზუსტად ასევე იწვება ადამიანების „მცველებიც". მედიცინა მხოლოდ უახლოვდება ამ სინდრომის გაგებას, თუმცა ჯონ როულინგ რიზი ამ სფეროში ექსპერიმენტებს ჯერ კიდევ ოციან წლებში ატარებდა. დადგენილია, რომ დამუშავებული სამიზნე ჯგუფის „მცველები" მზად არიან, „გადაიწვნენ" და ამ ჯგუფის წევრები იწყებენ ნარკოტიკების მოხმარებას, როგორც გააზრებული არჩევანის გაკეთებისგან მუდმივი აუცილებლობისთვის თავის აცილების საშუალებას. აი, რატომ გავრცელდა ამერიკული „ბიტ-თაობის" წარმომადგენელთა შორის ნარკოტიკების გამოყენება ასე სწრაფად. ის, რაც დაიწყო „ბითლზიდან" და ლსდ-ს უფასო საცდელი დოზებიდან, გადაიზარდა ნარკოტიკულ ცუნამიში, რომელმაც ამერიკა წალეკა.



**ასეთი ჯგუფი იოლად მართვადი ხდება, იგი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე დაექვემდებარება ყველა ბრძანებას, რომლებიც წარმოადგენს ამ დამუშავების მიზანს**

**ნარკოტიკებით ვაჭრობა „300-თა კომიტეტის" უმაღლესი იერარქების მიერ კონტროლდება. იგი დაიწყო „ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის" მიერ, რომელსაც მაშინვე მიბაძა „ჰოლანდიის ოსტ-ინდურმა კომპანიამ". ორივე კომპანია „300-თა საბჭოს" მიერ კონტროლდებოდა. „ბრიტანული ოსტ-ინდური კომპანიის" წევრთა და აქციონერთა სახელების სია გაჭრილი ვაშლივით ჰგავს დებრეტსის პერების სიას. კომპანიამ დააწესა „ჩინური შიდა მისია", რომლის ამოცანაც ჩინელი გლეხების, ანუ, როგორც მათ ეძახდნენ, კულის, ოპიუმის მოხმარებისთვის შეჩვევა იყო. ამან შექმნა ოპიუმის ბაზარი, რომელიც „ბრიტანულმა ოსტ-ინდურმა კომპანიამ" შეავსო.**

მათ მსგავსად „300-თა კომიტეტმა" „ბითლზი" ამერიკელ ახალგაზრდებსა და ჰოლივუდურ მაღალ საზოგადოებაში „სოციალური ნარკოტიკების" პოპულარიზაციისთვის გამოიყენა. ედ სალივანი ინგლისში გაგზავნეს, რათა გაცნობოდა ტავისტოკის ინსტიტუტის პირველ „როკჯგუფს", რომელიც აშშ-ს ეწვია. ამის შემდეგ სალივანი დაბრუნდა ამერიკაში, რათა ელექტრონული მედიისათვის ჯგუფის „შეფუთვისა" და „მიწოდების" სტრატეგია შეემუშავებინა. ელექტრონული მედიისა და ედ სალივანის სრული ხელშეწყობის გარეშე „ბითლზსა" და მათ „მუსიკას" მსმენელი არანაირ ყურადღებას არ მიაქცევდა. ამის მაგივრად ჩვენი ეროვნული ცხოვრება და თავად შეერთებული შტატების სული შეუქცევადად შეიცვალა.

ახლა, როდესაც უკვე ბევრი რამ ვიცით, ნათელი ხდება, თუ რამდენად წარმატებული იყო ნარკოტიკების გავრცელების „ბითლზის" სარეკლამო კამპანია. მსმენელს საგულდაგულოდ უმალავდნენ იმ ფაქტს, რომ მუსიკას და ტექსტებს „ბითლზისთვის" ტეო ადორნო წერდა. „ბითლზის" ძირითადი ფუნქცია მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი უნდა „აღმოეჩინათ" „თინეიჯერებს" (მოზარდებს), რომელთაც შემდეგ ატყდებოდა „ბითლზური მუსიკის" შეუჩერებელი ნაკადი, მანამდე, ვიდრე მათ არ გამოუმუშავდებოდათ რწმენა, რომ ეს ხმები მათ მოსწონთ, რის შედეგადაც მათთვის მისაღები ხდებოდა ეს მუსიკა და ყველაფერი, რაც მას უკავშირდებოდა. **ლივერპულურმა ჯგუფმა სრულებით გაამართლა მოლოდინი და „თავისი მეგობრების მცირე დახმარებით" (ფრაზა მათი სიმღერიდან), ანუ იმ ნივთიერებების დახმარებით, რომლებსაც ჩვენ ნარკოტიკებს ვეძახით, ტავისტოკის ინსტიტუტის მიერ შეკვეთილი ზუსტი ნიმუშის მიხედვით, შექმნა ახალგაზრდა ამერიკელების ახალი კლასი.**

ტავისტოკმა შექმნა მკაფიოდ ცნობადი „ახალი ტიპი", რომელსაც უნდა ემოქმედა, როგორც ნარკოტიკების გამავრცელებელს. „ქრისტიანი მისიონერების" „ჩინური შიდა მისია" 1960-იანი წლების პირობებში აღარ ვარგოდა. „ახალი ტიპი" — ფრაზა სოციოლოგიური ჟარგონიდან, ნიშნავს, რომ „ბითლზმა" შექმნა ახალი სოციალური ნიმუშები, რომელთა მთავარი მიზანიც ნარკოტიკების მოხმარების პოპულარიზაცია და ახალი გემოვნებები იყო სამოსსა და ვარცხნილობებში, რომლებიც რადიკალურად გამოარჩევდა ახალგაზრდობას უფროსი თაობისგან, როგორც ტავისტოკის მიერ იყო ჩაფიქრებული.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ყველაზე «ადამიანური» რობოტი

**Geminoid-ს მეორენაირად „ცოცხალ თოჯინასაც" უწოდებენ. აქამდე შექმნილი რობოტებიდან ის ყველაზე მეტად ჰგავს ადამიანს — შეუძლია 65 სხვადასხვა გამომეტყველების მიღება, ლაპარაკობს და მღერის კიდეც.**

შესაძლოა, სულ რაღაც რამდენიმე თვე გვაშორებდეს იმ პერიოდამდე, როცა მომღერალთა ჯგუფებსა და ახალბედა მსახიობებს რობოტები ჩაანაცვლებენ. მრავალფუნქციურმა Geminoid-მა ჰონგ კონგში გამართული პრეზენტაციის შემდეგ ჩინეთის მოსახლეობაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამ ქმნილებას შეუძლია გაღიმება, ასევე უცნაური და დამცინავი მიმიკების მიღებაც კი. ყველაფერს რეზინის კანის ქვეშ განლაგებული მექანიკური სტიმულატორები უზრუნველყოფს.

როგორც Geminoid-ის შემქმნელი ჰიროში იშიგურო ამბობს, მისი მიზანია ისეთი რობოტის შექმნა, რომელიც ადამიანის მაქსიმალურად ზუსტი ასლი იქნება და მრავალს დააჯერებს, თითქოს მექანიკური მოწყობილობა კი არა, ცოცხალი ორგანიზმია. ჰიროში იშიგურო რობოტების ცნობილი დიზაინერია და დასავლეთ იაპონიაში, ოსაკას უნივერსიტეტში მოღვაწეობს. მისი ანდროიდები ხშირად 1 მილიონ დოლარზე ძვირად ფასობს. თუმცა Geminoid შედარებით იაფია — მისი ღირებულება სულ რაღაც 110 000 ამერიკულ დოლარს შეადგენს. შემოსულ თანხას იშიგურო რობოტების ტექნოლოგიის დახვეწა-გაუმჯობესებას მოახმარს.

ქალის ფორმის Geminoid-ს შეუძლია გაიღიმოს, წარბები აწიოს, პირი ამოძრავოს, თუმცა უფრო ხშირად გაოცების მსგავსი გამომეტყველება აქვს. მის ფუნქციებში ასევე შედის ლაპარაკი და სიმღერა — უკრავს წინასწარ ჩაწერილ სიმღერებს ან იმეორებს სხვა ადამიანთა ხმებს. რობოტის მექანიზმი აღჭურვილია 12 მოტორიზებული სტიმულატორით, რომლებიც ენერგიას ჰაერის წნევით იღებს. ამის მეშვეობით Geminoid-ი ადამიანთა სახის გამომეტყველებებს „აკოპირებს".

პროფესორ იშიგუროს წარსულშიც დაუმზადებია ისეთი რობოტები, რომლებიც ადამიანს გვაგონებდნენ, ერთ-ერთი მათგანი საკუთარი გარეგნობის მიხედვითაც კი შექმნა.

**„რა არის ადამიანი?** — კითხულობს იგი. — თუ შეიძლება, მომეცით განსაზღვრება და ჩვენ მის ასლს შევქმნით".

# ელექტრონული სიგარეტი ჩვეულებრივზე უსაფრთხო არ არის



**ელექტრონულმა სიგარეტმა ბოლო ხანს პოპულარობა მოიპოვა მწეველთა შორის, თუმცა, როგორც მეცნიერებმა გამოიკვლიეს, მტკიცება, რომ ეს სიგარეტები ტრადიციულზე გაცილებით უსაფრთხოა, მცდარია.**

სამეცნიერო ჟურნალ Nature-ში ამერიკელი ონკოლოგების მიერ გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ შესუნთქვა ელექტრონული სიგარეტის მიერ გენერირებული ორთქლისა, რომელიც თამბაქოს ბოლის იმიტაციას ახდენს, მწეველის ორგანიზმში ისეთივე უარყოფით პროცესებს იწვევს, როგორსაც ჩვეულებრივი თამბაქო. მეცნიერებს თავიანთი თვალსაზრისის სრულად დასამტკიცებლად კიდევ რამდენიმე ცდა აქვთ ჩასატარებელი, მაგრამ უკვე ჩატარებული გამოკვლევები მიუთითებს, რომ ელექტრონული სიგარეტი უვნებელი არ არის. ის ისევე იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს, როგორც ჩვეულებრივი სიგარეტი.

# კუ-კლუქს-კლანის ყოფილმა ლიდერმა 3 ადამიანი მოკლა



**13 აპრილს, საღამოს, ოვერლენდ-პარკში (კანზასის შტატი), ებრაული თემის ტერიტორიაზე ორჯერ ატყდა სროლა. მოკლულია სამი ადამიანი — ორი მამაკაცი და ქალი.** პოლიციამ ეჭვმიტანილი სკოლასთან ახლოს დააკავა. ის მისურის შტატის მცხოვრები, 73 წლის ფრეიზერ გლენ კროსი აღმოჩნდა. კროსი კუ-კლუქს-კლანის ყოფილი ლიდერია.



გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ექიმი, დიდი სამამულო ომის ვეტერანი ნუცა ესტატეს ასული ჭაჭია-მარღანია. თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს, ყველა მის ნათესავს, მეგობარს და ახლობელს.

# უკრაინის ფედერალიზაციის საკითხზე, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩატარდეს

უკრაინის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ალექსანდრე ტურჩინოვი არ გამორიცხავს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად უკრაინის ფედერალიზაციის თაობაზე რეფერენდუმი ჩატარდეს.

„ჩვენ არ ვართ რეფერენდუმის ჩატარების წინააღმდეგნი, დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინელთა უმრავლესობა რეფერენდუმზე მხარს დაუჭერს დემოკრატიულ, ერთიან და დამოუკიდებელ უკრაინას“, — განაცხადა ტურჩინოვმა.

ამასთანავე, უკრაინის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, რომ რეფერენდუმი უკრაინის ფედერალიზაციის თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუ ქვეყნის უმაღლესი რადა შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.

**უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები 25 მაისს არის დაგეგმილი.**




# უნგრეთმა უკრაინას ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე უნგრეთის დელეგატმა განაცხადა, რომ უკრაინაში არსებობს „ფარული ძალები“, რომლებიც ცდილობენ, ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება.** უნგრელმა დეპუტატმა, აგრეთვე, აღნიშნა, რომ უკრაინა არის „ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო“ და მის შემადგენლობაში შედის კარპატები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ეკუთვნოდა უნგრეთს.





# ვინ აცდენს პლენარულ სხდომებს

**პარლამენტის ოფიციალური დოკუმენტის თანახმად, 38 პლენარული სხდომიდან (2013 წლის 1 აგვისტო – 2014 წლის 13 მარტი) არც ერთს დასწრებიან დეპუტატები მარიამ საჯაია და ნიკოლოზ ყიფშიძე.** პლენარულ სხდომაში მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდა **აზერ სულეიმანოვი**, 2-ჯერ — **კობა ნაყოფია, გიორგი ოჩიაური, ლევან ქარდავა** და **პაატა ლეჟავა**, 4-ჯერ — **გოგი ლიპარტელიანი**, 6-ჯერ – **ზაზა კედელაშვილი.**


# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდური ართროზის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა; დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე ძვლის მკვებავებით, წონის დაკლება 5-15 კგ-მდე თვეში, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით დიეტებისა და ვარჯიშის გარეშე.

ასევე სიმაღლეში სწრაფი ზრდა 20-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული პრეპარატების უკუჩვენებების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერებით (კეთდება მასაჟი ძვალ-სახსართა პრობლემებზე) შედეგები გარანტირებულია.

ტ. 555-62-09-01 ექიმი ქ-ნი მეგი;
ტ. 218-46-08 ოფისი


# ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ადამიანის კანისგან დამზადებული წიგნები იპოვეს

**ჰარვარდის უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელია. უნივერსიტეტი ცნობილია იმით, რომ მის კურსდამთავრებულთა შორის ყველაზე მეტი მილიარდერია, აგრეთვე, იმითაც, რომ აქვს აშშ-ში სიდიდით მესამე აკადემიური ბიბლიოთეკა.**

სწორედ ბიბლიოთეკამ, უფრო ზუსტად, მასში დაცულმა რამდენიმე წიგნმა მოუტანა ახალი, შიშის მომგვრელი პოპულარობა უნივერსიტეტს. საქმე ის არის, რომ **წიგნთსაცავში იპოვეს ხელნაწერები, რომელთა დასამზადებლადაც გამოყენებული იყო ადამიანის კანი**.

წიგნების მორიგი აღრიცხვისას ბიბლიოთეკართა ყურადღება მიიპყრო სამმა უცნაურმა წიგნმა. ხანგრძლივი





დაკვირვებისა და სპეციალისტებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ დადგინდა, რომ წიგნების გლუვი ყდა ადამიანის კანისგან იყო დამზადებული. ეს დასკვნა წიგნების შინაარსმაც დაადასტურა. აღსანიშნავია, რომ, **სპეციალისტთა აზრით, ყდები ცოცხალი ადამიანის კანისგან არის დამზადებული, რაც ნაპოვნს უფრო საზარელს ხდის. ადამიანის ტყავისგან დამზადებული წიგნებია: „რომაული პოეზიის კრებული“; „ნაშრომი ფრანგული ფილოსოფიის შესახებ“ და „ტრაქტატი შუასაუკუნეების ესპანეთის კანონმდებლობაზე“.**

სპეციალისტები ამბობენ, რომ ადამიანის ტყავისგან წიგნების ყდის დამზადების პრაქტიკა მე-17 საუკუნეში იყო გავრცელებული — მედიცინის მუშაკები კანს აძრობდნენ გვამებს, რომლებსაც კვეთდნენ და შემდეგ ანატომიის სახელმძღვანელოებისთვის იყენებდნენ.

**ჰარვარდის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, რომელმაც წიგნებზე ექსპერტიზა სპეციალისტებს ჩაატარებინა, განაცხადა, რომ ამ საზარელი წიგნების განადგურებას არ აპირებს**.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორ სიდნი ვერბას აზრით, ახლახან აღმოჩენილი სამი წიგნის გარდა, სავარაუდოდ, კიდევ იქნება გაცილებით საშინელი ეგზემპლარებიც.


# მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა


ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894